114/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

114/3

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეთერთმეტე

6638

38

8

★

ا ბ ვ ი ს ტ ო

19 სახელგამი 54
თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

★

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

		გვ.
ა. ბელიაშვილი	— უღელტეხილი. რომანი. გაგრძელება	3
ა. სულაკაური	— მწყემსები. პოემა	29
ა. ადამია	— უძილო ღამე. პიესა	38
ნ. კაკუშაძე	— წიგნის სასახლე. რომანი. გაგრძელება	70

პუბლიცისტიკა. მეცნიერება. კრიტიკა

ლ. ებანოიძე	— ხალხთა დიადი მეგობრობა. წერილი	117
მ. ალექსიშვილი	— მასებისა და პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში. წერილი	134
ა. თოფურია	— სოციალისტური რეალიზმის საწყისები ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში. წერილი	146
გ. გაჩეჩილაძე	— მარქსიზმის კლასიკოსები თარგმნის ხელოვნების შესახებ. წერილი	159

ბიბლიოგრაფია

ი. იმნაიშვილი	— ახალი ნაშრომი ქართული ენის შესახებ	164
ი. ფეიქრიშვილი	— სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის საკითხები	167

რედაქტორი

ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/IX-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10,5. უე 05177

შეკვ. №1077. ტირაჟი 5.300.

პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი 3-23-42.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲚᲐᲙᲘ ᲑᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲚᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

★

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ

სრულ ოთხ საათსა და თხუთმეტ წუთზე დავითი საკომენდანტოს სარკმელთან იდგა და საშვს ღებულობდა. მისი კოსტიუმი, დილით მგზავრობაში დასრესილ-დაჭუჭყიანებული, ახლა ისე იყო გაწმენდილ-გაუთოებული, რომ კაცს ახალშეკერილი ეგონებოდა. გაიგეს თუ არა დებმა, რომ სხვა გზა არ იყო, მაშინვე ეცნენ დავითს, გააძვრეს კოსტიუმიც, პერანგიც. დატრიალდნენ, ნემსი, უთო, ტაშტი, ჯაგრისი ერთად აამუშავეს და ორიოდე საათის შემდეგ ყველაფერი წესრიგში მოიყვანეს. ჩააცვეს, ჰალსტუხიც კი თავისი ხელით გამოუნასკვეს და იმდენი ოდეკოლონი ასხურეს, რომ შემდეგ დავითმა პიჯაკი შეიხსნა და კარგახანს ანიავებდა, რათა ოდნავ მაინც. შეენელებინა ოდეკოლონის სუნი. სარკეში რომ ჩაიხედა, სიცილი აუტყდა, ისე იყო ვიტრინაში გამოდგმული მანეკენივით გაშეშებული. ბეჭები შეათამაშა, მთელი ტანი მოქნევით შეარხია და, როგორც იქნა, თავისივე ტანსაცმელი ტანზე თავისუფლად დაიყენა.

ორივემ მოედნამდე ძიაცილა. ქეთო სულ გაიძახოდა, ლილის უნდა მივუვარდე და ერთი ამბავი დავუთიოო. მართალია, როგორც კი მარომ კოსტიუმის ამბავი მოიტანა, დავითმა ოსტატურად წამოიძახა, ახლა გამახსენდა, იქ არავითარი კოსტიუმი არ დამიტოვებია, შევცდიო, მაგრამ ქეთომ არ დაიჯერა. იცოდა დავითის ხასიათი და გაკაპასებული მაშინვე აპირებდა წასვლას. დიდი ხვეწნით და ფიცი-მტკიცებით დავითმა, როგორც იქნა, გადაათქმევინა განზრახვა, თუმცა ეეჭვებოდა, რომ ქეთო ასე იოლად დასთანხმდებოდა, ხელიდან გაეშვა ხელსაყრელი შემთხვევა, რათა ლილიზე გულისჯავრი ეყარა.

მორიგემ საშვი გაუწოდა დავითს და ღიმილით უთხრა:

— სად დაიკარგეთ მაშინ ისე უცბად? რამდენი გეძებეთ...

— როგორ?

— მინდოდა გამეფრთხილებინეთ, წვერი გაგეპარსათ და საერთოდ წესიერი სახე მიგეღოთ, მაგრამ არა უშავსრა, თქვენ თვითონ მოგიფიქრებიათ. მეორე სართული, მარცხნივ, მესამე კორპუსი, მეთოთხმეტე ოთახი. მიბრძანდით.

დავითმა საშვი გამოართვა, მთავარ კარებში შეაბიჯა და წითელარმიელ გუშაგს საშვი გაუწოდა. გუშაგმა საშვს დახედა, პასპორტი შეამოწმა და სიტყვებს თითქოს ჭედდა, ისე გარკვევით და მტკიცე ხმით უთხრა:

— მესამე კორპუსი, მეორე სართული, მარცხნივ მეთოთხმეტე ოთახი.

დავითმა მსუბუქად აიარა ძველისძველი შენობის უკვე მოცვეთილი კიბეები და როდესაც მეორე სართულის თაღიან დერეფანში მოხვდა, მხოლოდ ახლა იგრძნო აღელვება. დერეფანში

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 7

მიმოდიოდნენ მაღალი თანამდებობის სამხედრო პირები. ორი გენერალი რაღაცაზე გაცხოველებით საუბრობდა. ერთ მათგანს, თვითონ მაღალს, მაღალი, რუხი, ბუხრის ქუდი ეხურა, წითელი ყაითანიანი. საყელოს წკენტებზე სამი ვარსკვლავი ეკერა. „გენერალ-ლეიტენანტი“ — გაუელვა დავითს. მეორე გენერალი დაბალი ტანის იყო, ხანში შესული, მას ორი ვარსკვლავი ეკერა საყელოზე.

— თქვენ სად, ამხანაგო? — მოესმა დავითს ხმა.

მოიხედა. მის წინ კაპიტანი იდგა. ეტყობოდა, ადიუტანტი იყო.

— მეთოთხმეტე ოთახში, — უპასუხა დავითმა.

— თქვენ ალბათ ჩემთან, — მოუბრუნდა დავითს მაღალი ტანის გენერალი, — თქვენი გვარი?

— ბექაია.

— აა, ვიცი. მიბრძანდით მეთოთხმეტე ოთახში. გააცილეთ ამხანაგი! — უბრძანა მან ადიუტანტს. — მე ახლავე მოვალ.

— წამობრძანდით, — მიმართა ადიუტანტმა დავითს და წინ წაუძღვა.

ორივენი გაემართნენ მეთოთხმეტე ოთახისაკენ. ადიუტანტმა კარები გააღო და დავითს ზრდილობიანად გზა დაუთმო.

— დაბრძანდით, — უთხრა მან დავითს, — გენერალი ახლავე მოვა.

დავითი დაჯდა და მიმოიხედა. კედელზე უზარმაზარი რუკა ეკიდა, ზედ პატარა ქაღალდის დროშებით აღნიშნული იყო ფრონტის ხაზი. გამოცდილი თვალით დავითმა მაშინვე შეამჩნია, რომ ფრონტის ხაზი ნოვოროსიისკიდან დაწყებული კავკასიონის ქედს მოუყვებოდა, მოზდოკიდან ელისტასაკენ მიიკლაკნებოდა და სტალინგრადს აღწევდა. „სადამდე მოულწევიათ“, გაიფიქრმა დავითმა და შეხედა ადიუტანტს, რომელიც ისევ ფეხზე იდგა. დავითს უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ არ იცოდა, რაზე ესაუბრა. მიკვირდა, აქ ყველაფერი სამხედრო საქმიანობით იყო მოცული და ეშინოდა, ეკითხა რამე.

კაპიტანი კი ჩუმად იდგა და არც აპირებდა ხმის ამოღებას. წარბშეკმუხვნილი იყურებოდა ფანჯარაში, თითქოს რაღაც სურდა მოეგონებინა.

კარები უეცრად გაიღო და ოთახში გენერალი შემოვიდა. ადიუტანტმა მაშინვე ჩამოუშვა ხელები და „სმენაზე“ გაჩერდა. გენერალი ოდნავ აჩქარებული ნაბიჯებით მიუახლოვდა ფეხზე წამომდგარ დავითს და ხელი ჩამოართვა.

— გამარჯობათ, ამხანაგო ბექაია. დაბრძანდით. თქვენ წადით, — უბრძანა გენერალმა ადიუტანტს.

ადიუტანტი მარდად შებრუნდა, ფეხები ხსაპუნით ერთმანეთს მიადგა და ოთახიდან გავიდა.

— მართალი რომ თქვას კაცმა, თქვენ ცოტა დაიგვიანეთ, — უთხრა გენერალმა დავითს და სავარძელში ჩაჯდა. მერე მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს დაუწყო დალაგება და თან ლაპარაკს განაგრძობდა: — ჩვენ უკვე თითქმის ყველაფერი დავამთავრეთ, მაგრამ არა უშავს-რა. სად იყავით აქამდე. ჩემი დეპეშა არ მიგიღიათ?

— დეპეშა არა, ტელეფონოგრამა მივიღეთ. ისიც ძალიან გვიან. ჩემი მაღაროები ძალიან დაშორებულია რაიონის ცენტრს და გზებიც ძალზე ცუდია. ასე რომ... გარდა ამისა, მე დღესაც არ ვიცი კარგად, რისთვის ვიყავი გამოძახებული, ან ვინ მიბარებდა.

გენერალმა შუბლი მოისრისა, თითქოს შუბლის ნაოჭების გასწორებას ლამობდა, ქაღალდები განზე გასწია და დავითს თვალებში შეხედა.

— ჩვენ აქ ალპინისტური საჭურველისა და მთებში ომის წარმოებასთან აღძრულ ზოგიერთ საკითხთან დაკავში-

რებით დაგიბარეთ. გარდა ამისა, თქვენ უნდა დაგავალოთ ალპური ბატალიონის ინსტრუქტორობა. ცხადია, ყოველივე ეს ადრე უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ უჰ! — ხელი ჩაიქნია გენერალმა, — ვინ იფიქრებდა, რომ გერმანელებთან ოდესმე ჩვენ კავკასიონის მთებში მოგვიხდებოდა ომის წარმოება. ჩვენ ველებზე ვიყავით შეჩვეული ბრძოლებს და აქ მთებში, მართალი უნდა ვთქვა, მოუმზადებელი შევხვდით, მაგრამ ყველაფერი ეს უკვე განვლილია. თქვენ დღეს გამოცხადდებით სამხედრო ნაწილში და იქ ყველაფერს გეტყვიან. მიიღებთ ყველაფერს. ასე რომ დროებით დაგჭირდებათ სამოქალაქო სამსახურის სამხედრო სამსახურით შეცვლა. სამხედრო წოდება გაქვთ?

— მესამე რანგის სამხედრო ინჟინერი გახლავართ, — უპასუხა დავითმა, — სათადარიგო, ცხადია.

— კეთილი. თქვენ ახლავე უნდა წასულიყავით იქ, მაგრამ მე დღეს მოვახსენე ფრონტის სარდალს თქვენი ჩამოსვლა და მან მიბრძანა, მიგიყვანოთ მასთან. ის თქვენ, მგონია, უნდა გიცნობდეთ.

— რა მოგახსენოთ. არა მგონია. საიდან უნდა მიცნობდეს?

— როგორ არა. რამდენჯერმე გიკითხათ. ის კიდევაც ამბობდა, რომ თქვენ თურმე სტალინის პიკზე ასულხართ და მთელი კავკასიონის ქედი დავლილი გაქვთ. თქვენ მიერ დამყარებული რეკორდებიც კი ჩამოთვალა.

— რას ბრძანებთ, — სიხარულით გაუფართოვდა თვალები დავითს და სკამზე შესწორდა, — საიდან, როგორ? ალბათ გაზეთებიდან იცის.

— ოთხ საათზე და ოცდაათ წუთზე დანიშნულია სხდომა, — დახედა საათს გენერალმა და მერე ზარს დაკრა, — ახლა ეკვე დროა. წავიდეთ.

გენერალმა დავითი მოსაცდელ დარბაზში დატოვა, სადაც იმის გარდა რამდენიმე სამხედრო პირი იცდიდა. ჟედლის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო სკამები, მაგრამ ყველა ფეხზე იდგა. კარები წამდაუწუმ იღებოდა და ადიუტანტები აქეთ-იქით ფუსფუსით გარბი-გამორბოდნენ. გენერლები სათითაოდ იკრიბებოდნენ. ისინი უხმოდ, აჩქარებული ნაბიჯებით, თავდახრილი, მიემართებოდნენ სხდომის დარბაზისაკენ. ყოველ კარებთან ხმალამოღებული გუშაგი იდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ სიარული შეწყდა და დავითმა ამით იგრძნო სხდომის დაწყება.

სიჩუმეს მხოლოდ კედლის დიდი საათის წყნარი ტაკატუკი არღვევდა. ნელა მიდიოდა დრო. დავითმა გულდასმით დაათვალიერა ყველანი. რომელნიც მასთან ერთად იცდიდნენ. მათ შორის ერთი გენერალი იყო. ის რატომღაც ყველაზე მეტად შფოთავდა და მოუსვენრად ხან სიარულს იწყებდა, ხან ერთ ადგილას შედგებოდა და გაშტერებით ჩასცქეროდა იატაკს. ხან ისევ იწყებდა სიარულს.

პირველად ამ გენერალს გამოუძახეს, იგი კარებთან შეჩერდა, აღელვებისაგან მძიმედ სული მოითქვა და დავითს ისე მოეჩვენა, თითქოს იდუმალად, სადღაც, მუცელთან, პირჯვარიც კი გამოისახა. მერე ოდნავად აკანკალებული ხელით კარები შეაღო და დარბაზში შევიდა. „ვერა აქვს მაგ უბედურს, ეტყობა, კარგად საქმე, — გაიფიქრა დავითმა, — ვინაა ნეტავი?“.

დანარჩენებმა ერთმანეთს გადახედეს და ერთმა ოდნავი ღიმილით თვალიც კი ჩაუკრა მეორეს.

კარგა ხანი გავიდა. ბოლოს კარები გაიღო და იქიდან სახეგაბრწყინვებული გენერალი გამოვიდა. სიხარულით აფორიაქებულმა ხელები გაშალა და დაბალი, მაგრამ აღტაცებული ხმით დაიძახა:

— მომილოცეთ, ამხანაგებო, ანდრეი

ვასილიჩ, მომილოცე! — მივარდა ის რომელიღაც პოლკოვნიკს და გადაეხვია.

— როგორაა საქმე, როგორ? — შემოეხვივნენ ყველანი გენერალს.

— მეგონა, რომ... ეჰ! — სიხარულით ხელი ჩაიქნია გენერალმა — დავამტკიცებ, რომ არც ისეა საქმე. ძველ თანამდებობაზე დამტოვა. მე კი ვოცნებობდი, რიგით მებრძოლად იქნებ მაინც გამიშვას-მეთქი....

თითქმის იმავე წუთში ადიუტანტმა დაიძახა:

— ამხანაგო ბექაია, გთხოვთ.

დავითს გული შეუხტა და ძეტი აღელვებისაგან იგი თითქოს ყელთან მოებჯინა. მაშინვე გაემართა კარებისაკენ და დარბაზში გაბედულად შეაბიჯა, თუმცა მუხლები ოდნავ უკანკალებდა.

დარბაზში გრძელი მაგიდა იდგა, მაგიდის გარშემო გენერლები ისხდნენ. თავში ფრონტის სარდალი იჯდა და რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა.

დავითმა მორიდებულად წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი და არ იცოდა, სალამი მიეცა ყველასთვის, წინ წასულიყო, თუ იქვე გაჩერებულიყო, — დაიბნა.

მოულოდნელად არმიის სარდალმა აიხედა, დაინახა თუ არა დავითი, ფეხზე წამოდგა, მაგიდას შემოუარა, სასწრაფოდ მიუახლოვდა ახალგაზრდა კაცს და ხელი გაუწოდა. გენერლებიც ერთიანად წამოიშალნენ.

— ბექაია. გამარჯობა, — უთხრა ფრონტის სარდალმა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

— ანდრეი ვასილიჩ, ნუთუ ეს თქვენა ხართ? — სიხარულით წამოიძახა დავითმა.

— მიცანი? მადლობა ღმერთს, — გაიღიმა ფრონტის სარდალმა და მერე დანარჩენებს მოუბრუნდა: — ჩვენ. ამხანაგ ბექაიასთან ერთად, [illegible] სტალინის პიკზე მიგვქონდა [illegible]. მაშინ მე შედარებით ახალგაზრდა ოფიცერი ვიყავი და მთებში ამხანაგ ბექაიას მეთაურობით ვიბრძოდი მწვერვალთა დასაპყრობად.

— ახლა კი, უკვე არმიის გენერალი გამხდარხართ, ანდრეი ვასილიჩ. ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ აქ გნახავდით. გახსოვთ, როგორ მიხსენით სასიკვდილო საფრთხისაგან? თქვენ რომ არა, უფსკრულში ჩავიკარგებოდი.

— მე არაფერი არ დამვიწყებია, ჩემო კარგო. ისიც კარგად მახსოვს, შენ რომ სამი კილომეტრი ზურგით მატარე. ფეხების მოყინვის საფრთხე რომ შემექნა და სამშვიდობოს ჩამომიყვანე. მაგრამ ამ კარგ მოგონებებს ჯერჯერობით თავი ვანებოთ. შენ სასწრაფოდ უნდა გაბრუნდე უკან და წაუძღვე ერთ-ერთ ჩვენს ალპურ ნაწილს.

— სად უნდა წავუძღვე?

— იმ რაიონში, სადაც შენი მაღაროებია. შენ ჯერ ალბათ არ იცი, რომ იქ უკვე გერმანელები სხედან.

— ჩემს მაღაროებში? — გაოცდა დავითი.

— დიახ. ჩვენ გვეგონა, რომ გერმანელები ჩქერულას ულელტეხილზე გადმოვიდოდნენ, მაგრამ მათ იეშმაკეს. იცოდნენ, რომ იგი დაცული იყო, ამიტომ განზე დატოვეს და იმ ქედის გადმოლახვა არჩიეს, რომელიც აქამდე მიუვლელად ითვლებოდა და ამის გამო დაცული არა გვქონდა. მათ გუშინ დილას დაიჭირეს შენი მაღარო.

ამ მოულოდნელმა ამბავმა დავითი ადგილზე გააქვავა. იგი გაოცებული შესცქეროდა ფრონტის სარდალს.

— ხედავ? ახლა შენ დაგჭირდება ისევ მათი გარეკვა, — განაგრძო ფრონტის სარდალმა, ქაღალდებს და-

ხედა, ერთი მათგანი შტაბის უფროსს გაუწოდა, რომელიღაც აბზაცზე თითით ანიშნა და შემდეგ ისევ დავითს მიუბრუნდა: — გამიგონე, იცი რაზე დაგიბარეთ? ჩვენ აქ უთქვენოდ ზოგი რამ გავაკეთეთ. სანამ გაემგზავრებოდეთ, გადახედე იქ ალპურ საჭურველსა და მომარაგების ნომენკლატურას, ხომ არაფერი გამოგვრჩა. მერე, ერთი ეს მითხარი, ქვაბნარას რაიონს კარგად იცნობ?

— ზეპირად ვიცი არათუ ყოველი ხეობა, არამედ ყოველი ბილიკი.

— მაშინ გვითხარი, არის თუ არა შესაძლებელი... დაიცა, მოდი აქ, — ფრონტის სარდალი მივიდა რუკასთან და ხელით ანიშნა, — არის თუ არა შესაძლებელი ამ უღელტეხილის გარდა სადმე სხვა ადგილზე ქედის გადმოლახვა. აქ ზოგიერთები მედავებიან და იმ მოსაზრებისა არიან, რომ ტუაფსედან დარიალამდე მხოლოდ ხუთ თუ ექვს ადგილზე შეიძლება ქედის გადმოლახვა, ისიც ყველასათვის ცნობილი საუღელტეხილო გზებით.

— რას ბრძანებთ, ანდრეი ვასილიჩ, — გაოცდა დავითი, — მომეცით თქვენ რაზმი, დამისახელეთ რომელიც გინდათ ადგილი უღელტეხილზე, თუნდაც შხარას ტრავერსიც რომ დამჭირდეს და გადავალ, როდესაც გნებავთ.

— ეგ ზაფხულში და ისიც ალბათ უიარაღოდ, — შენიშნა ერთმა გენერალმა.

— თუნდაც ზამთარში და, რასაკვირველია, შედარებით მსუბუქი შეიარაღებით, — შეედავა გენერალს დავითი, — ტყვიამფრქვევებით და ნაღმსატყორცნებით. სამთო ქვემეხების გადატანა ზამთარში ძნელია, მაგრამ, თუ საჭირო იქნება, არც ისაა შეუძლებელი. საჭიროა მხოლოდ მთაში გამოცდილი მებრძოლები, განსაკუთრებით ისეთები, რომელთაც თხილამურების ხმარება შეუძლიათ.

— რის საფუძველზე ფიქრობთ მაგას? — ჰკითხა იმავე გენერალმა.

— მე ოთხ გასამხედროებულ ალპინიადას ვხელმძღვანელობდი და ხუთიათასი მეტრის სიმაღლე მწვერვალზე აგვიტანია სამდიუმიანი ქვემეხი.

— ეგ ამბავი ცნობილია ჩემთვისაც, — უპასუხა გენერალმა და შემდეგ ფრონტის სარდალს მიმართა: — რასაკვირველია, მცირეოდენი ჯგუფების გადაყვანა შეიძლება, მაგრამ მასობრივად ჯარის გადაყვანა შეუძლებელია.

— ეგ ცხადია, — უპასუხა ფრონტის სარდალმა და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა, — მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენ თავდაცვის ხაზი ქედის გადაღმა დაბლობზე, ან, უარეს შემთხვევაში, ქედის გადაღმა კალთებზე უნდა მოვაწყოთ და არა ქედზე ან ქედის გადმოღმა. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენთვის აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება შეტევაზე გადასვლა. რაც შეეხება იმ აზრს, თითქოს მტერი ვერ შეძლებს ქედის გადმოლახვას და ჩვენ ბრმად უნდა მივენდოთ კავკასიონის მიუვალობას, ეს სწორი არ არის. მათ შეუძლიათ თამამად გადმოლახონ მთები დაზამთრებამდე და ჩვენ მათ ვეღარ შევაჩერებთ. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკოთ. აი რა, ამხანაგო ბექაია, — შეხედა ფრონტის სარდალმა დავითს, — მაშასადამე, შენ დღესვე უნდა გაბრუნდე უკან და გაჰყვე იმ ნაწილს, რომელსაც ამაღამ ვგზავნით. შენგან ბევრია დამოკიდებული, ის ადგილები, რომლებიც სხვებისათვის გაუვალია, მე მგონია, შენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს.

— არის. შესრულებული იქნება!

— გამიგონე, მალაროებში როგორა გაქვს საქმე? მართალია, ახლა ის გერმანელებს უჭირავს, მაგრამ იმედი მაქვს, თქვენ მათ იქედან გარეკავთ. გამოდის რამე?

— ორი თუ სამი თვის შემდეგ სასა-

ქონლო პროდუქციას მივცემდი მრეწველობას. გეგმით კი მხოლოდ გაისად უნდა დამეწყო საექსპლოატაციო მუშაობა.

— ეგ მადანი ძალიან გვჭირდება. შენ ეცადე, ჩქარა დაამთავრო ოპერაცია და როგორც კი მტერს გადაღმა გადავრეკავთ, მაშინვე დაუბრუნდი წარმოებას, ფრონტს ჩვენ მოვუვლით. ახლა მეტს აღარ გაგაჩერებთ. შეგიძლია წახვიდე. იქ ადიუტანტი გასწავლის, ვისთან და სად უნდა მიხვიდე.

— ერთი სათხოვარი მაქვს. ამხანაგო ფრონტის სარდალო.

— რა? — ღიმილით ჰკითხა მან.

— რაიონის ცენტრიდან ჩვენს მაღაროებამდე მხოლოდ ბილიკი მიუყვება. გზა არა გვაქვს, ხან უფულობა გვიშლის ხელს და ხან მუშახელი არ გვყავს. ამ შემოდგომა-ზამთარში მესანგრეებს. სულ ერთია, ბევრი საქმე მაინც არ ექნებათ და იქნება როგორმე დაგვახმაროთ. ისინი ხელად გაჭრიან გზას.

— რას იტყვით? — მიუბრუნდა გენერლებს ფრონტის სარდალი. — შეიძლება ანგარიში გავუწიოთ ამხანაგის თხოვნას, საჭირო იქნება გზის გაყვანა შევიტანოთ გეგმაში. კარგი. — მიუბრუნდა ისევ დავითს და გაულიმა, — რა გაეწყობა, გაგიკეთებთ გზას.

— გმადლობთ, ანდრეი ვასილიჩ!

— ნახვამდის. წარმატებას გისურვებ.

— გმადლობთ. ნახვამდის. — მოწყვეტით დაუკრა თავი ყველას დავითმა, მობრუნდა და ისე გავიდა დარბაზიდან. სული არ ამოუთქვამს. მოსაცდელ დარბაზში დაიძახა აღტაცებულად — უუჰ! — და მძლავრად ამოისუნთქა. ისე მიმოიხედა, თითქოს სანეტარო სიზმარი ენახოს და ახლა გაღვიძებოდეს. „სად გავუკეთე გზის საქმე ვალიკოს!“ — გაიფიქრა დავითმა, — „მერე ალბათ ტრაბახს დაიწყებს ეს საქმე მე გავაკეთეო“.

— წამობრძანდით, ამხანაგო, — მიმართა ადიუტანტმა დავითს, — რომელიც მხოლოდ ახლა გამოერკვა.

— ა? რაო? ჰო, წავიდეთ.

* * *

შემდეგ სიზმაროვით იგონებდა დავითი ყველაფერს.

„ანდრეი ვასილიჩ! საიდან სად შევხვდი. რა ვაჟკაცია. მაშინ პოლკოვნიკიც არ იყო. ახლა არმიის გენერალია. სად წასულა, ხედავ?... ცოტა დასქელებულა. მპირდებოდა, ექსპედიციის შემდეგ სოფელში უნდა გეწვიოო“.

„ერთი სათხოვარი მაქვს-მეთქი, რომ ვუთხარი, როგორ გაიცინა! ალბათ ჩემთვის რამეს თუ ვთხოვდი ეგონა. ვალიკოს დაეწვა ახლა. არაფერს არ ვეტყვი. გზას რომ გააკეთებენ. მერე ეკითხავ, თუ დაიწყო ტრაბახი. რამდენს ვიცინებ! თუმცა ვალიკომ ტრაბახი არ იცის. გაუკვირდება კი. ნეტავი ცუდად ხომ არ მოვიქეცი. აბა რა მექნა, გადავყევი ამ გზის საკითხს და საშველი არ დაადგა. ზურგით გადაგვქონდა მანქანები“.

საშტაბო ვაგონში ოდნავ ბჟუტავდა სინათლე. ბატალიონის მეთაური მაიორი ივანოვი კედელზე მიმაგრებულ მაგიდასთან იჯდა. ტოპოგრაფიული რუკა გაეშალა და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა. დასაწოლ თაროებზე ეძინათ მებრძოლებს და მეთაურებს. ყველას ალპური ტანსაცმელი ეცვა, მოლისფერი შალის პიჯაკები. განიერი, კოჭებთან ღილით შეკრული შარვლები და სამკაპებით მოჭედილი მძიმე ალპური ფეხსაცმელები.

მატარებელი ყრუ, დაგუდული ხმაურით მიჰქროდა და ამ ხმაურის მიხედვით ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ სისწრაფე საათში ოთხმოცი კილომეტრს აღწევდა.

— ზორბად ეწევა! — ჩაილაპარაკა მაიორმა ივანოვმა და დავითს შეხედა, — შენ რა? კიდევ არ გძინავს?

— არ მეძინება. თუმცა ისე ვარ დაღლილი, რომ ძვლები მტკივა.

— დაიძინე. ერთი-ორი საათის ძილი არ გაწყენს. ჩვენ, ალბათ, ორი-სამი საათის შემდეგ უკვე ადგილზე ვიქნებით. სწრაფად მიჰყავს მატარებელი.

— ელმავალია, ეხუმრები? — წამოიძახა დავითმა, შემდეგ სწრაფად ჩამოიღო ფეხები საწოლიდან და მაგიდასთან მიჩოჩდა. — თუ სადგურებზე დიდხანს არ გაგვაჩერეს, მე მგონია, გათენებისას მივალთ.

მატარებელი უცბად ისრებზე ახმაურდა, აჯახუნდა, ფანჯრებში გაიპმა ჩაქროლებული შენობების ყრუ, ქვაბისებური ხმაური. ელმავალმა დაბალი ბარიტონივით დაიკივლა და შეუნელებელი სვლით გზა განაგრძო.

დავითმა ფარდა ოდნავ გადასწია და ფანჯარაში გაიხედა.

— გორი გავიარეთ.

— აჰ! ვნანობ დღე რომ არ მივდივართ. სულ ვოცნებობდი. მენახა სტალინის სამშობლო, — თქვა ივანოვმა და მანაც გაიხედა ფანჯარაში. — უკუნეთი ღამეა.

— არა უშავს-რა, მერე ვნახოთ, მე წაგიყვან.

ივანოვი ისევ რუკას ჩააცქერდა, დავითი ერთხანს ფანჯარაში იცქირებოდა, ცდილობდა ოდნავ მაინც გაერჩია ქართლის გორაკები. მაგრამ ფანჯრის მინაში გალანდული მეორე ვაგონის გარდა ვერაფერი დაინახა. კედელს ზურგით მიეყრდნო და ფიქრებს მისცა თავი.

გაახსენდა, რომ თავისი მამიდაშვილების ნახვაც კი ვერ მოახერხა წამოსვლის წინ. იცოდა, რომ გოგოებს დასწყდებოდათ გული. „წერილს მივწერ. — გაიფიქრა დავითმა. — ახლა, ალბათ, წვანან ლოგინში და იძახიან: ის უსინდისო, ის უნამუსო, ისე წავიდა, არც კი გვნახა. წადი ახლა და ამისთანა ბიძაშვილს პატივი ეცი!“

„დამაცათ, გოგოებო, დამაცათ. გიამბობთ, როგორ იყო, ერთი წუთი არ მქონდა დრო. ფრონტის სარდალს რომ ველაპარაკე... რა ველაპარაკე, ეს რა თქვენი საქმეა. სამხედრო საიდუმლოებაა. ჰოდა, რომ ველაპარაკე... ჯერ-ერთი, ის ჩემი ძველი ნაცნობი და მეგობარი აღმოჩნდა. დეიდას ვფიცავარ... ჰო, კარგი ახლა, არ ვტრაბახობ... იმის შემდეგ წავედი, შევამოწმე, რაც საჭირო იყო, და მაშინვე გავიქეცი ნაწილში. იქ ყველაფერი მზად დამხვდა. პირდაპირ გავვოცდი... მომცეს საბუთები. იქვე ჩამაცვეს ახალი ტანისამოსი. თქვენი ნაწმენდი-ნასუფთავები კოსტიუმი დავკეცე. ტომარაში ჩავდევი და იქვე დავტოვე. ამ სირბილსა და დაბიდარაბაში შეიქნა ათი საათი. ის რაზმი, რომელშიაც მე დამნიშნეს, თორმეტის ნახევარზე გადიოდა ავჭალის სადგურიდან. ავჭალაში მითხრეს, მატარებელს გაჰყევიო. სადაა მატარებელი. დავრეკე აქეთ, იქეთ, გავიხედე, მოგრიალდა მანქანა. გავსწიეთ, მაგრამ როგორ! დავაოთხეთ ავტომობილი. კიდევაც მივედით სადგურთან და მისცა საყვირი ელმავალმა. მთელ ეშელონში ერთი სამგზავრო ვაგონია. ვიფიქრე, იქაა შტაბი-მეთქი, და აბა, გიყვარდეს, დავით, თუ შეგიძლია სირბილი.

ერთ დროს ას მეტრს ცამეტ სეკუნდში გავრბოდი თავისუფლად. ახლა ერთი სამი ფუთი ბარგი მაქვს, ზურგჩანთა, ავტომატი, წერაყინი, თხილამურები, ხომ იცით, ყველაფერს დავრიე ხელი, მე ვთქვი, მერე სად ვეძიოთ-მეთქი, და რაც შემეძლო, დავიტვირთე. მაგრამ გარბენა არ გინდა? შემძლებია კიდევ სირბილი. ისრებთან დავეწიე იმ ვაგონს, დამავლეს ბიჭებმა კიბეებთან ხელი და შემათრიეს ვაგონში. ვეახლე ბატალიონის უფროსს, ახლა რომ მიზის აგერ. გვერდით. რა ბიჭია, იცით? რაო? ცოლიანია თუ არა?“

— ამხანაგო მაიორო, თქვენ ცოლიანი ხართ?

— რასაკვირველია. ორი ბავშვი მყავს.

„ცოლიანი ყოფილა, რა ვქნა, თქვენი გულისთვის ცოლს ვერ გავაშვებინებ. ორი შვილი ჰყოლია. აბა, ამისთანა ბიჭს ვინ დააყენებდა. რაო? რუსია. რა ფერის თმები აქვს? რა ვიცი, ისე აქვს გაპარსული თავი, რომ რას გაიგებ. ქერაა, წარბებზე ვატყობ. ტყუილია, ზიძია, რაც არ უნდა გაგიჟდეთ. ცოლიანია და ცოლიანი“.

ძილში ლაპარაკი მოესმა დავითს. უცბად გაიღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და მიმოიხედა. მატარებელი გაჩერებულიყო. სიჩუმეს რაღაც შორეული სისინი და მაიორის ხმა არღვევდა. აქა-იქ დანარჩენებიც იღვიძებდნენ.

— რა მოხდა? — ჰკითხა დავითმა ახალგაზრდა უმცროს ლეიტენანტს, რომელიც დერეფანში იდგა და გასასვლელისაკენ იცქირებოდა. — მივედით უკვე?

— არა, — უპასუხა ლეიტენანტმა,— ჯერ კიდევ ორი სადგურია.

— მაშ რატომ გაგვაჩერეს?

— რომელიღაც სადგურზე დაგროვილა წითელარმიელების დაფანტული გუნდები. ცდა მობეზრებიათ, აუღიათ, მუშამატარებელი განუტვირთავთ, შეცვენილან ღია პლატფორმებზე და წამოსულან. არც სადგურის უფროსს შეჰკითხვიან, არც კვერთხი აუღიათ, მემანქანისთვის უბრძანებიათ, დაგხვრეტთ, თუ არ წაგვიყვანეთო, და მოდიან. ახლა სადგურიდან დარეკეს, შევჩერდით, თორემ კატასტროფა მოხდებოდა.

— სად ჯანდაბაში მიდიან?

— ეშმაკმა იცის იმათი თავი.

მაიორმა ჩექმების ბრახუნით გამოიარა ვაგონის დერეფანი, კუპეში შევიდა და ლოგინზე მიმოფანტულ ნივთებში დაიწყო ფათური. ხელში ქუდი მოხვდა, დაიხურა, მერე ქამარს მისწვდა, რომელზედაც ტყავის ბუდიანი მძიმე პისტოლეტი ეკიდა და შემოტყმა დაიწყო.

—მორიგე! — გასძახა მეორემ დერეფანში. — კაპიტანს უთხარი, ორთქლმავალს ნუ მოხსნის, პირდაპირ გააბრუნოს უკანა სვლით.

— არის, — მოისმა მორიგეს ხმა.

— დაე უკან სვლით დაბრუნდნენ! — თქვა მაიორმა, ქამარი შეისწორა და დავითს მოუბრუნდა, — გინახავს?

— ცოტა ფრთხილად მოვიქცეთ, თორემ საქმე შეიძლება ცუდად დატრიალდეს, — თქვა დავითმა. ადგა და ავტომატი აიღო. — მე უკვე გამოვცადე ისინი. გუშინწინ იმ სადგურზე კინაღამ დამხვრიტეს.

— არა უშავს-რა, — მშვიდად ჩაილაპარაკა მაიორმა. — მე მოველაპარაკები იმათ. შარშან აგვისტოში მოსკოვის მისადგომებთან უარეს ცეცხლში ვიყავი და პირდაპირ გაგიუებული ნაწილების შეჩერება მომიხდა. არაფერი. კიდევაც შევაჩერე და კიდევაც მოვაბრუნებინე ხიშტები მტრის წინააღმდეგ. ესენი უკვე ზურგში გამოსულები არიან. ამათთან ლაპარაკი ადვილია.

შორიდან ორთქლმავლის სტვენა მოისმა. მაიორი მაშინვე გაემართა გასასვლელისაკენ, დავითიც თან მიჰყვა.

გარეთ უკვე ისე აღარ ბნელოდა, თუმცა გათენებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. ლიანდაგის გასწვრივ ლანდებივით მოჩანდნენ ჩამწკრივებული ავტომატმომარჯვებული პატრულები.

ორთქლმავალის შორეული გუგუნი თანდათან გაძლიერდა, ბოლოს თვითონაც გამოჩნდა. მისი შეინიღბული ერთი ფარანი პატარა წერტილივით ოდნავ ბჟუტავდა. მალე მან მძიმე ხვნეშით ჩაიარა, გამოჩნდნენ ღია პლატფორმები, რომლებზედაც კუნძებივით მოჩანდნენ წითელარმიელები. ორთქლმავალმა სვლა შეანელა. დავითმა უნებურად გააყოლა თვალი და

დაინახა სიბნელეში მოძრავი წითელი ფარანი. ვიღაცა ნიშანს აძლევდა ორთქლმავალს, გაჩერებულიყო.

თვითნება ეშელონი გაჩერდა და გაისმა ხმები:

— რატომ გააჩერეს...

— ეს რა სადგურია...

— ამის... (ასე და ისე)... ყოველ ფეხის ნაბიჯზე სადგურია.

— ესენი ვიღა არიან: ეს რა მატარებელია.

— სალონ-ვაგონი ვისია.

— აბა, ერთი, პეტკა, გაიგე, რატომ გავჩერდით.

აქა-იქ ვაგონებიდან დაიწყეს გადმოხტომა. რამდენიმე მათგანმა მოინდომა ალპური ბატალიონის ეშელონს მიახლოვებოდა. მაგრამ მათ პატრულებმა გზა გადაუღობეს. ისინი დაიბნენ. უკან გაბრუნდნენ და თავიანთ ვაგონების გასწვრივ ორთქლმავლისაკენ გაემართნენ. იგინებოდნენ. მაგრამ პატრულების დუმილმა და ასევე მდუმარედ მდგარმა ეშელონმა მათზე რაღაც უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. თითქოს ყველამ იგრძნო თავისი დანაშაული. პლატფორმებზე ხმაური და ყაყანი მიწყნარდა და ყველანი მდუმარედ მოელოდნენ, რა მოხდებოდა. ისინი, ვინც ვაგონებიდან გადმოხტნენ, ჯერ თამამად წავიდნენ ორთქლმავლისაკენ, მაგრამ, როდესაც იმ მხარეზე ანთებული ჯიბის ელექტრონის ლამპებს მოჰკრეს თვალი და ამ ლამპების შუქზე ავტომატებით შეიარაღებული მებრძოლები დაინახეს, მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად იყო და ჩუმჩუმად დაიწყეს შეხტომა თავიანთ ღია ვაგონებზე. სხვებთან ერთად აშჯობინეს ყოფნა. მხოლოდ ერთი მათგანი არ ისვენებდა, ის ჯიუტად განაგრძობდა გზას, მიუახლოვდა ორთქლმავალს და შორიდანვე გასძახა:

— რა ამბავია? რატომ გაჩერდა მატარებელი?

ფარნის სინათლე თვალებში ეცა და ფარნის იქითა სიბნელიდან გაისმა ხმა:

— აბა ერთი, მობრძანდი...

— ვინა ხარ შენ?

— ვინცა ვარ, გაგაგებინებ!

— ერთი ეს ახალი უფროსი გამოჩნდა. განკარგულებებს იძლევა.

— ვინაა შენი მეთაური?

— რა შენი საქმეა, ვინცაა. მე თვითონა ვარ მეთაურიც და უფროსიც.

— საბუთები.

— რა საბუთები? ვინა ხარ, რომ საბუთები გაჩვენო. შენ თვითონ მაჩვენე საბუთები. ისლა მაკლია. ყოველ ზურგის ვირთხას საბუთები ვაჩვენო.

— განაიარაღეთ! — უბრძანა მაიორმა მის უკან მდგარ ჯარისკაცებს. — ორთქმავლიდან მოხსნილები ჩემთან წამოიყვანეთ. მატარებელი ჩემს სიგნალამდე არ გაუშვათ.

ჩექმები სალაში ხრაშუნებდნენ. მძიმე ნაბიჯებით ჩაუარა ივანოვმა ღია პლატფორმებს. მას თან ავტომატებიან მებრძოლთა გუნდი მისდევდა.

— რომელი ნაწილია? — თითქოს შეისროლა კითხვა წითელარმიელებით გაჭედილ ბაქანზე ივანოვმა.

— აქ სხვადასხვაა, — მოისმა ზემოდან არეული ხმები, — არც ერთი არა ვართ ერთი ნაწილიდან.

ივანოვი ერთ წუთს შედგა და მერე უფრო ლმობიერი ხმით იკითხა:

— აგრე. თქვენი მეთაურები სად არიან?

— უმცროსი მეთაურები აქ არიან. დანარჩენები წავიდნენ.

— სარეგისტრაციოდ და საქმის გამოსარკვევად, — დაამთავრა ვითომ ეცნობი წითელარმიელის პასუხი ივანოვმა და მერე ჰკითხა: — თქვენ სადღა მიდიოდით?

— აბა რა გვექნა, — გადმოიწია ბაქანზე ერთმა, — დაგვტოვეს ამ მიყრუებულ სადგურზე. საჭმელი არაა, არაფერი...

ივანოვმა ჩაუარა ვაგონებს. ყოველ ვაგონთან ისროდა შეკითხვას:

— რომელი ნაწილია?

და პასუხი განუწყვეტლად ერთი ისმოდა:

— ჩვენ სხვადასხვა ნაწილებიდან ვართ.

ბოლომდე ჩავლის შემდეგ ივანოვი უკან გამობრუნდა, თავისი ვაგონის საფეხურებზე შედგა და, მიუხედავად იმისა, რომ საოცარი სიჩუმე სუფევდა, დაიძახა:

— ყურადღება!

ცოტა ხანს მოიცადა, ელოდა ყველას გაჩუმებას და შემდეგ მკვეთრი ხმით თითქოს გამოუდა სიტყვები:

— შემადგენლობა უკან გაბრუნდება. ვინც ჩამოხტება, ან წასვლას დააპირებს, იქვე იქნება დახვრეტილი. არმიის შტაბის ბრძანებით, თქვენ ყველანი ჩემს განკარგულებაში იმყოფებით. გასაგებია?

ვაგონებიდან გასმა არეული ხმები:

— გასაგებია, გასაგებია.

— გაუშვით შემადგენლობა! — დაიძახა ივანოვმა. მაგრამ ამ დროს მასთან კაპიტანი მივიდა და მოახსენა:

— ამხანაგო მეთაურო, ნება მომეცით, მოგახსენოთ.

— სთქვი.

— საჭიროა ორთქლმავალი მეორე თავიდან დავუბათ. ისე მემანქანე უარს ამბობს.

— დრო ითმენს?

— ასე ძალიან ნელა უნდა ატაროს და უფრო მეტ დროს დავკარგავთ.

— კარგი!

კაპიტანი მობრუნდა და ადგილიდანვე გასძახა:

— მოხსენით ორთქლმავალი!

თენდებოდა, როდესაც ეშელონი სადგურში შევიდა. ერთსართულიანი თლილი ქვის სადგურის შენობა ჭრელი დედალივით ჩამჯდარიყო ბაქანთან. შენიღბვის მიზნით სადგური ზოლებად იყო აჭრელებული ფერადი საღებავებით.

ბაქანის გადალმა მოჩანდა ფესვმოვლებული ეზოები და კრამიტით დახურული ოდები. შარაზე რამდენიმე ბლუზა-შარვლიანი მხედარი ცხენებს მოაგელვებდნენ. მთელი ბაქანი სავსე იყო წითელარმიელებით. ისინი ისე მჭიდროდ იდგნენ, რომ მათ შორის ადგილი სრულიად არ იყო. ყველანი ეშელონს უცქეროდნენ.

ღია პლატფორმებიანი შემადგენლობა, რომელიც ივანოვმა გზიდან დააბრუნა, ლიანდაგზე აღარა ჩანდა. ეტყობოდა, დაეცალათ და გაეშვათ.

მაიორი ივანოვი გამოჩნდა თუ არა ბაქანზე, გაისმა გაჭიანურებული, მაგრამ მჭექარე ხმა:

— სმენა!..

ბაქანზე წითელარმიელები უცბად შესწორდნენ და გაირინდენ. აღმოჩნდა, რომ ისინი ოთხ მჭიდრო მწკრივად იყვნენ ჩარაზმულნი.

სამმა წითელარმიელმა, — მათ შორის ერთი სერჟანტი იყო, — ხაზებს შუა გაიარა, ვაგონის ტალანს მიუახლოვდა და შორიახლოს გაჩერდა. სერჟანტმა ხელი აიღო და სხაპასხუპით მოახსენა ივანოვს:

— ამხანაგო მაიორო, თქვენი ბრძანება შესრულებულია. სადგურის რაიონში მყოფი ყველა წითელარმიელი ჩამწკრივებულია. ხუთის გარდა. სამი დაჭრილია და ორი ავადმყოფია. ყველანი სადგურის ქსენონში არიან მოთავსებულნი.

— თავისუფლად! — უბრძანა ივანოვმა.

სერჟანტი ნახევრად შებრუნდა და მჭექარედ გასძახა:

— თავისუფლად!

ივანოვმა სწრაფად ჩაირბინა ვაგონის კიბე. მას შტაბის უფროსი და დანარჩენი მეთაურები მიჰყვნენ.

ბაქანზე ჩამწკრივებული წითელარმიელები მდუმარედ უცქეროდნენ

ახალმოსულებს. განსაკუთრებით აკვირვებდა მათ ამ ახალმოსული ჯარის ჩაცმულობა. ჯიბეებიანი პიჯაკისმაგვარი ქურთუკები და გრძელი, კოჭებთან შებნეული ფანდრუკა შარვლები. ყველაზე უფრო ის აოცებდა წითელარმიელებს, რომ ეს ტანსაცმელი ყველას ახალი ეცვა. თვითონ კი ისე იყვნენ გაჭუჭყიანებულნი და ბლუზა-შარვალიც ისე გახუნებოდათ, რომ შეუძლებელი იყო მათი ფერის გამორკვევა. ზოგიერთებს ტანსაცმელი მთლად შემოფლეთოდა.

მაიორმა ჩაუარა მათ რიგებს, შემდეგ თავისი მეთაურებიდან უფროსი ლეიტენანტი იხმო და მოკლედ უბრძანა:

— წაიყვანეთ ესენი გზატკეცილის გასწვრივ. ერთი კილომეტრით აქედან დაბანაკდით. ერთ საათში დაამთავრეთ მათი ფორმირება. ვისაც რა აკლია, ყველაფერი დაურიგეთ. მე გამოგიგზავნით, რაც საჭიროა, როგორც კი ეშელონს განვტვირთავთ.

ლეიტენანტმა მოწყვეტით აუღო ხელი მაიორს, — არის, ამხანაგო მაიორო! — შემდეგ ცოცხლად შებრუნდა და დაიძახა:

— ამხანაგო ფრონტელებო, ისმინეთ ჩემი კომანდა, — და მცირე პაუზის შემდეგ დუმატა:

— სმენაა!... მარჯვნისა-კენ!

გაისმა ოდნავ გაგრძელებული: რრააჰ! რრააჰ! ჯარი შებრუნდა და გაირინდა.

— მარცხენა მხარი წინ. ნაბიჯით იარ!

ჩექმები აგრიალდნენ. ლეიტენანტი ჩქარი ნაბიჯით წავიდა, თითქმის გაიქცა, რომ გუნდს სათავეში ჩასდგომოდა.

ბაქანი სწრაფად დაიცალა. მაიორი მობრუნდა. დავითს მოჰკრა თვალი. გაულიმა.

— რას იტყვით, ამხანაგო ინსტრუქტორო! თქვენ კი გეშინოდათ, ასეო და ისეო.

— ეჰ, რომ იცოდეთ, რა ამბავი ყოფილა აქ გუშინ, — უპასუხა ღიმილით დავითმა, — დედა შვილს ვერ ცნობდა.

ეშელონი სწრაფად იცლებოდა. მაიორმა დანიშნა დრო, ნახევარ საათში უნდა გადმოეტვირთათ სურსათიც და საჭურველიც. ღია პლატფორმებს გვერდები ჩამოუხსნეს, ფიცრის ბოგირები მიაყუდეს და ავტომანქანები ჩამოაგორეს. ყველაფერი კეთდებოდა უხმოდ, მაგრამ ცოცხლად. მებრძოლების უმრავლესობა ფრონტელები იყვნენ, მთასვლელები. დავითმა მათ შორის ბევრი ნახა ნაცნობი.

ლობეებზე მომდგარი მცხოვრებლები — უმთავრესად ქალები და მოხუცები — ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს ამ უცნაურად ჩაცმულ ახალი ჯარის მოძრაობას. ბავშვები დაურიდებლად დადიოდნენ პერონზე, ლიანდაგებზე და, თუ რომელიმე მებრძოლი ერთ მათგანს რაიმე საქმეს დაავალებდა, ათი გარბოდა ასასრულებლად.

დავითს მოესმა წამოძახილი:

— დია, ჩვენი ჯარი ყოფილა!

მოიხედა. გამხდარი, მაგრამ წელში გამართული მოხუცი იდგა. ჩაბალახი მხარზე გადაეგდო. გრძელი შვინდის ჯოხი შუბივით ეჭირა ხელში.

— აბა, ვინ გეგონა, ბიძია. — უთხრა დავითმა. — გერმანელები ხომ არ გეგონა!

— აჰ! არა, შვილო. მე ვიფიქრე, ინგლისის ჯარი მოვიდა-მეთქი. ჩვენები ყოფილხართ. გიშველათ ღმერთმა.

— გუშინდელს აქეთ ხომ არაფერი მომხდარა ახალი, ბიძია?

— არაფერი, შვილო! ხმა დაირხა, ულელტეხილზე გადმოვიდნენ გერმანელებიო. რამდენად მართალია, არ ვიცი. გუშინ კიდევ აეროპლანი დაფრინავდა. მე არ დამინახავს, ხმა ისმოდა. ასე მოგახსენებენ, თავისი ხალხი გადმოუსხავს. რა ჰქვია, ბოშო, იმას — პარაშუკიო, თუ რაცხა, იმითი. დასდევენ ჩვენი ბიუები, მაგრამ ჯერ ვერ ნახეს

ვერც ერთი. ის პარაშუკები ნახეს. ოცი ცალი ქალის კაბა გამოვა თითოში. — მოხუცი უცბად შედგა, რადგან დავითმა ლიანდაგისაკენ გაიხედა.

შორიდან ორთქლმავლის სტვენა მოისმა.

— ეს რა იარაღია, შენი ჭირიმე, — ჰკითხა მოხუცმა დავითს და ავტომატზე მიუთითა.

— ავტომატია, ბიძია.

— აჰა, — დიდი გაკვირვებით აღმოხდა მოხუცს, — კარგი რაცხაა, კტყობა. ინგლისმა თუ გამოგვიგზავნა. იმათი ხელობა იქნება.

— ჩვენებურია, ბიძია. ჩვენს ქარხნებშია გაკეთებული.

— რას მეუბნები! ხომ კარგია, ხომ ვარგა.

— რომ არ ვარგოდეს, ხელში დავიჭერ?

მოხუცს რამდენიმე სხვა ცნობისმოყვარე მიემატა: ხელში ძუძუმწოვარა ბავშვიანი ქალი, ფარნიანი მეისრე და ორი ხანში შესული კოლმეურნე. ერთს ხურჯინი გადაეკიდა მხარზე. ყველა სასმენად მოემზადა, მაგრამ დავითმა უცბად მიატოვა ისინი. უკვე ავტომანქანებში სხდებოდნენ.

სამ-სამმა საბჭოთა გამანადგურებელმა თვითმფრინავმა გამაყრუებელი ზუზუნით რიგრიგობით გადაუარა სადგურს. ისინი დაბლა მიფრინავდნენ, რადგან ღრუბლებიც დაბლა იყო ჩამოწოლილი.

შვიდ საათს ოთხი წუთი აკლდა, როდესაც პირველი ავტომანქანა აგრიალდა, მძიმედ მოუხვია და გზატკეცილზე გაიჭრა, მას მაშინვე მიჰყვა მეორე, შემდეგ მესამე და მალე მთელი კოლონა მიჰქროდა ლარივით გაჭიმულ შარაზე. მანქანებში მწკრივებად ისხდნენ მებრძოლები.

დავითი საშტაბო მანქანაში იჯდა შოფერის გვერდით. ლინკოლნის ფირმის ოდესღაც ძალზე ძვირფასი ეს ავტომანქანა ახლა საკმაოდ მოძველებულიყო. მას ყველაფერი გაცვეთილი ჰქონდა, ტყავგადაკრული ტბილი საჯდომებიც, გარეთა ხოკერიც და ბორბლებიც, მაგრამ როდესაც შოფერმა მოტორი აამუშავა, იგი ფრინველივით მსუბუქად გაფრინდა შარაზე და ელვის სისწრაფით ჩამოიტოვა უკან სამტონიანი მანქანების კოლონა.

მინდორზე გამოჩნდა ფრონტელ წითელარმიელთა გუნდები. ეტყობოდა, მეთაურებს მათი ათეულებად და ოცეულებად დაყოფა დაემთავრებინათ. ახლა ყველანი მისეოდნენ რამდენიმე ავტომანქანას, საიდანაც მათ სურსათს და საჭურველს ურიგებდნენ.

მაიორმა თავის შოფერს უბრძანა, მანქანა გაეჩერებინა და უფროსი ლეიტენანტი იხმო.

— ყველაფერი მზადაა, — მოახსენა უფროსმა ლეიტენანტმა მაიორს, — ერთი საათის შემდეგ საბოლოოდ შევამოწმებ ყოველივეს და შეგვიძლია დავიძრათ.

— მე მანქანებს გამოგიგზავნით. — უთხრა მაიორმა, — მანამდე თუ მეორე ეშელონმა მანქანები ჩამოიტანოს, ისით გამოგზავნე, თუ არა და ამ მანქანებს დაუცადეთ. როგორ განწყობილებაზე არიან?

— არა უშავს-რა. თანდათანობით გონს მოდიან. ჩვენმა დანახვამ გაამხნევა ყველა. ახლა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეკითხებიან, წასვლის საქმე როგორაა, მალე წავალთ თუ არაო.

— აგრე! — უთხრა მაიორმა, — იმოქმედეთ, — შემდეგ შოფერს მიუბრუნდა: — წავედით.

შოფერმა ჩაურთო საწვავი და აძიგძიგებული მანქანა მსუბუქად გასრიალდა გზაზე.

ყველანი ჩუმად გასცქეროდნენ არემარეს. მანქანის სწრაფი სვლით გამოწვეული ქარი სახეში სცემდა მათ. დავითი ხანდახან მობრუნდებოდა და მაიორს უხსნიდა:

— აი იმ მწვერვალს ჭითაგველა ჰქვია. შორს რომ ჩანს, ის ხვამლია, იქით ხედავთ თოვლიან მწვერვალს? ის თეთნულდია.

დავითს ბავშვივით უხაროდა ნაცნობი ადგილების დანახვა, და თითქოს მაიორი მისი სტუმარი ყოფილიყოს, ალტაცებით უთითებდა მთებზე, გორაკებზე, ძველი ციხე-კოშკების ნანგრევებზე.

დაბლობი მალე დამთავრდა, დაიწყო გორაკები, თოვლიანი მთები სადღაც ჩაიძირენ. გზა ახლა მიხვეულ-მოხვეული იყო და გორაკების ფერდობებს მიუყვებოდა. აქა-იქ მოჩანდა ხეებში ჩამალული კრამიტიანი ოდები. ხანდახან რომელიმე ეზოდან გამოვარდნილი ნაგაზი ერთის ყეფითა და ღრენით მოსდევდა მანქანას და ცდილობდა, უკანა ბორბალზე მაინც ეკბინა, რომ პატრონის წინაშე თავი მოეწონებინა. ბოგირთან ბექობზე გადმომდგარიყვნენ პატარა ბავშვები და ხელის დაქნევით ესალმებოდნენ მანქანებს. ერთ პატარა ბიჭუნას მოკლე პერანგი ძლივს სწვდებოდა, ქვემოთ მთლად შიშველი იყო.

მაიორმა სიამოვნებით გაიღიმა, მანქანა გააჩერებინა და ბავშვებს ხელი დაუქნია.

— მოდი აქ! დაუძახა პატარას ივანოვმა.

— მოდი, ბიჭიკო, მოდი, — მიეშველა დავითი, — მოდი აქ!

ბავშვები ადგილიდან არ იძროდნენ. ორი გოგო სადღაც გაიქცა. ბიჭუნა კი ერთხანს დაბღვერილი უცქეროდა ძიებს, მერე დალმართი თამამად ჩამოირბინა და მანქანის შორიახლოს გაჩერდა. მაიორმა გახსნა თავისი საველე ჩანთა, იქედან ერთი მოზრდილი ფილა შოკოლადი ამოიღო და ბავშვს გაუწოდა.

— ჰა, აიღე!

— მოკიდე, ბიჭო, ხელი. ნახე, რა კარგია! — უთხრა დავითმა ბიჭუნას, რომელიც კიდევ ვერ ბედავდა მანქანასთან ახლოს მისვლას, მაგრამ, როდესაც მაიორმა ფილა ხელში შეატრიალა, ბიჭუნამ დაინახა ოქროსფერ ქაღალდზე ლამაზი სურათი, მაშინ კი გაბედა მიახლოება და გაწოდებული შოკოლადი ორივე ხელით ჩაბღუჯა. დახედა, გადააბრუნა, ისევ დახედა, მერე უცბად მობრუნდა და თითქოს საშველად ვიღაცას უხმობდა, იყვირა:

— ნინიკოოო... მოდი, ნახე ლა ალი, — და ალტაცებულმა მოჰკურცხლა ეზოსაკენ. მანქანაში მსხდომებმა გულიანად გადაიხარხარეს და ისეთ კარგ გუნებაზე დადგნენ, თითქოს თვითონ მიეღოთ დიდი საჩუქარი.

— გამომადგა თქვენი ალპური ულუფა, — უთხრა მაიორმა დავითს.

მანქანა ისევ გაუდგა გზას. მალე კირქვების ზოლში შევიდნენ. ხეობა დავიწროვდა. მაღალი ფრიალო კლდეები ღრუბლებამდე აზიდულიყვნენ. თეთრ კლდეებში აქა-იქ ბნელი თვალივით მოჩანდა გამოქვაბული. ჩქერულას ხმაური მანქანის გრიალში არ ისმოდა. ალაგ-ალაგ საოცრად ლურჯი მორევები ტრიალებდა. მდინარის ნაპირებზე თხმელები აყრილიყვნენ, გზის გასწვრივ ხსლტეებზე გადმოკიდულიყვნენ მაყვლისა და თხილის ბუჩქები. აქა-იქ გზებზე კაკლის ხეებს გადმოეკიდათ თავიანთი გაფრცქვნილი ტოტები. გზაზე მიმავლებს დაეჩნიათ ამ ხეებისათვის ქვებისა და ხელკეტების კვალი.

კლდეებზე თვალს იტაცებდა ღვედებივით დაკიდული ჩანჩქერები. ზოგან, გზის პირად ხის ქერქისაგან გაკეთებული ღარები დაემაგრებინათ და ეს პატარა ჩანჩქერები წყაროებივით გადმორბოდნენ.

დავითს აოცებდა, რომ გზაზე მათ არავინ არ შეხვედრიათ, არც მგზავრი არც მებრძოლი, და ამან, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა. მართალია, სადგუ-

რიდან ქვაბნარაში ტელეფონით დარეკეს და გაიგეს, რომ იქ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ეჭვი მაინც შეეპარა, ვაითუ იქ მტერი დაგვიხვდეს და თხებივით ჩავუცვივდეთ ხელშიო. იღბლად მალე მგზავრს მოჰკრა თვალი. წელში მოხრილ მოხუც კოლმეურნეს თავზე სვანური ქუდი ჩამოეფხატა და არხეინად მოაბიჯებდა შარაზე. დავითმა მაშინვე გააჩერებინა მანქანა და გლეხს გამოელაპარაკა:

— გამარჯობა, ბიძია, შენი.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ბიძია, — მოიხადა ქუდი მოხუცმა და დავითს შეაცქერდა.

— რა ამბებია მანდეთ? ქვაბნარადან მოდიხარ?

— იქიდან მოვდივარ ახლა! გერმანელები ჭარებში ჩამოსულან და მაღაროები დაუჭერიათ, ასე აქეთ, ბატონო, — ხელი გაიშვირა ჩრდილოეთისაკენ მოხუცმა, — მადნებია, თუ გაგეგონებათ. იქ მოსულან, მაგრამ გზა ჩაუკეტეს ჩვენებმა, აქით ვერ გამოდიან.

— ბრძოლა იყო?

— როგორ არა! ნამეტანი! რაიკომის მდივანი დაჭრილია. თავში მოხვედრია ტყვია. მაგრამ მსუბუქად. დადის თავშეხვეული.

— უღელტეხილზე რა ამბავია?

— იქით არაფერი. იქ, ამბობენ, ჩვენი ჯარი დგასო.

— ჭარებიდან ხალხი გამოვიდა, თუ იცი, თუ იმათ ხელში მოყვნენ. არაფერი იცი?

— ვინა, ბატონო, მუშები? ისინი ყველანი იქ მოყოლილან. ერთი კაცი გამოქცეულა მარტო და იმას ჩამოეტანა ამბავი, თორემ ქვაბნარასაც აიღებდნენ. ახლა როგორ იქნება საქმე. არ ვიცი. ამბობენ, რომ იმათ ჯარი ემატებაო. მერე, რაღაცა მალმებიაო, თუ რა ჰქვია, არ ვიცი, ის მოუტანიათ და იმისთანა ბაგაბაუგია იმ ფხეკებში, რომ იქცევა ქვეყანაო, გეგონებოდა. ბოლოს რომ სულზე მოუსწრებია.

— ვალიკო ქვაბნარაშია?

— კი, ბატონო, იქ დავტოვე. დესანტი გადმოუსხამთ გერმანელებს და იმათ დასაჭერად გზავნიდა ხალხს.

— წავედით, — უთხრა დავითმა შოფერს.

მანქანა მოწყვეტით დაიძრა ადგილიდან, მოხუცი გზიდან თხრილზე გადავიდა და წასულებს თვალი გააყოლა. მერე გაკვირვებით მოიხედა უკან, რადგან მოსახვევიდან გამოჩნდა მებრძოლებით ლატვირთული ავტომანქანები. ისინი ორმოცდაათი მეტრის დაშორებით მოსდევდნენ ერთმანეთს.

მოხუცი საათითაოდ აყოლებდა თვალს მანქანებს და მოთმინებით ელოდებოდა უკანასკნელის ჩავლას, რომ გზა განეგრძო. მანქანებს კი ბოლო არ უჩანდა, ისინი მძლავრი გუგუნით ვანუწყვეტლად მოჰქროდნენ შარაზე.

როდესაც ქვაბნარაში შევიდნენ, დავითი ორმა რამემ გააოცა. ჯერ-ერთი, აუარება ხალხი დაინახა, ეტყობოდა, მცხოვრებლები დაბრუნებულიყვნენ, და, მეორე, ის, რომ საოცარი ალიაქოთი იდგა. ყველანი თავქუდმოგლეჯილი დარბოდნენ, ერთმანეთს გასძახოდნენ, სახლებში შერბოდნენ, ბარგს კრავდნენ და ამ ყვირილში კაცი ვერ გაგებდა, რა ხდებოდა.

მანქანა რაიკომის შენობის წინ გაჩერდა. დავითმა ვერ მოასწრო თავის თანამგზავრებთან ერთად მანქანიდან გადმოსვლა, რომ ამ დროს კიბეები თავშეხვეულმა რაიკომის მდივანმა ჩამოირბინა და დაფეთებულივით იკითხა:

— მოხვედით?

— მოვედით, — უპასუხა ღიმილით დავითმა.

— დათიკო! — წამოიძახა აღტაცებულმა ვალიკომ, — შენ ხარ? ველარ გიცანი.

გადაეხვია და გადაკოცნა.

— ჭარებთან ჩაკეტილი მქონდა გზა. გერმანელებს გამოურღვევიათ ჩვენი ჯებირი და ახლა ქვაბნარზე მოდიან. ვერ ხედავ, რა დღეში ვარ? გადამერია ზალხი. — მერე უცბად მოაგონდა, რომ მეთაურებს არ მისალმებია და ივანოვს ხელი გაუწოდა. — გამარჯობათ, ამხანაგო მაიორო!

ქვაბნარას ქუჩაზე გრიალით შემოიჭრა სამტონიანი მანქანა. ბოლომდე ჩაარა და დადგა. თითქმის ერთ წუთში ერთმანეთს მას მოჰყვა მეორე, შემდეგ მესამე, მეოთხე და, სანამ აქამდე დაფეთებული მკვეხურებლები გონს მოვიდოდნენ, მთელი ქუჩა გაიჭედა მანქანებით.

სამთო ბატალიონის მებრძოლები პანტაპუნტით ხტებოდნენ მანქანებიდან.

თავი მეთხუთმეტე

დავითის კოლონამ განზე გაუხვია და ფერდობზე ნასროლი თოკივით ჩამოგრეხილ ბილიკს აჰყვა. ზურგჩანთებით, თხილამურებით და იარაღით დატვირთული მებრძოლები მძიმედ მიაბიჯებდნენ. ყოველ მათგანს ავტომატი მკერდზე ეკიდა. ათიოდე მებრძოლი სნაიპერული ჭოგრიტიანი შაშხანებით იყო შეიარაღებული. დავითი პირველად გუნდს ჩამორჩა, განკარგულებებს იძლეოდა, შემდეგ სწრაფად დაწინაურდა, მებრძოლებს გვერდი ჩაუარა და თავისი მძიმე ტვირთის მიუხედავად, ისე მსუბუქად აიარა ალმართი, თითქოს ზურგზე სამფუთიანი ზურგჩანთის ნაცვლად ფრთები ჰქონოდეს. ჩადგა თუ არა კოლონის თავში, მაშინვე მოკლე და მძიმე ნაბიჯით გაუდგა გზას. უკან მრმავალმა ლეიტენანტმა გაკვირვებით ჰკითხა:

— რა მოხდა, ამხანაგო ინსტრუქტორო? ასე უნდა ვიაროთ?

— კიდევ უფრო ნელა, — უკან მოუხედავად უპასუხა დავითმა.

— ეს კი მეტისმეტია, — შეედავა ლეიტენანტი, — ასე ჩვენ მთელი თვე ვერ მივალთ.

— ეცადეთ, ნახევარი საათის შემდეგ არ ჩამომრჩეთ.

გზა ტყეზე მიდიოდა. რაც უფრო მაღლა მოიწევდნენ, ალმართი მატულობდა.

სადღაც შორიდან ისმოდა ყრუ ქუხილი, თითქოს ქვებს აგორებდნენ. ხეობაში ბრძოლა მიმდინარეობდა და იქიდან მოდიოდა ეს ხმაური. ამ ბრძოლას მაიორი ივანოვი ხელმძღვანელობდა. მან ორი ასეული თვითონ წაიყვანა მტრის შესაჩერებლად, ხოლო დავითს დაავალა, მესამე ასეული ქედზე აეყვანა, დანგითაუს ყინვარზე გადასულიყო და მტრისათვის უკან დასახვევი გზა მოეჭრა.

თეორიულად ეს თითქმის შეუძლებელი ამოცანა იყო, რადგან დანგითაუს ყინვარზე გადასვლა თავის დროზე მხოლოდ ორმა ცნობილმა მთასვლელმა შეიძლო, ისიც ორივე კინაღამ შეეწირა ამ თამამ განზრახვას, ახლა კი დავითს ამ ყინვარზე მთელი რაზმი უნდა გადაეყვანა. მათ შორის, მართალია, უმრავლესობა მთასვლელები და მეთხილამურეები იყვნენ, მაგრამ მათი გამოცდილება არც იმდენად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ასეთი მძიმე დაბრკოლება იოლად გადაელახათ და მტრის მიერ დაპყრობილი, აქამდე უცნობი ულელტეხილი, ისიც დანიშნულ ვადისათვის, აეღოთ. მაიორმა ჰკითხა დავითს, როდისთვის შეიძლებ ამ სტრატეგიული პუნქტის დაჭერასო. დავითმა გადახედა რუკას, გაზომა, გამოზომა და უპასუხა, ხვალ საღამოსათვის ეს პუნქტი ჩემს ხელში იქნებაო. „საათი და წუთი“, ჰკითხა მაიორმა. „ექვსი ნოლი, ნოლი“, უპასუხა დავითმა. მაიორმა ჩაიწერა და უთხრა: „ველი

თქვენგან სასიგნალო რაკეტებს სრულ ექვსსა და ნოლ ნოლზე".

პირველად დავითი ფიქრობდა, რომ უშუალოდ ხეობაში წარმოებულ ოპერაციაში მოუხდებოდა მონაწილეობის მიღება. სურდა თავისი მაღაროების მიდამოების განთავისუფლებაში პირველი ყოფილიყო. როგორც შემდეგ გაიგო დაწვრილებით, მას, როგორც იტყვიან, ერთი ფეხით გამოესწრო. გათენებისას მაღაროები მოულოდნელად დაეჭირა მტრის მოწინავე რაზმს. ეს ამბავი ნიქოზელ ვანოს ჩამოეტანა. ის გამოპაროდა გერმანელებს, მთელი დღე თავქუდმოგლეჯილი ევლო, სწორედ სულზე ჩამოესწრო. ქვაბნარაში უკვე შედიოდა კოლმეურნეთა მოხალისე რაზმი, ეს რაზმი მაშინვე წასულიყო მტრის შესახვედრად, ვანოც მათ გაჰყოლოდა და ყველანი ფიქლიან ვიწროებში გამაგრებულიყვნენ.

იმ ღამეს მშვიდად ჩაევლო. მეორე დღეს გერმანელებს ნაღმსატყორცნები მოეტანათ და მთელი დღე უბაგუნებდნენ სიპებში ჩასაფრებულ კოლმეურნეებს. მოხუცები არ შედრკნენ, შეწყდებოდა თუ არა ნაღმების ხათქახუთქი და წამოვიდოდნენ გერმანელები, ავტომატების რახრახით, დაიჭექებდნენ ქვებზე გაწოლილი ძველი მონადირეების შაშხანები და გერმანელები იძულებული იყვნენ უკან გაბრუნებულიყვნენ, თუმცა უკან გაბრუნებას ბევრი ვეღარ ახერხებდა.

ასე გაატარეს მეორე ღამე. გათენებისას გერმანელებმა ახალ ხერხს მიმართეს: მათ ისევ ასტეხეს ნაღმების გამაყრუებელი სროლა და კოლმეურნეებზე იერიში მიიტანეს.

კოლმეურნეებმა ჩვეულებრივად უპასუხეს, მაგრამ ამ დროს ფლანგებზე ასულმა გერმანელმა სნაიპერებმა ამოიღეს ნიშანში ჩასაფრებული პარტიზანი მებრძოლები და რიგრიგობით ოცდაათამდე კაცი გამოიყვანეს მწყობრიდან.

ამან თავზარი დასცა კოლმეურნეებს, მათ მოკლულთა და დაჭრილთა გამოყვანაც კი ვერ მოასწრეს, ისე სწრაფად დაიხიეს უკან. ვალიკოც მაშინ მათთან არ იყო. კოლმეურნეებმა სცადეს, ახალი თავდაცვის ხაზი მოეწყოთ. მაგრამ ვერ მოახერხეს, მოწინააღმდეგეს მოსწყვეტოდნენ. გერმანელები ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ.

ასეთი ამბები დაუხვდა დავითს ქვაბნარაში, როდესაც მათი ალპური ბატალიონის კოლონა ჩამწკრივდა ქუჩაზე.

გადაწყვეტილება სწრაფად იქნა მიღებული, ორი ასეული მაშინვე დაეწყო სალაშქრო კოლონებად და დაიძრა კოლმეურნეთა მისაშველებლად. დავითის ასეულმა კი ცოტა შეაგვიანა. მათ მეტად პასუხსაგები ამოცანა დაეკისრათ, და საჭირო იყო როგორც საჭურველის, ისე სურსათის მარაგის ხელახლა გადალაგება და ზედმეტი ბარგისაგან განთავისუფლება. რასაკვირველია, საოცრად გაუადვილებდა ასეულს ამ ლაშქრობას ის, რომ მათ ყველაზე სახელდახელო სატრანსპორტო საშუალება — ვირები ჰყოლოდათ. მაშინ ყოველ მებრძოლს შეეძლო გაცილებით უფრო სწრაფად დაეძლია გასავლელი გზის პირველი, ყველაზე ძნელი ეტაპი. რაზმს ოცდაორი კილომეტრი სულ ალმართები უნდა ევლო, სანამ იალაღებს მიადგებოდა. გეგმით გათვალისწინებული მობილიზაცია ჯორებისა და ვირებისა დამთავრებული იყო, მაგრამ მათი თავის დროზე გადასროლა დანიშნულების ადგილებზე რატომღაც გაჭიანურდა, ან კიდევ მათი უმეტესობა გაგზავნილი იყო ტუაფსე-ნოვოროსიისკისაკენ, სადაც, შეიძლება, ამ სახის ტრანსპორტი სულაც არ იყო საჭირო. დავითს ისღა დარჩენოდა, შერიგებოდა ამ მდგომარეობას. მართალია, ქვაბნარაში იმ წუთში შეიძლებოდა ოცდაათიოდე ცხენის მოგროვება, მაგრამ მათი გამოყენება ქედზე მიმავალ ციცაბო ბილიკებზე შეუძლებელი იყო. იქ ცხენები ვერ გაივლიდნენ.

სურსათის მარაგი, ისიც კონცენტრატების სახით (უმთავრესად შოკოლადი, შაქარი და ნამცხვრები), ერთი კვირის იგულეს. კონსერვები სრულიად დატოვეს, მაგრამ ბარგი მაინც სულ მცირეოდნად შეუმსუბუქდათ. ალპური თოკები, თხილამურები, თეთრი ნილაბ-ხალათები, დანიური ტიპის კარვები, საბრძოლო საჭურველი და მრავალი ამგვარი სრულიად აუცილებელი ნივთი თანაბრად იქნა განაწილებული ალპურ ზურგჩანთებში და ყოველი მათგანი ისე მძიმე იყო, რომ მართლაც მაგარ ზურგს საჭიროებდა.

მთაში სიარულის დროს თუ ასეთი ზურგჩანთა მხრებზე გკიდია, პირველი საათის შემდეგ იწყება გადამწყვეტი კრიზისი, ზურგჩანთა საოცრად მძიმდება, მთელი ტანი გიხურს, შუბლზე ცივი ოფლი გასხამს; მუხლები გეკვეთება და მზად ხარ, დაუფიქრებლად ეს წამების ჩანთა მოიხსნა და უფსკრულში დააგორო. მაგრამ, თუ ეს პირველი გაჭირვება დასძლიე, შემდეგ იწყება თითქოს მიძინებული ძალ-ღონის გაღვიძება. სხეული ნელ-ნელა ეჩვევა ტვირთს და უკვე საღამომდისაც რომ იარო, თითქოს იგი აღარც კი გეკიდოს. დავითმა იცოდა მთაში ზურგჩანთით სიარულის დროს ადამიანის ძალ-ღონის ეს თავისებურება და ამიტომ, ჩაუდგა თუ არა გუნდს სათავეში, კარგა ხნის განმავლობაში შეუსვენებლად მიდიოდა, ამავე დროს, ნაბიჯი არც აუჩქარებია, არც შეუნელებია და მხოლოდ სამი საათის შემდეგ შეისვენა ზუსტად ათი წუთი და ისევ გაუძღვა მებრძოლებს წინ.

ღრუბლები ქვევით იყო, სადღაც შორს წასული და დაბლობებში ჩაწოლილი. მთები და მათი ყინულოვანი მწვერვალები დინჯად აზიდულიყვნენ მაღლა. იალაღებამდე ჯერ კიდევ შორი გზა იყო. ბილიკი სულ ტყეზე მიუყვებოდა და, როდესაც ჩვენი მებრძოლები ქედზე ავიდნენ, აქ ეს ბილიკი სულ დაიკარგა. ქედის ზურგი დაფარული იყო სქელი ნეშოთი. ყველანი ჩუმად მიაბიჯებდნენ. გარშემო ჩუმიც კი არ ისმოდა, ოღნავი შრიალის გარდა. თითქოს ყველანი ბურბუშელაში მიაბიჯებდნენ, ისე შრიალებდა ნეშო ფეხებში. შორიდან ხანგამოშვებით ისმოდა ყრუ ქუხილი. ალაგ-ალაგ ტყეში ამართულიყვნენ გარეული ჯიშის პანტა, მაჟალო და წაბლის ხე. მწიფე პანტა უხვად ეყარა ხეების ძირში. ზოგან დაჟღალული წაბლების ბუძგიდან ცვიოდა წაბლი და ისმოდა მათი მძიმე ხათქახუთქი ნეშოზე. ერთ ადგილს მთელი კილომეტრის სიგრძეზე ტყე სავსე იყო ქამასოკოთი. ხანდახან მებრძოლებს გზას უღობავდა წაქცეული უზარმაზარი ხეები, რომლებზედაც გადაბიჯება შეუძლებელი იყო, მათ უნდა შემოევლოთ და გამძვრალიყვნენ გამხმარსა და გადახლართულ ტოტებში.

მზე უკვე დასავლეთისაკენ იხრებოდა, როდესაც ჰაერში მოისმა გამაყრუებელი ზუზუნი. თითქმის ყველამ ერთად აიხედა მაღლა. დავითმა და ლეიტენანტმა ბინოკლები მოიმარჯვეს.

— ჩვენებია, — წამოიძახა ლეიტენანტმა, — გამანადგურებელი ბომბდამშენები.

დავითი მაშინვე მიხვდა რომ თვით მფრინავები მის მაღაროებს დასტრიალებდნენ. ისინი დაბლა ფრინავდნენ ქორებივით და მთების ფერდობების გასწვრივ ათასნაირ ირაოს აკეთებდნენ.

ცოტა მოგვიანებით მებრძოლებამდე მოაღწია დაგუდულმა ყრუ ქუხილმა.

— დაუხათქუნეს, — აღტაცებით თქვა ლეიტენანტმა.

— წავიდეთ, — უთხრა დავითმა ლეიტენანტს, და ისე აუჩქარა ფეხს, რომ ლეიტენანტმა მაშინვე მიაძახა:

— ეჰე! ამხანაგო ინსტრუქტორო, უდროოდ აჩქარდით.

—ჰო! მართალია, — შედგა დავითი, მერე გადახედა მებრძოლთა მწკრივს და დაიძახა: — გუჯა, მოდი აქ!

გუჯა გამოცდილი მთასვლელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა ის ჩაუყენა თავში რაზმს და უთხრა, ჩვეულებრივად ევლო. თვითონ კი სამი მებრძოლი აირჩია, სამივე მასავით გამოცდილი მთასვლელი, და წინ წავიდა, რადგან ახლა უკვე საჭირო იყო ქედის წინასწარი დაზვერვა. მალე იალაღებზე უნდა გასულიყვნენ.

სამასიოდე ნაბიჯითაც არ იქნებოდა დაწინაურებული, რომ ქედის გადაღმა ფერდობზე რაღაც საეჭვო ფაჩუნი მოესმა. მერე უცბად ვიღაცამ გაიშლიგინა ნეშოზე და ხეებში მიიმალა.

— შესდექ! — გასძახა დავითმა და ავტომატმომარჯვებული დაედევნა გაქცეულს.

თითქმის იმ წამშივე გაიგონა ძახილი:

— ტანია, ესენი ჩვენები არიან!

ხეს ამოფარებულმა თავი გამოჰყო და მერე თამამად წამოდგა წინ. ეს იყო ტანმორჩილი ქალი, რომელიც ჯერ კიდევ გაუბედავად მოაბიჯებდა დავითისაკენ.

— მოდი, ნუ გეშინია, ვინა ხარ?

ქალი მიუახლოვდა და დავითმა მაშინვე იცნო ლიდა.

— შენ რა გინდა აქ? — ჰკითხა მან ქალს.

ლიდა დააკვირდა ალპურ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ დავითს, იცნო და პატარა ბავშვივით აღტაცებულმა დაიკივლა:

— დავით გეორგიევიჩ! ეს თქვენა ხართ?

გაექანა, მივარდა, მოეხვია ჯერ ერთ ლოყაზე აკოცა, მერე მეორეზე.

— დავით გეორგიევიჩ, ძვირფასო, ნუთუ ეს თქვენ ხართ, დავით გეორგიევიჩ, ოჰ, ღმერთო, ტანია, — გასძახა ისევ ტყისაკენ. — მოდი აქ... თქვენ როგორ, ზეციდან? პარაშუტით?

მოვიდა ტანიაც, ისიც ასეთივე აღტაცებით შეეგება დავითს და ორივენი ისე აკისკისდნენ, რომ დავითს შეეშინდა, არ გაგიჟდნენო.

— თქვენ საიდან მოხვდით აქ? — ჰკითხა დავითმა.

— დავიმალეთ. გერმანელებს გავეპარეთ, — უპასუხა ორივემ.

— მარტო თქვენ? დანარჩენები სად არიან?

— ისინიც გაიპარნენ, მაგრამ არ ვიცით, სად არიან. ჩვენ ორნი ერთად მოვდიოდით, — თქვა ლიდამ, — ტყეში გზა აგვერია და ვერ მოვიმხარით, სად უნდა წავსულიყავით.

— ნადია?

— ნადია პელაგიასთან ერთად წავიდა. ჩვენ სხვადასხვა მხარეს გავიქეცით. ზოგი აქეთ, ზოგი იქით. ისე შეგვეშინდა, ისე... ღამე ტყეში გავათენეთ, დაძინება ვერ გავბედეთ, დათვების გვეშინოდა, მაგრამ ისინი გერმანელებზე უფრო ნაკლებად საშიშნი აღმოჩნდნენ. ერთი შეგვეფეთა, ავკივლდით და ისე გაიქცა, რომ თვალი ძლივს მოვკარით.

— ბევრნი იყვნენ?

— ვინა?

— გერმანელები.

— არ ვიცი. ჩვენ ყველა ხომ არ გვინახავს. იყვნენ. ავტომატებით.

— ისროდნენ?

— არა, ისინი მოულოდნელად მოვიდნენ, დილით. ჯერ სამი კაცი მოვიდა, მერე ხუთი, მერე თხუთმეტი, შემდეგ კი ძალიან ბევრი. ექიმი დააპატიმრეს, მამაკაცებს უბრძანეს, ყველანი აღრიცხვაზე გამოცხადდითო. ჩვენ აღარ დავუწყეთ ლოდინი, როდის დადგებოდა ჩვენი ჯერი, და მივეცით ტყეს თავი. იქ ხომ იცით, როგორი ხშირი ტყეა და ჩვენ, რასაკვირველია, კიდევაც რომ ვეძებნეთ, ვერ გვნახავდნენ.

— მშივრები ხართ?

— არა, აქ იმდენი წაბლი და ხილია, რომ შიმშილი სულ არ გვიგრძვნია.

— აქეთ გერმანელებს არ შეხვედრიხართ?

— არა, — თავი გაიქნია ლიდამ.

— აი რა, დაუყევით ამ ქედს, ქვაბნარაში ჩახვალთ. იქ ღამეს გაათევთ.

ხვალ ან ზეგ მაღაროებში დაბრუნდით.

— როგორ, ხვალ? — გაოცდნენ ორივენი.

— დღეს ან ხვალ ჩვენები უკვე მაღაროებს აიღებენ.

— მართლა?!

— დავით გეორგიევიჩ, თქვენ სად?

— ჰკითხა ლიდამ.

— ეს თქვენი საქმე არ არის. არც არავისთან დაგცდეთ, რომ რაიმე მოხდეს, ან რამდენი ვართ ან სად მივდივართ.

— ეგ ჩვენ ვიცით, რას გვასწავლით, — შეურაცხყოფილივით თქვა ტანიამ.

— გასწით ახლა... სულ ქედზე იარეთ და გზა არ დაგებნევათ.

— გზა მშვიდობისა, დავით გეორგიევიჩ, — უთხრა ლიდამ.

— მალე დაბრუნდით, — რაღაც მორცხვად ჩაილაპარაკა ტანიამ.

დავითმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ტანია, თითქოს რაღაცას მალავდა. კაბაზე ჰქონდა ხელი წავლებული. კაბა გახეოდა ტყეში.

ქალები დაუყვნენ ქვემოთ. ტანია ეხერხულად მიაბიჯებდა. ხელში მოხვეული კაბა ფართო ნაბიჯების გადადგმის საშუალებას არ აძლევდა.

ბინდდებოდა, როდესაც რაზმი იალაღებზე ავიდა. დავითი ლეიტენანტს ეთათბირა და ორთავემ გადასწყვიტეს, აქ შუაღამემდე შეესვენათ, როგორმე წაძინებაც მოესწროთ, ნაშუაღამევს კი გზას გასდგომოდნენ. ორივენი ვარაუდობდნენ, რომ გათენების ხანს მიადგებოდნენ დანგითაუს ყინვარს და ადვილად შესძლებდნენ დილის რიჟრაჟზე ამ გაუვალი და ნაპრალებიან ყინულის კედლის ტრავერსს. ათი საათისათვის რაზმი უკვე ფირნის ველზე იქნებოდა, იქ თხილამურებს დაიკრავდნენ ფეხზე და ერთი საათიც კი არ დასჭირდებოდათ მწვერვალ შხიუნას კედელს მისდგომოდნენ. ამ კედლის გადალახვა კი სწორედ იმ დროისათვის უნდა მოესწროთ, რაც მაიორის უბის წიგნაკში იყო აღნიშნული, საღამოს სრული ექვსი საათისათვის. დავითი სამი საათით უფრო ადრე ვარაუდობდა მთელი — ამ ოპერაციის ჩატარებას. მაგრამ დანარჩენი დრო მოსალოდნელი ბრძოლისათვის ჰქონდა ნავარაუდევი. სიპებში ჩამსხდარი გერმანელების დამარცხება არც აგრე ადვილი უნდა ყოფილიყო.

ლეიტენანტმა განკარგულება გასცა, შეესვენებიათ და შენაყრებულიყვნენ.

მებრძოლებმა მაშინვე მოიხსნეს ზურგჩანთები, პატარა ჯგუფებად დასხდნენ და პურის ჭამას შეუდგნენ. ახლა აღმოჩნდა, რომ ჩუმჩუმად ზოგს რა წამოეღო და ზოგს რა. თითქმის ყოველ მათგანს ჰქონდა კონიაკი და უმრავლესობამ მაშინვე მოხსნეს თავიანთ ალიუმინის მათარებს სახურავი.

საოცარი დუმილი სუფევდა. მთელი დღის სიარულით და ამოდენა ტვირთის ზიდვით დაღლილ მებრძოლებს ლაპარაკის თავიც კი არ ჰქონდათ. თითო ყლუპმა კონიაკმა კი სწრაფად მოჰგვარა ძილი ყველას და ნახევარი საათის შემდეგ, გუშაგების გარდა, ყველას ეძინა.

ლეიტენანტი კიდევ დიდხანს იჯდა და საუბრობდა დავითთან ხვალინდელ დღის შესახებ, ბოლოს მასაც დარია ხელი ძილმა. დავითიც გაიშხლართა საგანგებოდ გაშლილ კარავზე და ვარსკვლავებით მჭიდროდ მოჭედილ ზეცას შეაცქერდა.

ასე თვალგახელილი იწვა და შესცქეროდა ზეცას. არაფერზე არ ფიქრობდა. მუხლებში ოდნავ ტეხას გრძნობდა, ხანგამოშვებით მძიმედ ამთქნარებდა და იზმორებოდა. რამდენიმე ღამის უძინარს ეძინებოდა და ვერ იძინებდა.

შორეული მთების გიგანტური სილუეტები უცნაურად შემოგრაგნოდა ჰორიზონტს. ბალახებში ჩამალული ჭრიჭინა გულმოდგინედ ჭრიჭინებდა.

ყურთან კოღო წუოდა.

უცნაურად თბილოდა. ვარსკვლავებს თითქოს უხაროდათ ეს თბილი ღამე.

ციმციმებდნენ, ზემოთ, ზენიტში ციმ-ციმებდნენ, აღმოსავლეთისაკენ, დასავ-ლეთისაკენ, ყველგან ციმციმებდნენ.

„რატომ არ მეძინება“? გაიფიქრა დავითმა.

„უნდა დავიძინო. მე არ შემიძლია, რომ არ დავიძინო“.

კონიაკით სავსე მათარა გაახსენდა. მაშინვე მოხსნა სახურავი და პირდა-პირ მოიყუდა. კონიაკმა ცხარედ ჩაწვა ყელი, მაგრამ რამდენიმე ყლუპი მაინც მოსვა, მერე შოკოლადის ნატეხი ჩაი-დო პირში, რომ კონიაკის სიცხარე გაე-ნელებინა.

ცოტა ხნის შემდეგ სხეულში სანეტა-რო სითბო იგრძნო, ვარსკვლავებმა ნე-ლა დაიწყეს დაბინდვა, ტკბილმა ჟრუ-ანტელმა მოიცვა დავითის სხეული. კა-ლია ისევ ჭრიჭინებდა გულმოდგინედ, მაგრამ თითქოს სულ შორს მიდიოდა, მიდიოდა... მიდიოდა... კოღოც ოდნავ წუოდა და მალე მისი ხმაც მინელდა და ჩაქრა.

* * *

ნაშუადამევს აიშალნენ ყველანი. ისევ შეკრეს თავიანთი ბარგი. ღამის ნამს ტანისამოსი გაეჟღინთა და ყველა-ფერი დაესველებინა. ძილგატეხილ მე-ბრძოლებს სციოდათ და გათოშილებს მოძრაობა უჭირდათ. ლეიტენანტი წყნარი ხმით აჩქარებდა ყველას.

— რა კარგია ახლა ერთი გუზგუზა ცეცხლი! — უთხრა ერთმა მებრძოლმა მეორეს, თან თავისი მძიმე ზურგჩანთა მხრებზე მოიგდო.

— ცეცხლი არა, ბიჭო, — უპასუხა მეორემ, — მამყოფა ახლა ჩემს გოგოს-თან. რა სჯობს მაგას?

— ჩადექით მწკრივში! — შეაწყვე-ტინა მათ ლეიტენანტმა, — გავივლით ცოტას და ისე გავხურდებით, რომ ოფ-ლიც კი გამოგივათ.

მებრძოლებმა უხმოდ შეასრულეს ლეიტენანტის ბრძანება.

მწკრივი დაიძრა. დავითი ისევ მი-უძღოდა ყველას. სიჩუმეს არღვევდა წყნარი არეული ფეხის ხმაური.

აღმართი მაშინვე დაიწყო და ყველა-ნი ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ. ვიღა-ცას სუნთქვა უჭირდა და ისმოდა მისი მძიმე ქოშინი. დავითმა წინადადება მისცა მებრძოლს, მწკრივს ბოლოში გა-მოჰყოლოდა. მან უარი თქვა, არა უშავს-რა, მე სულ ასე ვიცი.

მიდიოდნენ დიდხანს, აღმართი კი არ თავდებოდა. ახლა უკვე ყველა ოფლში ცურავდა. ხანდახან ისვენებდნენ რამ-დენიმე წუთს, მაგრამ მაშინვე გრძნობ-დნენ სიცივის სიმწვავეს და ისევ მია-ბიჯებდნენ. შქერის ძარღვიან ტოტებ-ში ფეხები ეხლართებოდათ. მალე ბუჩ-ქებიც აღარ იყო და მხოლოდ მაღალი ბალახი და ქოჩორივით თომით დაფა-რული კოლბოხები ეღობებოდათ.

აქამდე ოდნავ ესამჩნევი ნისლი უფრო გასქელდა და სიბნელეში ახლა წინა მებრძოლის გარჩევაც კი ძნელი იყო. ლეიტენანტი წამდაუწუმ ეკითხე-ბოდა დავითს:

— ამხანაგო ინსტრუქტორო, სწო-რად მივდივართ?

— ნუ შიშობთ, ამხანაგო ლეიტენან-ტო, სწორად მივდივართ.

ლეიტენანტი მთასავლელი არ იყო და ის მხოლოდ, როგორც გამოცდილი მეთხილამურე, დანიშნული იქნა ასეუ-ლის მეთაურად. მას პირველად უხდე-ბოდა მთებში სიარული და ასეთი გაუ-თავებელი აღმართით გაოცებული ხან-დახან დაღლილი ხმით იძახდა:

— მგონია, ცაში მივდივართ ფეხით.

ორი საათის სიარულის შემდეგ აღ-მართი, როგორც იქნა, გათავდა. ნის-ლიც მაღლა აიწია და ოდნავ ინათა, მაგრამ ახლა ისეთ ვიწრო ქედზე უნდა ეევლოთ, რომ ერთი ფეხის დაცდენა საკმარისი იყო, უფსკრულში გადაჩეხი-ლიყო. ქედის ორივე ფერდობი ისე იყო დაქანებული, თითქოს ხეობის გასაყო-ფად ბუნებას ტიხარი აღემართა. მერე ამ ტიხარს ძველი ციხის კედელივით

თხემი გადანგრეოდა და მთელი ქედი უზარმაზარი ლოდებისა და გამოფიტულ ქანების გრძელ დაკლაკნილ გროვას წარმოადგენდა. საჭირო იყო ხან ქვებზე აცოცება, ხან გამოფიტულ ციცაბო ფერდობებზე სიარული. ხუხულასავით შეკოლიკებული დაშლილი ქანები ხელის ან ფეხის ყოველ მიკარებაზე იფუშებოდნენ და ქვების გროვები გრიალით და ზათქით ცვიოდა უფსკრულში. დავითი უდიდესი სიფრთხილით მიუძღოდა რაზმს და ხშირად იხედებოდა უკან. ლეიტენანტს უფრთხილდებოდა, ის კი გასაოცარი სიმარდით მიაბიჯებდა დავითთან ერთად.

ორი კილომეტრი ასეთი მძიმე გზის შემდეგ, ბალახიან ფერდობზე გავიდნენ. აქ ოდნავ შეისვენეს და ერთმანეთი მოიკითხეს. ყველაფერი წესრიგზე აღმოჩნდა. ჭუჭყიანი ბამბის მსგავსი ნისლი ისე დაბლა დაკიდულიყო, რომ მებრძოლები მას თავით ეხებოდნენ. ყველანი ნახევარნახევარი ფილა შოკოლადით და რამდენიმე გალეტით შენაყრდნენ. პაპიროსები მოსწიეს და მალე ისევ გზას გაუდგნენ.

დავითი ალმაცერად აჰყვა ფერდობს, ნისლში შევიდა. მთელი მწკრივი დაწალიკებით მიჰყვა. მაღალი ბალახი წელამდე სცემდა ყველას. ნისლს იმდენად დაენამა ბალახი, რომ ხუთიოდე წუთის სიარულის შემდეგ მებრძოლები არათუ დაიწუწნენ, მათ შარვლებზე წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი.

რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მით უფრო მცირდებოდა ბალახის სიმაღლე, მალე მხოლოდ მუხლებამდე სწვდებოდათ და, ბოლოს, ალპურ ფეხსაცმელსაც ვეღარ ფარავდა. სამაგიეროდ, ახლა მრავლად იყო ხავსი. ყოველ ფეხის დაბიჯებაზე ხავსიდან ზღვის ღრუბლის მსგავსად იჟონებოდა წყალი.

მოულოდნელად ყრუ, მაგრამ მძლავრი ქუხილი გაისმა, ციცაბო ქარაფები ისე აზანზარდნენ, თითქოს მიწისძვრაა. ქუხილს მძლავრი ხრიალი და დაგუდული ბაგაბუგი მოჰყვა.

მებრძოლები უნებურად შედგნენ და გაირინდნენ.

— ყინვარი უკვე ახლოა, — მშვიდად თქვა დავითმა და გზა განაგრძო.

— რა არის ეს? — დაადევნა კითხვა ლეიტენანტმა.

— ალბათ ყინვარის ერთი ნაწილი ჩაინგრა. ჩვენ მალე მივალთ ყინვარზე.

— მე მეგონა, ყუმბარები ჩამოჰყარეს.

დავითმა საათს დახედა. მას აღარც კი ახსოვდა, როდის გათენდა. სიარული გაადვილდა, თუმცა ადგილმდებარეობა გაცილებით ციცაბო და დაქანებული იყო. მალე ისეთ ნაპრალს მიადგნენ, რომ მის ფსკერზე ჩახედვაც კი თავბრუს დაახვევდა ადამიანს. ნაპრალის სიგანე ხუთ მეტრზე მეტი არ იქნებოდა.

ლეიტენანტმა ჩაიხედა ნაპრალში და შუბლზე ხელი შემოიკრა:

— ეჰე! აქ სად მოვსულვართ. როგორ გადავალთ?

— ახლავე, — უპასუხა დავითმა, — ახლავე გადავალთ.

მიდამო შეათვალიერა და მებრძოლებს გადახედა.

— გუჯა! — გასძახა დავითმა და ალპური თოკის შლა დაიწყო.

— არის! — მოისმა გუჯას ხმა.

— საქანელა. — ესროლა თოკის ბოლო გუჯას დავითმა და გადმოშვერილ ქიმზე მიუთითა, — ადი!

გუჯა სწრაფად აცოცდა ქიმზე, მიმოიხედა და თოკი ყურივით გამოშვერილ ტინზე დაამაგრა. დავითმა თოკის ბოლო წელზე შეიბა, ცოტა უკან დაიწია, თოკი დაქაჩა, გაქანდა, დაკრა ფეხი და ნაპრალის მეორე ნაპირზე გადახტა. თოკი შეიხსნა, უკანვე ისროლა და დაიძახა:

— მოდით!

ყველანი მიყვნენ და ამგვარი ნახტომებით ნაპრალი ადვილად გადალახეს.

ახლა გრძელი ეხის გასწვრივ მიდიოდნენ. ეხს, განგებ გაჭრილი ბილიკის მსგავსად, ორი თუ სამი მტკაველის სიგანე ლავგარდანი მიუყვებოდა. ქვემოთ კი უფსკრული მოჩანდა. მებრძოლები ფრთხილად მიაბიჯებდნენ, რადგან მძიმე ზურგჩანთები ხშირად ედებოდა გამოშვერილ ქიმებს და ძნელი იყო წონასწორობის დაცვა.

— მდაა... — წამოიძახა ერთხელ ლეიტენანტმა, — ახლა კი ვგრძნობ, რომ უთქვენოდ აქ სადღაც ჩავიკარგებოდი.

— რატომ! — მშვიდად უპასუხა დავითმა, — თქვენს გარდა, მებრძოლები ხომ ყველანი მთასვლელები არიან.

— ჰო, მაგრამ, მაგათ გზა ხომ არ იციან. თქვენ კი ისე დაბეჯითებით მიდიხართ.

— ეგ მართალია. თუმცა უჩემოდაც გახვიდოდით, მხოლოდ ცოტა უფრო მეტი დრო დაგჭირდებოდათ. ახლა კი ფრთხილად, მორენებზე გადავდივართ და არ დაგორდეთ. მივედით უკვე ყინვართან.

ქვემოთ ხეობაში ჩაწოლილიყო ურჩხულისმაგვარი ზურგდახეთქილი ყინვარი. მისი ბოლო მორენებით იყო დაფარული, შუაწელი და ღრუბლებამდე ამართული ზემო ნაწილი თეთრი იყო. დანაპრალებული, ის უფრო ყინულთა ნამსხვრევების გროვას წააგავდა, თითქოს მთაზე გადმოვარდნილი გიგანტური ჩანჩქერი რაღაც განგებას უცბად გაეყინა და ერთ ადგილზე შეეჩერებინა.

— ახლა კი ცოტა გაგვიჭირდება, მაგრამ არა უშავს-რა, გადავალთ, — თქვა დავითმა.

რამდენიმე წუთს ის დურბინდით ათვალიერებდა ყინვარს, შემდეგ გადასასვლელი ადგილი მონიშნა, დურბინდი მოიშორა და ახლა თვალით გადახედა მიდამოს.

ფრთხილად დაიწყო ჩასვლა.

როდესაც ყინვარს მიადგნენ, აღმოჩნდა, რომ ყინული რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული ნაპირიდან და უხიდოდ შეუძლებელი იყო ზედ გასვლა. საქანელას ხერხი აქ არ გამოდგებოდა და გახტომაც შეუძლებელი იყო. დავითი ზემოთ შეუყვა. ერთ ადგილზე ყინული თითქოს უფრო უახლოვდებოდა ნაპირს. მაგრამ გახტომა აქაც შეუძლებელი იყო. მაშინ დავითმა სამი გრანატა ერთად შეკრა, ყინულისა და ნაპირის შორის დაქანებულ ნაპრალში ჩაძვრა, წერაყინით ყინულის კედელში შპურისმაგვარი ღრუ შეჭრა, გრანატებით დატენა, ხოლო გრანატების ერთ ტარს ზონარი გამოაბა და ისევ ზემოთ ამოძვრა.

— ახლავე გავაკეთებთ ხიდს, — თქვა დავითმა და მებრძოლებს გასძახა, უკან დადექითო.

ზონარი თავისკენ მოზიდა, გაისმა რაღაც დაგუდული ძაძგუნი, შემდეგ ყინულის უზარმაზარი ლოდი დაცურდა და ნაპირს მოებჯინა. მებრძოლები მხიარული ყიჟინით შეცვივდნენ ამ თავისებურ ხიდზე და მალე ყველანი ყინვარზე იყვნენ.

— იწყება ჩვენი მგზავრობის ყველაზე ფანტასტიკური ნაწილი, — უთხრა დავითმა ლეიტენანტს, — შეხედეთ!

ყინვარის ნაწილი ამ ადგილზე ჰგავდა მაღლა ატყორცნილ გაყინულ ზღვის ტალღას. ყველამ წრიაპები გაიკეთა და ამ გაყინულ ზღვის ტალღას სათითაოდ შეუყვნენ. მთელი ყინვარი გახვეული იყო ქაოსურად დაგლეჯილ ნისლში. დილის მზის სხივები უცნაურ სპექტრად იშლებოდა და შარავანდედისმაგვარ ფერად წრეებად ხან სად აინთებოდა და ხან სად. სხვადასხვა ფორმის ყინულის გიგანტური ლოდები ისე იყო დაყირავებული, გვერდზე გადაწოლილი ან მრისხანედ გადმოკიდული, თითქოს ცამდე ამართული ყინულის სასახლე მიწისძვრას დაენგრიოს და მის ლოდებზე ახლა ჭიახჭველასოდენა ადამიანები ასულიყვნენ. პატარა, სულ პატარა

წერტილებივით მოჩანდნენ მებრძოლები.

ყოველ ნაბიჯზე ახალი დაბრკოლებები ელობებოდათ.

რამდენიმე ადგილას თხილამურები ერთმანეთზე გადაადგეს თოკებით, ნაპრალებზე ხიდად გასდვეს. შემდეგ მთლიანად დანაპრალებულ რაიონში მოხვდნენ. სადაც ორიენტაცია დაჰკარგეს იმის გამო, რომ ყინულები აქ საკმაოდ საგრძნობი სისწრაფით მოძრაობდნენ და, როდესაც უკან გამობრუნება დააპირეს, დავითი ბოლოში მიმავალ მებრძოლის გვერდით აღმოჩნდა.

დიდი დაწოლისაგან დაძრული ყინული წამდაუწუმ ჰქუხდა და ტკაცუნებდა. მისი ლაწანი უნებურად ანერვიულებდა ყველას, რადგან, გეგონებოდათ, ყინულის ეს ნაპრალები ახლავე შეკრავს პირს, სადღაც უფსკრულში ჩაიქცევა და ყველას მოსრესავსო. განსაკუთრებული მტკიცე ნებისყოფა იყო საჭირო, რომ ასეთ გარემოცვაში არ აჩქარებულიყვნენ. ალპინისტ მებრძოლებს, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილი მთასვლელები იყვნენ, ასეთ გაუვალ და მრისხანედ დაძრულ ყინვარდნილებში პირველად უხდებოდათ ყოფნა. მართალია, არც ერთს ხმა არ გაუღია, მაგრამ ყველას უჩვეულო ნერვიულობა ეტყობოდა.

რომელიმე ყინულის კედელზე აცოცებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ზეგანზე ვერ გავიდოდნენ. ყველანი მომწყვდეული იყვნენ თხელი ყინულის კედლების ლაბირინთში. დავითმა ყიბლანს დახედა, გარშემო მიმოიხედა და გაოცებულმა მხრები მაღლა ასწია. მისი აზრით, დასავლეთი იმ მხარისაკენ უნდა ყოფილიყო, საითკენაც ყიბლანი აღმოსავლეთს უჩვენებდა. გამოდიოდა, რომ სრულიად საწინააღმდეგო მხარეზე უნდა წასულიყვნენ.

ნდობოდა თუ არა ყიბლანს?

შეიძლება რაიმე მაგნიტურ ანომალიასთან ჰქონდა საქმე და მაგნიტური ისარი უკუღმა იყო [illegible]. მაშინ უკეთეს შემთხვევაში [illegible] ქვირვებით ისევ უკან გამობრუნებას თუ მოახერხებენ და ყინვარზე გადასვლა ისევ თავიდან უნდა დაეწყოთ. შემდეგ ყინვარის გადასალახავად მოეძებნათ სხვა უფრო მოხერხებული ადგილი და ისიც საკითხავი იქნებოდა, წააწყდებოდნენ თუ არა ამაზე უფრო იოლად გასასვლელ ადგილს. დავითმა არჩია, ყიბლანს ნდობოდა და დასავლეთისაკენ აიღო გეზი. უნებურად ისიც აჩქარდა, რადგან მეტი დაყოვნება არ შეიძლებოდა, ყინულის მსხვრევა-ლიწინი მატულობდა. დავითს რომ თან მხოლოდ სამი-ოთხი მთასვლელი ხლებოდა, მაშინ შეიძლება არც აჩქარდებოდა, რადგან ასეთი მცირე ჯგუფისათვის რაიმე საფრთხის თავის არიდება უფრო იოლი იყო. ახლა კი მას ახლდა მთელი ასეული, რომლის მწკრივი კარგა გრძელ მანძილზე იყო გაჭიმული. მათ გზაზე სადმე შემთხვევით გადმოწოლილ ყინულის კედელს შეეძლო რამდენიმე მებრძოლი ქვეშ მოეტანა.

ერთ ადგილზე გვირაბისმაგვარ ნაპრალს მიადგნენ. დავითი ჯერ შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ თავი დახარა და შეძვრა გვირაბში. მისი ფსკერი დაბლა მიექანებოდა. დავითი ფრთხილად მიაბიჯებდა. თხუთმეტიოდე მეტრის გავლის შემდეგ შედგა, რაღაც ბნელი უფსკრულის ნაპირს მიადგა. ჯიბის ელექტროფანარი ამოიღო და ჩაანათა. გამოჩნდა ყინვარის ფსკერი.

— რაო? — ჰკითხა ლეიტენანტმა, რომელიც დავითს კვალდაკვალ მიჰყვებოდა.

— უნდა დავეშვათ ფსკერზე, — უთხრა დავითმა და ყინულში რკინის პალოს გამაგრებას შეუდგა, — მეტი გზა არ არის.

— სულ რომ ვეღარ გამოვიდეთ აქედან?

— გამოვალთ, — დაამშვიდა დავითმა, რკინის პალოს რგოლში თოკი გამოაბა და ფსკერზე დაეშვა. — დაეშვით ყველანი! — ასძახა ზემოთ დავითმა, — არ არის ღრმა.

დანარჩენებმა დაიწყეს დაშვება, დავითი კი წინ წავიდა. ყინვარის ფსკერი გლუვი იყო და წრიაპები გაჭირვებით ჰკიდებდა ჭვანგს ლაპლაპა ტინს. აქ დაგორება კი ნიშნავდა სიცოცხლესთან დაუყოვნებლივ გამოსალმებას. უფსკრულში უკვალოდ ჩაიკარგებოდა, რომ ვინმეს ფეხი გასხლტოდა.

ყველამ ჯიბის ფარნები აანთო. ყინულის ჭერი ფარნების შუქზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა.

დავითი აღმართს შეუყვა, მალე დღის სინათლემ იმატა, ფსკერზე გამოჩნდნენ მორენები და რამდენიმე მეტრის შემდეგ უცბად დაანათა ზეცამ. დავითმა ცალი ხელი მორენების კედელს მიაყრდნო, მეორე ყინულს და, თითქოს ჭიდან ამოდიოდა, ისე დაიწყო მაღლა ასვლა. როდესაც ზედაპირზე ავიდა და მიმოიხედა, დარწმუნდა, რომ ყინვარი გადაელახათ. ისინი მეორე ნაპირზე იყვნენ. აღტაცებით დასძახა ვაშა, მორენის კედელზე აცოცდა, ქვაზე ჩამოჯდა და თვალს ადევნებდა ნაპრალიდან რიგრიგობით ამომავალ მებრძოლებს.

ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ გამარჯვებას.

— აი ამას ჰქვიან უკან დასახევი გზის სრულიად მოჭრა, — თქვა ლეიტენანტმა, როდესაც დავითის გვერდით ჩამოჯდა და ყინვარს გადახედა.

— საშინელია? — ღიმილით ჰკითხა დავითმა.

— ომის ქვაბში ვარ გამოხარშული, მაგრამ ამის მსგავსი ჯერ არა მინახავს რა. ლამაზი კია. ასე მგონია, ზღაპარი იყო ყოველივე. მე ახლა ვიხილე ბუნების სტიქიის ეს თავისებური სანახაობა. ზღვის ღელვა, ქარიშხალი, ჰაერში ფრენა, ყველაფერი მენახა ამის გარდა, ეს კი. უნდა გითხრა, რაღაც განსაკუთრებულია. ახლა ვხვდები, რატომ გიყვართ თქვენ, მთასვლელებს, მთები და მწვერვალებზე ასვლა. ყველაფერი ეს რომ ნახო და განიცადო, განსაკუთრებული ნებისყოფის ადამიანი უნდა იყო.

— კარგია, გეთანხმები, — უთხრა დავითმა, — საჭმელი არ ვჭამოთ?

— აუცილებლად. ცოტაც უნდა დავისვენოთ.

დავითმა საათს დახედა.

— შეგვიძლია ნახევარი საათი შევისვენოთ. ახლა ნაკლებად საშიში გზა გვაქვს და არც შორსაა მიზნამდე.

არეულმა ნისლმა მაღლა დაიწყო ასვლა. მათი ნაფლეთები საოცარი სისწრაფით გარბოდნენ ქედზე.

ქვებზე ჩამომსხდარი მებრძოლები წრიაპებს იხსნიდნენ. შემდეგ ჩანთები გახსნეს და საგზალი ამოალაგეს. ყველა გამხიარულდა. კონიაკით სავსე მათარებიც მოძებნეს. უძნელესი გზის გადალახვამ ისე წაახალისა ყველა, თითქოს პირველი იერიში მოეგოთ. ხუმრობდნენ, იცინოდნენ, მათარების ყოველ მოყუდებაზე ერთმანეთს ადღეგრძელებდნენ.

ნახევარმა საათმა ელვასავით გაირბინა. დავითმა რაზმს გასძახა, რათა ყველანი აშლილიყვნენ. მათ ახლა კლდოვან, ციცაბო ფერდობზე უნდა ევლოთ. დავითმა განდაგან აიღო გეზი, რომ აღმართებისთვის თავი აერიდებინა, ლავგარდანს გაუყვა და მალე მთელი რაზმი ქედზე გავიდა. ქედიდან გამოჩნდა ჩრდილოეთი მხარის ვაკე თოვლიანი ზეგანი. ეს ზეგანი ჩრდილოეთისაკენ იყო დაქანებული და შუაგულში მას მიუყვებოდა ღარტაფი, რომელიც შორს უკვე იმდენად ღრმავდებოდა, რომ ხევად იქცეოდა. ამ ხევიდან მიუყვებოდა თოვლზე გადახაზული აშკარად შესამჩნევი კვალი. ეს კვალი აღწევდა სამხრეთის კედლამდე და კლდეებში იკარგებოდა.

დავითმა მაშინვე შეამჩნია კვალზე

ქინძისთავისოდენა მოძრავი წერტილების მწკრივი. ეს მწკრივი ჩრდილოეთიდან ამოსულიყო და ულელტეხილისაკენ მიემართებოდა.

— შეხედეთ, გერმანელები! — ანიშნა თვალით ლეიტენანტს დავითმა და ბინოკლი მოიმარჯვა.

— სად? — იკითხა ლეიტენანტმა. ის კარგად ხედავდა თოვლზე დამჩნეულ ბილიკის მაგვარ კვალს და ვერ წარმოედგინა, რომ ასე ადვილად შესამჩნევ ბილიკზე ადამიანები ასე პატარად გამოჩნდებოდნენ, — ნუთუ ეს წერტილები ადამიანები არიან!

ორივენი მალე დარწმუნდნენ, რომ მტრის რაზმი სამხრეთ ხეობაში აპირებდა გადასვლას. ლეიტენანტმა სათითაოდ დათვალა მტრის ჯარისკაცები და აღმოჩნდა, რომ ამ გუნდში სულ ორმოცდარვა კაცი იყო.

რაზმის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა წამოიჭრა. ულელტეხილამდე, სადაც შეიძლებოდა ჩასაფრება და მტრის რაზმისათვის გზის მოჭრა, არც ისე დიდი მანძილი იყო, მაგრამ იქ თხილამურებით ვერ მისრიალდებოდნენ, ფეხით უნდა ჩაერბინათ. ამავე დროს, მტრის რაზმი, მართალია, შორს იმყოფებოდა, მაგრამ თხილამურებით გაცილებით ადრე შეიძლებოდა მათზე თავდასხმა, ვიდრე ულელტეხილამდე მიღწევა და იქ ჩასაფრება. თანაც თოვლიანი ზეგანით სრულიად შეუმჩნევლად შეიძლებოდა მათთან მიპარვა, რადგან გერმანელები ღარტაფს მოუყვებოდნენ, ფირნის ველი მათთვის სრულიად უხილავი იყო და არ შეეძლოთ დაენახათ, რა ხდებოდა ზეგანზე. ამავე დროს, არც ულელტეხილის მიტოვება შეიძლებოდა. ვინ იცის, მტერს იქნება იქ მცველი რაზმი ჰყავდა ჩასაფრებული და მას შეეძლო ზურგიდან დაეშინა ჩვენი მოიერიშე ოცეულისათვის. წინასწარი დაზვერვის და ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო. ამიტომ ლეიტენანტმა გადაწყვიტა, ერთსადაიმავე დროს მიეტანა იერიში ღარტაფზე მოსულ მტრის რაზმზე და ულელტეხილზე ამისათვის მან თავისი რაზმი ორად გაჰყო. ერთს, უფრო მცირე გუნდს, რომელშიაც დავითის ათვლით თორმეტი მებრძოლი შედიოდა, დაავალა ულელტეხილის დაჭერა და ზურგის უზრუნველყოფა, ხოლო დანარჩენებს თვითონ ჩაუდგა სათავეში.

მებრძოლებმა საჩქაროდ ჩაიცვეს შესანიღბავად თეთრი ხალათები, ავტომატები გულზე ჩამოიკიდეს, თხილამურებზე შედგნენ და საიერიშოდ ჩამწკრივდნენ. ზურგჩანთები და ზედმეტი ბარგი ქარაფებზე დატოვეს. ლეიტენანტმა განკარგულება გასცა. სანამ თვითონ არ გაისროდა, სროლა არ აეტეხათ. რადგან განზრახვა ჰქონდა, მტერს მოულოდნელად დასტეხოდა თავს და უბრძოლველად დაეყრევინებინა მათთვის იარაღი, შემდეგ მებრძოლებს ნიშანი მისცა. საყრდენი ჯოხები კალიის ფეხებივით თოვლს მიაბჯინა და ადგილიდან მოსწყდა. მთელი მწკრივი მასთან ერთად დაიძრა და თეთრად შენიღბული მებრძოლები თოვლიან ველზე რამდენიმე წამში მოჩვენებებივით გაუჩინარდნენ. თოვლის ფონზე მხოლოდ დადევნებულ თვალს შეეძლო მათი გარჩევა და მალე მარტოდმარტო თხილამურებით დაჩნეული თეთრი ზოლები მირბოდნენ მტრის მიმართულებით. აღარც მებრძოლები მოჩანდნენ და აღარც მათი თხილამურები.

დავითის გუნდიც დაიძრა ულელტეხილისაკენ. ჯარისკაცებმა სწრაფად ჩაირბინეს ქვა-ღორღით დაფარული და თოვლ-ყინულით შეკრული ქედი და მალე მიაღწიეს თოვლზე გაკვალულ ბილიკებამდე. აქ მრავალი ფეხის ნაკვალევი ჩანდა და აშკარა იყო, ახლომახლო მტრის საყარაულო პოსტი უნდა ყოფილიყო. მართლაც, სულ მალე მებრძოლებმა კვალის მიხედვით აღმოაჩინეს მტრის სამი ჯარისკაცი, რომელნიც მსუ-

ბუქ ნალსატყორცნს შემოსხდომოდნენ და სამხრეთდასავლეთის ქედს გასცქეროდნენ, მათი აზრით, საბჭოთა ჯარს მხოლოდ ამ მხრიდან შეეძლო მოსვლა და სულ არ ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი იყო მოწინააღმდეგე ზურგიდან, ამ ზღაპრული ურჩხულივით ამართული მწვერვალიდან, წამოჰპარვოდათ. ამიტომ, როდესაც მათ დავითმა ავტომატი დაუღირა და გერმანულად უბრძანა „ჰენდე ჰოხ!“ ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ხელები მაღლა ასწიეთო, გერმანელებს პირველად ეგონათ. ჩვენიანები მოვიდნენ და გვეხუმრებიანო. ზანტად წამოდგნენ ფეხზე, მაგრამ, დაინახეს თუ არა საბჭოთა მებრძოლები, მაშინვე ასწიეს ხელები მაღლა და აჩქარებით წამოიძახეს:

— ჰიტლერ კაპუტ!

მებრძოლებმა სწრაფად აჰყარეს იარაღი სამივეს და ახლო-მახლო მიდამოს დაზვერვას შეუდგნენ. დავითმა თავისი დამტვრეული გერმანულით დაჰკითხა ტყვეები. აღმოჩნდა, რომ ესენი ელოდებოდნენ ჩრდილოეთიდან მომავალ ავანგარდს და აქ დაყენებული იყვნენ დროებით გზის სადარაჯოდ.

დავითმა საათს დახედა და თვალებს არ დაუჯერა. საათი თითქოს გაჩერებულიყო. ექვსს თორმეტი წუთი აკლდა. ყურზე მიიდვა. წკაპუნი მოესმა. ცხადია, საათი მუშაობდა. მერე დურბინდი მოიმარჯვა და სწორედ ამ დროს შემოესმა ავტომატების კაკანი, დურბინდში აშკარად გაარჩია მტრის ხელაწეული ჯარისკაცები, რომლებისთვისაც საბჭოთა მებრძოლებს ალყა დაერტყათ. აშკარა იყო, ლეიტენანტს ბრწყინვალედ ჩაეტარებინა თავისი საბრძოლო ამოცანა. ისინი ერთი კუთხისაკენ ერეკებოდნენ გერმანელ ჯარისკაცებს და მალე თოვლზე ცხადად გამოისახა ერთი შექუჩული გუნდი და მათ გარშემო შემორკალული თეთრხალათიანი მებრძოლების ჯაჭვი.

მაშინ დავითმა ველარ მოითმინა და, მართალია, ექვსი საათის შესრულებას კიდევ რამდენიმე წუთი აკლდა, რაკეტის სასროლი დაშბაჩა ამართა, გამოჰკრა თითი სასხლეტს და წითელი რაკეტი შხუილით ავარდა მაღლა ზეცაში, გიგანტური რკალი გადახაზა, კამარა გააკეთა, კუდიანი ვარსკვლავივით ბოლო მოიქნია და სამხრეთის მხრისაკენ დინჯად დაიწყო დაშვება.

(გაგრძელება იქნება)

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲡᲣᲚᲐᲙᲐᲣᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘ

★

ᲞᲝᲔᲛᲐ

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲛᲗᲐᲗᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲬᲧᲔᲑᲡᲔᲑᲡ...

1.

მალე მზე შუბის ტარზე აიწევს,
მოედინება ᲑᲘᲜᲘᲡᲙᲔᲜ ცხვარი.
ცხენს ჰკაზმავს თორღვა უთურგაიძე,
ჩქარობს და გზისკენ გაურბის თვალი.
ამჩნევს ვეჰია — ძველი სარქალი,
რომ თორღვას ფერი დაჰკრავს
სხვაგვარი.
— ეჰე, შენ მაინც შენს გზას მიჰყვები,
ველარ მოვასწრებთ მოწველას
ცხვრისას,—
იკარგებიან უგზოდ სიტყვები,
უთურგაიძეს ფიქრები ნისლავს.

ქვაზე უეცრად გაკვესა ნალმა,
გზაზე დატოვა მტვერი ბოლივით
და ცხენი ისევ ამოჰყვა აღმართს,
თითქო ქარრა ამოქროლილი.

ფარსმის გორაზე ქალები სხედან,
საუბრობენ და თან ქსოვენ წინდებს,
ვიწრო ბილიკზე ხედავენ მხედარს,
ვიწრო ᲑᲘᲚᲘᲙᲘ ᲮᲔᲝᲑᲐᲡ მისდევს.

ცხენი ფარსმიდან დაეშვა ცერად,
მირბის,
მიფრინავს,
ოფლად იღვრება,
ცნობისმოყვარე ქალების მზერა
დაედევნა და უკან მიჰყვება.
რამ აამხედრა თორღვა ნეტავი,
ნეტავი საით იჩქარის ასე.
ერთი დიაცი გაუბედავი
უხმოდ ადგება, შინისკენ გასწევს.
ამოაყოლებს გულის დარდს ოხვრა,
ღრუბლიან ამინდს დაემგვანება, —
რად გამირბისო, არ ვიცი თორღვა,
ან შვილებს რატომ არ ეკარება?
დიაცმა ერთხელ მოხედა მხედარს,
წავიდა,
შედგა.
მობრუნდა კიდევ...
ფარსმის გორაზე ქალები სხედან.
უსიტყვოდ სხედან და ქსოვენ
წინდებს...

მწყემსმა ფარულად შეატყობინა:
რაინაული ჰეშოს ყოფილა.
არისო ცეკვა,
მღერა, თამაში,
თურმე დადაანთ მოსეს კარის წინ.
იქითკენ იწევს თორღვა თამამი
და რას ჩაიდენს, თვითონ არ იცის.
ამბობენ: თორღვა უთურგაიძე
თავისნება და ურჩი კაცია,
სიჭაბუკეში ერთ დიდ ნადიმზე
დიკლოდან ქალი მოუტაცია.
ახლა ნანელო შეჰყვარებია,
ისევ გამხდარა ვნების მორჩილი.
უთქვამსო: აწ მე სულ სხვა გზები
მაქვს,
დე ამიტირდეს ფარსმას ცოლ-შვილი...
არ ენაღვლება,
არ ენანება,
თუნდაც დაინგრეს მთელი ქვეყანა,
იწამა მხოლოდ შურთხისთვალება,
ოცნების ფრთებით მთებს შეეხალა.
მაგრამ ხანდახან ბოლმა დაუვლის,
გაახსენდება რაინაული:
ბალღია,
ლუკმად არც კი ეყოფა
და მაინც გზაზე გადაეღობა.

ვიღაც ბიჭს მისცა დაღლილი ცხენი
და თვით ეშოში შევიდა რხევით,
თვალით მოზომა პატარა ეზო
და იგრძნო გულის ცემა ძლიერი.
მთაზე მიდგმული სოფელი ჭეშო
გეგონებოდა უკაცრიელი.

დაგვიანა.
აქ იყო ცეკვა,
ერიამული და ერთი ხმაური,
თავის ფანდური ხელში ეკავა.
ლაღად მღეროდა რაინაული,
მთები ისმენდნენ ნანელოს სიცილს,
ნანელომ კარგი სიცილი იცის...
უთურგაიძე მობრუნდა უცებ
და ცეცხლის ალი მოედო გულზე.
ეჰე, ხანძარი რამ გაანელოს,
გულს სითამამე თითქო დაუსხლტა.
მდინარის ახლოს ხედავს: ნანელო
ულიმის ბექა რაინაულსა.
უთურგაიძემ გადადგა ბიჯი,
შეყოვნდა,
წამით ფიქრებს დანებდა.
დაეშვა თავქვე.
(პატარა ბიჭი
თორღვას ცხენს ნელა დაატარებდა).
ხევში მდინარე გრგვინავდა ისევ,
თეთრი ნისლები უხმოდ დაიძრნენ.
საყვარელ ცხენის ოფლიან კისერს
შუბლით მიეკრო უთურგაიძე.

— მომესმა დილა ადრიან
გიჯავრდებოდა დედილა,
მოგიწყლიანდა თვალები,
ცრემლები გადმოგედინა,
სად იყავ, სადა, თავნებავ,
გვიან მოსულხარ შინაო,
ნეტავი გამაგებინა,
ცეცხლი ვინ გაგიჩინაო.
როდემდე გინდა, მითხარი,
თავის ნებაზე იარო?
— რა ვქნა, საყურე დავკარგე
და გორგას უპოვიაო.

რაინაული ასე მღეროდა
და გაჰყურებდა კლდეთა ჩეროდან:
შორით მოჩანდა იალაღები
კოლმეურნეთა ცხვრით დათოვლილი,
სიო დაქროდა ცელქი ბალღივით
და წკრიალებდა წყარო ბროლივით.
მწყემსმა საყელო სწრაფად შეიხსნა,
მთანი მაღალნი დგანან და სდუმან.
შორიდან ისმის ცხენის ფეხის ხმა
და ბექა თორღვას შეიცნობს უმალ.

— ნუ დაეთრევი მასთან დღე და ღამ,
ჩემთან ვაჟობა შეგწევთ რომელსა,
დაეხსენ, ბალღო, დედისერთა ხარ
და დაგანანებ მწარედ სოფელსა! —
რაინაული უხმოდ უსმენდა,
თან უხაროდა თორღვას შეხვედრა,
თუმცა ბალღივით გული უცემდა
და ვერ ბედავდა თვალში შეხედვას.
ჩასაფრებული ყოველ კარებთან,
ყოველ ბილიკთან და სად, ვინ იცის,
უთურგაიძე უთვალთვალებდა
და, როგორც იყო, შეხვდნენ
პირისპირ.
რაინაულმა მოგლიჯა ქუჩი,
სდუმდა და სრესდა თითებით ბალახს,
უთუოდ გრძნობდა დაფარულს
გულში
თორღვასთვის უცნობ სუნთქვას და
ძალას.
— გამაგებინე, რას დამდევ, თორღვა,
კაცი ხარ, აგრე როგორ იქნება?! —
უთურგაიძეს აღრჩობდა ბოღმა
და დაამძიმა მრუმე ფიქრებმა.
ძლიერი სუნთქვით აზიდა მკერდი,
შუბლიდან თმები გადაიწია.
— დაეხსენ, ბალღო, ჯობია შენთვის,
გითხარი...
მეტი არა ვიცი-რა...
— ნანელო ჩემი გულის შუქია,
ჩემი ფიქრი და ჩემი გონება!..—
ნათქვამი თორღვას არ გაუგია,
ცხენს თავდალმართზე მიაქროლებდა.

გვიან დაბრუნდა ბინაში თორღვა,
მწყემსს თან უზომო ნაღველი მოჰყვა,
გამოიტანა უმალ ნაბადი,
გაეხვია და მიეგდო იქვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ღვივოდა, როგორც ალბედი,
ვერ იცილებდა ვერაფრით ფიქრებს.
გადაიფარეს ნისლები მთებმა,
თვალებს ლულავდნენ მთები ძილის
წინ,
ახლოს ისმოდა ძაღლების ყეფა
და ვის უყეფდნენ, არავინ იცის.
ხევის ტალღები ვარსკვლავებს
მიწვდნენ,
მიიჩქაროდნენ,
მეტად ბრაზობდნენ...
— ეჰ, ყველაფერი რომ დაგავიწყდეს,
კაცობა მაინც უნდა გახსოვდეს, —
ეს გაიგონა უთურგაიძემ,
ხმაზე მოხუცი იცნო ვეჰია.
ლამის წამოდგეს,
ლამის გაიქცეს,
ლამის ყვირილით ცა გაერღვია.
დაჰქროდა ქარი დროგამოშვებით,
ფართოვდებოდნენ ღამის ჩრდილები
და მთვარის შუქზე ციხე-კოშკები
ჩანდნენ ხმლებივით ამოწვდილები.
ეღოს მსუბუქი ნისლი ეხვია,
საჯიხვეების ნაზი დობილი.
ფარეხის ახლოს იდგა ვეჰია
დაფიქრებული,
ჯოხს დაყრდნობილი.
მიუახლოვდა ლაქუცით ძაღლი,
ბამბურა ძაღლი — თორღვას იმედა.
მთვარე უმზერდა სამყაროს მაღლით
და სხივებს უხვად ანაწილებდა.

2.

აი ახლახან ცა იყო წმინდა,
გაბრწყინებული ჩამავალ მზითა.
დინჯად დაიძრა იალაღიდან
და გაეშურა ბინისკენ ფარა.
რაინაულმა ზეცას ახედა,
ზეცას კურუმი ღრუბლები ფარავს.
მართლაც, სახუმრო რამე როდია,
ამოვარდნილი ავდრის ქარია,
ღრუბლები ისე სწრაფად მოდიან,
თითქოს საქმეზე მიიჩქარიან.
— ბექა, ჰე, ბექა! — ძახილი ისმის,
იტყოდი წამით გამოიდარა:
ნანელოს მხრებზე მოესხა ნისლი
და ხელს უქნევდა ბექას კლდიდანა.

გაიცინა და მოწყდა მაღლიდან,
მორბის ნანელო,
სახე ულიმის.
უეცრად ელვამ კიდე დაჰკიდა
და ჩამოუშვა დაბლა ქუხილი.
მოვიდა წვიმა,
ცვა,
შებინდდა,
გახელებული ბუბუნებს ხევი.
— სით მოხვალ, ქალავ?
— საძოვრებიდან, —
დავტოვე ჩვენი საღარა ცხენი.
ჩქარობენ,
ფარა წავიდა რხევით,
წამოეწიათ სეტყვა უცები.
ცა კი გრუხუნებს ღრუბლების ზევით,
თითქოს დადიან რკინის ქუსლებით.
იჭექა,
დაფრთხა შიშისგან ცხვარი,
გეგონებოდა, ელოდა ნიშანს,
მაღლიდან უცებ გადმოსკდა ღვარი,
ჩამოიტანა ღორღი და ქვიშა.
უკვე საკმაოდ ბნელი ღამეა,
წინ დანისლული უგზო გზებია,
შეშინებული ცხვრები ბღავიან
და ნოტო-ნოტო იკარგებიან.
დაედევნება გაქცეულთ ბექა,
ნანელო რბენით ბექობს აივლის.
ისევ ელვაა და ისევ ჭექა,
ისევ დამფრთხალი ცხვრების ბღავილი.

გაგიჟებული ხევი ხმაურობს,
ჯოჯოხეთია ეს თუ ღამეა?!
— ვაჰ, დედას შენსას, რაინაულო,
ცუდი დაგიდგა მეტად ჟამია!
წყვდიადში ისმის მხედრის ხარხარი
და ხარხარს გზაზე ქარი ეწევა.
თითქოს იმტვრევა ცაში ფარ-ხმალი,
ელვა ელვაზე რომ ილეწება.

ელვისგან მიწა წამით განათდა
და დარნახა ბექამ ანაზდად,
როგორც სიზმარში, ნისლით მოცული
ვიღაც მხედარი ნაბადმოსხმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულისგან აენთო სახე,
გამხნევდა,
სულ სხვა სული ჩაიდგა.
— აქეთ წამოდი, ეჰეი, აქეთ!..
მაგრამ ძახილი ხევში ჩაინთქა.
არავინ ჩანდა და ბექას დაღლილს
უეცრად რაღაც მოსწყდა გულიდან.
იმ მხედრის ნაცვლად მოვარდა ძაღლი
და დამფრთხალ ფარას ირგვლივ
უვლიდა.

— ნუ დაყოვნდები ერთი წამითაც,
მიეშველენით, ბიჭებო, დროზე.
ბექას საძებრად ყველა წავიდა.
ხინაში დარჩა დადაანთ მოსე.
გამოხდა ხანი...
ავდრიან ღამით
ვინ უნდა იყოს ახლა ნეტავი?
გარეთ რაღაცამ გაიღო ჩქამი,
მგონი ჩამოხტა ცხენით მხედარი.

უთურგაიძემ შეაღო კარი,
შევიდა,
შეჰყვა შიგნით გრიგალი.
— ამ უდროო დროს რა გინდა გარეთ,
საით მიდიხარ, ან სად იყავი?—
უთურგაიძემ მოჰყვა არაკი,
ავდარში გზები როგორ დაჰკარგა.
დადაანთ მოსე ეტყვის: არაყი
მოგიხდებაო, მოდი, გადაჰკარ.
თუში მწყემსები ცეცხლის პირს
სხედან,
ეკითხებიან ერთმანეთს ამბავს.
— ჩემი ვეჰია რაჟა იქმს, ნეტა,
ისიც ჩემსავით დაბერდა ალბათ.
მასთან შეხვედრა მინდა ყოველთვის,
ვერ მოვიცალე, ვერ გადმოვედი.
— საით წასულან თქვენი ბიჭები,
ხინაში მარტოდ მარტო რადა ხარ?
— ცხვარს დაეძებენ,
დაბიჯებენ,
ალბათ საღამე ხევის გადაღმა.
თორღვას გადაჰკრავს მწარე ღიმილი,
ცეცხლის პირს სხედან და არაყს
სვამენ.
გარედან ისმის ბექას ყვირილი...
დადაანთ მოსემ გახედა ღამეს,
მოისხა თექა,
სწრაფად გავიდა,
თორღვა შინ დარჩა გულით ავრთა.

კაბის სისველე ქალის ტანს ამხელს,
თრთის ცეცხლის შუქზე ყოველი
ნაკვთი,
ალი ქვევიდან ანათებს სახეს,
ზევიდან ნაზი ჩრდილები დაკრთის.
მხრებს გაწუწული თმები აყრია,
თმები ერთდება, სადაც მკერდია.
როგორ ეტყობა, თვალნი დაღლია,
მეტად დაღლია და მიბნედია.
მხოლოდ ბაგეებს ღიმილი წყნარი
ეტყობა, როგორც ხსივი ალერსის...
გარეთ წვიმს,
ელავს,
ბობოქრობს ქარი,
ერეკებიან ფარას ფარეხში.
ვერ ითმენს
თორღვას არ ჰყოფნის ძალა,
ბნელ საქმეს ფიქრობს ჩრდილივით
მდგარი.
ჩურჩულებს:
— მხოლოდ ჩემი ხარ, ქალავ!..
ამ დროს ჭრიალით იღება კარი.
თითქოს და ტყვია მიზანს აუცდა,
გულს გახელებულს ბოღმით აივსებს
და შინ შემოსულ რაინაულსა
თვალს ვერ უსწორებს უთურგაიძე.
ჩაფიქრებული ტუჩს იკვნეტს მწარედ,
მერე კი თავი ასწია მაღლა
და როგორც ვეფხვი შემალავს
ბრჭყალებს,
ისე დამალა ბოროტი ზრახვა.

3.

დილაა.
ბექა მიდის ხილიკზე,
ხექა ცხვრის ძებნამ გადაიყოლა.
და შემომჯდარი მთაზე თბილი მზე
იცინის,
თითქოს არა იყო-რა.
თითქოს არ არის მთები ნასეტყვი,
ნამეხარი და ნაგრიგალევი.
რას ეტყვი,

ლურჯი ცაა ასეთი
და არც საავდრო დაჰქრის ქარები.
ბექა დაეშვა ნაპრალის პირზე,
აქ სადღაც ახლოს ცხვარი ეგულვის.
ხევში მდინარე ბუბუნებს ისევ,
წუხელ ავდარში აჯანყებული.
ბექა დაეძებს მოსხლეტილ ნოტოს.
წუხელ დაჰკარგა ათიოდ ცხვარი.
გზებზე კვამლივით ჯანღია ცოტა,
ისე კი არის უღრუბლო დარი.
ფრთხილად მიჰყვება ნაპრალის კიდეს.
სადაც კვამლივით ცოტა ჯანღია.
ეს ძაღლის ყეფა რად ესმის კიდევ,
ნეტავ იცოდეს, ვისი ძაღლია?
ფიქრობს და ფიქრი არა შორდება,
უმზერს ნისლიან სივრცეებს მაღლით
და უნებურად მოაგონდება:
ელვა,
მხედარი
და უცხო ძაღლი.
ისევ ყეფაა,
ხედავს:
ქვევიდან
მორბის იმედა კუდის ქნევითა.

დღე არის მშვიდი,
დღე არის წყნარი,
მდინარის პირზე ბალახს სძოვს
ცხვარი.

რას ჯავრობს ბექა რაინაული,
რაც დაუკარგავს, ხომ უპოვია?
თუ დაღლილია, დაღლა გაუვლის.
ბინამდე გზა არც ისე შორია.
მაგრამ რა არის მწყემსისთვის დაღლა,
თუ უვნებლად და კარგად ჰყავს
ცხვარი.

სხვა რიგის ფერი ედება ახლა,
ბექა ფარეხში ბრუნდება მწყრალი.
გაჯავრებული მოდის მძიმედა,
ცხვარს წინ მიუძღვის თორღვას იმედა.
მწყემსები შეხვდნენ მწყემსს
ჭრიამულით.

სადაც პატარა კლდეა ფრიალო,
ძაღლზე უთითებს რაინაული,
აჭამეთ რამე — მშიერიაო.

რად მიჯარულხარ ნეტა აგრევე
ბექას წარბებზე, შავო ურჩხელავ?
საით იჩქარის, სად ძიგძაგებს ბექა
რაინაული ცხენსა უბელოს?
გულში ხელს იცემს,
ახედავს ზეცას,
ალბათ გირევში ბევა დაისზე.
— ვაჰ, რა ფასი აქვს კაცობას შენსას,
მუხთალო თორღვა უთურგაიძევ!

საღამოვდება.
გირევის ბოლოს
უბელო ცხენით გამოჩნდა მგზავრი.
მდინარის პირზე ნისლები ბოლავს,
ისმის ტალღების ზათქი და ზარი.
ქოჩორა ბიჭი კითხულობს გაზეთს,
სხედან,
უსმენენ მწყემსები ჩუმად.
ვიღაც მხედარი შენიშნეს გზაზე.
იცნეს ბექა და წამოდგნენ უმალ.
მოვიდა მწყემსი.
იმედა მოჰყვა.
— სალამი, ძმებო! სად არის თორღვა?
წინ გაუძღვება ბექას ვეჰია,
გამოაღვიძებს მწყემსსა მძინარეს.
და თორღვას წარბიც კი არ შეხრია.
რაყიფს შეხედა პირმომღიმარემ.
— თორღვა, კარგია, თუ გეღიმება,
ჭმუნვა გულისთვის მძიმე ბარგია,
ჰა, მოგიყვანე შენი იმედა,
წუხელ ავდარში რომ დაგკარგვია.
უბზეარენ ურთერთს,
დგანან პირ-და-პირ.
საღამოვდება,
ზეცა ბრუმდება.
— ამ ქოფაკისთვის მოსვლა
ღირდა-კი?—
იკითხავს თორღვა და გაბრუნდება.
საჯიხვეებზე მთვარე დახრილა,
მთა მთას მკლავებით გადასჭდობია...
— ეჰა, ბეჩავო, ძაღლი ძაღლია,
მაგრამ ზოგიერთ კაცსა სჯობია.
მკერდს ჩემი მტრობა დაგიმჩნევია
და ქვად ქცეულხარ.
გული დაგცლია.
ის ცხვარი განა მარტო ჩემი...
ეს შენიცაა და... ყველასია

თუ მე მმტრობ, ცხვარმა რა დააშავა,
რა დააშავა, მითხარი ერთი!
არ უნდა იყო შიგნით შავშალა
და გარედან კი ცხვარივით თეთრი.
სახის იერი შეგცვლია, ვხედავ.
გულს დაგწოლია ბოლმა ფარული...
ეჰ, კარგი ძაღლი გყოლია მეტად,
ისწავლე მისგან ცხვრის სიყვარული. —
ეს უთხრა მხოლოდ უთურგაიძეს.
მზერა აანთეს მყისვე ორბებმა.
თორღვა პექასკენ ჯიქურ გაიწევს
და წინ ვეჰია გაბედულობენ.

შუა ღამეა.
წვრილნი ვარსკვლავნი
ვერ ეტევიან და ცას წყდებიან.
ძაღლის წკავწკავი გულმოსაკლავი
მშვიდად მძინარსა მთებს მოსდებია.
ვეჰიას ესმის ფარეხის ახლოს;
— ფუი, გამჩენი გაგიწყდეს, ძაღლო.
ისევ გინება,
შოლტის შხუილი,
მთებზე კი მთვარის უხვი შუქია.
იმედა გარბის სადღაც ყმუილით,
რას ერჩის თორღვა, ვერ გაუგია.

5.

მწყემსი დასცქერის მაღლით ომალოს.
ტანივით მდგარი ფიქრში გართულა.
ყისმათმა რატომ მომინდომაო,
რომ მევლო ასე უკულმართულად.
დგას, მოღუშული მწყემსი ტიალად,
შერუჯული აქვს სახე მზისაგან.
მთა ოვითმფრინავმა გადაიარა
და გაეშურა კახეთისაკენ.
ცად მოელვარე რკინის ფრთებია.
იგი შორს სადღაც ეშვება ნებად
და თორღვა წერტილს მიშტერებია.
წერტილს, რომელიც სივრცეში ქრება.
ფიქრობს:
ვის არგებს ქალი სწავლითა,
ნანელო ქალაქს რისთვის წავიდა?
თითქოს გაეხსნა დიდი იარა,
გულზე აწვება დარდი მხედარსა.
ინანა,
როგორ დააგვიანა.
რა იქნებოდა, რომ მოეტაცა.
შემოდგომის მზე მთებზე ადგება,
საჯიხვეები ნისლებს ელიან,
უთურგაიძეს ესმის სიმღერა,
ეს ხმა წინათაც მოუსმენია:
— სად ყავ სადა, თავნებავ,
გვიან მოსულხარ შინაო,
ნეტავი გამაგებინა,
ცეცხლი ვინ გაგიჩინაო!
როდემდე გინდა, თავნებავ,
თავის ნებაზე იარო?
— რა ვქნა, საყურე დავკარგე
და გორგას უპოვიაო.

— რაინაულო, რა მოგივიდა,
რად არ იძლევი სალამს რიგიანს.
—თორღვავ, რას მხვდები ყაჩალივითა.
რას მისაფრდები, ვერ გამიგია.
— ბალღო, შენ გსურდა ჩემი სახელი
გზად შეგხვედროდა პირლაფიანი.
მაინც დავდივარ დაუძრახველი.
ვერ მომაყენე მაინც ზიანი.
ვინ დაგიჯერებს, სულელო ბალღო.
თითქო გიმუხთლე მწყემსმა ავდარში.
ჩემმა მზემ, უნდა მიმადლო ახლა,
ჩემმა მზემ. რისხვას კარგად გადარჩი!
ჩემთვის დაგეთმო ქალი, გეჯობდა.
მისი ღიმილი შეგრჩა წვალებად.
ერთი მითხარი. შენსა ბიჭობას,
საით გაგექცა შურთხისთვალება?
— ნანელო შენთვის იქცა ციხედო
და გირჩევნია ცოლ-შვილს მიხედო.—
გაჯავრდა თორღვა,
წარბები შეკრა,
გადაუქნია მათრახი ბექას.
რაინაული გადახტა განზე
და აიცდინა მათრახი ასე.
არ მოელოდა ბექა. — გაფითრდა,
თორღვა მოახტა ცხენს და გაფრინდა.
თავს აქნევს,
ჭწარედ ილიმის მწყემსი
და ბოლმას გულში იკლავს თავისთვის.
— ბექა, ვიხუმრე, — შორიდან
ესმის, —
ბალღი ხარ, შენზე ხელს არ გავისვრი.

6

თითქოს თეთრ ღრუბლებს მირეკავს
ქარი.
ან თითქოს მთები თეთრად მონისლეს.
ᲗᲘᲗᲐᲗᲣᲨᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ.
ᲛᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝᲓ ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡᲙᲔᲜ.
ᲗᲔᲗᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ
და დიდი მიწა უნისლოდ მდგარი.
რაინაული უკან ჩამორჩა,
ᲙᲕᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲙᲔᲡ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲛᲐ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ.
ᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲫᲐᲠᲚᲕᲨᲘ ᲣᲩᲥᲔᲤᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ.
ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲚᲐᲚ ᲛᲗᲘᲓᲐᲜ ᲦᲔᲚᲕᲘᲗᲚᲘ.
ᲛᲣᲠᲝᲛᲔᲪᲘᲕᲘᲗ ᲓᲒᲐᲡ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲗᲔ
ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲘᲩᲠᲓᲘᲚᲐᲕᲡ ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲡ
ᲮᲔᲚᲘᲕᲘᲗ.
—როცა გარშემო არვინ ხმაურობს
და, როცა ირგვლივ სიწყნარე არის,
ᲕᲘᲜ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲘᲜᲐᲣᲚᲝ,
რატომ გაგრძელდა სივრცეში თვალი?
თქვი, რა იხილე, ძმაო, აქედან,
რომ მოგეახლა ფიქრი ულევი?
დახედე მიწას,
კარგად დახედე,
ᲢᲧᲕᲘᲐ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲜᲐᲤᲔᲮᲣᲠᲔᲑᲘ.
ᲡᲘᲡᲮᲚᲡ ᲨᲔᲔᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘ,
ᲒᲔᲖᲔᲚ ᲥᲝᲠᲘᲕᲘᲗ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲓᲐᲰᲧᲘᲝᲓᲐ.
ᲗᲣᲠᲛᲔ ᲛᲝᲔᲙᲚᲐ ᲝᲪᲘ ᲕᲔᲠᲐᲒᲘ,
ᲣᲕᲐᲥᲙᲐᲪᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲘᲝᲓᲐ.
ᲛᲐᲨᲘᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲐᲚᲚᲘ ᲘᲧᲐᲕᲘ
და არ გინახავს ავი გრიგალი.
შენ გზრდიდა მთაში მთელი სოფელი.
ᲒᲔᲤᲔᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ.
ᲐᲮᲚᲐ ᲣᲜᲘᲡᲚᲝ ᲪᲐᲐ ᲙᲐᲛᲙᲐᲛᲐ
და მზე ამოდის დიდი დიდებით.
აქ მამაშენმაც გზები გაკაფა,
რომ გზებზე მუდამ გევლო
ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ.

7.

ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲓᲔᲕᲜᲔᲑᲘᲐ.
ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲘᲰᲭᲠᲘᲐᲜ, ᲗᲕᲔᲔᲑᲡ ᲐᲕᲡᲔᲑᲔᲜ.
ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲡ ᲪᲘᲡᲥᲕᲔᲨ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ
ᲒᲐᲡᲗᲔᲜᲔᲑᲘᲐ.
ᲓᲐᲚᲐᲛᲔᲑᲘᲐ ᲪᲘᲡᲥᲕᲔᲨ ᲐᲡᲔᲕᲔ.
ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐᲡ ᲒᲐᲠᲯᲐ ᲡᲬᲘᲠᲓᲔᲑᲐ
და დიდ გარჯაში დღეები ამდის.

— უქმად რად ზიხარ,
ადე, გაინძერ. —
ᲕᲔᲰᲘᲐ ᲔᲢᲧᲕᲘᲡ ᲣᲗᲣᲠᲒᲐᲘᲫᲔᲡ.
— ᲒᲣᲚᲨᲘ ᲛᲭᲘᲠᲡ ᲑᲝᲚᲛᲐ, ᲩᲔᲛᲝ ᲕᲔᲰᲘᲐ.
ᲣᲪᲜᲐᲣᲠ ᲓᲐᲠᲓᲡᲐ ᲓᲐᲕᲣᲛᲔᲮᲘᲕᲐᲠ.
ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲠᲐᲧᲘᲤᲡ ᲓᲐᲕᲣᲕᲚᲘ. —
ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲠᲐᲘᲜᲐᲣᲚᲘ.
— ᲒᲝᲜᲡ ᲛᲝᲓᲘ, ᲗᲝᲠᲚᲕᲐᲕ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲒ
ᲐᲠᲘᲡ,
ᲜᲣ ᲮᲐᲠ ᲣᲠᲩᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲐᲠᲘ.
ᲗᲝᲕᲚᲘ ᲗᲝᲕᲡ,
ᲒᲐᲠᲔᲗ ᲑᲝᲚᲑᲝᲥᲠᲝᲑᲡ ᲥᲐᲠᲘ.
ᲨᲔᲜ ᲓᲐᲒᲘᲬᲧᲕᲘᲐ ᲣᲥᲛᲐᲓ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ.
ᲑᲐᲚᲐᲮᲡ ᲓᲐᲔᲫᲔᲑᲡ ᲛᲨᲘᲔᲠᲘ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ.
ᲓᲐᲗᲝᲕᲚᲘᲚᲘᲐ ᲗᲔᲗᲠᲐᲓ ᲕᲔᲚᲔᲑᲘ.
ᲐᲠ ᲛᲝᲕᲡᲬᲠᲔᲑᲘᲕᲐᲠ ᲐᲡᲔᲗ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲡᲐ.
ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲣᲠᲩᲔᲑᲐ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲐᲕᲓᲐᲠᲡᲐ.
ᲡᲐᲓ ᲒᲐᲕᲐᲛᲮᲘᲚᲚᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲐ.
ᲠᲐᲘᲜᲐᲣᲚᲛᲐ, ᲑᲐᲚᲚᲛᲐ ᲒᲕᲐᲯᲝᲑᲐ.
ᲛᲘᲡᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲕᲔ ᲫᲐᲚᲐᲡ
ᲐᲠ ᲘᲛᲣᲠᲔᲑᲓᲐ. —ᲗᲘᲑᲐᲕᲓᲐ ᲑᲐᲚᲐᲮᲡ
და ახვავებდა ცხვრისათვის მარაგს.
— ᲛᲐᲗᲘ ᲜᲐᲗᲘᲑᲘ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲐᲪ ᲓᲐᲚᲞᲐ,
ᲬᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲚᲞᲔᲑᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ.
— ᲕᲐᲰ, ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲐᲪᲐᲐ ᲓᲝᲚᲘ.
ᲬᲐᲛᲝ, ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲮᲛᲝᲑᲔᲜ ᲛᲒᲝᲜᲘ.—
ᲣᲗᲣᲠᲒᲐᲘᲫᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ ᲛᲝᲪᲣᲚᲐ
და ჯურღმულივით ბნელი გული აქვს.
ᲜᲔᲢᲐ ᲜᲐᲜᲔᲚᲝ ᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐ,
ᲨᲝᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲚᲘᲐ?
ᲘᲥᲜᲔᲑ ᲘᲪᲠᲣᲔᲡ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲛᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ,
ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲐᲠᲐ,
ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲡᲯᲔᲠᲐ.
ᲖᲘᲡ
ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲘᲕᲘᲗ ᲣᲜᲓᲝ და ᲥᲣᲨᲘ
და ᲔᲚᲕᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲣᲔᲚᲐᲕᲡ ᲛᲖᲔᲠᲐ.
ᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲡ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲠᲔᲑᲐ
და ფიქრი, როგორც ტყვია, მძიმეა.
თორლავამ არ იცის, შურთხისთვალება.
რომ მომავალი ᲕᲔᲢᲔᲥᲘᲛᲘᲐ,
რომ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საძოვრებზე სწავლა გრძელდება.
თორღვა ცხოვრებას უმზერს შორიდან
და ვერ გაიგებს, — გაუძნელდება.
წამოდგა თორღვა და გულს შეება,
ღია კარიდან ქარბუქს გაჰყურებს.
წავა,
გადავა მონამგლეებთან,
შურთხისთვალებას მოინახულებს.
და მერე... იქნებ... იქნებ ვინ იცის,
მას მოანატროს თორღვამ თბილისი.
გახედოს ქალმა გზას სინანულით,
ვერ დაინახოს რაინაული.
მიდის და...
სიმწრის ოფლი დაესხა,
სახეზე ცეცხლის მოედო ალი,
იქვე მახლობლად ცხვარი დაეცა,
მწყემსს მიაშტერა საბრალოდ თვალი.
ქარი და თოვლი,
თოვლი და ქარი
და კიდევ ერთი დაეცა ცხვარი.
გაგიჟებული დაჰყურებს თორღვა
და, როგორც მწარე სიზმარში,
ბორგავს.

თოვლი თოვს,
ქარი აღარა ცხრება,
ცად ატანილი თოვლის შვავია,
უთურგაიძეს მშიერი ცხვრები,
ირგვლივ ერტყმიან და შეხლავიან.
თორღვა სიმწრისგან დაიჭამს ბაგეს,
გადაიქცევა მხოლოდ თვალებად,
ხელით მოიწმენდს ოფლიან სახეს,
მიდის და თითქოს მიიპარება.
თითქოს კი არა, მწყემსი ნამდვილად
მიიპარება,
ცეცხლი ედება,
როგორც ღრუბელი, შიში გაზრდია,
მირბის და უკან არ იხედება,
შიში კიდევ და კიდევ იზრდება,
მირბის თორღვა და ქარბუქი მიაქვს,
თან ეჩვენება: ცხვრები მისდევენ,
ცხვრები მისდევენ ბღავილით: გვშია!
სად არის თოვლი? ცხვარია მხოლოდ,
თოვლად გაშლილი... — სად გაექცევა?
მწყემსი ეცემა სადგომის ბოლოს,
წამოდგება და ისევ ეცემა...

უთურგაიძეს ჯანი დასცლია,
თოვლში გდია და თოვლი აცვია.
მოხვეტილ ადგილს ცხვარი ესევა
და ასუფთავებს ხელისგულივით.
რამდენი უნდა ხვეტონ მწყემსებმა.
წელამდე წვდებათ თოვლი ულევი.
კაცის ხელს ბევრი რამ შეუძლია.
მაგრამ ყველაფერს თავის ზღვარი
აქვს.
ჯაფაში მწყემსებს დაღლა უგრძვნიათ,
თოვლს მაინც ხვეტენ და იჩქარიან.
აბა, ზღვას როგორ ამოცლი პეშვით.
დაქანცულები თოვლში წვებიან.
ისე საოცრად დაღლილან მწყემსნი,
რომ თორღვა არც კი გახსენებიათ...

უცებ ვეჰიამ გასძახა ბიჭებს —
— ერთი, გახედეთ, ვინ მოაბიჯებს?
ზღვა სიხარული გულში იჭრება,
გულში იჭრება, როგორც სინათლე.
— ცხვარს დაუყარეთ თივა, ბიჭებო.
ძმურად გავყავით და გიწილადეთ.
მოვიდა ბექა გულით ალალით,
მწყემსთა თვალებში შუქი იალებს.
— გზები არ არის, გზები არ არის
და ამ ქარბუქში უგზოდ ვიარე.
რაინაულთან ვეჰია მივა,
ცრემლი ერევა,
არ იცის რისგან...
მწყემსებმა ცხენებს ჩამოხსნეს თივა
და გააქანეს დამშეულ ცხვრისკენ.

ბექა უბეში ბატკნებს ათბობდა,
წელამდე თოვლში გზას მიარღვევდა.
დახედა,
თორღვა გდია სადგომთან,
გაოცებულმა ისევ დახედა.
გაიქცა,
ეძებს სადგომში არაყს,
წაქცეულ მწყემსთან მოირბენს
სწრაფად.
(თორღვა წევს თოვლში და თოვლი
ფარავს,
თავი ლოგინში ჰგონია, ალბათ).
არაყს ნელ-ნელა აწვეთებს ბაგეს.

მერე არყითვე დაუზელს სახეს,
გონდაკარგული წამწამებს არხევს...
წამოიჭრება უეცრად ზეზე,
თვალებით თითქოს რაღაცას ეძებს.
იქნებ უმტყუნეს თორღვას თვალებმა,
იქნებ ძილშია და ეზმანება?..
რა ქარხუქია,
რა ავდარია,
გადაქცეულა ზეცა ხელადა,
უთურგაიძე რამ გადარია,
რა დაეხიზმრა,
რა მოელანდა?!
გაგიქებული თოვლსა ხვეტს ნიჩბით,
ოფლი სდის ღვარად,
ძალა ელევა,
ნუთუ ვერ ხედავს,
ნუთუ არ იცის,
ამდენ თოვლს კაცი ვერ მოერევა,
ნუთუ არ ესმის გუგუნი-შორიო,
ეგეების თორღვა არ ამჩნევს განგებ,
რომ თოვლში გზები კეთდება სწორი
და თივა მოაქვს ცხვრისათვის
ტანკებს.
ვერ გრძნობს,
ვერ ხედავს,
არ ესმის.
არა,
უნდა უჩვენოს მწყემსებს კაცობა, —
მეც მაქვსო გული,
მეც მაქვსო ძალა,
ნახონო,
ვხვეტო ცხვრისთვის საძოვარს!..

დასასრული

გაბრწყინებულა ველი მზისაგან,
ცხვრის ფარეზია, განა თოვლია,
მოეშურება ცხვარი მთისაკენ
და მთა აქედან შორზე შორია.
ძთებს იქით მთები.
კიდევ მთებია,
თეთრი ნისლები ხევებს ავსებენ,
მწყემსს ცისქვეშ ბევრჯერ დაღამებია,
გასთენებია ცისქვეშ ასევე.
ვერ მივა მწყემსი უცხვროდ მამულში,
ცხვარია მწყემსის სინდის-ნამუსი.
ვინც გასაჭირში ცხვარს მიატოვებს,
მასზე ამბობენ: გული დასცლია.
კარგ მწყემსს ყოველთვის ცხვარზე
ატყობენ.
რა კაცია და რა ვაჟკაცია.
გაზაფხულია.
წკრიალებს წყარო
და ნიავქარის ისმის ფრთების ხმა,
შენი გაწყვეტა ვინა თქვა, ცხვარო,
გამთეთრებელო მაღალ მთებისა.
მთათა მაღალთა სიცოცხლით ავსებ,
დგანან,
ელიან შენსა ამოსვლას,
ისევ შეჩნდები ვეშარის თავზე,
ისევ მიუხვალ საგინწყაროსა.
გაზაფხულია.
მოვიყვანეო,—
ამბობს აპრილი. — ბინდი თბილი.
უთურგაიძე ხედავს: ნანელო
ბექასთან ერთად მიჰყვება ბილიკს.
ბილიკს მზის სხივი ქარვად ადნება
მერე დალალებს ხევებში ჩაშლის,
უთურგაიძე შეტრიალდება,
ცხვრის ფარას დინჯად გაჰყვება
მთაში.
გაზაფხულია.
ვიცან ღიმილზე
ნაზი ყვავილი მთისა — პირიმზე,
ღიმება და ნელა ნანაობს, —
სხვა რომელია ჩემისთანაო?
როცა პირიმზეს გადაჰკრავს სხივი,
რატომ მაგონებს ნანელოს ღიმილს?

ალიო ადამია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უძიღო ღამე

★

დრამა 4 მოქმედებად, 7 სურათად

მოქმედი პირნი:

ჯიმშერ ხიდაშელი—ისტორიკოსი. პროფესორი, 55 წ.
ელისაბედ—მისი მეუღლე, 45 წ.
არკადი — მათი ვაჟიშვილი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტი, 27 წ.
ნინო—მათი ქალიშვილი, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, 22 წ.
სილოვან გვერდწითელი—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, 60 წ.
ივანე ამაშუკელი—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, 45 წ.
ნიკოლოზ დიდებულიძე—პროფესორი, კათედრის გამგე.
ლევან ტაბატაძე—დოცენტი, ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი.
ნელი, ციალა—ნინო ხიდაშელის მეგობრები.
ლეილა—სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომელი, არკადი ხიდაშელის ამხანაგი, 27 წ.
დადაში—სილოვან გვერდწითელის ვაჟი, 25 წ.
მანანა სიდამონიძე—კონსერვატორიის ასპირანტი, 24 წ.
არჩილ ხოტივარი—სოფელ ვაშლოვანის კოლმეურნეობის აგრონომი, 30 წ.
უშანგი ხოტივარი—არჩილის მამა, მეტყევე, 60 წ.
ვიქტორ ჯანელიძე—სოფ. ვაშლოვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 40 წ.
გულასპირ წკრიალაშვილი—ვაშლოვანის კოლმეურნეობის მოანგარიშე, 45 წ.
სალომე ქიმერიძე—კოლმეურნე, 40 წ.
ვარა მანოშვილი—კოლმეურნე, 25 წ.
ევდოკიმე დოხნაძე—კოლმეურნე, 50 წ.
I და II მოქმედება მიმდინარეობს თბილისში, III და IV — სოფელ ვაშლოვანში.

ზოგიერთი მოქმედი პირის დასახასიათებლად

გულასპირ წკრიალაშვილი—შრომისმოყვარე და ენაწყლიანი. ადრე გაქაჩლებული, ამის გამო ყოველთვის „სუფთად" არის გაპარსული. იგი მუდამ მოძრაობს, ხშირად იხდის მადლობას მისალმების დროსაც კი. მარჯვენა ხელის შუა თითი ტუჩთან მიაქვს—თითქოს კოცნის და წარმოთქვამს: „გმადლობთ, დიდად გმადლობთ", და ოდნავ უკან იხევს.

არკადი ხიდაშელი—პროფესორების მიერ გათამამებული ახალგაზრდა. იგი წინასწარ დარწმუნებულია გამარჯვებაში. ლაპარაკობს თამამად და ოდნავ ქედმაღლურად.

მანანა სიდამონიძე—ამაყი. თავი მისწონს სილამაზით, ხშირად იხედება სარკეში. უყვარს არკადი. ვადაწყვეტილი აქვს გაჰყვეს ცოლად, მაგრამ, როდესაც არკადი მარცხს განიცდის, ორპირობს და ცდილობს დაარწმუნოს, რომ მათი სიყვარული ამხანაგურია, მეგობრული.

მსახიობმა ისე უნდა ითამაშოს მეორე მოქმედებაში, რომ მანანას გულწრფელობაში მაყურებელი არ დაეჭვდეს.

ევდოკიმე დოხნაძე—ვითომ „მოუხერხებელი მლიქვნელი". თავს იკატუნებს, ნამდვილად კი ყველაფერი იცის და ყველაფერში ჩინებულად ერკვევა. თანხმობის ნიშნად ხშირად წარმოთქვამს „ოოო"-ს, ხოლო როცა მოსაუბრის აზრს არ ეთანხმება. არ უცდის წინადადების დამთავრებას და გაბმულად ამბობს—აა!

სილოვან გვერდწითელი—ფიცხი, თავისთავში უაღრესად დაჯერებული.

ვარა მანოშვილი—ლაპარაკობს გაბედულად და სხაპასხუპით. წინადადებიდან ერთ სიტყვის წარმოთქმისას ცოცხრავებს მარჯვენა ხელს და საჩვენებელი თითით ქვეცქვეშ წერს ასო „ე"-ს, ამით თითქოს ასაბუთებს და ხაზს უსვამს თავისი აზრის სისწორეს.

უშანგი ხოტივარი—ოდნავ განაწყენებულია შვილზე. მაგრამ არ ამხელს, მხოლოდ ერთხელ წამოცდება — „ხანდახან ფამის გულშიც ჩაიხედეთ"... განათლებული. ცხოვრებაში ღრმად ჩახედული და ტყეზე საოცრად შეუყვარებული ბერიკაცი. მისი საუბრის კილო უშუალოა, გულთბილი. მას აქვს მოხდენილი წვერი, რომელსაც საუბრის დროს ხშირად „ივარცხნის" მარცხენა ხელით.

ივანე ამაშუკელი—ძს პიესაში მხოლოდ ორი ფრაზა აქვს: „ეს უსამართლობაა!". ნახავს პროფესორ გვერდწითელის უსამართლო მოქმედებას ავტორიმ არჩილ ხოტივარის მიმართ. მისი მოძრაობა ამჟღავნებს დიდ შინაგან მღელვარებას. მაგრამ იგი ვერ ახერხებს თავისი აზრის გაბედულად გამოთქმას. ზედმეტ მოკრძალებას იჩენს „ავტორიტეტების" წინაშე.

მოქმედება პირველი

პირველი სურათი

ჯიმშერ ხიდაშელის ბინა. თენდება. დიდი დარბაზი. არკადი ზის ფანჯარასთან. თავი ხელებში აქვს ჩარგული. ფანჯარა ღია. არკადი თანდათან ფხიზლდება. დგება. ფანჯარაში იხედება.

არკადი — გათენებულა! ცისკარმა ალმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება! მართალია, ნამდვილი!

ელისაბედი — (მეორე ოთახიდან) არკადი, უკვე ადექი?

არკადი — ცას სიხარული მოჰფენია და ქვეყანასაც მშვენება! თვითონ დედამიწაა მშვენება... როგორ ზომიერად ზრდის და ასრულებს ყოველივეს...

(შემოდის ელისაბედი)

ელისაბედი — რატომ არ გამაფრთხილე, შვილო, წუხელ, ადრე მოგიმზადებდი საუზმეს!

არკადი — (ოდნავ შეკრთება) არა ღმავს...

(ელისაბედი გადის მეორე ოთახში. მცირე ხნის შემდეგ ისევ შემოდის).

ელისაბედი — ეს რას ნიშნავს, შვილო, მთელი ღამე არ დაწოლილხარ, არ გძინებია?

არკადი — არა, არა! ვიწექი და მეძინა! ტკბილად მეძინა და ჩინებული სიზმარიც ვნახე. (პაუზა) თითქოს ჩვენი ნინო დადინჯებულიყო, ციდან დედამიწაზე ჩამოფრენილიყო და ჩვეულებრივი ადამიანის თვალით...

ნინო — (მეორე ოთახიდან ისმის მისი ხმა) შეგიძლია კვლავ დაიძინო და უკანვე წაიღო სიზმარი. ცაში მე კი არა, შენ ცხოვრობ. (შემოდის თმადაუვარცხნელი. გაბრაზებით) უსაქმო ხალხს ესიზმრება სიზმარი.

არკადი — (მიუახლოვდება. ხელებს სახეზე შემოხვევს და თვალებში აცქერდება) რა ჩინებული სიზმარი იყო! ანჩხლი სახის ნაცვლად დინჯი და სათნო სახე გამოგსახოდა. ქუთუთოებიც უფრო ლამაზი გქონდა და იმ ლამაზ ქუთუთოებში ჭკვიანური თვალები ჩამსხდარიყვნენ... აი, შე ეშმაკო. შენც არ გეძინა წუხელ?

ნინო — (დაყვავებით) არ მეძინა, არკადი! ვერ დავიძინე. ვიელავ...

ელისაბედი — (ნინოს) გასწი შენს ოთახში! ერთი სარკეში ჩაიხედე, რას ჰგავხარ! (დამარცვლით) ვიელავ... მღელვარება, მეშინია... არაა საჭირო შენი შიში და მღელვარება!

(ნინო გადის მეორე ოთახში).

არკადი — შენ, შენც ხომ ფხიზლობდი, დედაჩემო. შენც ხომ არ გეძინა? გატყობ, შენც გეშინია. ცდილობ, დამალო მღელვარება. მაგრამ თვალები გამხელს.

ელისაბედი — სცდები! მე თუ

ეფიქრობდი — სტუმრების გამო. ვინ-�ე არ გამოგვრჩეს.

ა რ კ ა დ ი — ჩემი მეგობრები თვითონვე მოვლენ, გაუფრთხილებლად, მამაჩემის მეგობრებს კი საჭიროა ვთხოვოთ.

ჯ ი მ შ ე რ ი — (კარებში გამოჩნდება, შუბლზე ხელს მოიჩრდილებს) დილა მშვიდობისა, სახლიკაცებო! (პაუზა) ჩემს ამხანაგებს მევე მოვუვლი... ოღონდ ამ დილით რა საჭიროა ეს პაექრობა? საღამომდე ჯერ კიდევ დიდი დრო არის.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — დიდი დრო!

ჯ ი მ შ ე რ ი — დიახაც რომ დიდი დროა! არ მიყვარს ეს წინასწარი ფაციფუცი! ქალებს ხომ მოსვენება არ შეგიძლიათ: ეს სად დავდგათ, ეს სად ჩამოვკიდოთ, სუფრის თავში ვინ დაჯდეს! წვრილმანია ყოველივე ეს... უმთავრესი ყოველთვის — სიმშვიდეა. დიახ, სიმშვიდე! (სავარძელში ჯდება. ელისაბედი ოთახიდან გადის) ახლოს მოდი, არკადი, აი, აქ დაჯექი! (არკადი ჯდება სავარძელში, ჯიმშერი თავს ხელებში ჩაირგავს) ცხადია, შენ არ ღელავ. (პაუზა) მე წუხელ გავეცანი რეცენზიებს. (ჯიბიდან ამოაქვს ქაღალდი. აკვირდება) მართალი რომ ვთქვა — გადაჭარბებული ქებაა, განსაკუთრებით პროფესორ გვერდწითელისა.

ა რ კ ა დ ი — გვერდწითელი ხომ ამ საქმის დიდი მცოდნეა, მას კაპიტალური შრომა აქვს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხზე... ის...

ჯ ი მ შ ე რ ი — (აწყვეტინებს) არ ვეხები მის ცოდნას! მე ამ საქმისა მცირე რამ გამეგება! მე ვამბობ რეცენზიის ხასიათის, სტილის შესახებ! (კითხულობს) „საკითხი ჩინებულად არის გაშუქებული... სადისერტაციო შრომა ბრწყინვალე შენაძენია... არათუ ძირითადი თემა, არამედ სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც დაყენებულია და გადაჭრილია ბრწყინვალედ... ავტორს შეეძლო ეს თემა თამამად წარმოედგინა სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად...“ მე არ მომწონს ასეთი. მართლაც გადაჭარბებული, შეფასება!

ა რ კ ა დ ი—თუ შრომა ასეთია...

ჯ ი მ შ ე რ ი — შენ გვერდწითელის სტუდენტი იყავი. მერე მისი ასისტენტი; საკუთარი შრომის ნაყოფს ასეთი ქება არ შეშვენის. თავდაჭერილობა ეჯობებდა.

ა რ კ ა დ ი — მე, მამაჩემი...

ჯ ი მ შ ე რ ი — ყური დამიგდე! მე შენი ხნისა ვიყავი, როცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიცავი დისერტაცია. რეცენზიები ჩემს შრომაზე არ იყო ასეთი ბრწყინვალე. მაგრამ პაექრობამ მართლაც რომ ჩინებულად ჩაიარა...

ა რ კ ა დ ი — ისტორია სხვა მეცნიერებაა, — აქ მექანიზაციასთან, ზუსტ მეცნიერებასთან გვაქვს საქმე. ისტორიაში ხომ...

ჯ ი მ შ ე რ ი — (აწყვეტინებს) ცდები! სასტიკად ცდები! ყველანი ცდებიან. ვინც ასე ფიქრობს! მეცნიერება მეცნიერებაა, სიმართლეზეა ყველა მეცნიერება დაფუძნებული... ისტორია! ისტორია ზღაპარი ხომ არ გგონია! ნამდვილი, სწორი ისტორია ზუსტ ფაქტებს ეყრდნობა, მას ისეთივე კანონები აქვს, როგორიც თქვენს მექანიზაციას და მანქანებს. დიახ, დიახ, ასეა ეს!.. (წამოდგება და გაივლ-გამოივლის. დროგამოშვებით წარმოთქვამს: „ისტორია! დიახ, ასეა ეს!“ არკადისთან მივა, თვალებში აცქერდება. შემოდის ელისაბედი).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ჩანს, გრძელდება პაექრობა... ამის დრო კი არ არის! გთხოვთ საუზმეზე გვეწვიოთ.

ჯ ი მ შ ე რ ი — პაექრობის დრო ყოველთვის არის, ქალბატონო ელისაბედ! დიახ. ასეა ეს. ისტორია! დიახ. ისტორია! წავიდეთ.

(მეუღლესა და შვილს მკლავებს გაუყრის. გადიან. მცირე ხნის შემდეგ ისმის ზარის ხმა. წვრილი ხმა გარედან: „ნინო!“ ზარი მეორდება. კარი გაიღება და გამოჩნდება დადაში. მას ყვავილების დიდი თაიგული უჭირავს ხელში. ისევ დაიძახებს „ნინო!“ პასუხი არ არის. დადაში მიახურავს კარს და უფრო ხანგრძლივად რეკს ზარს. შემოდის ელისაბედი და აღებს კარს).

დ ა დ ა შ ი — ბოდიში, ქალბატონო ელისაბედ... პირველს მინდოდა მომელოცა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი—მობრძანდით, სწორედ კარგი დროა. ჩვენები საუზმობენ...

დ ა დ ა შ ი — მე მხოლოდ წუთით. პაექრობას ვერ დავესწრები, კონსერვატორიაში აუცილებელი საქმე მაქვს, ამის გამო მოვედი ასე ადრიანად! კიდევ ბოდიში, ქალბატონო ელისაბედ, დიდი ბოდიში.

ნ ი ნ ო — (მეორე ოთახიდან) დედა, ვინ არის? (ნინოს ხმაზე დადაში შეკრთება და საყელოს ისწორებს).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — გამობრძანდი და ნახავ!

ნ ი ნ ო — (შემოდის) ოო, სანატრელი სტუმარი! დილა მშვიდობისა! (ხელს ართმევს. მაგიდაზე ყვავილების თაიგულს შეამჩნევს) ყვავილები... ეს ყვავილები უთუოდ მე მომიტანა, არა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — შენ რისთვის? სწორედ რომ შენი არ არის!

(დადაში იღიმება).

ნ ი ნ ო — მაშ, არკადის არა? (პაუზა) მამაკაცებს ყვავილები რად უნდათ?.. ყვავილები ჩვენ გვეკუთვნის, ქალებს.

(ელისაბედი თაიგულს აიღებს).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — და ამიტომაც მე მომართვეს. (გადის)

დ ა დ ა შ ი — (მოკრძალებით) თქვენ თქვითონ ყვავილი ხართ... (ნინო მკაცრად გამოხედავს) არა, ქალიშვილები ყვავილებს ჰგვანან, როგორც... მაგალითად, თქვენ. მე უფრო ამიტომ მიყვარს ყვავილები...

(შემოდის არკადი).

ა რ კ ა დ ი—ბულბულს გაუმარჯოს! (დადაში იღიმება) მჯერა, დღეს სიმღერით მოალხენ ჩვენს სტუმრებს.

დ ა დ ა შ ი — მინდოდა პირველს მომელოცა. მგონი ყველას დავასწარი!

ნ ი ნ ო — არა! მამათქვენმა რამდენიმე წუთის წინ დარეკა... მიულოცა, როგორც მთავარმა ოპონენტმა, და ადგილიც სუფრის თავში დაიბევა. (დადაში კმაყოფილების ნიშნად იღიმება).

ა რ კ ა დ ი — მადლობელი ვარ. ეპსშამზე არ დაიგვიანო! ნინოს როიალი და შენი ხმა — ეს ხომ მთელი კონსერვატორიაა!

(არკადი გადის ოთახიდან).

დ ა დ ა შ ი — ის ყვავილები თქვენ გეკუთვნით, ნინო... მამამ მირჩია მოვსულიყავი თქვენთან, პირველს მომელოცა.

(ისმის ზარის ხმა. ნინო სწრაფად მიიჭრება კართან. შემოდიან ელისაბედი, ლეილა. ყველას თაიგულები აქვს ხელში. ნინოს კოცნიან).

ნ ე ლ ი — ოო, მომავალ ბულბულს უმდაბლესი სალამი! (დადაში იღიმება. საყელოს ისწორებს).

ც ი ა ლ ა — რატომ მომავალს! იგი ახლაც ბულბულია. (დადაში იღიმება და ხელები გულთან მიაქვს).

ნ ი ნ ო — ვთხოვოთ ბულბულს გვიმღეროს!

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი — (ერთხმად) გვიმღერე, გვიმღერე!.

დ ა დ ა შ ი — კონსერვატორიაში მეჩქარება... ოდნავ გაციებულიც ვარ. თორემ...

ნ ი ნ ო — არა, უსათუოდ! აუცილებლად უნდა გვიმღერო! (როიალთან ჯდება) აი, მე ვუკრავ.

დ ა დ ა შ ი — დედას გეფიცებით, კონსერვატორიაში მეჩქარება. აი მივდივარ! ნახვამდის! ამალამ კი... ამალამ ვიმღეროთ და ვიმხიარულოთ.

ლ ე ი ლ ა — არა! სწორედ ახლა! აუცილებლად ახლავე!

ნ ი ნ ო — მე გთხოვთ, დადაშ!

დ ა დ ა შ ი — (ყოყმანობს) რა გაეწყობა... დაუკარი „მე შენ გელი“.

ლ ე ი ლ ა — არა! რამე უცხოური. აი, თუნდაც „აფრიდონი ბალკონ“.

დ ა დ ა შ ი — არავითარ შემთხვევაში! ამას თქვენს ქორწილში ვიმღერებ. ნინო, დაუკარი „მე შენ გელი“.

ლ ე ი ლ ა — არა, არა! თუნდაც „ო, მარი“. გთხოვ. ნინოს სახელითაც გთხოვ — „ო, მარი“.

დ ა დ ა შ ი — რა გაეწყობა. კარგი! (ნინო უკრავს. დადაში მღერის. სიმღერის ხმაზე შემოდიან ელისაბედი, ჯიმშერი და არკადი. დადაში სწყვეტს სიმღერას და გარბის) საღამომდე! მაპატიეთ, კონსერვატორიაში მიმეჩქარება!

(მიდის. ქალიშვილები ესალმებიან ელისაბედს, ჯიმშერს და არკადის).

ჯ ი მ შ ე რ ი — აბა, სიხარული! სიმხიარულე, ქალიშვილებო! ეს ხომ თქვენი საქმეა. აბა, თქვენ იცით, როგორ მასახელებთ! ნახვამდის! (მიდის).

ლ ე ი ლ ა — (გულთან ხელებს მიიტანს, ხმას ამგვანებს დადაშის ხმას) კონსერვატორიაში მიმეჩქარება, დე-

დას გეფიცებით... ამაღამ ვიმღეროთ და ვიმხიარულოთ. (ყველანი იცინიან. ხმას გამოიცვლის) ამაღამ შენი თავი არაა საჭირო, ბულბულო. აქ უფრო ხმატკბილი ბულბულები იქნებიან. (პაუზა) მე უსათუოდ ამაშუკელის გვერდით დავჯდები, არა, ქალბატონო ელისაბედ?

ნ ი ნ ო — რად გინდა ეს პატარა კაცი?

ლ ე ი ლ ა — პატარა ხელფასი არ ვარგა, თორემ მამაკაცს რა უჭირს... ისე გავაბრუებ, ისე მოვხიბლავ, ისე მოვხიბლავ, რომ... დღესვე შემომთავაზოს ხელი. განა დრო არ არის, ორმოცდაათი წლის კაცმა ქალი შეირთოს?

ა რ კ ა დ ი — ვეჰვობ, ასე ააჩქაროს ამაშუკელი!

ლ ე ი ლ ა — ავაჩქარებ, აუცილებლად ავაჩქარებ...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — რამ შეგაყვარა, შვილო, ეს ორმოცდაათი წლის ამაშუკელი?

ლ ე ი ლ ა — არ მიყვარს მე ახლანდელი ახალგაზრდები! დაგიახლოვდებიან, გეფიცებიან სიყვარულს—„როგორი მომხიბვლელი ხარ, ლეილა, მარტო სახელი ღირს ერთ ქალად! არა, მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია“... და საკმარისია, ორიოდე დღე მაგრად დადგე და იმავე სიტყვებს სხვას ჩაუმარცვლავენ... არა, მე ამაშუკელი მიყვარს... აი, აქ დაჯდება ვანო, აქ მე. ჯერ გავენაზები, თუ ყურადღება არ მომაქცია, მაშინ მე ვიცი, როგორც მოვიქცევი.

ნ ი ნ ო — მაინც როგორ?

ლ ე ი ლ ა — (პაუზა) არ შეიძლება, ბატონო დოცენტო, ის საცივი მომაწოდოთ... არა, ჯერ შემწვარი ქათამი, აი ხაჭაპურიც... მერე ვეტყვი — უთქვენოდაც ავიღებდი, მაგრამ თქვენი ხელით მოწოდებული მესიამოვნება! როგორ ფიქრობთ, ასეთი სიტყვები არ იმოქმედებს? ვითომ არ ააღელვებს? არა, უსათუოდ ააღელვებს და მერე მე ვიცი... რა ვქნა, მიყვარს ეს წყნარი და პატარა კაცი. (იცინიან).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი—წავიდეთ, შვილო, არკადი, თორემ ეს ქალიშვილები...

ლ ე ი ლ ა — თორემ ეს ქალიშვილები დღესვე შეგრთავენ ... ეულ!

შენ კი ჯერ ოცდაათ[illegible]ხარ. ჯერ ამაშუკელივით[illegible] ოცდაათი წლისა უნდა გახდე... და...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — წავიდეთ, არკადი! ცოტა დაისვენე მაინც.

(არკადის ხელს კიდებს და მიჰყავს მეორე ოთახში).

ლ ე ი ლ ა — წაადი. განაცვალე. დედიკოსთან წაადი...

ც ი ა ლ ა — არც ასე გადარევა ვარგა, ლეილა! განა ამაშუკელს მოეწონება ასეთი სითამამე?

ლ ე ი ლ ა — მოეწონება! თუ არ მოეწონება, გავჩუმდები. წარბებს შევიყრი და ვეტყვი — თქვენ ხართ ხე! თქვენ ხართ ქვა! თქვენ მამაკაცი კი არა, თქვენ ხართ უქმე... აი, რას ვეტყვი იმ შენს ამაშუკელს... მაგრამ ეს არ მოხდება. (პაუზა) არის ნიშნები...

ც ი ა ლ ა — მაინც?

ლ ე ი ლ ა — დიახაც. რომ ერთობ საყურადღებო ნიშნები... (პაუზა) რამდენიმე დღის წინ ინსტიტუტიდან მოვდიოდი, როგორღაც უკან მოვიხედე და ვხედავ ნელი, სულ ნელი ნაბიჯით მოდის ამაშუკელი. მეც შევანელე ნაბიჯი, სულ შევანელე. როგორც იქნა, დამეწია. მომესალმა.. გავუღიმე. მანაც ოდნავ გამიღიმა. მცირე ხანს მუნჯად ვიყავით. მივუახლოვდით მის სახლს და ენა ამოიდგა. (ხმას გამოიცვლის) ლეილა, თქვენ ყოველთვის ასე მარტო რატომ დადიხართ?.. ესე იგი მითვალთვალებს. არა? მითვალთვალებს ხომ? მე ვეუბნები — მარტობა მიყვარს! ის — არ ვარგა. რამდენი ახალგაზრდაა თქვენ ირგვლივ, ნუთუ... მე — მე ბუნება მიყვარს, პროფესორო. ეს ახალგაზრდები კი ინდუსტრიაზე არიან გაგიჟებულნი! მას გაეცინა. მერე თვალებში შემომხედა და ჩუმად მითხრა — ეს მომწონს! ბუნება გიყვარს? ეს ჩინებულია... (ხმას გამოიცვლის) მაშ, ასეა საქმე! რა ვქნა, მიყვარს და მიყვარს, ჩემი ივანე, ჩემი ვანო, ჩემი ვახიჩა. (იცინიან) აი, აქ დაჯდება ამაშუკელი. აქ მე. (სავარძელში ჯდება) ეს თაიგული კი აქ იქნება.. (გაბუტვით) პატარაა ამაშუკელი! იყოს პატარა. ხნიერია ამაშუკელი — იყოს ხნიერი! არც მე ვარ...

ც ი ა ლ ა — გადაგვჭამე თავი ამა-

შუკელით! გყავდეს! ახლა ამის დრო აღარ არის! ნინო, ჰბა მაჩვენე მოწვეულთა სია!

ნ ი ნ ო — დედა, დედიკო! (შემოდის ელისაბედი. ჯიბიდან იღებს ქაღალდს და აწვდის).

ც ი ა ლ ა — ჰბა, წაიკითხე!

ნ ი ნ ო — (კითხულობს) გვერდწითელი მეუღლით და ვაჟიშვილით.

ლ ე ი ლ ა — სავალდებულოა, როგორც მთავარი ოპონენტი.

ც ი ა ლ ა — შენი განმარტებანი არაა საჭირო.

ნ ი ნ ო — (კითხულობს) მანანა სიდამონიძე.

ლ ე ი ლ ა — ეს როგორც ამ ოჯახის სარძლო და კონსერვატორია — სავალდებულოა. (ელისაბედი ლეილას შეაცქერდება).

ც ი ა ლ ა — არ შეგიძლია ცოტა ხნით დაჩუმდე? (ნინოს) განაგრძე.

ნ ი ნ ო — (კითხულობს) დიდებულიძე ნიკოლოზ, კათედრის გამგე, მეუღლით, ტაბატაძე ლევან — პარტბიურის მდივანი, მეუღლით, ქურდიანი ალექსანდრე.

ლ ე ი ლ ა — რა საჭიროა ამდენი ცოლმკილიანი ხალხი ზეიმზე? ოო, რა მომლხენი საზოგადოებაა შერჩეული!

ნ ი ნ ო — (განაგრძობს კითხვას) გორდელაძე, ცხომარია, გუჯაბიძე — სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები.

ლ ე ი ლ ა — აი, ესენი კი დაგვამშვენებენ ხიმლერით და ცეკვით! განსაკუთრებით ცხომარია — მელიორაცია, მელიორაცია, მელიორაცია! ეკითხებიან ბრძანდებით, პატივცემულ! ... გპასუხობთ (ხმას გამოიცვლის) კარგად. ოღონდ მელიორაციის გეგმა არ სრულდება... (ხმას იცვლის) გავიგე, რომ თქვენმა ქალიშვილმა ფრიადზე დაამთავრა სასწავლებელი. მოგილოცავთ. (ხმას იცვლის) გმადლობთ, მელიორაციის ინსტიტუტში უკვე შეიტანა განცხადება... (იცინიან).

ნ ი ნ ო — აჰა, ესეც შენი ამამუკელი ივანე სარდიონის ძე.

ლ ე ი ლ ა — ყველაზე აუცილებელი და სასიამოვნო სტუმარი ბოლოში ჩაგიწერია, მაგრამ არა უშავს, მე და ამამუკელი ავიტანთ ამას! სულ ეს არის?

ნ ი ნ ო — ჯერ სადაა! (ქაღალდს ათვალიერებს) ჯერ ნახევარი წაიკითხე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — აქ მამაშენის ამხანაგები წერია. შვილო.

ლ ე ი ლ ა — მაგათი ამოკითხვა არაა საინტერესო. შეგიძლიათ მუზეუმს გადასცეთ სიის ეს ნაწილი. (სიას გამოართმევს, ათვალიერებს) სულ ორმოცდაოთხი კაცი! ასე გაიშლება სუფრა. აქ თავში ბატონი ჯიმშერი, მარცხნივ პროფესორი გვერდწითელი, აქ მარჯვნივ (ელისაბედს) თქვენი ვაჟიშვილი. ქალბატონო, იმის გვერდით (ხაზგასმულად) ორთავ თვალის სინათლე მანანა სიდამონიძე... აქ კი ამამუკელი და მე... დანარჩენები, როგორც გენებოთ, ისე გაანაწილეთ. აბა, შევუდგეთ ახლა მუშაობას, სამზარეულოში — გთხოვთ, ქალბატონებო!

მეორე სურათი

კათედრის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომის დასასრული. სცენაზე ჩანს დარბაზის ნაწილი. შემაღლებულ ადგილზე—გრძელი მაგიდა. მარცხნივ—ტრიბუნა. ტრიბუნასთან ახლოს ზის არკადი. დარბაზის ნაწილიდან, რომელსაც მაყურებელი ვერ ხედავს, ისმის ხმაურობა და ხმამაღალი საუბარი.

— ეტყობა, აგრონომი თეორიაში სუსტია!

— ხიდაშელი აღელდა. შეეძლო უფრო მკაცრად ეპასუხა.

— სამეცნიერო საბჭოს წევრებზე გავლენას ვერ მოახდენს არაოფიციალური ოპონენტის აზრი.

— აღდგომა და ხვალაო. ჭნახავთ.

— (ქალის ხმა) გვერდწითელი ამ საქმეს შეაბერდა! იმან მეტი იცის, ვიდრე ვაშლოვანელმა აგრონომმა.

— მართალს ბრძანებთ. გვერდწითელის შეფასება...

(შემოდიან დიდებულიძე, გვერდ-

წითელი, ამაშუკელი, ლევან ტაბატაძე. დიდებულიძე ზარს რეკავს. დარბაზი წყნარდება. არკადი დგება და მიდის ტრიბუნასთან. იგი ნაძალადევი ლიმილით ცდილობს დაფაროს მღელვარება!)

დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე — კენჭისყრის შედეგებს გაგვაცნობს დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ამხანაგი ლევან ტაბატაძე. (ლევანი ხელში იღებს ოქმს და ათვალიერებს. დუმილში გადის თითქმის ერთი წუთი) წაიკითხეთ, ამხანაგო ლევან!

ლ ე ვ ა ნ ი — (კითხულობს) 1953 წელი, ოცი ივნისი, ოქმი № 7 სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომისა. სამეცნიერო საბჭო შეიკრიბა სრული შემადგენლობით, დაესწრო სამეცნიერო საბჭოს თექვსმეტივე წევრი. სხდომამ განიხილა ინსტიტუტის ასპირანტის არკადი ჯიმშერის ძე ხიდაშელის სადისერტაციო შრომა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად — „შრომის მექანიზაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სოფლის მეურნეობაში“. პაექრობაში მოაწილეობა მიიღეს ოფიციალურმა ოპონენტებმა: პროფესორმა, დოქტორმა სილოვან გედეონის ძე გვერდწითელმა, მეცნიერების კანდიდატმა, დოცენტმა ივანე დავითის ძე ამაშუკელმა და ოფელ ვაშლოვანის კოლმეურნეობის აგრონომმა არჩილ უშანგის ძე ხოტივარმა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო საბჭოს თექვსმეტმა წევრმა, ყუთის გახსნისას აღმოჩნდა — ყუთში ჩაშვებული თექვსმეტი ხმიდან თეთრი — ხუთი, შავი — თერთმეტი.

(დარბაზში ხმაურობა).

დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე — (ზარს რეკავს) სამეცნიერო საბჭომ დაადგინა — ასპირანტ არკადი ჯიმშერის ძე ხიდაშელს ნაშრომისათვის „შრომის მექანიზაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ — არ მიენიჭოს მეცნიერების კანდიდატის ხარისხი. (არკადი მოწყვეტით ჯდება სკამზე. დიდებულიძე, გვერდწითელი და ამაშუკელი ბას შესცქერიან. დარბაზი ისევ ხმაურობს. დიდებულიძე რეკავს ზარს დარბაზი წყნარდება.) დიდად დამაფიქრებელი ამბავია ამხანაგებო, სამწუხარო! ჩვენი კათედრა, ოფიციალური ოპონენტები, ვიტყვი — ფრიად სახელმოხვეჭილი პროფესორი (გვერდწითელს გადახედავს) სილოვან გვერდწითელი უგულისყუროდ მოეკიდნენ დიდმნიშვნელოვან საქმეს. აგრონომ ხოტივარის გამოსვლამ ნათელი გახადა სადისერტაციო შრომის ჩრდილოვანი მხარეები, მისი დაშორება პრაქტიკიდან, სინამდვილიდან. ეს ფაქტი გვიკარნახებს, ღრმად ჩავუფიქრდეთ და ჩავხედოთ ჩვენს მუშაობას. (პაუზა) სამეცნიერო საბჭოს სხდომის დახურულად ვაცხადებ.

(დარბაზში ისევ ხმაურია. დიდებულიძე პირველი გადის სცენიდან, შემდეგ ლევან ტაბატაძე; არკადი უძრავად ზის სკამზე, გვერდწითელი ჯერ პორტფელში იქექება, მერე უცბათ დაკეცავს, სწრაფად წამოდგება და მიდის. ამაშუკელი შესცქერის არკადის, სურს გამოესაუბროს, მაგრამ ვერ ახერხებს და ნელი ნაბიჯით შორდება მას. შემოდის ნინო. იგი ძალზე აღელვებულია. არკადი მას ვერ ამჩნევს. ნინო არკადის მხარზე დაადებს ხელს. არკადი შეკრთება და წამოდგება).

ნ ი ნ ო — (დაბალი ხმით) წავიდეთ, ძმაო, სახლში... ხომ ხედავ, დარბაზში მარტო ჩვენ დავრჩით. (არჩილის ხმა: „თქვენ ცდებით!“)
(ნინო სწრაფად მიიხედავს დარბაზისკენ. დაკვირვებით იცქირება).

ნ ი ნ ო — თქვენ? თქვენ აქ ხართ, ამხანაგო ხოტივარო? (დაყვედრებით) წარმოდგენა ხომ დამთავრდა!

ა რ ჩ ი ლ ი — მეც დიდად მწყინს ასეთი დასასრული!

ა რ კ ა დ ი — (ნაძალადევი თავშეკავებით) თავს რისთვის იმართლებთ. თქვენ ხომ იცით, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. (პორტფელს ხელს დაავლებს და ნაბიჯს გადადგამს).

ნ ი ნ ო — (არკადის მკლავს გაუყრის) წავიდეთ...

ა რ ჩ ი ლ ი — მერწმუნეთ, ჩემი გამოსვლის მიზანი სხვა იყო.

ნ ი ნ ო — (გაბოროტებით) განმარტება არაა საჭირო! მიზანიც და შედეგიც ცხადია...

ა რ ჩ ი ლ ი — სამწუხაროდ, რომ არა! მე მხოლოდ გუშინ ჩამოვედი სოფლიდან. საგანგებოდ ჩამოვედი ამ შრომის გასაცნობად.

ა რ კ ა დ ი — (დამარცვლულად) შეიძლება სპეციალურადაც გამოგიხმეს.

ა რ ჩ ი ლ ი — უთუოდ იცით — ჩვენს სოფელში ვაზია უმთავრესი კულტურა და მე, როგორც აგრონომი,...

ა რ კ ა დ ი — ვიცი, გასაგებია. რისთვის იმეორებთ?

ა რ ჩ ი ლ ი — მე თქვენს შრომაში ვეძებდი იმას, რაც დღეს სჭირდება ჩვენს სოფელს.

ა რ კ ა დ ი — (ირონიულად) მე ვაშლოვანის კოლმეურნეობა სრულიადაც არ მქონდა მხედველობაში...

ა რ ჩ ი ლ ი — სწორედ ეგ არის სამწუხარო! ვაშლოვანი ტიპიური ქართული სოფელია და მანქანა სწორედ მთაგორიან სოფელში უნდა დავამკვიდროთ... თქვენ კი მხედველობიდან გამოგრჩათ, რომ ფერდობ ადგილებზე აგრეგატი ჰკარგავს სიმძლავრეს...

ა რ კ ა დ ი — არც ისე დიდად!

ა რ ჩ ი ლ ი — ცდებით. თუნდაც ექვსი გრადუსი იყოს დაფერდება. აგრეგატი კარგავს სიმძლავრის მეოთხედს და სამინისტრო არასწორად იქცევა, როცა ტრაქტორს და კომბაინს ერთნაირ ნორმას უწესებს ალაზნის ველზე და თუნდაც... სოფელ ვაშლოვანში! თქვენ გისაუბრიათ ტრაქტორისტთან? კომბაინერთან? რამდენ უხერხულობას და თავისმტვრევას იწვევს ეს უსწორო გამოანგარიშება! მე არ შემეძლო არ აღმენიშნა ეს... მე ვალდებული ვარ.

ა რ კ ა დ ი — ეს ხომ მარტო ჩემი აზრი არ არის!

ა რ ჩ ი ლ ი — ვიცი. ცდება პროფესორი გვერდწითელიც, როცა მხოლოდ ტრაქტორისტის დახელოვნებას ეყრდნობა.. მაგრამ უმთავრესი ეს არ არის. (პაუზა) ნუ მიწყენთ და აშკარად გეტყვით — იოლად მსჯელობთ: შევიყვანთ სოფელში ამდენ ტრაქტორს, ამდენ კომბაინს, სათეს მანქანას და მივაღწევთ შრომის სრულ მექანიზაციას. (პაუზა) არ არის სწორი! (არკადი პორტფელს ერთი ხელიდან მეორე ხელში გადაიტანს) დაბრძანდით, თქვენ დაღლილი ხართ. (არკადი ჯდება) დიახ, არ არის სწორი! ტრაქტორი, კომბაინი, სათესი მანქანა გაცილებით მეტია საჭირო, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. (ხაზგასმულად) ამასთანავე, დღემდე არსებული კონსტრუქციის მანქანებს საქართველოს მრავალ სოფელში ვერ გამოვიყენებთ სრული სიმძლავრით... მერე ხალხი? ადამიანი? რატომ არაფერს ამბობს თქვენი შრომა იმის შესახებ — რამდენი მექანიზატორი, ტრაქტორისტი, კომბაინერია — უნდა აღვზარდოთ, რათა მივაღწიოთ იმას, რასაც თქვენი შრომა გულისხმობს?

ა რ კ ა დ ი — (ადგება) თქვენ სხვა საკითხის გამო მსჯელობთ, ამხანაგო ხოტივარო! მე ზუსტად ვარკვევ, მანქანას გააკეთებს სოფლის მეურნეობაში...

ა რ ჩ ი ლ ი — თქვენ აქაც ცდებით! ავიღოთ ვაზი! დაბრძანდით...

ნ ი ნ ო — (არკადის) წავიდეთ.

ა რ ჩ ი ლ ი — (ნინოს) თქვენთვის მოსაწყენია ეს ანგარიში. მაგრამ მე მინდა...

ნ ი ნ ო — განაგრძეთ. (არკადი ჯდება).

ა რ ჩ ი ლ ი — ავიღოთ ვაზი... თქვენ გამოანგარიშებული გაქვთ, რამდენ მოგებას მისცემს კოლმეურნეობაა ვაზის გამოხვნა ტრაქტორით... ვენახისათვის განკუთვნილი ტრაქტორი მართლაც მძლავრია, მაგრამ მისი მოქმედების რადიუსი დიდია — იგი აზიანებს ვაზის ძირს და სატკივარი სწორედ ეგ არის... ვაშლოვანელმა მევენახეებმა უკვე მისწერეს წერილი ქარხნის კონსტრუქტორებს და ისინი დაგვპირდნენ — მანქანას სიმძლავრეს შეუნარჩუნებენ, ხოლო მოცულობას შეუმცირებენ. (პაუზა) თქვენ შრომაში ასეთი მტკივნეული საკითხები უნდა ყოფილიყო წამოჭრილი... მით უფრო, საკუთრივ საქართველოს სოფელს ეხება თქვენი შრომა.

ნ ი ნ ო — თქვენ ვაშლოვანში ეზო გაქვთ?

ა რ ჩ ი ლ ი — როგორ არა! (პაუზა) მამათქვენი ნამყოფია ჩემს სახლში!

ნ ი ნ ო — სამწუხაროა... ეზოში ხეხილი გაქვთ გაშენებული?

ა რ ჩ ი ლ ი — ატამი, მსხალი, ვაშლი, ვაზიც...

ნ ი ნ ო — ჩინებულია! ხელით ამუშავებთ ბაღს?

ა რ ჩ ი ლ ი — (ხალისიანად) მე მიყვარს ფიზიკური შრომა!

ნ ი ნ ო — საოცარია. რატომ იწუხებთ თავს, მისწერეთ სატრაქტორო ქარხნის კონსტრუქტორებს, დაგიმზადონ ისეთი მანქანა, რომელიც ვაზსაც გაგისხლავთ, ბაღსაც გამოგათოხნით. ხეხილსაც წამალს შეასხურებს...

არკადი — (წამოდგება. ნინოს) შენთვის ძნელია იმის გაგება, რასაც ამხანაგი ხოტივარი ამბობს. წადი. მეც ახლავე...

ნინო — მართალი ხარ! (რჩილს) მე ტრაქტორისტი არა ვარ. ამხანაგო აგრონომო, მაგრამ გვერდწითელისა უფრო მჯერა. ვიდრე თქვენი...

არჩილი — (ნაძალადევი ღიმილით) ეს თქვენი ნებაა.

ნინო — ეს ჩემი ნება კი არა, სრული სიმართლეა!

არკადი — მე ხომ გთხოვე! შენთვის...

ნინო — არც ისე ძნელი ამოსახსნელია. ამხანაგ ხოტივარის აზრი: პროფესორი ამბობს, რომ ტრაქტორმა თანაბარი სიმძლავრით უნდა იმუშაოს მთაში და ბარში. აგრონომი კი ამბობს — ეს აზრი სწორი არ არისო!

არჩილი — სავსებით სწორია!

ნინო — პროფესორის აზრი დიახაც რომ სწორია. (პაუზა). მანქანა იმის მანქანაა, რომ ალმართში და დალმართში არ უნდა [illegible]

არჩილი — სწორედ ასეთი მანქანა უნდა შევქმნათ!

ნინო — თქვენ?

არჩილი — სამწუხაროდ, მე კონსტრუქტორი არა ვარ!

ნინო — (დაცინვით) სცადეთ. თქვენ არც მეცნიერი ხართ, მაგრამ დღეს მეცნიერთა აზრი ოლად დაამარცხეთ.

არჩილი — მადლობელი ვარ!

ნინო — [illegible] (არკადის) წავიდეთ... თქვენთან კამათი ძნელია, ამხანაგო აგრონომო. მშვიდობით!

(არკადი და ნინო მიდიან, სცენაზე დარჩენილი არჩილი მათ გააყოლებს თვალს).

(ფარდა)

მეოთხე მოქმედება

სურათი მესამე

ჯიმშერ ხიდაშელის ბინა. ღამე. იგივე დარბაზი. გაწყობილია დიდი სუფრა. ჭაღის მხოლოდ ერთი სანთელი ანთია. ნინო უკრავს როიალს. ისმის სევდიანი, მწუხარე ჰანგი. სუფრის თავში ზის ჯიმშერი. თავი ხელებში აქვს ჩარგული. იგი ბურანშია. ოთახში შეიყოდის ელისაბედი. ჯერ ნინოსკენ გაიხედავს, მერე მეუღლისაკენ. ფრთხილი ნაბიჯით გაივლის. ოთახის შუაგულში შეჩერდება — დგას ორიოდე წუთი, მერე ისევ შეხედავს მეუღლესა და ქალიშვილს და ოთახიდან გადის.

ჯიმშერი — (მაგიდაზე დაჰკრავს ხელს) შესწყვიტე ეს მწუხარე ჰანგი! საამხიარულო, სახალისო დაუკარი! (დგება. ჭაღის ყველა სანთელს აანთებს) გესმის, სახალისო! მე უნდა ვილხინო! აბა, უხმე დედაშენს და არკადის! (პაუზა) მე უნდა ვილხინო!..

ნინო — (როიალის დაკვრას თავს ანებებს, დგება, ახლოს მიდის ჯიმშერთან) მამა! რა დროს ლხინია!

ჯიმშერი — ეგ მე ვიცი... შენ მიხმე არკადი და დედაშენი.

ნინო — დედას ახლავე! არკადი? (პაუზა) არკადი ჯერ არ მოსულა!

ჯიმშერი — (გაოცებული) არ მოსულა? სადაცაა მოვა. (პაუზა) უთუოდ ხოტივარს ეკამათება....

ნინო — ხოტივარს ერთად დავშორდით. სახლს რომ მოვუახლოვდით, რაღაც მოიმიზეზა და ინსტიტუტში გაბრუნდა. (ნინო მიდის მეორე ოთახისკენ).

ჯიმშერი — დაიცა! ერთი მითხარი, როგორი კაცია ის ხოტივარი? ახალგაზრდაა?

ნინო — ახალგაზრდაა.

ჯიმშერი — ქერა, ხუჭუჭთმიანი, არა?

ნინო — ასეთი გახლავთ.

ჯიმშერი — გამახსენდა. ვიცი... გამახსენდა. (პაუზა) ნიჭიერი ყმაწვილია!

ნინო — (გაჯავრებული) ნიჭისა რა მოგახსენოთ და, თავხედი კი გახლავთ!

ჯიმშერი — არა ხარ მართალი! რადგან შენი ძმის წინააღმდეგ გამოვიდა, ამიტომ გეჩვენება თავხედად.

ნინო — ძმა! პროფესორი გვერდწითელი ჩემი ძმა არის? ამაშუკელი ჩემი ძმა არის?

ჯ ი მ შ ე რ ი — გვერდწითელი და ამაშუკელიც ამ შემთხვევაში (პაუზა) შენი მოკეთენი არიან... ისინი შენი ძმის აზრს იცავდნენ. შენი ძმის მოსაზრებებს აქებდნენ და აი, ხოტივარმა დაამტკიცა — შენი ძმაც ცდება და მისი მაქებარი პროფესორებიც... დიახ, შენ ამიტომ გეჩვენება ხოტივარი თავხედად. მე კი მგონია...

ნ ი ნ ო — პირადად რომ მოგესმინა ხოტივარის გამოსვლა, აგრე არ იტყოდი! მისი კილო ქედმაღლური, მედიდური...

ჯ ი მ შ ე რ ი — [illegible]ეწუ[illegible]ოა, მაგრამ ყოველთვის ასეა — [illegible] არ მოგვწონს მოწინააღმდეგის კილო! სიმართლეს. ჭეშმარიტებას გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენ ეს არ მოგვწონს, რადგან ეს ჩვენს მოსაზრებებს ეწინააღმდეგება. (პაუზა) წადი, მიხმე დედაშენი. (ნინო მიდის. ჯიმშერი სავარძელში ჯდება. მარცხენა ხელის თითებს მუხლზე აათამაშებს. დიახ, ისტორია! (ზარის ხმა. ჯიმშერი სწრაფი ნაბიჯით მიდის კარისკენ. ეტყობა, უხარია სტუმრის მოსვლა) აა. მობრძანდით, ფრიად სასიამოვნოა თქვენი მოსვლა. (შემოდიან გვერდწითელი და ამაშუკელი) სწორედ თქვენზე ვფიქრობდი ახლა!

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი — (აღელვებულია. ქუდს და პორტფელს სკამზე დააგდებს. გამალებული ნაბიჯით დადის მაგიდის გასწვრივ. ამაშუკელი სავარძელში ჯდება და პორტფელს მუხლებზე დაიდებს. ხანგამოშვებით პორტფელზე ათამაშებს თითებს (მე მხოლოდ ერთი წუთით... მაჩვენეთ არკადი! მინდა გავამხნევო... უსწოროა საბჭოს გადაწყვეტილება! მოსკოვში წავიყვან, დიახ, სწორედ იქ. მოსკოვში პრწყინვალედ დავიცავთ დისერტაციას. (ირგვლივ მიმოიხედავს) სად არის ჩემი არკადი?

ჯ ი მ შ ე რ ი — მოსკოვში რისთვის. პროფესორო!

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი — სწორედ მოსკოვში, დიახ, მოსკოვში... მაშინ ვნახავთ, ვინ არის მართალი — მე, თუ სამეცნიერო საბჭო და (ირონიულად) აგრონომი ხოტივარი!.. ა, წარმოიდგინეთ! დაიჯერეთ! აგრონომის აზრს მეტი ფასი დასდეს, ვიდრე ჩემს აზრს... გესმით, ამხანაგო ჯიმშერ, რაშია საქმე? გესმით? გასაგებია ეს თქვენთვის? (ხაზგასმულად) აქ სადისერტაციო შრომა არაფერ შუაშია! აქ ნიჭი მთავარი! დიახ, თქვენი შვილი ნიჭიერი და ყოველ ნიჭიერს ბევრი მტერი და ბოქიშპე ჰყავს.

ჯ ი მ შ ე რ ი — ნიჭს ვერავინ წაგვართმევს, პროფესორო!

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი — გზას გადაუღობავენ... ფრთებს შეაჭრიან, გულს აუცრუებენ! (პაუზა) ვიცი, კარგად ვიცი, ვინ გვემტერება! ექვსი შავი ხმა ხამდვილად ვიცი! (ამაშუკელს) განა შენ არ იცი? რატომ სდუმხარ? ეს შენი დამარცხებაცაა (ამაშუკელი უფრო ნერვიულად აათამაშებს თითებს პორტფელზე. პორტფელს ხსნის და ქაღალდებში იქექება)

ჯ ი მ შ ე რ ი — დამარცხება! (პაუზა) დიახ, უპირველესად თქვენი დამარცხება!

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი — უცებ შედგება და მკაცრად შემოხედავს ჯიმშერს! მარტო ჩემი?

ჯ ი მ შ ე რ ი — დიახ, თქვენი, თქვენი კოლეგისა და ჩემი შვილის.

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი — (აღელვებული) ჩამოიყვანონ სოფლებიდან კოლმეურნეები და აგრონომები, მათ აკითხვინონ ლექციები... ჩვენ დავსხდებით მერხებზე და ვისწავლით მათგან. (პაუზა) ეგრე აჯობებს, პატივცემულო ჯიმშერ, არა?

ჯ ი მ შ ე რ ი — ხანდახან.. არ იქნება ურიგო.

(ზარის ხმა. ოთახში უცებ შემოიჭრება ელისაბედი და კარისკენ გასწევს).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — (თავისთვის) აი ეს კი არკადია! (მცირე ხნის შემდეგ) შინ გახლავთ. (შემოდის ლევან ტაბატაძე).

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი — აა, სწორედ დროზე მობრძანდით, ამხანაგო ლევან!

ჯ ი მ შ ე რ ი — (მიეგებება ლევანს. ხელს ჩამოართმევს) მადლობელი ვარ...

გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი — (აწყვეტინებს) ვერ დავარწმუნე პატივცემული ჯიმშერი, რომ სამეცნიერო საბჭოს დადგენილება უსწოროა, რომ შეცდომასთან (დამარცვლულად), გაუგებრობასთან გვაქვს საქმე... დიახ, ვერ დავარწმუნე! (პაუზა) პარტიული ბიურო, პარტიული ბიურო რას ფიქრობს?

ჯიმშერი — (ლევანს) დავსხდეთ.

გვერდწითელი — აა, რას ფიქრობს პარტიული ბიურო?

ლევანი — რაც ცხადია და ნათელი.

გვრდწითელი — მაინც რას ნიშნავს ეს სინათლე და სიცხადე?

ლევანი — სამეცნიერო საბჭოს დადგენილება სწორია...

გვერდწითელი — (ახლოს მივა ლევანთან, თვალებში აცქერდება, გაცხარებული) თქვენ უთუოდ პირველმა მიეცით შავი ხმა და ახლა მოხვედით იმისათვის, რომ მიუსამძიმროთ მშობლებს.

ლევანი — სამძიმარი? როგორც ვიცი...

გვერდწითელი — (აწყვეტინებს) ახალი აზრი, ჭეშმარიტება, სიმართლე გარდაიცვალა... დიახ, დღეს ჩვენმა სამეცნიერო საბჭომ სიმართლე დაასამარა. (დაცინვით) სწორია სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებას! დიახაც რომ სწორი არ არის! მე მოსკოვში წავალ, დიახ, მოსკოვში!

ჯიმშერი — ნუ ავღელდებით, მეგობრებო!

გვერდწითელი — (ლევანს) თქვენ შავი ხმა მიეცით და ახლა ოჯახში...

ლევანი — (აწყვეტინებს) მე ამას არ ვმალავ, ამხანაგო პროფესორო! (პაუზა) თქვენც ხოტივარის გამოსვლის შემდეგ გულში უნდა ჩაგეხედათ და არ გაგიძელდებოდათ თქვენი რეცენზიის უარყოფა. (ამაშუკელი ნერვიულობს, პორტფელს ხურავს, წამოდგება. ამაშუკელს) თქვენც შეგეძლოთ, ასე მოქცეულიყავით.

გვერდწითელი — მე არ დამიჯერეთ! ჩემს აზრს არ ენდეთ! არც ამისას, (ამაშუკელისკენ იშვერს ხელს), არც დისერტანტისას, და ვინაა ეს ხოტივარი?

ლევანი — თქვენ კარგად უნდა იცნობდეთ ხოტივარს...

გვერდწითელი — (გაოცებული) მე?

ლევანი — დიახ, თქვენ! იგი თქვენი ყოფილი სტუდენტია.

გვერდწითელი — (დაფიქრდება. თავის გაქნევით) არ მაგონდება... ჩანს, ვერაფერი შეუთვისებია ჩემი ლექციებიდან.

ამაშუკელი — (ხმამაღლა) ეს კი უსამართლობაა!

გვერდწითელი — როგორ? თქვენც ხოტივარის აზრს იზიარებთ. თქვენც ამას (ლევანზე უთითებს) ემხრობით?

ამაშუკელი — ზოგი რამ სიმართლე თქვა ხოტივარმა. (გვერდწითელი გაოცებული შესცქერის ამაშუკელს. მერე პორტფელს და ქუდს დააგლეჯს ხელს).

ჯიმშერი — (ხელს კიდებს გვერდწითელის პორტფელს) ნუ ეღელავთ, მეგობრებო... დავსხდეთ. გთხოვთ, გთხოვთ დავსხდეთ. (ყველანი სუფრასთან მიდიან) შევწყვიტოთ კამათი. აბა, ელისაბედ, ნინო, მოგვხედეთ!

(ღვინოს ასხამს ჭიქებში. შემდეგ ოთახიდან გადის).

გვერდწითელი — (ლევანს) ჩვენ ამ შრომას გავიტანთ.

ლევანი — მჯერა. ოღონდ საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ.

გვერდწითელი—არა, ამ სახით! დიახ, ამ სახით წარვადგენთ დისერტაციას მოსკოვში.

ლევანი — მოსკოვი დასკვნისათვის ჩვენ გადმოგვიგზავნის.

გვერდწითელი — (ირონიულად) რატომ, პატივცემულო მდივანო?

ლევანი — იმისათვის, რომ შრომა საკუთრივ საქართველოს სოფელს ეხება!

გვერდწითელი — და თქვენ უეჭველია, შეეცდებით დაამციროთ შრომის მნიშვნელობა!

ლევანი — არა! ჩვენ ვიტყვით იმას, რაც ნამდვილია, აშკარაა.

გვერდწითელი — რაც თქვენ დღეს გაიგეთ, არა?

ლევანი — თუნდაც ასე იგულისხმეთ... რაც გავიგეთ და რაშიაც დავრწმუნდით;

გვერდწითელი — არ გაგივათ! დიახ, არ გაგივათ! მოსკოვში იცნობენ გვერდწითელს... ეს თქვენ მაკადრეთ აქ, თქვენ შელახეთ ჩემი ავტორიტეტი. მაგრამ თქმულია — ბებერი ხარის რქებიც ეწევიანო — მიფრთხილდით, მე ნაჭაობარზე ამოსული ბალახი არ გეგონოთ... (შემოდიან ელისაბედი და ჯიმშერი).

ჯიმშერი — ისევ კამათობთ? შეწყდეს კამათი. (ხელში იღებს ჭიქას, გვერდწითელს ამოუდგება მხარში, ჭიქას მიუჯახუნებს) მე ვსვამ, ამხანაგებო, სადღეგრძელოს! (პაუზა).

გვერდწითელი — მადლობელი ვარ.

ჯიმშერი — მაპატიეთ, პროფესორო! (პაუზა) მე მინდა ვადღეგრძელო დღევანდელი დღე! დიახ, სწორედ დღევანდელი დღე... ცხოვრების შემოჭრა მეცნიერებაში...

გვერდწითელი—(ნერვიულობს... ჯერ ლევანს შეხედავს, მერე ამაშუკელს) მე... შეუძლოდ ვარ, პატივცემულო ჯიმშერ! მე წავალ! (იღებს პორტფელს და ქუდს).

ჯიმშერი — (შემკრთალი) შეუძლოდ ხართ?

გვერდწითელი — ისე... დავიქახცე. წავალ... (ყველანი უხერხულად გრძნობენ თავს).

ჯიმშერი — თავს გაუფრთხილდით, პროფესორო, ავადმყოფობა ცუდი საქმეა.

(სინათლე ქრება).

(აგივე ოთახი. საკარძელში სხედან ჯიმშერი და ელისაბედი).

ჯიმშერი — ჩვენი მეგობარი მებაღე გახსოვს? გახსოვს, არა? როცა დიდი წვიმა და თქეში იყო მოსალოდნელი, სწორედ მაშინ რწყავდა ბაღს. და იცი, რატომ იქცეოდა ასე?

ელისაბედი — ზარის ხმა არ შემოგესმა?

ჯიმშერი — არა... ის მებაღე არ გახსოვს?

ელისაბედი — მახსოვს.

ჯიმშერი — და იცი, რატომ რწყავდა ბაღს დიდი წვიმის წინ?

ელისაბედი — არა.

ჯიმშერი — არც მე ვიცოდი და ამიხსნა... გვალვის შემდეგ უეცრად მოვარდნილი წვიმა ხეხილს აზიანებს. ამ მორწყვით მე ხეს წინასწარ ზომიერად ვასაზრდოებ... ფესვებში თანდათან ჩადის წყალი და ხეც იმდენს შეისვამს, რამდენიც სწყურია. მერე ტოტებამდე მოწვდეს წყალი — ხე არ შეისვამს, (პაუზა) რადგან ხე შინაგანად არის მაძღრისი. (პაუზა) სიტყვასიტყვით ასე მითხრა: მაძღარ ფესვებს მიძალებული ნიაღვარი ვერ დააზიანებსო. (პაუზა) და გვალვიანი იყო წელიწადი, თუ ხშირწვიმიანი, მისი ბაღი ყოველთვის ხარობდა... ის საოცრად გახარებული ბაღი ხომ გახსოვს?

ელისაბედი — (უხალისოდ) მახსოვს.

ჯიმშერი — ხე შინაგანად ძლიერი! დიახ, ხანდახან მძლავრად გამოიქროლებს ცხოვრების ქარი და რომ არ გადატყდე, საჭიროა ტანი გქონდეს მაგარი... შინაგანად უნდა იყო ძლიერი... (საათს დახედავს) აბა, ძილის დროა. შენც დაიქანცე, მეც დაღლილი ვარ. (დგება) წავიდეთ, თვალი მოვატყუოთ...

ელისაბედი — არკადი?

ჯიმშერი — ხომ დაგირეკა, სადაც არის, ვისთანაც არის... მოვა. ბალღი ხომ არ არის?

ელისაბედი — შენ დაისვენე, ჯიმშერ, მე... დაველოდები.

ჯიმშერი — ეეხ, ელისაბედ, ბედნიერებას მართვა უნდა, უბედურებას გაძლება... რამ შეგაშინა?

ელისაბედი — არ მეშინია. მაგრამ დაველოდები... ცოტა ხანს დაველოდები!

ჯიმშერი — უფრო ძლიერი მეგობე! ზოგჯერ შემოგელრუბლება ცხოვრება და, ნაღველმა რომ არ გაგსრისოს, გული უნდა გაიკაჟო... ცხოვრებაში ვის არ მოსვლია მარცხი!

ელისაბედი — ახალგაზრდაა. ესირცხვილება! (ზარის ხმა) აი. მოვიდა! შენ წადი შენს ოთახში. ხომ იცი. შენი ერიდება.

(განმეორებით ისმის ზარის ხმა).

ჯიმშერი — კარგი, მე წავალ. (მიდის. ელისაბედი აღებს კარს. შემოდის დადაში, მას ისეთივე თაიგული უკავია ხელში, როგორიც დილით).

დადაში — ბოდიში, ქალბატონო ელისაბედ. დამაგვიანდა. კონსერვატორიაში... (როცა დაინახავს, რომ დარბაზი ცარიელია, შეკრთება და თაიგულს გულთან მიიტანს) ასე მალე დაამთავრეთ ლხინი?

ელისაბედი — (უხალისოდ) როგორც ხედავ.

დადაში — მეგონა, მოვუსწრებდი. ყველანი წავიდნენ?

ელისაბედი — წავიდნენ... დიახ. წავიდნენ.

დადაში — მამაც?

ელისაბედი — მაბათქვენი ადრე წავიდა.

დადაში — თქვენებს სძინავთ?

ელისაბედი — (უხალისოდ) სძინავთ.

დადაში — არკადისაც, ნინოსაც? მიმდოდა არკადისათვის მიმელოცა, თუმცა დილით ხომ ვიყავი... ბოდიში, ქალბატონო, დავრჩებოდი, მაგრამ კონსერვატორიაში...

ელისაბედი — წადი, შვილო. (დადაში მიდის და თაიგულიც თან მიაქვს. ელისაბედი ნელი ნაბიჯით ბრუნდება სავარძელთან. კედლის საათს შეხედავს, ჯდება) ბალღი ხომ არ არისო? დედისთვის ბალღია ოცდაათი წლის ვაჟკაცი. (ბასუზა) წავიდეთ, თვალი მოვატყუოთ! განა შვილის მომლოდინე დედის გულს დაეძინება? რომ დაწვეს, განა დაეძინება? (პაუზა) უდროო დროს, შუალამისას მოვიდეს და ჩუმად, ოდნავ გასაგონი ხმით დაიძახოს: „დედა“ — და დედა გაიგონებს ამ ხმას, უმალვე წამოიჭრება... არა! ეს თვალებს სძინავს, დედის გული კი ფხიზელია, შვილის ხმასაა დაყურადებული.

(ფარდა)

სურათი მეოთხე

ხიდაშელების ბინა. არკადის ოთახი. ფანჯარასთან დგას ლევან ტაბატაძე. არკადი საუბარ მაგიდას უზის.

ლევანი — მაშ, წახვალ, არა?

არკადი — მაინც ვინ დაადგინა?

ლევანი — ინსტიტუტმა. დირექტორმა უკვე მოაწერა ხელი.

არკადი — უთუოდ შენც!

ლევანი — (გაკვირვებით) მოვაწერე! მერე რა მოხდა?

არკადი — შეგიძლიათ უჯრაში მაგრად ჩაკეტოთ ის ქაღალდი!

ლევანი — რაღაც სხვანაირი კილო ისმის შენს ხმაში...

არკადი — (წამოდგება) გამკიცხეთ, გამაშავეთ ხალხის წინაშე და ახლა...

ლევანი — (უახლოვდება არკადის) გაკიცხვა?

არკადი — მე კარგად მესმის, რასაც ვამბობ. ბალღი არა ვარ.

ლევანი — მართლაც სხვანაირი კილო ისმის შენს ხმაში, არკადი!

არკადი — (ხაზგასმულად) როცა აღარ მოსწონთ ადამიანი, მაშინ მისი ხმაც უსიამოდ ჩაესმით ყურში...

ლევანი — (გაოცებული) სად წაიკითხე? სადაურია?

არკადი — (დინჯად) ცხოვრებაში ამოვიკითხე, ინსტიტუტის დარბაზებში... მე უბის წიგნში ჩავიწერე: რისკს ნულარ გასწევ! უმჯობესია, იყო მიმდევარი, ვიდრე მოთავე, რადგან მოთავე ორმაგად აგებს პასუხს საქმისთვის და ხშირად ხდება (პაუზა) დღეისათვის სასიკეთოდ მიჩნეული საქმე, ხვალ აღარ ვარგა... ვინც ახლოს გედგა, ტაშს გიკრავდა, შემოგლიმოდა, გიქებდა შრომას — განზე გადგება...

ლევანი — (აწყვეტინებს) ცდები! ამკარად ცდები! განა არა ხარ დარწმუნებული — როგორ შორსა დგას შენი შრომა სინამდვილიდან! აბა, შეხედეთ...

არკადი — მაგრამ მე მიკვირს: თუ ყველანი ხედავდით ამას და ამჩნევდით უსწორობას ჩემი აზრისას, ნუთუ გულმა არ გიკარნახათ, გეთქვათ ჩემთვის — აი, აქ ცდები, ამხანაგო. (პაუზა) ეს უწოროა... (ირონიულად) თუ ხოტივარის გამოსვლის შემდეგ შეამჩნიეთ! (პაუზა) მე დავრწმუნდი, თავი უნდა შეიკავო რისკისგან, სხვას უცქირო, დააყურადო, ასწონ-დასწონო და, როცა ამკარად დადგინდება, საქმე კარგია და ზიფათი აღარ არის მოსალოდნელი, იქუხე. მაშინ, დიტრიალდი, მიდექ-მოდექ. არ დაიშურო აღარც ენა, არც მკლავის ჯანი... დიახ, ასეა, მე ასე მჯერა — უმჯობესია იყო მიმდევარი და მოყურადე...

ლევანი — მაოცებს შენი სიტყვები, როგორ გამოცვლილხარ! მე აღარ მესმის...

არკადი — ვიცი, გიმძიმს სიმართლის მოსმენა.

ლევანი — საოცარია!

არკადი — როგორც ირკვევა,

ყველამ იცოდით, რომ შეცდომებით სავსე იყო ჩემი შრომა — საოცარი სწორედ ეს არის! გვერდწითელის გ�inოდათ? გერიდებოდათ? თუ ხოტივარმა, კოლმეურნეობის აგრონომმა, გაბედულად თქვა, რასაც ფიქრობს და უსწოროდ რაც მიაჩნია, თქვენ, სამეცნიერო საბჭოს წევრებმა, რად გაიკმინდეთ ხმა... აი, საოცარი სწორედ ეს არის.

ლ ე ვ ა ნ ი — არკადი!

ა რ კ ა დ ი — ცხადია ჩემთვის — პროფესორი გვერდწითელი გავლენიანი კაცია, სახიფათოა მასთან შეხლა... დათმობა ამჯობინეთ... ეს არის თქვენი მეცნიერული სინდისი? ახლა კი, როცა ყველაფერი აშკარა გახდა, მაშინ გაბედეთ გვერდწითელის წინააღმდეგ ხმის ამაღლება. საოცარი სწორედ ეს არის! მე... მე კი ნამდვილად მჯერა. რასაც პროფესორი გვერდწითელი წერს... დიახ, მჯერადა! ახლაც მწამს და სწორად მიმაჩნია...

ლ ე ვ ა ნ ი — (დინჯად) შენ აღელვებული ხარ. არკადი. დაღლილიც... დაისვენე რამდენიმე დღე, დამშვიდდი. (პაუზა) მერე მოვილაპარაკოთ! (კარი გაიღება, შემოდის მანანა სიდამონიძე. არკადი უცებ გამოიცვლება და მხიარულად ეგებება მას. ლევანი კარისკენ მიდის) კვირას ჩვეულებრივად წავალთ არაგვის ხეობაში, შეემზადე!

მ ა ნ ა ნ ა — (ლევანს) ხელი შეგიშალეთ...

ლ ე ვ ა ნ ი — არა, მე მივდიოდი. ნახვამდის.

(მიდის. მანანა და არკადი მცირე ხანს ჩუმად არიან. მანანა ჯდება სავარძელში).

მ ა ნ ა ნ ა — მაშ მიდიხარ?

ა რ კ ა დ ი — სად?

მ ა ნ ა ნ ა — ვაშლოვანში... ასე დაუდგენია ინსტიტუტს. (გაჭიანურებულად) ექვსი თვით, სოფელ ვაშლოვანში, აგრონომ ხოტივართან.

(პაუზა).

ა რ კ ა დ ი — შენ როგორ ფიქრობ?

მ ა ნ ა ნ ა — (ირონიულად) ზოგს ლენინგრადში აგზავნიან, ზოგს მოსკოვში, საზღვარგარეთ! (პაუზა) ზოგსაც ვაშლოვანში! კარგი საქმეა! ცხოვრებას გაეცნობი, სიბრძნეს შეიძენ.

ა რ კ ა დ ი — შენ...

მ ა ნ ა ნ ა — (აწყვეტინებს) მე ნამყოფი ვარ სოფელში, ბალახი, სუფთა ჰაერი, ხილი... მომეწონა, ძალიან მომეწონა! ერთი დღე მოლზე გავიარე ფეხშიშველი და მარცხენა ფეხის შუათითში ეკალი შემერჭო, საოცრად მეტკინა და შემძულდა სოფელი.. შემძულდა!

ა რ კ ა დ ი — მე სხვას...

მ ა ნ ა ნ ა — და იმავე დღეს წამოიყვანა დედამ თბილისში... ასე შეგვაშინა პატარა, სულ პატარა ეკალმა. (იცინის. არკადი მოიწყენს) შენ, შენ რატომ არ იცინი? განა სასაცილო არ არის, პატარა ეკალმა ასე შეაშინოს დედა და ქალიშვილი? მაგრამ შენთვის არ უნდა იყოს საშიში სოფელი. შენ ხომ ფეხშიშველი არ გაივლი მოლზე? (წამოდგება, თმას ისწორებს. მერე საათს დახედავს) მე წავალ, არკადი!

ა რ კ ა დ ი — ჯერ ადრეა.

მ ა ნ ა ნ ა — აუცილებელი საქმე მაქვს. (პაუზა) მელოდებიან...

ა რ კ ა დ ი — მცირე ხანს დარჩი. (პაუზა) ეგებ უკანასკნელად გესაუბრები!

მ ა ნ ა ნ ა — (შეკრთება) არაფერი მესმის!

(ჯდება სავარძელში).

ა რ კ ა დ ი — სამწუხაროა...

მ ა ნ ა ნ ა — ვერაფერს მივმხედარვარ!

ა რ კ ა დ ი — (დაბალი ხმით) ყველას ვემალები, ვითომ შინ არა ვარ... ეს ხომ კარგად იცი? ეს ხომ იცი?

მ ა ნ ა ნ ა — ვიცი. არ არის კარგი!

ა რ კ ა დ ი — შენ გთხოვე მოსულიყავი...

მ ა ნ ა ნ ა — და მეც მოვედი!

ა რ კ ა დ ი — ყველაზე უფრო თავს შენთან ვგრძნობ ახლოს...

მ ა ნ ა ნ ა — მჯერა. ჩვენ ხომ დიდი, დიდი ხნის მეგობრები ვართ!

ა რ კ ა დ ი — მეგობრები?

მ ა ნ ა ნ ა — მეგობრები, ამხანაგები!

ა რ კ ა დ ი — მეგობრები! კარგი საქმეა. (პაუზა) შენ უფრო ახლოს ხარ ჩემთვის, ვიდრე მამა, ვიდრე ჩემი და, ვიდრე დედაჩემი... ამას ხომ გრძნობ?

მ ა ნ ა ნ ა — ეს მეტისმეტია, გადაჭარბებული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ კ ა დ ი — მე მართალს ვამბობ... მეგონა გამხელა არ დამჭირდებოდა... მეგონა ისე, თავისთავად. უთქმელად მიმიხვდებოდი...

მ ა ნ ა ნ ა — (გაოცებული) არკადი. ისევ?

ა რ კ ა დ ი — ისევ და უკანასკნელად! (მიუახლოვდება მანანას, მცირე ხნის შემდეგ) ნუთუ არ გახსოვს ჩვენი მერხი, ჩვენი სკოლა... ყვავილები! მე ხომ ყოველთვის შენთან ვიყავი — სიხარული შენი მალხენდა და ტკივილი შენი მტკიოდა... აღარ გახსოვს? (მანანა თავს დაღუნავს და ხელებს სახეზე შემოიკრავს) დუმილს ამჯობინებ? ასე იქცევა დამნაშავე...

მ ა ნ ა ნ ა — (დგება) არკადი!

ა რ კ ა დ ი — მომისმინე! შენ მაინც არას ამბობ... (ხმადაბლა) არ იფიქრო, გამკიცხველი ვიყო მე შენი. (მოშორდება მანანას. უფრო დაბალი ხმით) მე ისე ვამბობ, ჩემი სევდის გასაქარვებლად! (პაუზა) მაგრამ სევდა კი არ შშორდება! ძილი გამიკრთო, ამიცრუა გული საქმეზე. ადგილი ვეღარ მიპოვნია შინ და გარეთაც. ამაწრიალა, დაზაფრული გამხადა თითქოს. (უახლოვდება მანანას) და სულ ერთია ახლა ჩემთვის, ვინ საით მიდის, რას აკეთებს...

მ ა ნ ა ნ ა — არკადი, კმარა! განა ისეთი უგულო ვარ, (გამოჯავრებით) როგორც შენ ფიქრობ... აშკარად გეტყვი.

ა რ კ ა დ ი — (აწყვეტინებს) წარსულს არ ეკუთვნის, რასაც ახლა იტყვი! ეს ახლა ამბობ!

მ ა ნ ა ნ ა — თავდაპირველად შენ მიყვარდი! მერე გამოჩნდა სხვა ვინმე და ის შევიყვარე?

ა რ კ ა დ ი — ნამდვილია.

მ ა ნ ა ნ ა — შენ ასე ფიქრობ?

ა რ კ ა დ ი — ფიქრი რად უნდა! ერთი კვირის წინ...

მ ა ნ ა ნ ა — ბავშვობიდანვე... დამიჯერე, ასეთი თვალით შემოგცქეროდი... მე მიყვარდა შენი მტკიცე ნებისყოფა, შენი საქმე. მაგრამ... ყოველთვის გიყურებდი, როგორც ამხანაგს, მეგობარს, რომლისთვის თავი შეიძლება გასწირო. მაგრამ... სხვაგვარ სიყვარულზე არასოდეს არ მიფიქრია. (თავისთვის) ეგებ იმის გამო, რომ აგრერიგად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. (კარისკენ გადადგამს ნაბიჯს).

ა რ კ ა დ ი — ერთად ყოფნა? განა ეს არის მიზეზი?

მ ა ნ ა ნ ა — მართალს ვამბობ... მერწმუნე, არკადი.

ა რ კ ა დ ი — მართალს? სიმართლე შორსაა შენგან. (პაუზა) თუმცა... ყველა ფრინველი ისე გალობს, როგორიც ნისკარტი აქვს გამობმული. წადი... რადგან გული გეუბნება, წადი!

მ ა ნ ა ნ ა — შენ დაღლილი ხარ.. დაქანცული... გაბრაზებული! გაიცლის დრო და, დამშვიდდები (უახლოვდება), გაიფანტება ბურუსი! ჩვენ ისევ მეგობრები ვიქნებით.. მე... თუ გსურს დღეს ისევ მოვალ... გინდა ხვალ...

ა რ კ ა დ ი — გელოდებიან... არ დაგაგვიანდეს!

მ ა ნ ა ნ ა — არა, მე არ მინდა... მე არ მინდა გულმოსული, გაჯავრებული იყო შენ... აბა, სარკეში ჩაიხედე, სრულიად, სრულიად არ გიხდება... გაუპარსავი ხარ... არ გიხდება! აბა, ჩაიხედე სარკეში!..

ა რ კ ა დ ი — ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არის! (პაუზა) წადი... გაგვიანდება!

მ ა ნ ა ნ ა — არ წავალ! (სავარძელში ჯდება, იბუტება) არ წავალ!

ა რ კ ა დ ი — (გაჯავრებული) გეზრალები?

მ ა ნ ა ნ ა — (შემკრთალი) არა... შესაბრალისი რა გჭირს! არა, მე არ წავალ!

ა რ კ ა დ ი — შენი ნებაა... წახვალ, თუ დარჩები — ჩემთვის სულ ერთია.

მ ა ნ ა ნ ა — როგორ გამოცვლილხარ, არკადი! (თავისთვის) ნუთუ რამდენიმე დღეში შეიძლება ასე გამოიცვალოს ადამიანი? (დაყვავებით) სხვანაირი კილო გაქვს, არკადი!

ა რ კ ა დ ი — (აღელვებული) კილო! ლევანმა და შენ გამოიცვალეთ კილო... თქვენ მიყურებთ სხვანაირად... მე თქვენთვის გუშინდელი არკადი აღარ ვარ... (პაუზა, ხმადაბლა) და არც შემიძლია ვიყო გუშინდელი არკადი!.. წადი... მე გთხოვ წახვიდე...

მ ა ნ ა ნ ა — (დგება) არ მეგონა! არ მეგონა, თუ ასეთი იყავი... საოცარია. (პაუზა) ნახვამდის.

ა რ კ ა დ ი — მშვიდობით. (მანანა

ნიდის. არკადი საწერ მაგიდასთან ჯდება. ერთხანს გაშეშებულია, მერე უცებ წამოდგება. ფანჯარაში იხედება) წავიდა! (ფანჯარას მოშორდება) კილო! სხვანაირი თვალი! (პაუზა) მეგობარი? მეგობარი ასე მოიქცეოდა? მეგობარიო — გუშინ გავხდი მეგობარი! ჩემი ყოველი ნაბიჯი იცოდა, იცოდა, ვის ვხვდებოდი, რის გამო ვესაუბრებოდი... მებუტებოდა! დისერტაციას დაიცავ — მოსკოვში წავალთ, ლენინგრადში, უკრაინაში... ვიმოგზაურებთ შავი ზღვის სანაპიროზე... უსათუოდ ყირიმში — ლივადიაში დავისვენებთო. ეეხ, უნდა მეკითხა — მეგობარივით გამომყოლოდა ლივადიაში? (პაუზა) ნუთუ ასეთი რამ აქვს გულში ჩამარხული, რომელსაც მეორე ვერ გამოიცნობს? ნამდვილია — გასაჭირში უნდა ნახო ადამიანი, მაშინ გაიგებ მისი გულის გასაგებს... ბრძენია ხალხი — ბედნიერება მეგობრებს გვძენს, ხოლო უბედურება ამოწმებს მათ... (ფანჯარასთან მიდის) არ იფიქრო ისეთი უღონო ვიყო, რომ შენმა უგულობამ და ხოტივარის შემოტევამ გამანადგუროს.

(ფ ა რ დ ა)

მოქმედება მესამე

სურათი მეხუთე

ზაფხული. დილა. სცენის სიღრმეში მთის ფერდობი. ფერდობზე ვენახია გაშენებული. მთის ძირს მდინარე ჩაუდის. მდინარეს მიჰყვება ფართო ასფალტირებული გზა. წინა პლანზე— ვაშლოვანის კოლმეურნეობის გამგეობის ეზოს ნაწილი და გამგეობის შენობის ფასადი. ეზოში კაკლისხე. ხის ჩრდილში—ხის გრძელი სკამი. სკამზე ზის გულასპირი. გაზეთს კითხულობს.

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ისევ სალომე! (წამოდგება) შეხედეთ — ისევ ჩვენი სალომე ქიმერიძის სურათი! (აკვირდება) მხატვრებმა რომ წარმატება იციან. ეს მესმის. ცხვირს დაგიგრძელებენ. ყურს დაგიპატარავებენ, ან სულ უყურადოდ დაგხატავენ... ახლა ფოტოგრაფებმაც რომ დაიწყეს ეშმაკობა! ნამდვილი სალომეა ვითომ ეს სურათი? (გაზეთს ხან შორიდან გახედავს, ხან ახლოს მიაქვს თვალებთან. არაა ნამდვილი! გაულამაზებიათ ჩვენი სალომე. გაუახალგაზრდავებიათ... ასეთი რომ იყოს, (პაუზა) ეეე. ერიჰა, გაუთხოვარი დარჩებოდა აქამდე? (სკამზე ჯდება, ისევ გაზეთს აკვირდება. კითხულობს) ვაშლოვანის კოლმეურნეობის მერგოლურმა, ცნობილმა, ჰმ, ცნობილმა, მეშარხლემ სალომე ქიმერიძემ... (შემოდიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიქტორ ჯანელიძე და კოლმეურნეობის აგრონომი ხოტივარი).

ვ ი ქ ტ ო რ ი — დილა მშვიდობისა!

ა რ ჩ ი ლ ი — ციფრების პროფესორს ჩვენი უმდაბლესი სალამი.

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — (წამოდგება. გაზეთს ცალი ხელით ზურგს უკან მალავს) გმადლობთ. დიდად გმადლობთ! ბელმძღვანელობას გაუმარჯოს! მაგრამ არ ხართ ხანდახან მართალი, გეუბნებოდით და ახლაც მოგახსენებთ, ვადამეტებულად იცით ამოჩემება ხელმძღვანელებმა... მე რეალისტი გახლავართ და აი ინებეთ საბუთი! (გაზეთს უჩვენებს. ვიქტორი და არჩილი გაზეთს ათვალიერებენ) გადააყრუეს ქვეყანა სალომე ქიმერიძის ქება-დიდებით. ხედავთ ხომ? წაიკითხეთ. (თვითონ კითხულობს) მერგოლური სალომე ქიმერიძე თავის ნაკვეთში მუშაობის დროს. ეს საბუთი პირველი. აგერ ესეც (საქაღალდედან ამოაქვს გაზეთი) საბუთი მეორე — გაზეთის პირველ გვერდზე (კითხულობს) სალომე ქიმერიძე ისვენებს რგოლის წევრებთან! ხედავთ, ხომ? ესეც მესამე საბუთი (საქაღალდედან ამოაქვს ახალი გაზეთი. გაპიანურებულად) ჩვენი სალომე გაზაფხულის პეიზაჟის ფონზე. ადრიან დილით მიემგზავრება ნაკვეთში... ბრის კი ამდენის ღირ-

ლი? გეკითხებით მე ხელმძღვანელობას: არის ამდენი ქება-დიდების ღირსი ჩვენი სალომე? თავმჯდომარე არაა (ვიქტორს გადახედავს), არც აგრონომი (ახლა არჩილს გადახედავს. მერე თავის თავზე დაიხედავს). მოანგარიშეც არ არის და არ არის. მოჰყავს ჭარხალი და მდიდრდება...

ვ ი ქ ტ ო რ ი — არის. გულასპირ, დიახაც, რომ ღირსია. (ხოტივარი გაზეთს ათვალიერებს).

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ერთი პირი ძილისთვის ნისლიც კი წვება ხევში. მე კი მთელი ღამეები არ მძინავს... ამდენი ხალხი შრომობს კოლმეურნეობაში, თვითეულის ნაშრომს მე ვანგარიშობ და ერთი პატარა, სულ პატარა რომ შემეშალოს, ჯვარზე გამაკრავთ... ეეხ, ამოიჩემებთ რომელიმე ერთს და მოგჭამა ჭირი — გავარდება და გავარდება მისი სახელი ყუმბარასავით. ჰი, ჰი, (არჩილს) მიბოძეთ ჩვენი სალომეს სურათები, გენაცვალე. (გამოართმევს) სათუთად უნდა შევინახო, თორემ სახე რომ დაუნაოჭდეს, გადამასახლებს... თავზე თმას (თავზე ხელს გადაისვამს)... გამჯორავს. (ვიქტორი სკამზე ჯდება. გაზეთს კითხულობს. გულასპირი და არჩილი განაპირდებიან) ვნახე, მარა რა ვნახე! ჯერ არაფერი მინახავს ამის მსგავსი...

ა რ ჩ ი ლ ი — რა?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ჩვენი მეცნიერი მუშაკის და. თურმე ხუთი დღეა ჩამოსულა და ჩვენ ჭურში ვზივართ...

ა რ ჩ ი ლ ი — ვიცოდი.

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — იცოდი!? იცოდი და ვერ მითხარი? (პაუზა) ამ დილით ვეწვიე მეცნიერ მუშაკს, რალაც ცნობები მთხოვა... ჰო, ჰო, ჰო, რა შესანიშნავი და ჰყოლია! რა ნაზია, მოკრძალებული, წყნარი...

ა რ ჩ ი ლ ი — წყნარი?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — წყნარი. (პაუზა) როგორც თვითონ სიჩუმე... საუბრითაც გზიბლავს, მოძრაობითაც, ჰაეროვანია და ჰარმონიული.

ა რ ჩ ი ლ ი — ჰარმონიული?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — როგორც ქვეყნიერება... და თვალები! ნამდვილად ლაჟვარდისფერი თვალები. (პაუზა) ალბათ ყველა ნიჭიერ მხატვარს ასეთი თვალები აქვს.

ა რ ჩ ი ლ ი — კარგად დაკვირვებიხარ!

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — [illegible] ჩემი თვალებიც მოეწონა. (იცინის) აუცილებლად უნდა დაგხატოო.

ვ ი ქ ტ ო რ ი — (დგება. მიდის არჩილთან და გულასპირთან. გაზეთს დაკეცავს. გულასპირს) აჰა, გაზეთი! (ხაზგასმულად) საინტერესოა. რატომ დაატარებ სალომეს სურათებს ასე შეხვეულად?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — დამავალეს. დამავალეს, ვიქტორ ჩემო... თორემ რა შავ ქვად მინდა სალომეს სურათები! პარტკომმა, არჩილმა დამავალა... თუმცა კარის მეზობელია, მიხარია მისი წარმატება.

ა რ ჩ ი ლ ი — მე გთხოვეთ ყველა ჩვენი მოწინავე კოლმეურნის სურათების შეგროვება...

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — (აწყვეტინებს) მაქვს! როგორც კი სტენდი მზად იქნება, სურათებს მოგართმევთ! (საქალალდეში აწყობს გაზეთებს) ახლა კი გირჩევთ, კანტორაში ახვიდეთ. (ხაზგასმულად) ორი კაცი გელოდებათ.

ვ ი ქ ტ ო რ ი — ასე ადრიანად ვინ მოვიდა?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — თქვენ მიერ დაბარებულები. ერთი ყოფილი ბრიგადირი და ერთიც (პაუზა) ზარმაცი.

ა რ ჩ ი ლ ი — გარკვევით თქვი.

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ყოფილი ბრიგადირი ევდოკიმე და სილამაზის ღმერთი — ქალბატონი მანოშვილი! (პაუზა) მანოშვილის ქალი მე მიჩიოის. ევდოკიმე — არჩილს.

ა რ ჩ ი ლ ი — ესაუბრე?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ქალბატონს ვესაუბრე, მაგრამ მასთან საუბარი წყლის ნაყვაა... ცეცხლგამძლე აგურისფრად შეფერილია ტუჩები. დაუხუჭუჭებია თმა. ოფოფის მაგვარი ქუდი დაუხურავს და მთელი ქვეყნის უფროსივით დაბრძანდება...

ვ ი ქ ტ ო რ ი — საოცარი ადამიანია! არავისი არ ერიდება!

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — არც ღმერთის, არც ქაჯის!

ა რ ჩ ი ლ ი — ქმარი? ქმარი რას ეუბნება?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ქმარი დაიმუქრა — გაგეყრებიო. მაგრამ წარბიც არ

შეიხარა, უპასუხა — შენისთანა მიწის მუშას ყოველთვის ვიშოვნიო.

ვ ა რ ა — (კიბეზე ჩამოდის. დაინახავს ვიქტორს, არჩილს და გულასპირს) სუფთა ჰაერზე გამოპარულა მოანგარიშე. ცხადია, საუბარი სუფთა ჰაერზე სასიამოვნოა!

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — მობრძანდით, ამხანაგო მარიამ!

ვ ა რ ა — (გაჯავრებით) მე ვარა მეძახიან, ამხანაგო გულასპირ! კოლმეურნეობის მოანგარიშემ კოლმეურნის სახელი მაინც უნდა იცოდეს...

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — (აწყვეტინებს) იშვიათი სანახავი ბრძანდებით, პატივცემულო ვარა! (გაჭიანურებით) თქვენი შრომის წიგნაკიც იშვიათად გვესტუმრება ხოლმე, თორემ სახელს...

ვ ა რ ა — ეს კი თქვენი საქმე, არ გახლავთ. (ამაყად) ჩემს ოჯახს ყოფნის თავის ნამუშევარი... განა შემოგეხვეწეთ, დამეხმარეთ-მეთქი? (ირონიულად) უმჯობესია ზრდილობიანად ილაპარაკოთ ასულთან. (ვიქტორს და არჩილს) დილა მშვიდობისა! (სათითაოდ ართმევს ხელს).

ვ ი ქ ტ ო რ ი — რატომ ცხარობთ, ამხანაგო ვარა!

ვ ა რ ა — (წყრომით შეხედავს გულასპირს, ვიქტორს) გთხოვთ ჭკუა ასწავლოთ თქვენს მოანგარიშეს...

ვ ი ქ ტ ო რ ი — ამხანაგი გულასპირი ჩემი მოანგარიშე არ გახლავთ... ის მთელი ჩვენი კოლმეურნეობის მოანგარიშეა. (არჩილი გულასპირს გაუღიმებს. რაღაცას ხელით ანიშნებს და კანტორაში ადის. ვარა თვალს გააყოლებს არჩილს. სკამზე ჯდება).

ვ ა რ ა — სწორედაც სამწუხაროა ეს ამბავი! ნაცვლად იმისა, რომ თხოვნა შეგისრულოს, წესიერად გააკეთოს, რაც ევალება (გულასპირს გადახედავს). ზედმეტს ჩემულობს! კოლმეურნეთა პირად საქმეებში ერევა...

ვ ი ქ ტ ო რ ი — (გაოცებით) ეგ არ ვიცოდი!

ვ ა რ ა — მაგალითი მე ვარ!

ვ ი ქ ტ ო რ ი — საინტერესოა! (სკამზე ჩამოჯდება).

ვ ა რ ა — საინტერესო? ვითომ საინტერესო? გულგასახეთქი კია... დიახ, ამ მთელი კოლმეურნეობის მოანგარიშის შესახებ მინდა მოგახსენოთ, რომელიც პირადად მე უსამართლოდ მექცევა, აბუჩად იგდებს ჩემს [illegible] მოთხოვნას, დამცინის, მეგულებრება...

ვ ი ქ ტ ო რ ი — (ისევ [illegible]) საინტერესოა, საინტერესოა, დიდად საინტერესოა, განაგრძეთ.

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ოი, როგორ უქმად გვაკარგვინებს დროს!

ვ ა რ ა — (გაცხარებული) აი, ხომ გაიგონეთ, ხომ თვითონა ნახეთ, როგორ დამცინა? (გაჭიანურებულად) არა სცალია ჩემი საჩივრის მოსასმენად პასუხისმგებელ ამხანაგს.

ვ ი ქ ტ ო რ ი — ნუ ღელავთ, ამხანაგო ვარა!

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — მე... (კიბისკენ გადადგამს ნაბიჯს) კანტორაში.

ვ ი ქ ტ ო რ ი — არა, აქ დარჩი. (ვარას) თქვენ განაგრძეთ.

ვ ა რ ა — მე მგონია, თავმჯდომარე ვალდებულია, ზრდილობა და წესრიგი დაიცვას კოლმეურნეობაში! დაარიგოს (გულასპირს გადახედავს) ზოგიერთი გათამამებული პიროვნება... არ უნდა მისცეს სხვისი დაჩაგვრისა და დამცირების უფლება! აბა მიპასუხეთ, მართალს არ ვამბობ?

ვ ი ქ ტ ო რ ი — თქვენი საჩივრისა ვერაფერი გამიგია...

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ეს პრელუდია იყო, ამხანაგო ვიქტორ. სიმფონიას შემდეგ მოისმენ.

ვ ა რ ა — (წამოიჭრება) აჰა, ესეც ამისი ზრდილობა! სიტყვის თქმას არ მაცლის... იცის, რომ ჯარგ დღეს არ დავაყენებთ. (პაუზა) ცდილობს. წინასწარ გადამიჭრას გზა, მაგრამ უკაცრავად! (გულასპირს გადახედავს, დაცინვით) შენისთანა ვაჟკაცებს არ შეუშინდება ვარა მანოშვილი. (გულასპირი მხრებს შეათამაშებს) ნუ ცახცახებ, გამაგრდი!

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — გავმაგრდები. (წელში გასწორდება) რაც შეიძლება გავმაგრდები!

ვ ი ქ ტ ო რ ი — (ვარას. გულმოსული) თქვენ საქმის გამო მობრძანდით?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — უსაქმოდ ნაბიჯსაც არ გადაადგამს.

ვ ა რ ა—(შეშფოთდება) ოხ!

ვ ი ქ ტ ო რ ი — (გულასპირს) თავი შეიკავე. (ვარას) ბრძანეთ თქვენი სათქმელი.

ვ ა რ ა — ჰოდა, სათქმელს მოგახსენებთ. გუშინ დილით ვესტუმრე

(ხაზგასმულად) სწორედ ამ მოანგარიშეს. მივესალმე. მომესალმა. ვეუბნები — პატივცემულო გულასპირ, გამომიწერეთ ათი ფუთი ხორბალი. მან ჯერ გაიცინა, მერე გადაიხარხარა! მეუბნება — ოცი ფუთი არ გნებავთ?

ვიქტორი — შემდეგ?

ვარა — მე ჩემსას ვამბობ. გამომიწერეთ ათი ფუთი ხორბალი. დღესვე, ახლავე მჭირდება, (პაუზა) ის კიდევ ილიმება — არავითარ შემთხვევაში, დიახ. არავითარ შემთხვევაში (გულასპირის ხმაზე) თქვენ ათი ფუთი ხორბალი არ გეკუთვნით...

ვიქტორი — (გულასპირს) მართალია?

გულასპირი — მართალს მოგახსენებენ. ახლაც ვადასტურებ — არ ეკუთვნის!

ვარა — (ირონიულად) განა მე უკეთ არ ვიცი, რა მერგება და რა არა? ეგებ უვიცი ვგონივარ თქვენს მოანგარიშეს? ეგებ...

გულასპირი — მოანგარიშემ ის იცის, რომ თქვენს შრომის წიგნაკში შრომადღეები არ წერია და მას უფლება არა აქვს...

ვარა — (ვიქტორს) ხომ გესმით, ისევ თავისას გაიძახის...

ვიქტორი — (დინჯად) ნამდვილს მოგახსენებენ! თუ შრომადღეები არა გაქვთ გამომუშავებული, გულასპირს ნება არა აქვს, გამოგიწეროთ.

ვარა — (აწყვეტინებს. ნაძალადევი ღიმილით) უთუოდ ვერ მცნობთ. პატივცემულო ვიქტორ! მე ხომ... ირაკლის მეუღლე ვარ! ჩემი ქმარი ხომ მწყემსების ბრიგადირია... ის მთაშია ახლა!

ვიქტორი — ვიცი. მაგრამ ის ირაკლია. შენ კიდევ შენა ხარ... გულასპირი სწორედ მოქცეულა. რომ...

ვარა — (აღშფოთებული) გულასპირი სწორად მოიქცა თუ არა, ეს მე ვიცი. მე ვერავინ მასწავლის კანონს! მე დიახაც ვიცი. რასაც მოვითხოვ.

გულასპირი — (გაჯავრებული) ქალო, რომ დაგიჩემებია კანონი, კანონი. კანონში. წერია. რომ მშრომელსა და გამრჯეს ხვავი და ბარაქაო დაიქნარასა და ზარმაცს შავი ჭირიო... აბა. ესა წერია კანონში!

ვარა — მე ვფიქრობ...

გულასპირი—შენ იმაზე იფიქრე. გენაცვალე, რომ ეს შენი ქუდი თავზე არ დამეცეს.

(საქაღალდეს იღლიაში ამოიჩარჩოს და სირბილით ადის კანტორაში).

ვარა — (ვიქტორს) აბა, ის თუ წერია კანონში, რომ ცოლ-ქმარი ერთად ცხოვრობდეს და კოლმეურნეობის მოანგარიშემ იმათი ქონება გაჰყოსო! აბა, ეს წერია კანონში?

ვიქტორი — (დაყვავებით) აბა. ერთი შენ მითხარი, მოსაწონია — კოლმეურნეობა ხნავდეს, თესდეს, იმკიდეს, ხოლო კოლმეურნეობის წევრი, ისიც ახალგაზრდა და ჯანმრთელი, მხართეძოზე იყოს წამოწოლილი? განა შენ თვითონ არ გესირცხვილება, ასე გამოთიშული რომ ხარ ხალხისაგან? აი. ჩვენი სალომე! მთელი სოფელი გვასახელა თავისი შრომით!

ვარა — (ოდნავ აცრემლებული) სალომე. სალომე! სალომეს პროტექციით ხატავენ გაზეთში.

ვიქტორი — (გაოცებული) რას ლაპარაკობ! სისულელეა!

ვარა — ვიცი. სალომეს რძალი მოლარედ მუშაობს რედაქციაში, აი ის ახატვინებს წარამარა...

ვიქტორი — სისულელეა! არსად წამოგცდეს! ხვალ „პრავდის" კორესპონდენტი ჩამოვა ვაშლოვანში და მხოლოდ სალომეს გამო. (პაუზა) ნახავ, მთელს საბჭოთა კავშირში გაითქვამს სახელს ჩვენი სალომე. და რითი? აბა დაფიქრდი? მხოლოდ თავისი შრომით.. შენ სალომეზე ახალგაზრდა ხარ... შეგიძლია იყო უფრო სახელოვანი. ქმარი ბეჯითი გყავს. პატიოსანი... გულასპირთან რომ არ გითხარი. განა არ ვიცი. შენს დედამთილს წელს უკვე ოთხმოცი შრომადღე აქვს გამომუშავებული და შენ კი მხოლოდ შვიდი... სირცხვილია! დაფიქრდი — გსურს — ვენახში იმუშავე. გინდა მეჭარხლე გახდი. ან ქმართან ერთად ფერმაში... ახლა კი სახლში წადი და კარგად დაფიქრდი. (ხელს ჩამოართმევს) მეც საქმე მაქვს. (ვარა მიდის) მოითმინე... რაც შეეხება ხორბალს. (პაუზა) გამოგიგზავნით. (ადის კიბეებზე. შემოხვდება ევდოკიმე) ევდოკიმეს გაუმარჯოს!

ევდოკიმე — (ირონიულად) მადლობელი ვარ ყურადღებისათვის.

ვიქტორი — რა დავიმსახურეთ ასეთი?

ევდოკიმე — ჩინებულად იცი!

ვიქტორი — მაინც?

ევდოკიმე — ხოტივარმა და შენ ხომ გადაწყვიტეთ? მორჩა და გათავდა! მაგრამ მე არ შემიძლია, (ხმააწეულად) არ ვემორჩილები თქვენს გადაწყვეტილებას! (პაუზა) გუშინ ბრიგადირი ვიყავი, ხელმძღვანელი. ხვალ კი სალომემ გადმომძახოს დილაადრიან — ადექი, ამხანაგო ევდოკიმე, გვერდები არ გეტკინოს ამდენი წოლითო? ოო, არა, არა! ძნელი ასატანია, ამხანაგო ვიქტორ. არ შემიძლია! არა, მაინცდამაინც სალომეს რგოლი...

ვიქტორი — უნდა გიხაროდეს კიდეც.

ევდოკიმე — (ირონიულად) ჭაბუკი რომ ვიყო, მოგეცა ლხენა, არ ვითაკილებდი... ახლა ჩემი ხნის კაცმა ქალების რგოლში იქირქილოს, ყველაფერი სახარბიელოა... სად შემიძლია ამათი ჭიკჭიკის ატანა! არ შემიძლია, არავითარ შემთხვევაში!

ვიქტორი — კრებაზე ყოველთვის სალომეს აქებდი, მოწინავეა, სამაგალითოა, მთელი კოლექტივის თვალია, და მასთან მუშაობა გეუხერხულება?

ევდოკიმე — კრებაზე? ახლაც ვამბობ — კარგია, სამაგალითო, მისი რგოლის წევრებიც შემიქია და ახლაც ვამბობ — კარგია, სამაგალითო! მაგრამ ახლა იმ ქალიშვილებმა იჭიკჭიკონ ჩემზე? ჭკუა მასწავლონ? სამუშაო მომიზომონ და მერე შემამოწმონ კიდეც? აპაპა, არ შემიძლია. (წასვლას აპირებს).

ვიქტორი — რაო, ხოტივარმა რა გითხრა?

ევდოკიმე — (გაჯავრებული) დამითანხმა მაგ შეჩვენებულმა... დამითანხმა, მაგრამ დროებით, იცოდეთ, დროებით, ამხანაგო ვიქტორ.

(ვიქტორი კიბეზე ადის. ევდოკიმე კიბის საფეხურზე ჩამოჯდება. გამოდის გულასპირი. მას საქალალდე თან აქვს. თავზე ქუდი ხურავს. ჩანს კანტორიდან მიდის. შეხედავს კიბის საფეხურზე ჩამომჯდარ ევდოკიმეს).

გულასპირი — (დაბალი ხმით) უსწავლელი ქვაზე დაჯდა — ქვა ქვას დაემატა.

ევდოკიმე — (გაჯავრებული) ჩემზე ამბობ!

გულასპირი — (მშვიდობიანად) როგორ გეკადრებათ, ჩემო ევდოკიმე, ჩემს თავს ვეუბნები.

(ევდოკიმეს გვერდით კიბის საფეხურზე ჩამოჯდება).

ევდოკიმე — ოო, მე მეგონა ჩემზე თქვი და ავენთე! არ შეგარჩენდი. (პაუზა) შენს თავზე თუ ამბობ, შეიძლება, შენი ნებაა.

გულასპირი — გმადლობთ, დიდად გმადლობთ. (პაუზა) ჩემზე ვთქვი და შენც გიგულისხმე! მე მარტოობის მტერი ვარ.

ევდოკიმე — (წამოიჭრება) ააა, ხომ გითხარი, არ შეგარჩენ-მეთქი!

(გულასპირისკენ ხელს გაიშვერს).

გულასპირი — (სწრაფად წამოდგება. სახეს ახლოს მიიტანს ევდოკიმეს სახესთან) არა გრცხვენია. მეგობარი კაცი ხარ და ამხანაგობა არ უნდა გამიწიო? ეს არის შენი ამხანაგობა?

ევდოკიმე — (დამშვიდებული) ოო, ამხანაგობას კი გაგიწევ, მაგრამ ეშმაკობას თავი გაანებე! მისახსოვრე ერთი შენი თამბაქო. (ჯდება. გულასპირი პაპიროსს მიაწვდის. ორივენი უკიდებენ და წევენ) მართლა ჩამოდიან ის მეცნიერები და პროფესორები?

გულასპირი — ჩამოდიან, მაშ!

ევდოკიმე — მერე და ყველას ერთად რა უნდა ამ ჩვენს სოფელში, რა უნდა გააკეთონ?

გულასპირი — იმსჯელებენ, იპაექრებენ...

ევდოკიმე — იმსჯელებენ?

გულასპირი — ჰო, ილაპარაკებენ.

ევდოკიმე — მერე-და, ამ სიშორეზე მოდიან სალაპარაკოდ?

გულასპირი — (ხაზგასმულად) მეცნიერული ლაპარაკი ეჭნებათ! ჯერ ერთი ილაპარაკებს, ჩვენი სტუმარი ხომ იცი, ახალგაზრდა მეცნიერი?

ევდოკიმე — არკადიზე ამბობ?

გულასპირი — ჰო, ვითომ არ იცი?

ევდოკიმე — ვიცი, ეგ რა მეცნიერია, სულ ტრაქტორისტებს დასდევს კუდში.

გულასპირი — ჰოდა, სწორედ ტრაქტორზე და ტრაქტორისტებზე

ილაპარაკებს. (პაუზა) მერე მეორე მეცნიერი წარმოთქვამს სიტყვას... მერე მესამე... მერე ისევ ჩვენი სტუმარი და (პაუზა) ბოლოს ხარისხს მიანიჭებენ.
(მოულოდნელად შემოდის არკადი, ევდოკიმე და გულასპირი ერთმანეთს გადახედავენ).

ა რ კ ა დ ი — გამარჯობათ, მეგობრებო!

ე ვ დ ო კ ი მ ე — ოო, ჩვენს მეცნიერს ვახლავართ...

ა რ კ ა დ ი — ჯერ ნაადრევია, პატივცემულო...

ე ვ დ ო კ ი მ ე — (აწყვეტინებს) არავითარ შემთხვევაში! მეცნიერი ხარ და დიდად ნიჭიერიც!

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — მართალია, მაგრამ შენ საიდან იცი?

ე ვ დ ო კ ი მ ე — ვიცი და... იქიდან ვიცი! რა შენი საქმეა, საიდან ვიცი?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — მაინც საიდან?

ე ვ დ ო კ ი მ ე — ანგარიშებს მოუარე! მეცნიერებაში ნუ ჰყოფ ცხვირს!

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — მატყუებ, არა?

ე ვ დ ო კ ი მ ე — (გაჯავრებული) დამკალი ახლა! ვიცი და... არჩილმა მითხრა!

ა რ კ ა დ ი — არჩილმა?

ე ვ დ ო კ ი მ ე — არჩილმა, დიახ! ისიც მითხრა — მალე საქართველოში ბადალი არ ეყოლებაო...

ა რ კ ა დ ი — (ხალისიანად) მე არჩილის მოწაფე ვარ! მე მისგან ვსწავლობ...

ე ვ დ ო კ ი მ ე—(აწყვეტინებს) ასეა, დიდ ადამიანს თავმდაბლობა ახასიათებს... (გულასპირს) აბა, შენსავით კი არაა — საანგარიშოს აჩხიკინებ და თავი თავმჯდომარედ წარმოგიდგენია... (არკადის) ერთი ეს მითხარი, საყვარელო მეცნიერო, ახალი სისტემის ტრაქტორს მალე მივიღებთ?

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ეს არჩილმა იცის...

ე ვ დ ო კ ი მ ე—ეს მეცნიერია! მეცნიერმა უფრო არ იცის?

ა რ კ ა დ ი — (უხერხულად) მალე. კონსტრუქტორებმა საპასუხო წერილი გამოგზავნეს.

ე ვ დ ო კ ი მ ე — წერილებს ხშირად გვწერენ. მე საქმე მაინტერესებს.

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — თავს იკლავს საქვეყნო საქმისათვის...

ე ვ დ ო კ ი მ ე — აა, მაცალე! ა, ქვეყანა ასეა, ვთქვათ ... (ნაბიჯებით შემოხვევა) (ხელოვნური ბიგლიოთეკა)

გ უ ლ ა ს პ ი რ ი—დედამიწა ორგვალია, ევდოკიმე, კვერცხს ჰგავს.

ე ვ დ ო კ ი მ ე — კვერცხს შენი თავი ჰგავს! იყოს თუნდაც მრგვალი... მე ვამბობ, აი ასეთია — აზრისათვის მჭირდება. აგერ აქ, შუაგულში, ვდგავარ მე — მშრომელი ადამიანი და ეს დედამიწა ჩემია...

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ცოტას არ მიწილადებ?

ე ვ დ ო კ ი მ ე — მოამრგვალე! აზრი დავამტკიცო და მერე სულ შენი იყოს, რაც ქვეყნად მიწაა... აი, ვდგავარ აქ და გავცქერი დედამიწას (შუბლზე ხელმოჩრდილული ნელ-ნელა შემოტრიალდება ირგვლივ), ვუმზერ და ვუმზერ და, რაც ზედაპირზეა, ყველაფერს ვხედავ. ვიცნობ ახლა ამ მიწას მე? არა! შიგ უნდა ჩაიხედო! გადაშლი ერთ ფურცელს და სხვანაირია... გადაშლი მეორეს და სხვანაირია... გადაშლი მესამეს და უფრო სხვანაირი! რატომ ვთქვი ახლა მე ეს, გამიგეთ? (დამარცვლით) როცა მანქანას ქმნი ამ მიწისათვის, ან ნორმებს და კანონებს ადგენ — ღრმად უნდა ჩაიხედო...

გ უ ლ ა ს პ ი რ ი—ევდოკიმეს გულში!

ე ვ დ ო კ ი მ ე — დიახ, ჩემს გულში! ამ გულმა იცის ამ მიწის ამბავი... აა, ცოტა უკაცრავად, მარა ჩვენი მეცნიერები ხშირად მიწის ნაცვლად ცას უმზერენ! იმიტომ იყო ისეთი გაჩაჩხული ტრაქტორი...

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — მერე არკადი რა შუაშია?

ე ვ დ ო კ ი მ ე — ოო, სიტყვამ გამიტაცა, არ გეწყინოს, არკადი! ვიცი, ნორმებს გვიდგენ და არ მოტყუვდებაბა შენ იცი, არ მოტყუვდე. (ხალისიანად) შენ არჩილი გინდა, ან ვიქტორი. არც ერთი არაა. ახლა სალომე ქიმერიძის ნაკვეთში არიან და ეგებ მიუსწრო. წადი, გენაცვალე, ჩვენთვის ნუ მოცდები! (არკადი ემშვიდობება გულასპირს და ევდოკიმეს და მიდის. ევდოკიმე თვალს გააყოლებს, მერე აუტყდება ხარხარი) ესაა მეცნიერი? ვაი ჩემს თავს! ესაა, გულასპირ, შენი მეცნიერი? ამას მიანიჭებენ ხარისხს?

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — არა, შენ მოგართმევენ...

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — რის ხარისხს?

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — (დამარცვლულად) სამეცნიერო ხარისხს...

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ააა. გინდა მომატყუო და რაღაცას ბეუტურობ. (დამარცვლულად) ლაპარაკისათვის ხარისხს ოომ ანიჭებდნენ, ახლა შენ მრავალხარისხმინიჭებული და დახარისხებული იქნებოდი. (გულასპირი დგება) ააა. დაგიჭირე ხომ? დაიცა ცოტა ხანს. (პაუზა) ბედი გაქვს.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — დამიგვიანდა. ახლა ვაპირებ ქალის შერთვას.

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — მე აგრონომის გამო გეუბნები! ჩინებული აგრონომი დაგიხიმნეს.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — ადრე იცნობდი თუ?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ოოო, ვიცნობდი რომელია. ა. ამ ხელისგულზეა გაზრდილი.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — ძმისშვილია შენი?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — უფრო ახლობელიც.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — შენ დოხნაძე ხარ და ის ხოტივარი, საიდან ხართ ასე ახლობელი?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — არჩილის მამასთან ვმუშაობდი ტყეში. ჩვენი მესაღილე ეს იყო.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — ტყეში სადილი მოჰქონდა?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ოოო, ა. ამხელა იყო და სადილი მოჰქონდა ტყეში.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — გამოდის, მაგის გაზრდილი ყოფილხარ. ახალგაზრდა მამა გყოლია.

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ააა, ისევ ააწყვე შენებურად! მართალი კაცია.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — მოხერხებული! ცხოვრება მოხერხებაა. როგორც მოგიხერხდება, ისე იცხოვრებ.

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ააა. გინდა ახლა ცუდი რამ წამომაცდინო? უკაცრავად! კარგად ვერ ანგარიშობ. პატივცემულო მოანგარიშევ. (ხმამაღლა. პირი კანტორისკენ აქვს) ჩემი აზრით, არჩილი არათუ ჩვენს სოფელში, მთელს რაიონში, — მე ამას გულით ვამბობ, — კომუნისტია ნომერი ორი.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — (განგებ ხმამაღლა) პირველი? პირველი ვინაა?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — (ხმადაბლა) ააა. ვითომ არ იცი — პირველი რაიონის პირველი მდივანია. (ხმამაღლა) ვენაცვალე რაიკომს, ასეთი ჩინებული აგრონომი რომ მოუვლინა ჩვენს კოლმეურნეობას. ვენაცვალე... დედა, დედა, რა განათლებული და მართალი კაცია!

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — როგორც მახსოვს, წინანდელ აგრონომზედაც ასე ამბობდი!

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ოოო, ვამბობდი და კიდევაც იყო! მაგრამ მერე გაამრუდა ხაზი... და ხაზის გაბრუნებას არავის აპატიებენ!

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — როგორ უქმად იღლები...

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ააა, რატომ?

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — შენ გგონია ვიქტორი და არჩილი ოთახში სხედან?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — მაშ!

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — შმიიტ! მეორე კარებიდან გავიდნენ... ახლა სალომეს ნაკვეთში იქნებიან...

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — (დაღონებული) ოოო, მე კი ცუდი საქმე მიქნა შეჩვენებულმა.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — გაამრუდა ხაზი?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — იმ ქაჯის რგოლში ჩამწერა მაინცდამაინც.

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — ვინ არის ქაჯი?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — არ იცი, ვითომ? ვინ არის და ქიმერიძის ქალი!

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ—სალომე?

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ—ჰოო, სალომე!

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — (წამოდგება) რას ამბობ! (გაბრაზებული) ეკუაზე შეიშალე? ქაჯია კი არა. შესანიშნავი ქალია... შესანიშნავი მომუშავე... ლამაზი! კოხტა! ჩინებული!..

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ააა. ნუ გაასტეკარე ენა! ქაჯი თუ არ არის, რას იკლავს თავს — მარტოხელაა. კინკილა. სახლი აქვს. კარი აქვს. საქონელი ჰყავს... რას ეჭდება ამ ჭარხალზე!

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — (ხალისიანად) მდიდარ ოჯახს დაახვედრებს ქმარს...

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — ვინ ითხოვს ახლა სალომეს! ვაი მაგის ქმრის ბრალი...

ᲒᲣᲚᲐᲡᲞᲘᲠᲘ — (წელში გაიმართება) ვინ და მე!

(ევდოკიმე გაოცებული შესცქერის გულასპირს).

ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲛᲔ — შენი შესაფერისი

კია!.. (გულასპირი ჭიშკრისკენ იყურება, ხელმოჩრდილული).
გაფრთხილებ კი, ჩემსავით არ დაგეძართოს!

გ ულ ა ს პ ი რ ი — წამიკითხე ახლა ახალი ლექცია!

ე ვ დ ო კ ი მ ე — ოო, პირველად რომ გავიცანი ჩემი საცოლე... მუნჯი! ნამდვილი მუნჯი... ასი შეკითხვა და ერთი პასუხი ძლივს ამოიმაქრა. ავშენდი-მეთქი — ვიფიქრე და დავაჩქარე ქორწილი... და ვაი შენს მტერს — მესამე დღეს ენა ამოიდგა, მარა რამხელა ენა... პირდაპირ მხარზე გასადები!

გ ულ ა ს პ ი რ ი — (იცინის) შენ ენაზე გრძელი?

ე ვ დ ო კ ი მ ე — ჩემი ენაო? ჩემი ენა? ამოიღლიავა და წყლმ... გადასანსლა შეჩვენებულმა...

გ ულ ა ს პ ი რ ი — ა, ახსენეთ რომ იტყვიან, მართალია! აგერ მოდის სალომე! (ევდოკიმეს) შენ ახლა წადი ამ გზით, ორივ ეტყვი და ვაი შენი ბრალი!

(ევდოკიმე მიდის. გულასპირი ქუდს შეისწორებს, ხის ძირთან მიდგა, გამლილ საქალალდეს და ქალალდებში იცქირება, ცალი თვალი ჭიშკრისკენ უჭირავს. გამოჩნდება სალომე. გულასპირი დაინახავს თუ არა სალომეს, ამოძრავდება).

გ ულ ა ს პ ი რ ი — სალამი, ქალბატონი სალომე!

ს ა ლ ო მ ე — სალამი, ჩემო გულასპირ!

გ ულ ა ს პ ი რ ი — გმადლობთ! დიდად გმადლობთ! კარგად ბრძანდებით ხომ!

ს ა ლ ო მ ე — ვართ ასე...

გ ულ ა ს პ ი რ ი — გაზეთის ახალი ნომერი ნახე? (საქალალდეს ხსნის) ნახე, როგორ ხარ ჩახატული?

ს ა ლ ო მ ე — ვნახე, გენაცვალე... (პაუზა) რატომ მოგვიძულე ასე? რა იქნება, ხანდახან ჩვენსას გამოივლიდე...

გ ულ ა ს პ ი რ ი — გამოვივლიდე? (ირონიულად) დასალევი გაქვს რამე? შენ ჭარხალი გექნება და მე შაქრის ჭარხანა კი არა ვარ, რა შავ ქვად მინდა ჭარხალი!

ს ა ლ ო მ ე — (გაჭიანურებულად) შენთვის დასალევიც მოიძებნება...

გ ულ ა ს პ ი რ ი — თუ ასეა საქმე, საღამოს ვიქტორს წამოვიყვან, არჩილს წამოვიყვან, ისიდორეს წამოვიყვან...

ს ა ლ ო მ ე — არა! უმჯობესია მარტო მოხვიდოდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ულ ა ს პ ი რ ი — (გაოცებული) მარტო?! (აჩქარებით) როდის, როდის მოვიდე?

ს ა ლ ო მ ე — (გაჭიანურებულად) თუნდაც დღესვე, მუშაობის დამთავრების შემდეგ... საღამოხანს... უმჯობესია (ჩუმად) არავინ დაგინახავდეს...

გ ულ ა ს პ ი რ ი — (გაოცებით) არავინ დამინახავდეს? როგორ? საქურდავად ხომ არ მოვდივარ! კოლმეურნეობის მოანგარიშე ეწვია კოლმეურნეობის მერგოლურის ოჯახს — რა არის აქ დასამალი?

ს ა ლ ო მ ე — (დაყვავებით) არა, საწყენად კი არ მითქვამს... ოლონდ, ხომ იცი, გაუთხოვარი ქალი ვარ. (პაუზა) სოფელს დიდი ენა აქვს, ასე იტყვიან... ისე იტყვიან — აქაოდა სალომე და გულასპირი...

გ ულ ა ს პ ი რ ი — მერე-და, რატომ არ გათხოვდი აქამდე? (ხმადაბლა) ნაადრევი ხომ არ იქნებოდა! აიღე და შენც გათხოვდი...

ს ა ლ ო მ ე — ისე მელაპარაკები, ჩემო გულასპირ, თითქოს არ იცოდე ჩემი ამბავი.

(ქურდული ნაბიჯით სცენაზე შემოდის ევდოკიმე. იგი კიბეს ამოეფარება და სულგანაბული ყურს უგდებს გულასპირისა და სალომეს საუბარს).

გ ულ ა ს პ ი რ ი — ვიცი. ძმები დაზარდე, გზაზე დააყენე. უმცროსმა, აგერ, ათი წლის წინათ იქორწინა.

ს ა ლ ო მ ე — ექვსი წლის წინათ, გულასპირ, ექვსი წლის წინათ.

გ ულ ა ს პ ი რ ი — იყოს ექვსი... ექვსი წელიწადი მარტო ცხოვრობ... ხმის გამცემი არავინ გყავს... მართალია, ჯანმრთელი ხარ, მაგრამ ხომ შეიძლება უცბად გული შეგიღონდეს — წყლის მიმწოდებელი არ უნდა გყავდეს სახლში? მერე-და, შენისთანა ხელმოუჭედილი ქალი... შენისთანა...

ს ა ლ ო მ ე — რა ვიცი... ახლოს ვინც არის... (გამოჩნდება ვიქტორი. თვალს რომ მოკრავს სალომეს და გულასპირს, ისევ შებრუნდება კანტორაში) აგერ, ვიქტორმა დაგვინახა. (გულასპირი მიიხედავს კიბისკენ) ვინ იცის, რას იფიქრებს!

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — ვერავის ვხედავ, მოგეჩვენა ალბათ.

ს ა ლ ო მ ე — არა, დაგვიანია და ტანვე შებრუნდა. ვინ იცის, რას იტყვის...

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — თქვას, რაც სურს. ისა თქვას, ჩემო სალომე. ახლა წაბრძანდი... მუშაობას მოვრჩები თუ არა, შენთან გავჩნდები... წადი, გენაცვალე, სალამოს ვისაუბროთ...

ს ა ლ ო მ ე — (მიდის) მივდივარ! (ხაზგასმულად) იცოდე, დიდხანს არ მალოდინო, თორემ ვახშამი ცივი დაგხვდება.

გ უ ლ ა ს პ ი რ ი — (თვალს აყოლებს მიმავალ სალომეს) შენ შემოგეცლოს გულასპირი! აქამდე ვერ მითხარი, თუ ასეთი სასურველი [illegible] ბრიალებდა მაგ ლამაზ [illegible] და მაინც შენ შემოგეცლოს შენი გულასპირი! რა ნაზი და სათუთი ხმით მითხრა: (ხმას გამოიცვლის) გადმოიარე ჩვენსაკენ, გულასპირ... იცოდე, არ მალოდინო. (ხმას გამოიცვლის) გადმოვალ, გენაცვალე! გადმოვალ კი არა, მეტსაც ვიზამ.

ე ვ დ ო კ ი მ ე — არ შეშინდე, გულასპირ, დახმარება თუ დაგჭირდეს — აქა ვარ!

(ფ ა რ დ ა)

მეოთხე მოქმედება

სურათი მეექვსე

შემოდგომა. მდინარე. ჩანს ხმირი წიწვიანი ტყე. წიფლის ხესთან. რომელიც აღმოსავლეთ გადასცქერის, ახედან უშანგი და ნინო. მათ ანკესები აქვთ ჩაყრილი მდინარეში. ჩუმად სხედან. ჩასცქერიან მდინარეს. ისმის მდინარის ოდნავი შხუილი. ხის ძირზე მიყუდებულია ჩარჩოზე გადაკრული სურათი. ნინო სწრაფად ამოიღებს ანკესს. ანკესი ცარიელია და ისევ სწრაფად ჩაუშვებს მდინარეში. უშანგის გახედავს. უშანგიმ დაინახა, მაგრამ თავს ისე აჩვენებს, თითქოს არ შეუმჩნევია. მცირე ხნის შემდეგ ნინო ისევ ამოიღებს ცარიელ ანკესს.

უ შ ა ნ გ ი — ეშმაკია თევზი!

ნ ი ნ ო — (ანკესს აგდებს მდინარეში. დარცხვენილი) ეტყობა!

უ შ ა ნ გ ი — ჯერ შეეთამაშება ანკესს. ფრთხილად, სულ ფრთხილად შეეხება... გამოუცდელი მეანკესე ფიქრობს — აი ეს არის წამოეგო ანკესზე... მაგრამ ბოდიში (ამოიღებს ანკესს. ანკესი ცარიელია. ნინო შეხედავს. გაჯავრებული) ზოგჯერ გამოცდილსაც აცრუებს ეს ოხერი!

ნ ი ნ ო — ეტყობა!

უ შ ა ნ გ ი — მაგრამ ბოლოს მაინც წამოეგება... გაეთამაშება ანკესს, უნდა გაუყუჩდეს... ისევ გაეთამაშება და როცა მაგრად... (ამოიღებს ანკესს. ნაპირზე გადმოისვრის თევზს. ნინო წამოხტება. ხელში აჰყავს თევზი)

ნ ი ნ ო — ისევ კალმახი!

უ შ ა ნ გ ი — აქ მხოლოდ კალმახია. წყალი ისეთი ცივია, მხოლოდ კალმახი ეტანება. (ნინო თევზს კასრში ჩაუშვებს. ჯდება უშანგის გვერდით. ამოაქვს ისევ ცარიელი ანკესი).

ნ ი ნ ო — არა, უმჯობესია ვხატო. მე მხოლოდ ხელს გიშლით. აბა, ეს ანკესიც.

უ შ ა ნ გ ი — პირიქით... ეს დღეები...

ნ ი ნ ო — ხან ხატვით გაწუხებთ. ხან შეკითხვებით. (დგება. ჩარჩოს იღებს ხელში. ხან ტყეს გაჰყურებს. ხან სურათს აკვირდება. მერე დაიმუხლებს, ჩარჩოს ისევ ხეზე მიაყუდებს და ხატავს).

უ შ ა ნ გ ი — ეს დღეები სხვანაირია... ხალისიანი, მხიარული... ეეჰ. გამომაყრუა მარტოობამ.

ნ ი ნ ო — მარტოობამ? არჩილი?!

უ შ ა ნ გ ი — ვცხოვრობთ თითქოს ერთად!

ნ ი ნ ო — (გაკვირვებული) როგორ თუ თითქოს?

უ შ ა ნ გ ი — ვიდრე საცოდავი დედამისი ცოცხალი იყო, დათქმულ დროზე მოდიოდა შინ. სადილსაც დროზე ვსადილობდით და ვახშამსაც დროზე ვვახშმობდით... დედა რომ ცოცხალი ჰყავდეს...

ნ ი ნ ო — დედა!

უ შ ა ნ გ ი — დედის სიყვარული მეტი აქვთ შვილებს. (პაუზა) არ ვამტყუებ! დედის კალთა უფრო თბილია, დედის გული უფრო ალერსიანი. (პაუზა) არა. მე არ ვამტყუნებ! მამის გულშიც ჩაიხედეთ... ისეთი უტეხი და ორკლიანი როდია, როგორც გრუხუნებს...

ნ ი ნ ო — ძაფი გაიჭიმა. მალე, მალე! (უშანგი ანკესს ამოიღებს) ისევ ცალმახი!

(ნინო ხელს დასტაცებს თევზს და ყანარში ჩაუშვებს. უშანგი ანკესს მიწაზე დადებს. მიუახლოვდება სურათს, აკვირდება).

უ შ ა ნ გ ი — ჯერ ბევრი აკლია.

ნ ი ნ ო — ეს ესკიზია მხოლოდ.

უ შ ა ნ გ ი — ვიცი. ბალღობისას მე თვითონ ვხატავდი.

ნ ი ნ ო — (აღტაცებული) ხატავდით?

უ შ ა ნ გ ი — არჩილის დედამ ეს ოთახი შემაყვარა... მხატვრობამ კი ტყეში შემიტყუა (ესკიზს აკვირდება). დიახ, მრავალფეროვანია ჩვენი ტყე.

ნ ი ნ ო — მიძნელდება. მრავალი ფერი აქვს ამ ტყეს. (ტყისკენ იყურება).

უ შ ა ნ გ ი — (ჯდება ხის ძირში) დიახ, მრავალფეროვანია ჩვენი ტყე. (პაუზა) მაგრამ თავიდათავი მაინც გულია!

ნ ი ნ ო — გული?

უ შ ა ნ გ ი — გული! ტყეს გული აქვს. (პაუზა) ტყე ხან გაჯავრებულია. ხან მოლხენილი, ტყე ხან მღერის. ალერსიანობს... ხან ტირის და მოთქვამს... თუ ეს დახატე (პაუზა), თუმცა ახატვრები უფრო კარგ ამინდს შეარჩევენ ხოლმე...

ნ ი ნ ო — კარგ ამინდში უფრო ჩანს ფერი.

უ შ ა ნ გ ი — ვიცი. მე ბევრი სურათი მაქვს. (პაუზა) ტყე გაზაფხულზე, შემოდგომაზე... ზამთარში... ოღონდ თოვლი უკვე დაფენილია და ხეების კენწეროები ცის ნათელს ეთამაშებიან. ფერი ნამდვილია, მაგრამ გული? ეს სურათები არ ლაპარაკობენ! ტყე კი მუნჯი არ არის! ტყე გესაუბრება. ტყე აუბუნებს, მღერის... ქარიშხლის დროს შედით ტყეში! როგორ იწეწება ტყე...

ნ ი ნ ო — საშიში არ არის?

უ შ ა ნ გ ი — ტყე მშვიდია! თუმცა ღრიალებს ქარიშხლის დროს, მაგრამ ქარიშხლისა არ ეშინია. სინ დახატეთ ალვის ხე ქარში, ტოტები ისე აქვს შემოწურული, თითქოს, (პაუზა) თითქოს ცდილობს ქარს დაეწიოს... (წამოდგება. ტყისკენ გაიხედავს) ეეხ, უცნაურია ტყე!. (აკვირდება ესკიზს), ეს სახლიც ვიცანი.

ნ ი ნ ო — კიდევ უნდა ვნახო თქვენი სახლი. კარ-ფანჯარას რაღაც უცნაური ჩუქურთმები აქვს!

უ შ ა ნ გ ი — მე თვითონ ამოვქერი... ერთსა გთხოვ — ჩემი სახლი ცალკე დგას, გამოცალკევებით...

ნ ი ნ ო — მე ხომ ვიცი!

უ შ ა ნ გ ი — არა, მე სხვა რამეს გთხოვთ. (პაუზა) ჩემი სახლი ცალკე დგას. მაგრამ ისე არ დამიხატო, თითქოს ჩემმა სახლმა სხვა სახლებს გული მოუყვანა და გამოცალკევებულად დადგა. (პაუზა) ეს სახლი სიყვარულისა გამო დგას ტყეესთან ახლოს... აი, ასე დამიხატეთ.

ნ ი ნ ო — უცნაურია!

უ შ ა ნ გ ი — დახატეთ ისე, რომ ამ სახლს უხარია ტყეესთან ახლოს ყოფნა. ...რომ ამ სახლში დიდი სიყვარულია. (შემოდიან არჩილი და არკადი. არკადის მარჯვენა ხელში უჭირავს ვენახის ლერწი, რომლითაც ხანდახან შარვლის ტოტს მსუბუქად ეთამაშება. ისინი ვერ შეამჩნევენ ნინოს და უშანგის. უშანგი და ნინო ისევ ჩაჰყურიან ანკესებს მდინარეში და ჩუმად სხედან).

ა რ ჩ ი ლ ი — ალბათ მოგეწყინათ სოფელში.

ა რ კ ა დ ი — მოწყენისათვის დრო არ მრჩება.

ა რ ჩ ი ლ ი — თუმცა ნინო გაგართობდათ!

ა რ კ ა დ ი — პირიქით, ნინო ხელს მიშლის... აბა ამას დახედე — ეს არჩილის სახლია. ეს მათი ეზო... ეს...

ა რ ჩ ი ლ ი — (გაკვირვებით) არ გიყვართ მხატვრობა?

ა რ კ ა დ ი — მიყვარს... მაგრამ ამჟამად ხრახნი უფრო მიყვარს. ვიდრე მხატვრობა.

ა რ ჩ ი ლ ი — გასაგებია. ღელავთ. არა?

ა რ კ ა დ ი — ვღელავ. მაგრამ არ მეშინია!

ა რ ჩ ი ლ ი — მაშინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არკადი — მაშინ? (პაუზა) მამინ არ ვიელავდი, შიშით კი მეშინოდა... რატომღაც მეშინოდა!

ნინო—(წამოხტება. ანკესით ხელში) აქაც კამათობთ?

არჩილი — (ხალისიანად) აგერ ჩვენი მეანკესენიც.

(არჩილი და არკადი მიდიან უშანგიასთან და ნინოსთან. არკადი ხელს ართმევს უშანგის, არჩილი — ნინოს. არჩილი კასრში იხედება).

არჩილი — ოჰო!

ნინო — ეს მარტო მამათქვენმა დაიჭირა. (პაუზა) მე მხოლოდ ხელს ვუშლიდი.

არკადი — ამის იმედი მქონდა... სურათი ვერ ვუჩვენე თევზებს. (სურათს იღებს ხელში, მდინარისკენ მიაქცევს) აი, ასე... მოჰკრავდნენ თევზები თვალს ამ სურათს, ამოხტებოდნენ წყლიდან და პირდაპირ აი, ამ კასრში ჩახტებოდნენ!

(იცინიან. ნინოს სწყინს. გამოართმევს სურათს და ოდნავ განზე გადგება).

უშანგი — დიახაც, რომ იმ სურათმა დაგვაჭერინა ეს კალმახები. (ნინოს უახლოვდება) ნინო რომ არ ყოფილიყო... ეს სურათი...

არკადი — (საათს დახედავს, ხალისიანად) მივდივარ! სწორედ ფერდობზე ამოიყვანეს ახლა ტრაქტორები! ერთხელ კიდევ უნდა გავიანგარიშო.

არჩილი — ხომ მრავალჯერ გაიანგარიშე, მრავალჯერ შეამოწმე!

არკადი — ისევ უნდა შევამოწმო. ტრაქტორისტებს შევპირდი. (სწრაფი ნაბიჯით გადის სცენიდან).

არჩილი — (ნინოს) გეწყინათ ძმის ხუმრობა?

ნინო — (გამოერკვევა. სურათს დაბლა დაუშვებს) ჰო... არა!

არჩილი — იგი თავისი საქმითაა გატაცებული... ღელავს!

ნინო — მეც ვღელავ!

არჩილი — თქვენც? რატომ?

უშანგი — უნდა იცოდე, არჩილ — მხატვარი ყოველთვის ღელავს.

არჩილი — ახალი სურათია?

ნინო — (სურათს გაუწვდის. არჩილი გამოართმევს და აცქერდება) ეს თქვენი სახლია! (პაუზა) მამათქვენი ამბობს: მართალია, ეს სახლი გამოცალკევებული დგას. მაგრამ ამ სახლში დიდი სიყვარულია. (პაუზა) თუმცა სახლის პატრონს...

უშანგი — (არჩილს) ეგ მეც ვამბობ. ანკესებს ადევნე თვალი... ძერე ეს თევზი სახლში წაიღე ნინოს.

ნინო — ძია უშანგი! (უშანგი მიდის. არჩილი და ნინო მცირე ხანს უთქმელად არიან. არჩილი ხან ანკესს გადახედავს, ხან სურათს უცქერის).

არჩილი — (დამარცვლულად, ხმადაბლა) თუმცა სახლის პატრონს...

ნინო — მამათქვენი ამბობს, (პაუზა) თუმცა სახლის პატრონს არავინ უყვარს, გარდა ჭარხლისა და... (სურათს გამოართმევს, მიწაზე დადებს, თვითონაც ჯდება).

არჩილი — ვიცი, ვიცი, მამა რასაც იტყოდა ჩემს შესახებ. (პაუზა) თქვენ მალე წახვალთ ვამლოვანიდან?

ნინო — არა. ამ სურათის ხატვას რომ დავამთავრებ, ახალი სურათის ხატვას დავიწყებ. (პაუზა).

არჩილი — ისევ ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან?

ნინო — პირადად თქვენი ცხოვრებიდან. (პაუზა) მე უნდა დავხატო დიდი, დიდი ტილო — აგრონომის სიყვარული...

არჩილი — საინტერესოა!

ნინო — იცით, რა იქნება დახატული?

არჩილი — (ყოყმანობს) აგრონომი და ლამაზი ქალიშვილი.

ნინო — არა!

არჩილი — აგრონომი და მომხიბლავი ბუნება.

ნინო — მომხიბლავი ბუნება! ერცელი ცნებაა!

არჩილი — შემოდგომა. ვაზი. ქარვისფერი მტევნები — ვენახში აგრონომი.

ნინო — არა, თქვენ თანდათან შორდებით თემას.

არჩილი — ვერ მივმხვდარვარ! (პაუზა) გამიმხილეთ.

ნინო — დაფიქრდით და მიხვდებით...

არჩილი — (შუბლზე ხელს მიმოისვამს. მცირე ხნის შემდეგ) ვერა, ვერ მივმხვდარვარ...

ნინო — მე უნდა დავხატო (თვალებში აცქერდება) დიდი, დიიიდი,

უზარმაზარი (პაუზა) ჭარხალი! (იცინის) მოგწონთ?

არჩილი — (ნაღვლიანად) თქვენი ნებაა.

ნინო — (წამოდგება) არა, არჩილ! (პაუზა) მე დავხატავ ძლიერ და მეოცნებე აგრონომს, რომელმაც ბუნება გარდაქმნა... რომელმაც ახალი ტიპის მანქანები დაუკვეთა კონსტრუქტორებს და ქარხნებს. (პაუზა) აი, ისეთი სახე უნდა დავხატო, (პაუზა) როგორიც შენ გაქვს (ერთმანეთს უახლოვდებიან და თვალებში აცქერდებიან) ...და სიყვარულის ცეცხლი აგრონომის თვალებში! (შემოდის გულასპირი).

გულასპირი — (უცებ შედგება) აა, უკაცრავად, პატივცემულნო. უდროო დროს გამოგეცხადეთ.

ნინო — (შემკრთალი ხმით) რატომ უდროო დროს, ძია გულასპირ?

გულასპირი — (თავისთვის) ბიძიაო? (ხმას გამოიცვლის) არა.. ვხედავ, უდროო დროს მოვხეტიალდი. მაგრამ უკვე გვიანაა. (აჩქარებით) აუცილებელი საქმის გამო მოვედი, არჩილ.

არჩილი — მაინც?

გულასპირი — რეკავს და რეკავს...

არჩილი—ვინ?

გულასპირი — რაიკომი! ახლავე დამელაპარაკოს არჩილიო.

არჩილი — რის თაობაზე?

გულასპირი — ახალი ტრაქტორი. ვაზი. ჭარხალი. თივა. არხი. რა ვიცი! ყველაფერს რეკავს. ახლავე, ახლავე უნდა წამოხვიდე!

არჩილი — (ნაღვლიანად) აბა, წავიდეთ. (ნინოს შეხედავს) ეს თევზი?

გულასპირი — [illegible] ოთონაც კარგად წაიღებს [illegible]

არჩილი — შენ დარჩი, შენ გააცილე სახლამდის.

გულასპირი — არ შემიძლია! ცნობები დაგიმზადე. კანტორაში მიგალთ და მოგართმევ.

არჩილი — საღამოს იყოს. საღამოს მოვალ.

გულასპირი — საღამოს? საღამოს არ შემიძლია!

არჩილი — რატომ?

გულასპირი — რატომ და ოჯახი მაქვს, სახლ-კარი! ოჯახს მიხედვა უნდა! (პაუზა) ცოლს მოფერება! სად მცალია საღამოს ანგარიშისათვის. (არჩილი და ნინო იცინიან. ნინოს) უკაცრავად, დიდი ბოდიში. (ხაზგასმულად) ჩემო დისწულო, ბოდიში!

(არჩილი და გულასპირი მიდიან. ნინო მცირე ხანს გაქვავებულია მერე ბალახებში ჯდება).

ნინო — (ხმადაბლა) არსებობს ალბათ ისეთი წუთი, რაც ადამიანს საუკუნოდ აახლოებს ადამიანთან. (პაუზა) შემდეგ სიცოცხლე უერთმანეთოდ წარმოუდგენელია... ეგებ თვალია ამის მიზეზი! ეგებ გული! ხასიათი. სიტყვა-პასუხი! (პაუზა) ეგეს უბრალო გამოხედვა... ან ყოველივე ეს ერთად აკინძული! (პაუზა) ეს სახე ხმას არ იღებს და. ამავე დროს, გეუბნება — მე ვარ შენი გულის წადილი. მე შენ მიყვარხარ... და შენ გესმის და გჯერა ეს უთქმელი სიტყვა.

(ფარდა)

სურათი მეშვიდე

მესაკე მოქმედების პირველი სურათის სცენა. ისმის ხმაური. კლუბში დამთავრდა საზეიმო საბჭოს სხდომა, რომელზედაც არკადი ხიდაშელს დაიცვა დისერტაცია. ხმაური ახლოვდება. სცენაზე რიგრიგად შემოდიან ჯიმშერ ხიდაშელი, არჩილი, ამაშუკელი, ამაშუკელის მეუღლე, ცოლა, ნინო, არკადი, შემდეგ—სალომე, ლევან ჯანელიძე, ვიქტორი, გულასპირი, ევდოკიმე და ვარა. ერთმანეთს ესაუბრებიან დაბალი ხმით. გამოირჩევა ჯიმშერის ბოხი ხმა. ჯიმშერი და არჩილი წინა პლანზე გამოდიან.

არჩილი — კმაყოფილი ხართ, პროფესორო?

ჯიმშერი — დიდად, დიდად კმაყოფილი. ჩემო მეგობარო! (პაუზა) ეს ნამდვილი მეცნიერებაა. ცოცხალი აზრი მუდამ ხალხში ტრიალებს... ეს ისტორიული მოვლენაა. (ჯიმშერს და არჩილს უახლოვდება გულასპირი).

გულასპირი — მცირე შესწორება, პატივცემულო პროფესორო.

ჯიმშერი — ბრძანეთ.

გულასპირი — ეს გახლავთ, პროფესორო, ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენა! აუცილებლად ისტორიულ-გეოგრაფიული! ეს ამბავი ვაშლოვანში მოხდა.

ჯიმშერი — გეთანხმებით. ამბავი გარკვეულ ადგილზე ხდება.

გულასპირი — ერთი შეკითხვა მაქვს, პროფესორო!

ჯიმშერი — ბრძანეთ. გისმენთ. (გულასპირი მკლავს გაუყრის, ეჩურჩულება და მიჰყავს იქითკენ, სადაც ვიქტორი, სალომე, ევდოკიმე და ვარა დგანან. ნინო მიდის არჩილთან).

არჩილი — ახლაც ღელავთ?

ნინო — ვღელავ.

არჩილი — ამალამაც არ დაგეძინებათ?

ნინო — არა, არ დამეძინება.

(მკლავს გაუყრის არჩილს. განაპირდებიან).

გულასპირი — (ხელით ანიშნებს სალომეს — ახლოს მოდიო, თან ხიდაშელს ესაუბრება. სალომე უახლოვდება მათ) ეს, პროფესორო, ჩემი მეუღლე გახლავთ. (ხიდაშელი და სალომე ხელს ართმევენ ერთმანეთს) ჩვენი კოლმეურნეობის მერგოლური (ხაზგასმულად) სალომე ქიმერიძე.

ჯიმშერი — (აღტაცებული) გამიგონია! (სალომეს აცქერდება) გაზეთებში წამიკითხავს თქვენი ამბავი. (პუზა) აი, როგორი კოხტა ქალი ყოფილა ჩვენი მერგოლური... დიახ, ასეა ეს. შრომა ადიდებს და ალამაზებს ადამიანს. ნამდვილია — მიწა ადამიანითაა ძლიერი!

გულასპირი — მართალს ბრძანებთ, პროფესორო. აი, ეს ქალბატონი (მათთან მიახლოებულ ვარას გადახედავს) სწორედ შრომამ გაალამაზა! შარშან ზარმაცობდა და ჯოჯოხეთივით სახე ჰქონდა. წელს შრომობს და შეხედეთ, ანგელოზს არ ჰგავს? (იცინიან).

ვარა — (გულასპირს, დაბალი ხმით) სტუმრებთან მაინც ნუ მარცხვენ, შე შეჩვენებულო!

(გულასპირს, ხიდაშელს და სალომეს უახლოვდება ევდოკიმე).

გულასპირი — ეს ჩვენი კოლმეურნე, პროფესორო! (ევდოკიმე და პროფესორი ერთმანეთს ხელს ართმევენ) მეტად მძლავრია ეს ქალი. ფრთხილად იყავით. (გაჭიანურებულად) ქალთა რგოლის კავალერი გახლავთ.

(იცინიან. გულასპირი და ევდოკიმე გამოცალკევდებიან. ჯიმშერი, ვიქტორი და სალომე სკამზე სხდებიან).

ევდოკიმე — დღეს შემიყვარდა მეცნიერება!

გულასპირი — განვითარდი?

ევდოკიმე — არა, სიყვარულით ადრეც მიყვარდა, მაგრამ ერთმა მეცნიერმა შემაძულა.

გულასპირი — ახლა შენ მატყუებ ხომ?

ევდოკიმე — შემაძულა! სამი საათი დოლაბივით ატრიალებდა ენას. კონტრებუცია...

გულასპირი — კონტრიბუცია, ევდოკიმე, კონ-ტრი-ბუცია!

ევდოკიმე — გადააშენა ჭირმა! მოგვაყარა და მოგვაყარა ასეთი სიტყვები... ვიღაცამ იკითხა — რა ენაზე ლაპარაკობსო! (მათ უახლოვდება არკადი) აა, ჩვენი ახალი მეცნიერი! ასეთის მეცნიერება მესმის! რაც ილაპარაკე, ა, ამ გულში მაქვს ჩაწყობილი... ძილში რომ მკითხო, გიპასუხებ, შენ არ მომიკვდე! (გულასპირი შორდება მათ).

არკადი — აქ, თქვენთან ვისწავლე ეს მეცნიერება!

ევდოკიმე — ეს კი ნამეტანია... თუმცა ზოგიერთი ჩემი მოსაზრება მენიშნა... გასაგებად, ძალიან გასაგებად ლაპარაკობდი! (პაუზა) შარშან ერთი თბილისელი მომღერალი იყო ჩვენთან, მირიანაშვილი, გაგიგონია!

არკადი — ვიცნობ.

ევდოკიმე — ბევრი ჩვენი სიმღერა შეისწავლა. გვიმღერა და მოგვეწონა... სტუმრები ჩამოვიდნენ, იტალიელები. გავუმართეთ კონცერტი. გამოვიდა ჩვენი მომღერალი და ჰქონა „ლოპიტიკა... ლოპიტიკა... ლოპიტიკა“. ხალხმა ვერაფერი გაიგო და ტაში არ დაუკრა.

არკადი — სტუმრებმა? სტუმრებმა მოიწონეს?

ევდოკიმე — იტალიელებმა იკითხეს, რა ენაზე მღერისო, მირიანაშვილს კი ეგონა — იტალიურად მღეროდა. (არკადი იცინის) ასეა... რა მა-

გის პასუხია და, ერთი გამაგებინე, იმ ლამაზი მანდილოსნის რაა ის კაცი? (ამაშუკელისაკენ იხედება).

არკადი — რომელი ქალის?

ევდოკიმე — აგერ, კიბესთან რომ ანათებს. (ციალაზე უთითებს).

არკადი — გვერდით რომ უდგას, ის კაცი?

ევდოკიმე — არა, შენი მოკამათე, ე. კიბის საფეხურზე ჯირუვალივით რომ ზის...

არკადი — (იღიმება) მეუღლეა მისი.

ევდოკიმე — (გაოცებული) მეუღლე? მატყუებ ხომ?

არკადი — ნამდვილია.

ევდოკიმე — ვაი ჩემს მოსწრებას!.. გაგაცდინე ხომ? წადი, ამხანაგებთან წადი, ჭირიმე. (არკადი ხალხს შეერევა. ევდოკიმე მიუახლოვდება ამაშუკელს და შეფარვით უცქერის. ამაშუკელთან, ციალასთან და ლევანთან მიდის გულასპირი).

გულასპირი — (ამაშუკელს) ბაიალეთ, პატივცემულო პროფესორო, არა?

ამაშუკელი — (უხერხულად) არა.

გულასპირი — ვინმემ გაწყენინათ უთუოდ! (ციალას და არჩილს გადახედავს).

ამაშუკელი — არა!

გულასპირი — უთუოდ ჩვენი სოფელი არ მოგეწონათ, თორემ მთელი სოფელი ზეიმობს, თქვენ რატომ მოიწყინეთ?

ამაშუკელი — მწყინს, რომ ერთი ჩემი მეგობარი ვერ ინაწილებს ამ ზეიმს.

გულასპირი — ავად ბრძანდება?

ლევანი — არა სხვა მიზეზია.

გულასპირი — უჰ, ამის გამო ნუ მოიწყენთ! მიბოძეთ, ბატონო, მისამართი, იმ თქვენს მეგობარს ახლავე დეპეშით მივართმევ თავის არჩივ სიხარულს თბილისში.

ციალა — წავიდეთ, ვნახოთ ის ახალი მანქანები. (ლევანს და ამაშუკელს) ცხომარია — მელიორაცია იქ არის.

გულასპირი — მანქანები და მელიორაცია მცირე ხნით განზე, — კაცი გავაგზავნე, ახლავე აქ მოვლენ თქვენი ამხანაგები. (ხმამაღლა) აბა, მეგობრებო, ახლა იწყება მეორე საჯარო პაექრობა. დისერტაციაში მე — არ მივდივარ გაკვალული გზით! დღემდე არც ერთი მეცნიერი არ შეხებია ამ თემას. (პაუზა) ჩემი სადისერტაციო შრომა გახლავთ — „ქართული სუფრა“! (ევდოკიმე ხმამაღლა იცინის) მთავარი ოპონენტებია — ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხანაგი ვიქტორი და ქალთა რგოლის კავალერი ამხანაგი ევდოკიმე! გთხოვთ მოემზრძანდეთ, სუფრა გაშლილია! (ყველანი ამოძრავდებიან, ვიქტორი, ხიდაშელი და ვარა პირველნი გადიან სცენიდან. მათ მიჰყვებიან ამაშუკელი, არკადი, ლევანი, ციალა. არჩილი და ნინო განაგრძობენ საუბარს. ევდოკიმე, ვარა და სალომე სკამზე სხედან) ევდოკიმე, არა გრცხვენია? მასპინძელი უკან უნდა რჩებოდეს? აბა, მიხედე სტუმრებს!.. (სალომეს) შენ ჩემთან წამოდი. (ხელს მოკიდებს, ადიან კანტორის კიბეზე. კიბის ბოლო საფეხურზე შეჩერდებიან. გულასპირი გადმოხედავს არჩილს და ნინოს) არჩილ! (ხაზგასმულად) ჩემი დისწული არ დააგვიანო სუფრაზე. (გულასპირი და სალომე მიდიან. სცენაზე რჩებიან არჩილი და ნინო).

არჩილი — მაშ დაიწყეთ ახალი სურათის ხატვა?

ნინო — (მცირე ხნის დუმილის შემდეგ) დავამთავრე.

არჩილი — ასე მალე?

ნინო — დღეს დავამთავრე... პაექრობის დროს მე შენ გიცქეროდი.

არჩილი — ვღელავდი, არა?

ნინო — ღელავდი... ჩემზე უფრო ღელავდი! როგორ გეცვლებოდა სახეზე ფერი!.. თვალები? თვალები უცნაურად გიელავდნენ, (პაუზა) და მე გულში დავხატე ის ახალი სურათი, (პაუზა) ტილოზე მერე გადავიტან.

არჩილი — (დაბნეულად) გამომიგზავნით?

ნინო — არა! მე თვითონ ჩამოგიტანთ. (პაუზა) შემიყვარდა ეს ვაშლოვანი! (გარშემო იცქირება) თქვენი ეზო... მამათქვენი...

არჩილი — (ისევ დაბნეულად) მამაჩემი? (ნინო თვალებში აცქერდება, იღიმება, ახლოს მიაქვს სახე არ-

ჩილის სახესთან, კიბეზე ფეხის ხმა ისმის. მოდის გულასპირი, ნინო შეხედავს გულასპირს, შეკრთება და ნაზიკით უკან დაიხევს).

გ ულ ა ს პ ი რ ი — (საყვედურით) არჩილ! გამომჭერი ყელი? ხომ იცი, მე რატომ ვიგვიანებ... შენ რას აკეთებ, რატომ არ მიგყავს (ხაზგასმულად) ჩემი დისწული?

ნ ი ნ ო — (აღტაცებული) ძია გულასპირ, დღეს ხომ ზეიმის დღეა!

გ ულ ა ს პ ი რ ი — დიდი, დიდი ზეიმის დღე!

ნ ი ნ ო — ზეიმის დროს ხომ ერთმანეთს ულოცავენ!

გ ულ ა ს პ ი რ ი — ულოცავენ.

ნ ი ნ ო — ზეიმის დღეს ხომ კოცნიან ერთმანეთს!

გ ულ ა ს პ ი რ ი — (მხიარულად) აუცილებლად, აუცილებლად, ჭირიმე! (ნინო სწრაფად მოხვევს ხელს არჩილს და აკოცებს. მერე მხარზე გადახვევს ხელს და მიჰყავს. სცენის სილრმეში შეჩერდებიან. გულასპირი გაღიმებული უცქერის მათ) ამაღამ ხომ ტკბილად დაიძინებ, ჩემო დისწულო!

ნ ი ნ ო — არა, ამაღამ ვერ დავიძინებ... ამაღამ სიხარული არ დამაძინებს!

(არჩილი და ნინო გადიან სცენიდან. გულასპირი ჩამოდის კიბიდან, დადგება იმ ადგილზე, სადაც არჩილი და ნინო შეჩერდნენ. თავს ოდნავ განზე გადახრის, თვალებს მილულავს და ნინოს ხმაზე წარმოსთქვამს).

გ ულ ა ს პ ი რ ი — ამაღამ ვერ დავიძინებ, ამაღამ სიხარული არ დამაძინებს... სალომე, (ხმამაღლა) სალომე!

ს ა ლ ო მ ე — მოვდივარ!

გ ულ ა ს პ ი რ ი — მოდი, გენაცვალე, ახლა ჩვენი დროა. (კიბიდან ჩამოდის სალომე, მას ხელში ქაღალდი უჭირავს) შენ იცი, აბა, როგორ ჭექავ და გვასახელებ!

ს ა ლ ო მ ე — მეშინია, გულასპირ!

გ ულ ა ს პ ი რ ი — შიში არ გამაგოგნო, შიში...

ს ა ლ ო მ ე — ნასწავლი ხალხია, მერიდება...

გ ულ ა ს პ ი რ ი — (თამამად) ჰოდა, ის ნასწავლი ხალხი იმიტომ ჩამოვიდა ვაშლოვანში, რომ ჩვენც ნასწავლი და განათლებული ვართ. (გაჭიანურებულად) ის ნასწავლი ყმაწვილი ექვსი თვე ცხოვრობდა ჩვენთან და რატომ? იმიტომ, რომ ჩვენგან ცოდნა შეეძინა... თამამად დაიწყეთ წარმოიდგინე, ვითომ შენი როლის წევრებს ესაუბრები. აი ასე: პატივცემულო სტუმრებო!

ს ა ლ ო მ ე — ეს ვიცი! ის ფაკულტეტები და რაღაც უცხო სიტყვები, რომ გიწერია...

გ ულ ა ს პ ი რ ი — თუ დაგავიწყდეს, თავი გაანებე... ვიქტორმა ჩაწერა, თორემ, მე რომ მკითხო, სრულებით არაა საჭირო.

ს ა ლ ო მ ე — ვიქტორს ეთქვა, არჩილს, შენ გეთქვა...

გ ულ ა ს პ ი რ ი — მერგოლურის სიტყვას სხვა ფასი აქვს.

ს ა ლ ო მ ე — (ქაღალდს მარცხენა ხელით ზურგს უკან წაიღებს, მარჯვენას ოდნავ აღმართავს. ხმამაღლა) პატივცემულო სტუმრებო. დღეს ვაშლოვანში დიდი სასიხარულო ამბავი მოხდა. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის...

გ ულ ა ს პ ი რ ი — არ არის საჭირო ფაკულტეტი! აზრი ხომ იცი, განაგრძე!

ს ა ლ ო მ ე — დღეს მეცნიერებმა ჩვენს სოფელში...

გ ულ ა ს პ ი რ ი — დიდებულია, დიდებული. განაგრძე.

ს ა ლ ო მ ე — ჩაატარეს სამეცნიერო საბჭოს სხდომა... ამით მეცნიერება დიდად ეხმარება ჩვენი სოფლის...

(ისმის ძახილი: „გულასპირ! გულასპირ!“).

გ ულ ა ს პ ი რ ი — მოვდივართ, მზადა ვართ!

ს ა ლ ო მ ე — (თამამად) დანარჩენი რაც უნდა ვთქვა, კარგად ვიცი! წავიდეთ!

გ ულ ა ს პ ი რ ი — მოვდივართ! აბა, გვასახელე და გვასახელე!

(მიდიან. სცენა ოდნავ ბნელდება, ისმის საერთო ხმაური. მცირე ხნის შემდეგ გულასპირის ხმა) აბა სიმღერა, ამხანაგებო! გიტარა, ჩემო მარიამ, გიტარა! (გიტარის აკომპანიმენტზე მღერიან. ჭარბობს ქალთა ხმა).

მე შენი გული შორითაც მათბობს,
თუმცა ხანდახან ნაღველს გაურევს,
სიყვარულს გზა აქვს ისეთი ფართო,
რომ იტევს ყველა მოსიყვარულეს.

ახლა ეს გზა. ის გულში გადის,
თვალებში უქრობ შუქურად იწვის,
დღეების, თვეთა და წელიწადის
ნაფეხურები ამ გზამ არ იცის.

მაგრამ ამ გზაზე ეცემა ბევრი
და დნება ბევრი ყინულის დარად!
და სიყვარულის სხივი კვლავ ფლერის,
რომ სიყვარული ჯერ არ მომკვდარა...

(შემოდის მანანა. აცვია თეთრი კაბა, თეთრი ფეხსაცმელი, ხურავს თეთრი ქუდი, ხელში პატარა დაკეცილი ქოლგა უჭირავს. მოწყვეტით ჯდება სკამზე).

მ ა ნ ა ნ ა — (ხმადაბლა) მე შენი გული შორითაც მათბობს, თუმცა... (ხანდახან სიმღერას გაურევს, დგება, სიმღერას აყურადღებს) სიყვარულს გზა აქვს ისეთი ფართო, რომ იტევს ყველა მოსიყვარულეს. (პაუზა) არ უნდა ჩამოვსულიყავი ასე მოულოდნელად... უმჯობესი იქნებოდა, წინასწარ მომეწერა ბარათი, შეემზადებოდა! (პაუზა) მოულოდნელად, სრულიად მოულოდნელად გამოვეცხადე. (გაივლ-გამოივლის. მერე ისევ სკამზე ჯდება) ლეილას ბრალია!.. მაგრამ შეკრთა კი! დამინახა და შეკრთა! ხმაც გამოეცვალა უცებ! მერე? (პაუზა) მერე არ შემომხედა!.. ეგებ დარბაზში ვერც შემამჩნია? ვითომ მომეჩვენა?

(დგება. ნერვიულად გაივლის სცენაზე. სიმღერა წყდება. ისმის გულასპირის ხმა).

გ ულ ა ს პ ი რ ი ს ხ მ ა — მეგობრებო, ნება მიბოძეთ, შევსვა კიდევ ერთი სადღეგრძელო! მე ვადღეგრძელებ ჩვენს საყვარელ სტუმარს ჯიმშერ ხიდაშელს! (ტაში) ჩვენ ყველანი ვიცნობთ მას... მისი...

(გულასპირის ხმა თანდათან წყდება).

მ ა ნ ა ნ ა — ახლა ხომ გარკვევით დაინახა, სუფრა რომ დავტოვე? თუ გული უხმობს, მოვა! (პაუზა) ადგება და მოვა!

(ისმის სიმღერა, მერე ტაში და გულასპირის ხმა).

გ ულ ა ს პ. ხ მ ა — შვილთან ერთად, შვილთან ერთად გაუმარჯოს ჯიმშერს!

(შეძახილები: „არკადის გაუმარჯოს!").

მ ა ნ ა ნ ა — ადღეგრძელებენ... ეს უკვე მერამდენედ ადღეგრძელებენ! (აღელვებულად) არა, არ უნდა ჩამოვსულიყავი... სულსწრაფობა გამოვიჩინე! (პაუზა) ჩამოვიდოდა ქალაქში — იქ შევხვდებოდი, თითქოს სხვათაშორის, შემთხვევით, და გამოირკვეოდა ყველაფერი. ახლა? რა გამოვიდა? ჩამოვედი მასთან... იგი სათოფეზე არ მეკარება! ეს ხომ დამცირებაა ჩემი! ნამდვილი დამცირება!

(ისმის ნაბიჯის ხმა. მანანა კიბეს ამოეფარება. შემოდის არკადი. იგი აღელვებულია და აღფრთოვანებული. ჯდება სკამზე. ცხვირსახოცით ოფლს იმშრალებს სახეზე. პიჯაკს გაიხდის და სკამზე გადაკიდებს, პერანგის საყელოს შეიმსუბუქებს, მარცხენა ხელით იქოჩრის თმას).

ა რ კ ა დ ი — ცხელა! მე უცნაურად მცხელა! (წამოდგება)... ახლა ეს გზა! ის გულში გადის... (პაუზა) თვალებში უქრობ შუქურად იწვის.

(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, თითქოს სცენიდან წასვლას აპირებს).

მ ა ნ ა ნ ა—არკადი!

ა რ კ ა დ ი — (შეკრთება. სწრაფად მოიხედავს, გაოცებული) შენ?

მ ა ნ ა ნ ა — (დაყვავებით) ჰო, ეს მე ვარ!

ა რ კ ა დ ი — დარბაზში დაგინახე. (პაუზა) მეწყინა! რისთვის ჩამოხვედი? (პაუზა) რომ განმიახლო ძველი იარა?

მ ა ნ ა ნ ა — მართალია, არავის მოვუწვევივარ, მაგრამ გულმა არ გამიძლო და ჩამოვედი. ჩამოვედი იმისათვის (პაუზა), რომ შენ იარას მალამოდ მოვეცხო.

ა რ კ ა დ ი — ლამაზად ამბობ...

მ ა ნ ა ნ ა — ისე გამოცვლილხარ, თითქოს ვერა გცნობ... აბა, შემხედე! ახლოს მოდი...

ა რ კ ა დ ი — ახლოს ვიყავით!

მ ა ნ ა ნ ა — მინდა ისევ ახლოს ვიყოთ...

ა რ კ ა დ ი — (ხმადაბლა) ამას შენ ამბობ?

მ ა ნ ა ნ ა — (მიამიტად), რატომ გიკვირს?

ა რ კ ა დ ი — (ისევ ხმადაბლა. ჩაკითხვით) თვითონ შენ, შენ არ გიკვირს?

მ ა ნ ა ნ ა — არა! რატომ უნდა მიყვირდეს... მე ადრეც ვაპირებდი ჩამოსვლას, მაგრამ გადავიფიქრე, ხელს შეგიშლიდი მუშაობაში... არც ბარათი მოგწერე. (პაუზა) ვიცოდი, აგალელვებდა ჩემი ბარათი.

ა რ კ ა დ ი — როცა მიმძიმდა, როცა ვღელავდი, მაშინ?

მ ა ნ ა ნ ა — ადამიანი უნდა ღელავდეს, განიცდიდეს, იწვოდეს კიდეც... შენ ბევრჯერ გითქვამს...

ა რ კ ა დ ი — მიკვირს, როგორ ახერხებენ ასეთ გაორებას. (აღელვებული) მართლაც უცნაური გული გქონია.

მ ა ნ ა ნ ა — მე გულმა ჩამომიყვანა აქ! მე სიყვარულით მიძგერდა გული, როცა დარბაზიდან შემოგცქეროდი დღეს. შენ ეს არა გჯერა?

ა რ კ ა დ ი — მე უფრო სხვა მიზეზს ვხედავ...

მ ა ნ ა ნ ა — (ამაყად) თქვი!

ა რ კ ა დ ი — რა საჭიროა! შენმა გულმა ხომ კარგად იცის.

მ ა ნ ა ნ ა — (ამაყად, თან თავშეკავებული ირონიით) მე ხომ ვიცოდი, შრომაზე ფიქრობდი და იმ ფიქრში მე ვიყავი ჩაქსოვილი, ამ ნახაზებში ჩემი სახე იყო დახაზული. ეს კარგი არის? დადიოდი მთის კალთებზე, მინდვრის ყვავილებში და გინატრია — ნეტავ აქ იყოს მანანა ახლა, ავიტაცებდი ხელში და ვირბენდი ყვავილებში და შევძახებდი — აი, ჩემი ყვავილი, ყვავილებო, ჩემი თაიგული! განა ასე არ იყო? რისთვის მიმალავ? მე ხომ ვიცი!

ა რ კ ა დ ი — მართალია, ვფიქრობდი ღამითაც... დღისითაც... თეთრად გამითენებია ბევრი ღამე, ბევრი დღე ნაღვლიან, მძიმე ფიქრებში დამიღამებია... ბევრი ვიფიქრე, მანანა (პაუზა, უახლოვდება მანანას) და მოვიფიქრე: ვინც სიმძიმილს გაურბის, ვინც მწუხარებას ვერ აიტანს (პაუზა), მან სიხარულის ფასი არ იცის! (ხმადაბლა) ვინც მღოლავად გაჩენილა, იმას ფრენა არ უწერია...

(მიდის. ისმის სიმღერა: „სიყვარულს გზა აქვს ისეთი ფართო...“ მანანა გაქვავებული რჩება ადგილზე).

(ფ ა რ დ ა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე კაკუშაძე

წიგნის სასახლე*

★

რომანი

ზარი კარგა ხანს წკრიალებდა. ბოლოს კარი გაიღო.

— ვინ არის?—გაისმა ბავშვის ხმა და აივანზე მკვირცხლად გამოვარდა ათითორმეტი წლის გოგონა. ეს იყო ფიდოს ერთადერთი შვილი ნათელა.

— ო, შემოდი, შემოდი! მამა შინ არის, გაზეთს კითხულობს, — ჩვეული სითამამით მიმართა მან ირაკლის და მკლავში ხელი წაატანა, მაგრამ უცხო ყმაწვილის დანახვაზე ყურებამდე გაწითლდა, მორცხვად უკან დაიხია და დაბალი ხმით დააყოლა, — მობრძანდით!

— ნათელა, გაიცანი, შენ არ გემახსოვრება, ჩვენი მეზობლის შვილია, ვახტანგი!

გოგონამ მორცხვად გაუწოდა ხელი.

— ნათელა! — წაიჩურჩულა და დარცხვენილი უცებ მოსწყდა ადგილს, სამზარეულოსაკენ გაიქცა.

ნათელა ცქრიალა გოგონა იყო. საშუალოზე ცოტა მაღალი, მას მოსწავლის ფორმა ეცვა. ზურგზე გადაყრილი წაბლისფერი ნაწნავები ელექტრონის სინათლეზე ოქროსავით უბზინავდა და თოვლივით ქათქათა ბანტები ვეებერთელა პეპელებივით ასხდა. მის ბავშვურ სახეს, დიდრონ ცისფერ თვალებს, ოდნავ გაპობილ მარჯნის ტუჩებს და მრგვალ ნიკაპს ისეთი მიმზიდველობა ჰქონდა, რომ მნახველს მაშინვე დაატყვევებდა და თავს შეაყვარებდა.

ირაკლიმ ნათელას მორცხვობაზე გულიანად გადაიხარხარა.

ხმაურზე სამზარეულოდან ფიდოს მეუღლე ირინე გამოვიდა და სტუმარს მიეგება. როცა ირაკლისთან ერთად უცხო ყმაწვილი დაინახა, დიასახლისმა სტუმრები თავაზიანად მიიწვია:

— მობრძანდით, მობრძანდით, ფიდო შინ არის.

ირაკლიმ ირინეს და ფიდოს ვახტანგი გააცნო. ირინემაც მოიგონა მეზობელი ქვრივი საბედა და დიდი სიყვარულით გამოკითხა მისი ამბავი. მოგონებაზე წარსული სიდუხჭირეც გაახსენდა.

ოჯახურმა სითბომ და თანაგრძნობამ გაათამამა ვახტანგი და უხერხულობის გრძნობა გაუქრა.

ფიდო გაკვირვებით შესცქეროდა ვახტანგს, თითქოს არც კი სჯეროდა, რომ გუშინდელი ფეხშიშველა ბიჭუნა ასეთი ვაჟკაცი დადგებოდა.

— როგორ გაზრდილხარ, კაცო, როგორ არის დედაშენი? — იგონებდა ფიდო ძველი მეგობრის ოჯახს.

ვიდრე ფიდო და ვახტანგი მოგონებებსა და ერთმანეთის გამოკითხვაში იყვნენ, ირაკლი მეორე ოთახში გავიდა და ფეხაკრეფით მიეპარა ნათელას, რომელიც სავარძელში ჩამჯდარიყო და ტუჩების ცმაცუნით წიგნს კითხულობდა.

ირაკლის დანახვაზე ნათელამ ისკუპა სავარძლიდან და ისევ სამზარეულოს მიაშურა.

ირაკლი თან გაედევნა.

— დეიდა ირინე, რას მებუტება ნათელა?

ირინემ ჯერ შვილს შეხედა, მერე ირაკლის, გაღიმა და ნათელას მიუბრუნდა.

— გააგებინე, რად ებუტები, თორემ ირაკლის ხასიათი ხომ იცი, ისე ჩაგაცივდება, რომ მაინც გათქმევინებს!

ნათელამ უარის ნიშნად მხოლოდ

*) დასასრული. დასაწყისი იხ. 1953 წ. № 10.

მხრები აიჩეჩა და გაბრაზებით ფეხი იატაკზე დაჰკრა.

— არ მეტყვი?—ნაძალადევი მუქარით უთხრა ირაკლიმ, — მაშინ ყველას ვუამბობ შენი გაბუტვის მიზეზს. იცით, დეიდა ირინე, მე და ვახტანგი რომ შემოვედით...

ნათელამ აღარ დააცადა ირაკლის თქმა, მივარდა და პირზე ხელი დააფარა.

— წამოდი, შევრიგდეთ! — ირაკლიმ ნათელას წელზე ხელი მოხვია და მეორე ოთახში გაიყვანა.

— ახლა მითხარი, რას კითხულობ ეგრე გატაცებით, მაინ რიდია თუ ეიულ ვერნი, თუ „ბიძია თომას ქოხი“?

— არა, ახლა ტოლსტოის ვკითხულობ, „ომი და მშვიდობაა“.

— მერე, გესმის რამე? — განგებ გაკვირვებით იკითხა ირაკლიმ.

ნათელამ წარბები შეიკრა და ისე შეხედა ირაკლის, თითქოს წაჩხუბება უნდათ, მაგრამ ირაკლის მომღიმარი სახე რომ დაინახა, წყენამ უმალ გადაუარა. ახლა იმაზე მოჰყვა ლაპარაკს, რა მოსწონდა ამ ნაწარმოებში. ამ საუბარმა ირაკლის ახალი ადამიანი დაანახვა. მის წინ უკვე პატარა ნათელა კი არ იდგა, არამედ მოწიფული, ნათელი გონების ბავშვი.

— ნათელა, შეილო! — გამოსძახა ფიდომ მეორე ოთახიდან, — აიღე ბოთლი და ღვინო მოიტანე.

— არა, არა, ძია ფიდო, ნუ სწუხდებით. ჩვენ ახლავე წავალთ. არ გაგაცდენთ. — ეხვეწებოდა ვახტანგი.

— ამდენი ხნის უნახავები შევხვდით და, ისე როგორ გაგიშვებთ, ვახშმად ჩემთან უნდა დარჩეთ, — შეეპატიჟა ფიდო ყმაწვილებს.

— არა, ძია ფიდო, სხვა დროს გესტუმრებით, — სთხოვა ირაკლიმაც.

— დარჩით, არ გაგიშვებთ! — შეეხვეწა ნათელა და დედას გასძახა, — ირაკლი არ რჩება, დედა!

ირინე წინსაფარზე ხელების წმენდით გამოვიდა სამზარეულოდან. ძალიან სთხოვა ყმაწვილებს დარჩენა. მაგრამ ირაკლიმ ირინესთან ბოდიში მოიხადა და კარებისაკენ გაეშურა. მას ვახტანგიც გაჰყვა.

— მიცა და ჩემს ოჯახსაც ძალიან ასიამოვნებდით, რომ დარჩენილიყავით ვახშმად, მაგრამ თუ გეჩქარებათ, რა გაეწყობა, — გულდაწყვეტით უთხრა ფიდომ.

— მაშ ასე, ვახტანგ! შენი — გადაწყვეტილება მომწონს. მეც, ირაკლიც, ჩვენ ყველანი დაგეხმარებით. ირაკლისთან ერთად იმუშავებ სალინოტიპო საამქროში. ირაკლი ხელობას შეგასწავლის, ოღონდ შენ მოინდომე.

— გმადლობთ ძია ფიდო, გმადლობთ, ვეცდები, არ შეგარცხვინოთ!

6.

ირაკლი და ვახტანგი სალინოტიპოში შეეიდნენ. ირაკლიმ საჩქაროდ გადაიცვა სამუშაო ტანსაცმელი. ლინოტიპს შემოაძრო ტილოს საფარი და ლითონის სადნობ ქვაბს ელექტრონი შეუერთა. სანამ ელექტრონი ლითონს გაალღობდა, ირაკლი გულმოდგინედ წმენდდა ლინოტიპს. ამის შემოვი მანქანის მოძრავი ნაწილები ფრთხილად დაზეთა და იქვე გვერდით მეორე ლინოტიპთან მომუშავე ვახტანგთან მივიდა.

— წმენდა ყოველთვის გამნაწილებელ ლარტყიდან უნდა დაიწყო და არა კლავიატურიდან. დაიცა, დაიცა. შენ როგორც ჩანს, სული მიგდის, როდის შეისწავლი კლავიატურას. მოესწრები მაგას, ვახტანგ.

— მომილოცნია, ირაკლი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება! — შესძახა ამ დროს საამქროში შემოსულმა ელენემ.

ირაკლის სიხარულისაგან გული აუძგერდა.

— წუხანდელი კრებით მეც ძალიან ამაყოფილი ვარ... ძალიან გამეხარდა შენი გამარჯვება. ღირსეული დამკვრელი ხარ, ელენე!

— დამკვრელიცაა და დამკვრელიც! შენ ისე გაქეს, რომ ცამდე აგიყვანეს! მართალიცაა, შენ ჩვენს სტამბაში ვერავინ გჯობნის!

ირაკლი არ მოელოდა ელენესაგან ასეთ ქებას. უხერხულობა იგრძნო და თავი ჩალუნა. სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე ვასო კუტივაძის ბოხმა ხმამ დაარღვია.

— ხოო-და, მაგან დადგას ეს ორი ლინოტიპი! კარგი დამკვრელია! — ჩაილაპარაკა გულმოსულმა ვასომ, რომელიც ფანჯარასთან იდგა და პაპიროსს გამალებით ეწეოდა.

— რად ხარ გულმოსული, ძია ვასო.

რა დაგემართა?! — გაკვირვებით შეეკითხა ელენე და ირაკლის გადახედა, ხომ არ ეწყინა ვასოს შენიშვნაო.

— თქვენ იყავით, ძმაო, ყველაფერი! — აბუზღუნდა ვასო. — თქვენ რა იცით ძველი ოსტატის ფასი. რომ მუშაობთ, ვისით მუშაობთ, ვინ დადგა ეს ლინოტიპები. რატომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ ჩემს ხელში გაიზარდენით, ჩემის წყალობით გახდით დამკვრელები! ჩემზე კი წუხელის კრებაზე ერთი სიტყვაც არ გითქვამთ! ადგილკომის თავმჯდომარე სულ თქვენს ქებაში იყო და თქვენც ტაშს უკრავდით. სხვაც თუ იყო ამ ქვეყანაზე, არ კითხულობდით!

— ჩვენ ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში გვყავდა გამოწვეული, ძია ვასო. შეგვამოწმეს და შედეგები კრებაზე გამოაცხადეს — სულ ეს იყო. — ნაწყენი კილოთი ჩაილაპარაკა ირაკლიმ და ვახტანგს ხელით ანიშნა, ლინოტიპის ქვეშ ჩავარდნილი მატრიცა აეღო.

— მე ხომ ბავშვი არ ვიყავი გამომეწვიეთ... ხელშეკრულების დადებაზე ზრუნავთ და იზრუნეთ. მე კი, როგორც თქვენი ოსტატი, უნდა მოგგონებოდით, იმდენი ამაგი მაინც მაქვს თქვენზე!

— აი, შემდეგი კვარტალისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში თქვენ გამოგიწვევთ, ძია ვასო! — ჩაერია ვახტანგი მათ ლაპარაკში.

— არ მინდა! — წამოიძახა ვასომ და ლინოტიპის საამქროდან აჩქარებული ნაბიჯით გავიდა.

— არა უშავს. ძია ვასოს მე გამოვიწვევ შეჯიბრებაში და ნახავთ თუ ღვინის სმაზე ხელი არ ავაღებინო, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ, ლითონის სადუღარ ქვაბს ხუფი ახადა და მოკაუჭებული მავთულის ბოლო გამდნარ ლითონს შეახო.

— ღვინოს რომ არ სვამდეს, რა კარგი ხელოსანია, — დასძინა ელენემ და ირაკლის გადახედა.

* * *

ზარი აწკრიალდა. მუშაობა დაიწყო. პავლემ ასოთკასასთან მომუშავე ასოთამწყობებს თვალი გადაავლო და თავის საწერ მაგიდასთან მივიდა.

მაგიდასთან მდგარი კორექტორი პავლეს მოკრძალებით მიესალმა და გახსნილ პორტფელიდან „ი. სტალინის „ლენინიზმის საკითხების“ ამონაბეჭდი ამოიღო.

— აი, პავლე, ამ წიგნის კორექტურას მე ვასწორებ. უნდა გითხრა, განცვიფრებული ვარ. რა გვარია ამის ამწყობი?

— კერესელიძე! — შეახსენა პავლემ ირაკლის გვარი.

— ხო, კერესელიძე. ამდენი ხანია კორექტურას ვასწორებ, თითქმის დავბერდი კაცი და ასეთი ასოთამწყობი ჯერ არ შემხვედრია!

კორექტორმა სათვალე გაისწორა და ირაკლის მიერ ანაწყობი, რომელიც გრძელ ქაღალდებზე იყო ამობეჭდილი, მაგიდაზე გაშალა. საჩვენებელი თითი მისი ჩვეულების მიხედვით ენის წვერზე მოისვა და ამონაბეჭდის გულდასმით ფურცვლა დაიწყო. პავლე გაკვირვებით შესცქეროდა ირაკლის ნამუშევარს. „ორმოცი სვეტი ასე უშეცდომოდ როგორ ააწყო?“ — ფიქრობდა ის.

— ხედავ? — აღტაცებით მიმართა პავლეს კორექტორმა, — ერთი შეცდომაც არ არის! ახლა ტექნიკის მხრივ იკითხე?! შესანიშნავადაა დაცული სიტყვებსა და სიტყვებს შორის მანძილი და, რაც მთავარია, ჩემო პავლე, სიტყვის გადატანა მშვენივრად იცის. სხვა წიგნებიც მინახავს მაგის აწყობილი. ისეა დაუფლებული ორთოგრაფიას, რომ დედნის შეცდომასაც თვითონ ასწორებს.

— ნიჭიერი, ჭკვიანი ახალგაზრდაა და სწავლობს კიდეც, — ჩაილაპარაკა პავლემ.

* * *

მუშაობის დამთავრების წინ ელენემ სწრაფად შემოირბინა საამქროები. ახალგაზრდები გააფრთხილა, რომ გაზეთის ხმამაღალ კითხვას ყველა უკლებლივ დასწრებოდა. მერე დაბლა სართულიდან მომავალ ფიდოს ღიღინით შეხვდა.

— რას დახტიხარ ამ საამქროებში? — ღიმილით მიმართა ფიდომ ელენეს.

— გაზეთის ხმამაღალ კითხვას ვატარებთ, ძია ფიდო, და ახალგაზრდები გავაფრთხილე.

— ყოჩაღ, ელენე. კარგია, მეც სიამოვნებით დაგესწრებით, ახლა ეს მითხარი, ირაკლი როგორ მუშაობს?

— ოხ, ისეთი ლინოტიპისტია რომ!..

— ვინა? — ლაპარაკში ჩაერია კიბეებზე ჩამომავალი პავლე.

— ვინა და ირაკლი! — გამოჯავრებით უპასუხა ელენემ და ფიდოს თვალი ჩაუკრა.

— შენ სულ ირაკლიზე ამოგდის მზე და მთვარე. სულ იმის ხსენებაში ხარ! —გულმოსულად ჩაილაპარაკა პავლემ და სახემოღუშულმა კიბეები ჩაირბინა.

ფიდო და ელენე ღიმილით გასცილდნენ ერთმანეთს.

— რას განერვიულებულხარ, ბიჭო? — ფიდომ პავლეს მკლავში ხელი ჩაავლო, როცა კიბის ბოლოს დაეწია, — ხომ არ უწყრები ელენეს? დროზე დააბოლოვე შენი სიყვარული, ჩემო ძმაო, თორემ ხომ ხედავ, ოქროსავით გოგონაა. უფრთხილდი არ გაგიფრინდეს, — გაეხუმრა ბოლოს.

პავლემ არაფერი უპასუხა.

ფიდო გრძნობდა, რომ პავლე გუნებაზე არ იყო და მის გამხიარულებას ცდილობდა, მაგრამ ფიდოს ათასნაირი შეკითხვებითა და თხოვნით შეეგებნენ მუშები, პავლემ დრო იხელთა და ფიდოს მოშორდა. მას მარტო დარჩენა უნდოდა.

* * *

სამუშაო დღე დამთავრდა. პავლე ალექსეევი ულონოდ ჩამოჯდა საწერ მაგიდასთან და მუშების დღიური გამომუშავების აღრიცხვას შეუდგა. ციფრების მაგივრად ელენესა და ირაკლის სახეებს ხედავდა, რომლებიც ლინოტიპის კლავიატურას დასცქეროდნენ და გამალებით აწყობდნენ.

ელენეს მისთვის ეჭვის საბაბი არ შიუცია, მაგრამ ეს უფრო მძიმე ასატანი იყო პავლესათვის. იცოდა, სრულიად მოულოდნელად შეიძლებოდა შეცვლილიყო ყველაფერი.

ვიდრე ირაკლი სალინოტიპო საამქროში გადავიდოდა, ელენე და პავლე ერთად საუზმობდნენ, სამუშაოს დაწყებამდე ერთად იყვნენ, სამუშაოდანაც ერთად მიდიოდნენ. კვირა დღეს და საღამოობით ერთად სეირნობდნენ. ახლა? თითქოს ელენე გაურბისო, განმარტოებით არის ხოლმე. მართალია არც ირაკლისთან ერთად უნახავს, მაგრამ გრძნობს, რომ ელენე შეიცვალა. ვინ იცის ამას რა მოჰყვება?!

— სჯობს სხვა სტამბაში გადავიდე. —გაიფიქრა პავლემ, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ ამას იგი ვერ შესძლებდა.

პავლეს ჯერ კიდევ მამა ცოცხალი ჰყავდა, როდესაც ამ სტამბაში მუშაობა დაიწყო. შეეჩვია აქაურობას, ყოველ კუთხეს, ყოველ მანქანას, ყველაფერი ეს მისი ცხოვრების აზრად იქცა და ახლა მოშორდეს? დასთმოს? ელენეც?!. არა, ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია! განა ასე უყვარს ელენე? არა, არც ამ სტამბის დათმობა შეუძლია და ვერც ელენეს დასთმობს!

ირაკლი ცუდი კაცი არ არის. ჭკვიანია, პატიოსანია და... სწორედ ეს არის მიზეზი რომ ხიბლავს ელენეს! რა ჰქნას პავლემ?!.

ირაკლის გამოუტყდეს და უთხრას, რომ თავი დაანებოს ელენეს?

მაგრამ, რომ არ იცის ირაკლის გულისფიქრი? იქნებ ირაკლის სულაც არ უყვარს ელენე? თუ არ უყვარს, მაშ რად უყურებს ასე უცნაურად?

არა, როგორ ეტყვის, როგორ გაუბედავს, ეს რა ვაჟკაცობა იქნება!

ირაკლი აქ არაფერ შუაშია. ელენემ თვითონ უნდა გადაწყვიტოს პავლეს ბედი და ამ გულისმღრღნელ მოლოდინს ბოლო მოუღოს. მეტს ველარ აიტანს. ან ასე, ან ისე, მაგრამ უნდა გადაწყდეს!

პავლემ შუბლზე ხელი მოისვა. ქალამი თითქმის მეათედ ჩააწო სამელნეში და ძალდატანებით შეუდგა მუშაობას.

ბოლოს ისე გაერთო, რომ მუშაობის დამთავრების ზარის ხმაც კი გამოეპარა.

დაამთავრა დღიური გამომუშავების აღრიცხვა და ფიდოს მშვიდი ხმაც შემოესმა:

— რა ჰქენი, პავლე, აღრიცხვა მზადაა?

— მზადაა, შეგიძლია წაიღო.

მუშების სიცილ-ხარხარი თანდათან მიწყნარდა. პავლემ პაპიროსს მოუკიდა და ნელი ნაბიჯით სტამბის აივანზე გავიდა.

საღამოს ნიავი ნელა არხევდა სიცხისაგან დათენთილ მცენარეთა ფოთლებს. გვალვისაგან შეშხმარი ზოგიერ-

თი ფოთოლი, ლითონის ფირფიტასავით ჩხრიალებდა.

ნიავს სიგრილე მოჰქონდა.

პავლემაც იგრძნო სიგრილე და რკინის რიკულთან მიმდგარ სკამზე ჩამოჯდა. თვალი შეავლო კვიპაროსებსა და ნაძვის ხეებს, რომლებიც ოდნავ ირხეოდნენ.

სანამ ელენეს გაიცნობდა, პავლემ არც სიყვარული იცოდა და არც ოჯახის ფასი. მისი მშობლების ოჯახი, რაც კი თავი ახსოვდა, შიმშილისა და გაჭირვების კერა იყო. ბავშვობიდან დღე არ ახსოვდა, რომ ლუკმა პურზე არ ყოფილიყო წუწუნი და ტირილი, მამა ბნელ და ნესტიან ქოხში სულ ერთავად მამის ბოღმანარევი ოხვრა ესმოდა, ამას დედის ნაძალადევად დამამშვიდებელი სიტყვები მოჰყვებოდა ხოლმე: „რას იზამ, ილიკო, წუთისოფელი ასე ტრიალებს“.

სიყვარული კი ცრემლმომშრალი დედის უილაჯო ალერსი იყო, ისიც ღამე, დაძინებისას, საბანს რომ წამოახურავდა შვილს, პირჯვარს გადაწერდა და თან ბუტბუტით რაღაცას დააყოლებდა.

პავლეს მხოლოდ დედის ტუჩების ცმაცუნის ხმა და სუნთქვა ესმოდა. ის ამაში გრძნობდა მის მშობლიურ ღრმა სიყვარულს.

მძიმე დრო წავიდა და ახლა, როცა ცხოვრებამ მასაც ქვეყნის დოვლათის წილი არგუნა, მზიან ბინებში გადმოიყვანა, მუშფაკში ასწავლა, წიგნების სამყაროს გააცნო, გააცნო თავისი მარჯვენის უნარი და ადამიანური უფლებები, როცა კომუნისტურმა პარტიამ ქვეყნის სიკეთისათვის მებრძოლი ადამიანების რიგებში ჩააყენა, როცა ოქროთი მოვარაყებულ სვეტებიან დარბაზში მოკისკასე ელენეს შეხვდა, რომელმაც გულში იმედებისა და ენერგიის დაუშრეტელი ცეცხლი წაუკიდა, შეჰპირდა ერთად შექმნათ ახალი ოჯახი, ახლა...—„ახლა მღალატობს?! არა, ეს შეუძლებელია!“ — ფიქრობდა პავლე და მოაგონდა ის პირველი საღამო, როცა ელენეს წინ მორცხვად იშმუშნებოდა და მორიდებული ელენეც, თუმცა გრძნობდა პავლეს გულისთქმას, მაინც ვერ უბედავდა ეთქვა: „მიყვარხარო“.

ისიც მოაგონდა, როგორ უსიტყვოდ გამოვიდნენ შრომის სასახლის მეექვსე სართულის აივანზე და როგორ ჩუმად დაჰყურებდნენ რუსთაველის პროსპექტს.

ერთხელ პავლემ ელენეს ოჯახის შექმნაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. პავლესავით ბავშვობაში გაწამებული ელენეც გაიტაცა მისმა მოსწრაფებებმა. როცა ტკბილ საუბარს მორჩნენ, პავლემ ელენე სახლამდე მიაცილა და თვითონ ღამე გვიან დაბრუნდა შინ.

— ეჰ!.. — აღმოხდა პავლეს და რიკულზე დაწყობილ მკლავებში თავი ჩადო, თითქოს ძილს აპირებსო.

ფიქრების ბურანში წასულ პავლეს ელენეს ფეხის ხმა მოესმა. ათას ფეხის ხმაში გამოარჩევდა მის ნაბიჯებს, არ მოტყუვდებოდა.

მას უნდოდა გასცლოდა ამ ადგილს, რომ ელენეს არ შეხვედროდა ამ გუნებაზე, მაგრამ ელენეს ფეხის ხმა უკვე კარებთან შეწყდა.

ელენემ პავლეს მხარზე ხელი ალერსიანად შეახო.

— რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ?

პავლემ თავი მაღლა ასწია და ნაძალადევად უპასუხა:

— არა!

— მაშ სხდომას რატომ არ დაესწარი, აქ რამ დაგაძინა, წამოდი სახლში. ბოლო დროს სულ მარტო დადიხარ. გახდი კიდეც, რა ამბავია შენს თავზე? — ხმადაბლა წარმოთქვა ელენემ და პავლეს შუბლზე ჩამოშლილი თმები თითებით აუვარცხნა.

პავლეს ესიამოვნა ელენის თითების შეხება და ერთხანს გაყუჩდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამოიოხრა, მისი ხელები მოიშორა, წამოდგა, თვალი თვალში გაუყარა და შეჰყვირა:

— ელენე, რატომ მიმალავ იმას, რაც გულში გაქვს. ქვეყანა ხედავს, რომ შენ ირაკლი გიყვარს.

— რას ამბობ, პავლე! — შესძახა გაჯავრებით ელენემ. — არც შენთვის, არც სხვისთვის მე ასეთი ცილისწამების მიზეზი არ მიმიცია, — ელენეს ცრემლი წასკდა. სახეზე ხელები აიფარა და სკამზე დაეშვა.

პავლე შეკრთა, თან გულზე მოეშვა. მხარზე ხელი მოკიდა ელენეს და რბილი, გაბზარული ხმით უთხრა:

— კარგი, ნუ ტირი, შენ უკვე თქვი

სიმართლე შენი ცრემლებით და ამით ახლა მე მარცხვენ. მაგრამ არც მე ვარ დამნაშავე. ამხანაგები სულ იმას ჩურჩულებენ, ირაკლი შეგეცილაო. მეც ავ-ყევი ამ უსაფუძვლო ლაპარაკს. გადავ-წყვიტე სხვა სტამბაში გადავსულიყავი, გაგცლოდი, მაგრამ შენი განშორებაც რომ ვერ შევძელი?!.

— რა ნახე ასეთი? — უსაყვედურა ელენემ, — ჩემი მოვალეობა იყო მო-წაფისათვის მესწავლებინა. მე ამას ისე-თი მონდომებით ვასრულებდი, რო-გორც კომკავშირელს შეშვენის. სხვა-ნაირად განა შემეძლო?!.

— არ ვიცი, ირაკლი ჩემზე ნაკლები ბიჭი არ არის, მეც ვიფიქრე, იქნებ მოხიბლა-მეთქი და... კაცის გული კი ისეთი რამ არის, რომ ჭკუა ვერ ერევა!

— ასეთი რამ აღარასოდეს არ გაი-ფიქრო! — დამაჯერებელი კილოთი წარმოთქვა ელენემ და პავლეს კისერ-ზე მოეხვია.

პავლე სიხარულისაგან აენთო, შვება იგრძნო, თითქოს მძიმე ტვირთი მოხს-ნესო.

7.

კომკავშირის კრებაზე ირაკლის წინა-დადებით დაადგინეს სტამბის დასუფ-თავებისათვის შაბათობა მოეწყოთ.

შაბათობის ხელმძღვანელად კრებამ ელენე გამოჰყო.

კომკავშირელები უკლებლივ შეიკ-რიბნენ და ბრიგადებად დანაწილდნენ. ბრიგადები ელენეს დავალებებს ხა-ლისიანად ასრულებდნენ. ზოგი იატაკს გვიდა, ზოგი ფანჯრებს სწმენდდა. ზოგს წყლით სავსე კასრები შემო-ჰქონდა.

მკლავებდაკაპიწებული გოგონები ცი-ბრუტივით ტრიალებდნენ და წყლით მოსველებულ იატაკს ჯოხზე წამოგე-ბულ ტილოებს გამალებით უსვამდნენ. ხანდახან დანითაც უხდებოდათ იატაკ-ზე დაგლესილი საღებავების აფხეკა.

ირაკლის ბრიგადამ ელექტროდამ-სუფთავებლით, რომელიც მტვერს კასრისმაგვარ ქვაბში ისრუტავდა, ასოთ-კასები დაასუფთავა. მორეცხილ იატაკ-ზე ასოთკასებს დაზგებიანად მიაცურ-ებდნენ, რომ იატაკი დაზგების ქვეშაც გამოესუფთავებინათ.

ყველა თავგამოდებით მუშაობდა.

საამქროებში სისუფთავე თანდათან მკვიდრდებოდა.

ვახტანგმა წყლით სავსე კასრები დადგა და მუშაობით გართულ გოგონებს გადახედა. მიზანში ამოიღო ერთი ტანწვრილი, ვერცხლისწყალივით და-უდგრომელი, მუდამ მოკისკასე გოგონა. კასრიდან პეშვით წყალი ამოიღო, ფეხ-აკრეფით მიეპარა თავწახრილს და საკინძეშეხსნილ კისერში ჩაასხა.

— ვაიმე! — შეჰკივლა გოგონამ, ცივმა წყალმა შეაკრთოლა, შეხტა და უცბად, რომ სამაგიერო გადაეხადა, იქ-ვე მდგარ წყლით სავსე კასრს ხელი წამოავლო. მოკისკასე გოგონებმა ვახ-ტანგი გააკავეს და გოგონამაც ზედ თავ-ზე გადაასხა მთელი კასრი წყალი.

ირაკლი გულიანად ხარხარებდა; ამ დროს მას ელენეს წკრიალა ხმა შემო-ესმა:

— ირაკლი, თუ ძმა ხარ, მომეშვე-ლე, პლაკატი გავასწოროთ!

ირაკლის გაეხარდა. სწრაფად გაეშუ-რა მისკენ, თითქოს ფრთები შეესხათ, თვალისდახამხამებაზე ელენეს გვერ-დით მდგარ ასოთკასაზე შეხტა და გა-მოწვდილი ხელიდან ჩაქუჩი და ლურ-სმნები ჩამოართვა.

ელენე მეორე ხელით ამაგრებდა პლაკატის ბოლოს. ცალი ფეხი ზემო საფეხურზე შეედგა. კაბა ტანზე ისე გადასჭიმოდა, რომ მისი მოხდენილი სხეული ნათლად გამოკვეთილიყო.

— ოღონდ მთხოვე და, შენი გული-სათვის... — ირაკლის უნდოდა ეთქვა „სულსაც არ დავიშურებო“, მაგრამ ელენემ აღარ დაასრულებინა. ქალმა იგრძნო თუ არა ირაკლის გულისთქმა, სიტყვა შეაწყვეტინა:

— მაშ, ეს პლაკატები შენ მიაჭედე. მე კი, დაბლა ჩავირბენ, სამბეჭდავ-საამქროში, ამხანაგებს დავხედავ, იქ-ნებ რამე უჭირთ!

ელენემ სასწრაფოდ ჩაირბინა კიბე. ირაკლის ეწყინა.

ელენე სამბეჭდავ-საამქროში ისე შევიდა, რომ მუშაობაში გართულ ამ-ხანაგებს მისი შემოსვლა არც კი შე-უმჩნევიათ. ელენეს გაეხარდა, მისი ამ-ხანაგები რომ შესეოდნენ უზარმა-ზარ საბეჭდ მანქანებს და გულმოდგი-ნედ სწმენდდნენ.

ელენემ მითითება მისცა ამხანაგებს:

— ამხანაგებო, სამბეჭდავო საამქრო ჩვენს ბრიგადას ისე გაუპრიალებია, რომ გესიამოვნებათ. — ახარა ელენემ ამხანაგებს.

— ჩვენ ცუდად ვმუშაობთ თუ? — უსაყვედურა ვახტანგმა.

— ვინ გითხრათ, ცუდად მუშაობთო. ჩვენი ბრიგადა კარგად მუშაობს, მაგრამ საამკინძაო საამქროსი რა მოგახსენოთ!..

— დავეხმაროთ! — ჩამოსძახა ირაკლიმ, რომელიც ამ დროს კედელზე პლაკატს აკრავდა.

— მეც ასე ვფიქრობ, ყველაზე უსუფთაო საამქროა, — დაემოწმა ელენე და ერთმანეთს შეხედეს.

ირაკლიმ თვალი მოარიდა. იგრძნო, ელენე უფრო ცნობისმოყვარეობით უცქეროდა მას, ვიდრე თანაგრძნობით. მაგრამ გულში ჩაბოდიებულმა გრძნობამ ცბიერი სურვილი წარმოუშვა, როგორმე განემარტოვებინა ელენე, გაებედა, ეთქვა თავისი წადილი, გაეგო უნუგეშო ხომ არ იყო მისი მისწრაფება.

— ელენე, ჩვენს საამქროს დასუფთავება არ ესაჭიროება? — შეეკითხა ირაკლი.

ელენემ გაიღიმა.

— მე მგონია! — და ერთ წამს ჩაფიქრდა, — თუ გინდა დავასუფთაოთ!

ცოტა ხნის შემდეგ ელენე და ირაკლი სალინოტიპო საამქროში შევიდნენ.

— ბენზინში დასველებული ჩვარი მოვუსვათ და ეყოფა, — გაიღიმა ელენემ და წამსვე პირი მოარიდა. კუთხეში მიყუდებულ იატაკის საწმენდ ჯოხს ხელი წაავლო და მის ბოლოზე ძველი ტილოს ნაჭრის დახვევა დაიწყო.

— მე იატაკს მოვწმენდ, ირაკლი. შენ კი, დაზგების გადადგმაში მომეხმარე. კარგი? — მშვიდად წარმოთქვა ელენემ, უფრო ლმობიერად შეხედა და იატაკის წმენდას შეუდგა.

— მოიცა, ელენე. ეგ ტილო ისე მშრალია, რომ მტვერს არ მოსწმენდს. აი, ბენზინი,—ხელი დასტაცა დაზგაზე მდგარ თუნუქის თეფშს, რომელშიც მატრიცების ნარეცხი ბენზინი ესხა. — ეს ბენზინი მატრიცებისათვის გამოუსადეგარია. შეიძლება იატაკის მოსაწმენდად გამოიყენოთ. — ირაკლიმ ტილოზე ბენზინის დასხმა დაიწყო.

— კმარა, ირაკლი! — ელენემ მაჯაში ხელი სტაცა.

ელენეს ხელის შეხებაზე ირაკლი შეკრთა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს საამქროში ფიდოს ხმა გაისმა:

— ყოჩაღ, კომკავშირელებო! — შაბათობაც ამას ჰქვია! — შეხედე ამათ, ამხანაგო სპირიდონ, — მიუბრუნდა დირექტორს, — ხედავ, როგორ გაუკრიალებიათ ყველაფერი?!.

თვალებგაბრწყინვებული ფიდო ათვალიერებდა კომკავშირლების მიერ დასუფთავებულ საამქროს.

— მაშ! — დაემოწმა სპირიდონი, — სამაგალითო საქმეს სჩადიან!

ისინი სამბეჭდავო საამქროსაკენ გაემართნენ.

ირაკლის სახეზე ალმური ასდიოდა.

ელენე ცდილობდა მისთვის ყურადღება არ მიექცია და შეუსვენებლივ სწმენდდა იატაკს. როცა მოათავა, კედელს მიეყრდნო.

ირაკლის ესმოდა ელენეს ჩქარი სუნთქვა, ხედავდა მის წამოწითლებულ ლოყებს და მიუახლოვდა. ალერსიანად შეეკითხა:

— დაიღალე?! — ირაკლიმ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, უნდოდა ელენესათვის გაოფლიანებული შუბლი მოეწმინდა, მაგრამ ელენემ აირიდა.

— არა, არ დავღლილვარ! — უპასუხა ღიმილით. ხმაში მუდარა იგრძნობოდა, დამეხსენიო.

ირაკლი შეკრთა.

ელენე საამწყობო საამქროში გავიდა.

ირაკლიმ იგრძნო რის პასუხიც იყო ეს სიტყვები და დარცხვენილი იქვე ჩამოჯდა.

8.

ფათალოთი დაბურული ორსართულიანი სახლის კარები შიგნიდან გამოეკეტათ. მობინადრენი სადილის შემდეგ ისვენებდნენ.

ეზოში სიწყნარე გამეფებულიყო. ჭიკჭიკით მოღლილი ჩიტები ხის რტოებში ჩამსხდარიყვნენ და განაბულიყვნენ. განაბულიყვნენ ალვის ხის კენწეროებიც, რომელნიც ჩამავალი მზისაკენ გადახრილიყვნენ.

ეზოში შესასვლელ კართან მიყრდნობილი ირაკლი თვალს არ აშორებდა წყლის სადენ მილიდან წვეთების დე-

ნას, მას თავისი გულის ჩქროლვას აყოლებდა.

როგორ აღმოჩნდა ის ელენეს სახლის კარის წინ, გაუკვირდა კიდეც.

კაკუნზე ელენეს მამიდა გამოვიდა.

— ელენე შინ არის? — იკითხა ირაკლიმ და თვითონვე გაუკვირდა, ასე თამამად როგორ ვიკითხეო.

— შინ არის, შვილო, — უპასუხა მამიდამ და კარი გაუღო, — მობრძანდით!

ელენე ფარდაგგადათენილ ტახტზე იწვა. ბალიშზე თმები გადაშლოდა. იქვე მიდგმულ სკამზე „ლენინიზმის საკითხები“ იდო. მას წიგნის კითხვაში ჩასძინებოდა. ხმაურზე შეკრთა და გამოეღვიძა.

— ალბათ არ მელოდი, ელენე, — ნაძალადევი ღიმილით უთხრა ირაკლიმ.

— როგორ არა, გელოდი, — თითქოს განგებ ჯიუტად უპასუხა ელენემ და გაკვირვებით შეაცქერდა.

ირაკლიმ უხერხულობა იგრძნო და ელენეს თვალი მოარიდა.

წიგნებით სავსე თაროს ზემოთ პავლეს სურათს მოჰკრა თვალი.

ელენემ ირაკლის სკამი დაუდგა. ირაკლი ჩამოჯდა და თავი ჩაღუნა.

— დღეს ბიუროზე შენი პარტიაში მიღების საკითხი დგას. მჯეროდა, ეს დიდი სიხარული ჩემსკენაც გამოგატარებდა,—ღიმილით მიმართა ელენემ.

— რასაკვირველია! მაგრამ მე, — გულის გამალებული ძგერით წაიჩურჩულა ირაკლიმ და ალმოდებული სახე მაღლა ასწია, — ამ დიდ სიხარულს შენი სიყვარულიც მინდა დაერთოს!

ელენეს თვალები გაუფართოვდა.

— მე... — წამოიწყო ირაკლიმ და ელენეს სიყვარულით სავსე თვალებით პირდაპირ შეხედა.

ელენემ თვალი მოარიდა.

— იცი, რისთვის მოვედი? მე მინდა წინადადება მოგცე, ჩემი მეგობარი გახდე. უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია! ასე რად მიყურებ, არ იცოდი, რომ ამისთვის მოვედი?!

ელენე განცვიფრდა ირაკლის ასეთი პირდაპირობით. არც ის გამოჰპარვია, რომ ირაკლი ძალიან აღელვებული იყო.

ელენეს შეეცოდა ირაკლი. გულში სურვილიც კი აღეძრა, შუბლზე და თმებზე ხელი გადაესვა, მოფერებოდა, ენუგეშებინა... მაგრამ მალე ეს ხელ-მოვიდა.

— არა, რა საჭიროა... განა ჩვენ მეგობრები არა ვართ, განა ჩვენს მეგობრობაზე, რომელიც აქამდე გვქონდა, მეტი-ღა შეიძლება?.. მე, ხომ იცი, უკვე... — უნდა ეთქვა, რომ ის პავლეს საცოლეა, მაგრამ თავი შეიკავა.

ირაკლი წინასწარ მოფიქრებულ გადაჭრილ პასუხს არ მოელოდა. ფიქრობდა, სიტყვას ბანზე ამიგდებსო, ან დროს დაუნიშნავდა, ეტყოდა: „დავიცადოთ, წითელარმიიდან დაბრუნდები და მერე ვნახოთო“... ირაკლის მხოლოდ ის უნდოდა, წითელარმიაში ყოფნისას, თავისუფალ წუთებში მასზე ეოცნება, ასე უცბად არ გაწყვეტილიყო ამდენი ხნის სიყვარული.

ირაკლი წამოდგა და წასვლა დააპირა.

— მოიცადე, ჩაი დავლიოთ და ერთად წავიდეთ, კომკავშირის რაიკომში პატარა საქმე მაქვს, წამომყევი.

— არ შემიძლია, შინ მინდა წავიდე, — წაილუღლუღა ირაკლიმ.

— კარგი, რადგან ჩაის არ დალევ, არც მე მინდა, წავიდეთ!

საჩქაროდ თმები გაისწორა, მერე საქალალდე აიღო და გარეთ გამოვიდნენ.

მშვენიერი საღამო იყო. მოწმენდილი ცა დანათოდა ქალაქს. ეზოში ბავშვების ჟრიამული იდგა.

ალაყაფის კარებთან ჩამომსხდარი დედაკაცები საუბრობდნენ. ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა კისკასი ზარივით ისმოდა. თბილისის ადრიანი შემოდგომის თბილი საღამო მშვიდად ჩამოსწოლოდა ქალაქს.

ირაკლიმ დააპირა თავის სახლისაკენ არსენას ქუჩით გაეხვია, მაგრამ ელენემ მკლავში ხელი ჩაავლო და შეაჩერა.

— ცოტაზე მაინც წამომყევი!..

ირაკლი ხმაამოუღებლივ გაჰყვა მას.

გაიარეს რუსთაველის პროსპექტი, ჩაჰყვნენ ელბაქიძის დალმართს და ხიდთან შეჩერდნენ.

მტკვარი ელექტრონის ლამპიონებისაგან ლაპლაპებდა. სანაპიროს მშენებლობის მარჯვენა მხრიდან ვეებერთელა პროჟექტორებს გადაესერათ მისი ზედაპირი. სანაპიროზე კი, მარქსის

სახელობის ხიდიდან დაწყებული ვერის პარკამდე, გრანდიოზული მუშაობა წარმოებდა.

ვეშაპებივით კბილებდაკრეჭილი ექსკავატორები თავის გრძელ თათებს რკინის ჯაჭვების გრუხუნით მძიმედ უშვებდნენ ფსკერისაკენ და ფოლადის კბილებით ლოდებსა და მიწას რკინის ყბებით მსუბუქად იტაცებდნენ მაღლა.

ფიცრის კედლებში მკლავის სიმსხო მილები ჩაეწყოთ. ეს მილები ცალი მხრით სპეციალურ მოედნებზე დადგმულ მოტორებისათვის შეეერთებინათ და კედლებში გამონაჟონ მტკვრის წყალს ისევ მტკვრისაკენ ექაჩებოდნენ.

გრუხუნებდა ლოკომოტივი, სწრაფად ბრუნავდა მისი საცერივით დაჩხვლეტილი თუჯის ქვაბი, რომელშიც მოძრავ რეზინის არშიას გამუდმებით მოჰქონდა რიყის ქვა, ჰყრიდა შიგ და ამ ქვაბში ნაკუწებად ქცეულს გვერდზე ახვავებდა. დამტვრეული ქვები ბუშებს ცალთვალა საზიდავებით მიჰქონდათ ფიცრებით დალიანდაგებულ გზებზე, მიჰქონდათ ქვევით, სადაც საბარგო მანქანები ცემენტს, ხე-ტყესა და რკინას ეზიდებოდნენ.

— ირაკლი, ხედავ ამ მშენებლობას, რა სილამაზეს უმზადებს ჩვენს ქალაქს. შრომის სასახლის დარბაზში ხომ ნახე ქალაქის რეკონსტრუქციის პროექტი, ელექტრონით განათებული მტკვრის სანაპირო, ორმხრივ ჭადრებით დამშვენებული. რა გულმისაზიდი იქნება ახალგაზრდობისათვის ეს ადგილი, არა?..

ირაკლი დუმდა. არ იცოდა, ელენე დასცინოდა, თუ გულწრფელი მეგობრობა ალაპარაკებდა.

— ელენე, შენ მთავარს არ ამბობ. მთავარს. ვერ გითქვამს, რომ მე არ გიყვარვარ!..

— მე მიყვარხარ, როგორც კარგი მეგობარი და ამხანაგი!

ირაკლიმ ნაღვლიანად გაიღიმა.

— აბა რა! — შეშფოთდა ელენე, — შენ კარგად იცი, რომ მე პავლე მიყვარს. გულს ორად გაყოფა არ შეუძლია!

— ვიცი! — ძლივს წაილუღლუღა ირაკლიმ.

ირაკლიმ ეს იცოდა, მაგრამ გულში პატარა იმედი მაინც შემორჩენოდა. ახლა ამასაც ეთხოვებოდა.

— უნდა დამშვიდდე, ირაკლი. წითელი არმიიდან რიცა-დაბრუნდები, ყველა პირობა მზად გექნება. აგერ, ისიც მზად იქნება, — გაიშვირა ხელი ხიდის გაღმა ბაღისაკენ, სადაც ხის რიკულებიანი სვეტი მაღალ კოშკად აზიდულიყო და მის ძირში ვეებერთელა შენობის ჩონჩხი, მთლად ხარაჩოებში ჩამჯდარი, გემივით მოჩანდა, — ჩვენც ამოვალთ ჩვენს პატარა ლოკოკინა სტამბებიდან, იმ ნათელ სასახლეში გვექნება საუკეთესო ბინები, საუკეთესო საცხოვრებლები, ბავშვებისათვის ბაგები, შემსუბუქებული შრომა და მაშინ... შენც შენი გულის საუნჯეს უფრო თამამად და თავისუფლად გადაშლი. ირაკლი, ჩვენ მეგობრებად და ამხანაგებად უნდა დავრჩეთ!—ელენე იმედითა და თხოვნით სავსე თვალებით ირაკლის მიაჩერდა.

გამოთხოვებისას მშენებლობის ძლიერ ხმაურში ირაკლის შემოესმა ელენეს წკრიალა ხმა:

— მოხსენების მომზადება არ დაგავიწყდეს!

9.

დილაობით, მზის ამოსვლამდე ირაკლი სხარტად წამოხტებოდა ხოლმე ლოგინიდან და მხარზე გადაკიდებული პირსახოცით შედიოდა საბაზანო ოთახში.

ცივი წყლით დიდხანს იბანდა და ხაოიანი პირსახოცით შემშრალების შემდეგ, ხელის გულით ტანს იზელდა.

ირაკლის პირდაპირ მეორე სართულზე ცხოვრობდა თამარ დიდებულიძე. მისი საწოლი ოთახის ფანჯარა პირდაპირ ირაკლის აივანს გადმოჰყურებდა. თამარს ირაკლის ცხოვრების წვრილმანიც კი შეუმჩნეველი არა რჩებოდა.

რამდენჯერმე შემთხვევით შეასწრო თვალი მოკლე შარვლის ამარა ირაკლის ათლეტურ ტანს. შემდეგ კი მასაც ჩვეულებად გადაექცა დილაადრიან ადგომა და ირაკლისათვის თვალყურის დევნება.

თამარმა ისიც შენიშნა, რომ მისი თანაკურსელი ამხანაგი ნათელა დევიძე ხშირად დაიარებოდა ახალ მეზობლებ-

თან. ამიტომ თამარი უფრო დაუახლოვდა ნათელას და ირაკლის ამბავი ჰკითხა.

დილაობით თამარი ფარდას გადასწევდა ხოლმე და ისე შესცქეროდა ირაკლის ვარჯიშს, შემდეგ ფანჯარას გამოაღებდა, გადმოეყრდნობოდა ფანჯრის რაფას და ისე შეჰყურებდა ირაკლას. ირაკლი ყურადღებას არ აქცევდა მას. თამარი ხმაურით გადმობერტყავდა წამოსასხამს, ან საყვავილე ქილიდან მხუილით გადმოღვრიდა წყალს და ისევე ხმაურით ახალი წყლით ავსებდა ყვავილთა ქილებს.

ირაკლის არა ერთხელ მოუკრავს თვალი ახალგაზრდა ქალისათვის, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ აღძვრია მეზობლისადმი.

თამარი ბევრჯერ ეცადა, ირაკლის ყურადღება მიეპყრო ლამაზად გადაშლილი თმებით, ხმამაღალი სიცილით, მაგრამ როცა მიზანს ვერ აღწევდა, გაჯავრებული მიბრუნდებოდა კედლის სარკესთან, სევდიანად დააცქერდებოდა წაბლისფერ ვარაყში მოელვარე შავ თვალებს, მერე ბროლივით თეთრ მკლავებს კისერზე შემოიწყობდა და ისევ ლოგინში ჩაწვებოდა.

ოცნებაში წასული ისევ ჩაიძინებდა და ახლა უკვე გვიან იღვიძებდა, როცა ქვეყანა შრომითა და ზრუნვით საკმაოდ დაღლილი იყო.

* * *

ირაკლი ლიფტს არ დაელოდა. კიბეები სწრაფად აირბინა და მეოთხე სართულის ღია კარებში შევიდა. ახლადდამთავრებული შენობის კედლები ჯერ არც კი იყო კარგად გამომშრალი და ფართო დარბაზში გაჯისა და ცემენტის სუნი იდგა. მან თვალი გადაავლო ახლადმოტანილ ასოთკასებს, დაზგებს, შრიფტის ყუთებს და საამწყობო საამქროს სხვადასხვა მასალას, რომლებიც გაჯის გროვებში, ზეთის სხვადასხვა საღებავებსა და ხელსაწყოებში უწესრიგოდ ელაგა.

ირაკლი ლინოტიპებისათვის გამოყოფილი თაროების დასაწყისთან შეჩერდა, გაშლილ ნახაზს ჩააცქერდა და თავი გაიქნია.

მანქანების განლაგება სწორად არ იყო დაწყებული და ეს ძალზე აწუხებდა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ირაკლი, მოდი, მეწვიე! — შემოესმა ვასოს ხმა.

— შენც აქა ხარ, ვასო? რამ შეგიყვანა ასე ადრე?! — გაიკვირვა ირაკლიმ და ვასოს მიესალმა. ვასო, მანქანის ნაწილებით სავსე ყუთს მოფარებული, ფანჯარასთან საუზმეს შეექცეოდა.

— რას იზამ, ჩემო ძმაო, როცა საქმე მოითხოვს! — ვასომ ირაკლის შრიფტის ყუთი მიუდგა.

— რა დროს საუზმეა, ვასო, ლამის ჯავრით გული გამისკდეს!...

— რათა, კაცო?! — გაკვირვებით შეაცქერდა ვასო და პირში ჩადებული ლუკმის ღეჭვა დაიწყო. — აქ არა ვარ? საამქროს მუშაობაში ისე დაგეხმარო, რომ მთელ საქართველოში პირველი ადგილი დაიკავო.

— „ცოცხალი“ თევზი ამ დილაადრიან სად გიშოვნია?! — შეეკითხა ირაკლი, როცა გაშლილ ქაღალდზე მტკვრის თევზები დაინახა.

— ეხ, ირაკლი! — ვასომ ყვითელი ღოჯები გამოაჩინა, შენ გაგვირბიხარ, ჩემო ძმაო, ისეთი დრო გაგატარებინო, რომ თავი სიზმარში გეგონოს! ახლა ჭაჭის არაყიც რომ იყოს, ამ „ცოცხალს“, გემო მაშინ ექნება.

ირაკლიმ ღიმილით შეხედა ვასოს. ვასომ ეს ღიმილი არყის სურვილად ჩამოართვა და უბიდან ჩუმად არყით სავსე პატარა ბოთლი ამოაძვრინა, მუხლზე ოსტატურად დაირტყა და საცობი ჰაერში ააგდო.

— განა ეს კი არა გვაქვს! — დაუმატა მან, მერე ჯიბიდან ამოღებულ ჭიქაში არაყი ჩააესხა და ირაკლის მიაწოდა. ირაკლის უსიამოვნება გადაეკრა სახეზე.

— არა, ვასო, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლინოტიპების ასე უწესრიგოდ დადგმა!

— როგორ?! — ჯერ თითქოს გაოცდა ვასო, მერე კი, უდარდელად ჩაიცინა, — რა გენაღვლება, დღეს ასე დავდგათ და მივიღოთ ჩვენი გასამრჯელო, ხვალ თუ გადაგვადგმევინებენ, ჩვენც გადავდგათ, კიდევ მივიღოთ გასამრჯელო. ფულს გავაკეთებთ!

ვასომ კიდევ მიაწოდა ირაკლის სავსე ჭიქა.

ირაკლიმ ჭიქა მაინც არ ჩამოართვა. მაშინ ვასომ გადაჰკრა არაყი და ბოთლიც და ჭიქაც უბეში ჩაიდო.

— თევზი მაინც აიღე!... — სთხოვა ვასომ და პურის ნატეხი და თევზი გაუწოდა...

ირაკლიმ ახლა უკვე ზურგი შეაქცია ვასოს. ახლადდადგმული ოთხივე ლინოტიპი შეათვალიერა და მწყრალად შეეკითხა:

— შენ, როგორც ხელოსანი, მომხრე ხარ, რომ ლინოტიპები ასე უწესრიგოდ დაიდგას?... მანქანას ოთხკუთხედი ადგილი ესაჭიროება, დარბაზიც ოთხკუთხედია. გარდიგარდმო დადგმა ვის მოუვიდა თავში?...

ვასომ მხრები აიჩეჩა. ის ერთხანს უსიტყვოდ შესცქეროდა ირაკლის.

— მე, რა თქმა უნდა, მომხრე არა ვარ, მაგრამ როდესაც დირექტორი გიბრძანებს?..

— რომელ ბრძანებაზე ლაპარაკობ, რა ამბავია? — ჩაერია ლაპარაკში ამ დროს მოახლოვებული დირექტორი და მოსაუბრეს გაკვირვებით გადახედა.

— ლინოტიპების ასე უწესრიგოდ დადგმა, ჩემის აზრით, სწორი არ არის, ამხანაგო დირექტორო, — დინჯად წარმოთქვა ირაკლიმ.

— რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია. ხომ ხედავ დღედაღამ გვისაყვედურებენ, სახელმძღვანელოების გამოცემას აგვიანებთო...

დირექტორმა ღიმილით შეხედა ირაკლის. უკანასკნელი სიტყვებით ეგონა დაამშვიდებდა და ამით ამოსწურავდა საკითხს, მაგრამ ირაკლის დირექტორის განმარტება არ აკმაყოფილებდა.

— ერთი რომ გააკეთო და მეორე წაახდინო, ამაზე პარტია და ხელისუფლება მადლობას გეტყვის. ამხანაგო სპირიდონ?!.

— რას ხედავ აქ გაფუჭებულს?! — თავაზიანად. მაგრამ მკაცრად შეეკითხა დირექტორი.

— რასა და, აი, ამას! — და ორივე ხელი ლინოტიპებს მიაშვირა. — ასე უწესრიგოდ შეიძლება ლინოტიპების დადგმა?! როგორ უნდა იმუშაონ მუშებმა? მანქანებს შორის ისეთი პატარა მანძილია დატოვებული, რომ მუშებს ხელი შეეშლებათ.

— იქ უარესად არ იდგა?

— ეხ, ამხანაგო სპირიდონ, იმ სტამბაში ოთხი ლინოტიპის მეტი არა გვქონდა და ერთმანეთს ხელს როგორ შეუშლიდნენ, ეს თქვენც კარგად იცით. აქ კი, თავს იყრის თექვსმეტი ლინოტიპი. მოსკოვიდანაც კიდევ ოთხს ველით!... ეს კომბინატია [illegible] ასახლე! გეგმიანად უნდა [illegible] ქანები!

— მესმის, ირაკლი, კომბინატი რომ არის და ჩვენი ძველი, პრიმიტიული სტამბა არ არის. ამას კარგად ვარჩევ, ისე რომ, სხვისგან სწავლება ჯერჯერობით არა მჭირდება. — გაჯავრებით მიუგო დირექტორმა და პაპიროსს მოუკიდა. რამდენიმეჯერ მაგრად მოსწია და ისევ განაგრძო. — საჩქაროდ უნდა დაიდგას ლინოტიპები. ახლა ახალ გეგმაზე ლაპარაკი ზედმეტია!

— მაშ, რადგან ოთხი ლინოტიპი შეცდომით დავდგით, დანარჩენებიც ასევე უნდა დავდგათ?!

— ეჰ, რა ვქნა, მეტი გამოსავალი რომ არ არის?!. ამდენ ლინოტიპს დადგმა არ უნდა? — გაიშვირა ხელი ყუთებში ჩალაგებულ ლინოტიპების ნაწილებზე, — ამას რამდენი დრო უნდა, შენ ხომ კარგად იცი, ეს დადგმული მანქანებიც ხელახლა რომ გადავდგათ, ამ თვეში ვერაფერს ვერ ავაწყობთ!..

— თავიდანვე მოუფიქრებლად მოგიწყვიათ აქ გადმოსვლის საქმე. რა საჭირო იყო ლინოტიპის დაშლა, ჯერ ერთს დაშლიდით და გადმოიტანდით. როდესაც ამ ერთის დადგმას მოვრჩებოდით, შემდეგ, თანდათანობით დანარჩენების გადმოტანას შევუდგებოდით. ეს მუშაობის შეფერხებას არ გამოიწვევდა.

— კაცო, შენ მე ჭკუის სწავლებას ნუ დამიწყებ! — ბრაზმორეულმა სპირიდონმა შეუტია ირაკლის, — ყველაფერზე მე ვარ პასუხისმგებელი. საჭიროა ლინოტიპების საჩქაროდ ამუშავება. შენ დადგმაში ფულს მიიღებ და გათავდა. მეტი არა გეკითხება რა!

— რომ იკითხავენ, მანქანები ვისა დადგმულია, ჩვენ ჩაგვჭიდებენ ხელს. თქვენ კი მაშინ განზე დადგებით. თუ გინდათ მომხსენით, ასეთი წესით არც ერთ ლინოტიპს არ დავდგამ. ვისაც გინდათ იმას დაადგმევინეთ.

— საამქროს უფროსი შენა ხარ და ვალდებული ხარ მანქანების დადგმა დააჩქარო, წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაც საჭიროა, იქ დავსვამ საკითხს, გავიგებთ, შეუძლია თუ არა კომუნისტს უარი განაცხადოს მუშაობაზე იმ დროს,

როდესაც ამ ვეებერთელა სასახლეში ვაერთიანებთ ჩვენს მამაპაპურ, დაქუცმაცებულ სტამბებს!

— მე სამუშაოს არ გავურბივარ, პირიქით, საბჭოთა მანეთებს ისე მინდა მოვეპყრო, როგორც ამას ჩვენი პარტია და ხელისუფლება გვიკარნახებს. — უარი თქვაო. აბა რას ვიტყვი? ოციათას მანეთს წყალში ვყრით... ეს საქმეა?! შენ კი მეუბნები. დააჩქარე მანქანების დადგმაო!...

— ამხანაგო ირაკლი, — ჩამოართვა სიტყვა დირექტორმა და შეეცადა ხმა შეერბილებინა, — აღელვება საჭირო არ არის. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ასეთი დიდი წარმოების შექმნის დროს ოციათასი მანეთი უმნიშვნელო თანხაა და თუ რამეს იტყვიან, მე ვაგებ პასუხს. შენ არხეინად იყავი. მე ხელმძღვანელი ორგანოების ნებართვის გარეშე არაფერს არ ვაკეთებ. მეც მქონდა ეს მოსაზრება, შენ რომ მითხარი. მაგრამ წინადადება მომცეს, უმოკლეს დროში დავამთავრო ლინოტიპების დადგმა. ათი სახელწოდების სახელმძღვანელო ამ თვის ოცამდე დასაბეჭდად უნდა გავამზადო. დღეს ბრძანებას ვწერ, რომ ათი დღის განმავლობაში ლინოტიპები მზად იყოს. გასაგებია თუ არა?!.

— მოვასწრებთ, დარდი ნუ გაქვთ! — ჩაილაპარაკა ვასომ და ირაკლის გადახედა. ირაკლიმ არაფერი უპასუხა. ის მაინც თავის გადაწყვეტილებაზე იდგა, მანქანები ორმწკრივად უნდა დადგმულიყო.

* * *

თავის კაბინეტში ფიდო სიხარულით შეეგება ირაკლის, მაგრამ სახეზე აღელვება რომ შეამჩნია, გაკვირვებით შეეკითხა:

— რა ამბავია, როგორ მიდის საქმე?

— ვერ არის საქმე კარგად, ძია ფიდო. ლინოტიპებს უგეგმოდ დგამენ. ასე არ შეიძლება. მე და დირექტორს შელაპარაკება მოგვიხდა. — აღელვებულმა ირაკლიმ ფიდოს მკლავში ხელი გაუყარა და საამქროში გაიყვანა.

— აი შეხედე, — ირაკლიმ ხელი გაიშვირა ლინოტიპებისაკენ, — ასე შეიძლება დაიდგას ლინოტიპები? რაღა კომბინატია, თუ მანქანები ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არ იქნება განლაგებული!

ფიდო გულდასმით ათვალიერებდა ლინოტიპებს. ძნელი არ [illegible] ხვედრა, რომ ირაკლი [illegible]

— ეს როგორ მოუვიდა სპირიდონს?!

— მეც მიკვირს, ძია ფიდო. მით უმეტეს, რომ ახლაც იცავს თავის პირვანდელ გადაწყვეტილებას და შეცდომის გამოსწორება არა სურს. სად ოთხი ლინოტიპის ხელახლა გადადგმა და სად თექვსმეტი ლინოტიპისა!..

— შენ მართალი ხარ, მაგრამ იქნება სპირიდონს აქვს რაიმე მოსაზრება?

— არავითარი მოსაზრება!

— ერთი, თუ კაცი ხარ, დირექტორს სთხოვე. — მიმართა ფიდომ იქვე მომუშავე ვასოს, რომელიც მაშინვე გაეშურა დირექტორის კაბინეტისაკენ.

ფიდომ კიდევ რამდენჯერმე შემოუარა დადგმულ ლინოტიპებს და საერთო ფართობს თვალი გადაავლო.

— მაინც არ გვყოფნის ფართობი.— შენიშნა ირაკლიმ და ფიდოს მიუახლოვდა.

— რასაკვირველია, ფართობი რომ საკმარისი არ არის, იმიტომ ფიქრობს სპირიდონი ასე შემეიდროებას... — მიუგო ირაკლის ფიდომ და მისკენ მომავალ დირექტორს მიმართა, — სპირიდონ, შეგაწუხეთ, მაგრამ რას იზამ. ბარემ აქვე გადავწყვიტოთ, თუ როგორ დავდგათ ეს ლინოტიპები.

— მიჩივი, ირაკლი?! — ნაძალადევი ღიმილით მიმართა სპირიდონმა.

ირაკლიმ უხერხულობა იგრძნო. უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ფიდომ დაასწრო.

— ჩივილი რა შუაშია, თუკი საქმე მოითხოვს საერთო ძალით რომ გადავჭრათ, ის არა სჯობია? ირაკლი საკითხს სწორად აყენებს. ამას გვერდს ვერ ავუვლით, სპირიდონ!

— მე მგონია, ამხანაგო ფიდო, გუშინწინ განათლების კომისართან თათბირზე შენც იყავი, სადაც წინადადება მოგვცეს, რაც შეიძლება ერიდეთ გაფორმებებსო, რომ საჩქაროდ ამუშავდეს პოლიგრაფკომბინატიო, თორემ სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე შეფერხდებაო. რაც შეეხება საამქროების გეგმიანად გამოყოფასა და გაფორმებას, ეს მუშაობის პროცესში თანდათანობით მოახდინეთო. დღეს გამომცემლობის დირექტორმა დადგენ-

ლება მომიტანა და სიტყვიერადაც გამა-ფრთხილა.

— ყოველ შემთხვევაში, მანქანების უგეგმოდ დადგმაზე არ მიუთითებია-თ. — გააწყვეტინა სიტყვა ფიდომ.

— არა, რასაკვირველია, — განაგრძო ხმამაღლა დირექტორმა, — ამხანაგო ფიდო, თუ შენ ხელს არ შემიწყობ, დამერწმუნე, რომ დავალებას ვერ შეასრულებთ, კარგად ხედავ, ამ კორპუსში რამდენი სტამბაა გაერთიანებული. რა თქმა უნდა, ვიწროდ ვიქნებით, როგორც მოვახერხებთ, ისე უნდა მოვეწყოთ. რაც შეიძლება ჩქარა, რომ მუშაობა არ შეფერხდეს. სხვა კორპუსებიც დამთავრდება და...

— კი, მაგრამ, ლინოტიპების საამქრო გეგმით ხომ აქ არის განკუთვნილი? — გააწყვეტინა სიტყვა ირაკლიმ.

— მერე, ადგილი რომ არ გვყოფნის?!

— რასაკვირველია, არ გვეყოფა! რაც მზიანი ფართობი იყო თქვენ გადაიტიხრეთ და ბუღალტერიიდან დაწყებული, დირექტორის მოადგილით დამთავრებული, ყველას ცალ-ცალკე კაბინეტები მოუწყვეთ...

— აბ, ფიდო, შეხედე კაცო, თურმე რა ჰქონია გუნებაში და საიდან მივლიდა... ეჰა, რა ვუყო იმ ხალხს, ერთ ოთახში ხომ ვერ შევრეკავ?

— მაშ, რომელ კანონში წერია, ორმოცი კაცი სადღაც კუთხეში მიგვყარო და თქვენ ცალ-ცალკე კაბინეტები გაიმართოთ. დროებით შეიძლებოდა თქვენც ცოტა ვიწროდ მოთავსებულიყავით, სანამ თქვენი ოთახები მოთავდებოდა. — ირაკლიმ ნერვიულად ხელი ჩაიქნია და ფიდოს უკმაყოფილოდ გადახედა.

დირექტორი უხერხულად შეიშმუშნა. მხრები აიწია და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ირაკლის მიმართა:

— სწორედ მეც მაგას ვლაპარაკობდი. დროებით მოვეწყოთ, ჩემო ძმაო. შემდეგ თანდათანობით ყველაფერს წესრიგში მოვიყვანთ. დიდ საქმეს ნაკლი მუდამ თან სდევს.

— პარტია და ხელისუფლება მოგვიწოდებს უნაკლოდ ვიმუშაოთ, — დინჯად წარმოთქვა ფიდომ.

ირაკლიმ იკისრა დანარჩენი ლინოტიპების გეგმიანად დადგმა და არასწორად დადგმული ლინოტიპების გადადგმა.

ფიდომ ირაკლის ამ მოქმედებაში თავდადება დაინახა. გაეხარდა. ეს მის მომავლის შესახებაც ლაპარაკობდა.

დირექტორი ნანობდა ირაკლის სამქროს უფროსად დაწინაურებას, მასში მეტოქეს და დაუნდობელ კრიტიკოსს ხედავდა.

სპირიდონის გულში ჩაისახა ირაკლისადმი მტრობის გრძნობა და იმ დღიდან მის თავიდან მოცილებას ცდილობდა.

10.

ხელფასის დარიგების დღე ყველგან განსაკუთრებული დღეა. მუშაობის დამთავრების შემდეგ შეუნელებელი ქრიამული იწყება. ყველა ერთმანეთს ეპატიჟება. ყველას ამ დროს აგონდება, ვისი პური გაუტეხია და ცდილობს სამაგიერო გადაუხადოს.

— ირაკლი, ირაკლი! — დაუძახა ვახტანგმა, რომელიც ხელს იბანდა. — უნივერმაღში გავიაროთ. დედას შალის კაბას შევპირდი და მინდა ვუყიდო.

— კარგია, მომაგონე, ბიჭო, აცივდა და დედაჩემსაც რომ ვუყიდო. ურიგო არ იქნება!

სამუშაოდან ერთად გამოვიდნენ.

ირაკლის გაახსენდა, რომ პლეხანოვის პროსპექტზე წიგნის ახალი მაღაზია გახსნეს.

— ვახტანგ, სახლში გეჩქარება?

— არა, რა იყო?

— წიგნის ახალი მაღაზია გაუხსნიათ. იქ ძველ წიგნებსაც ჰყიდიან. მოდი ერთი, წამით შევიაროთ?

წიგნების შესაძენად ირაკლის ფული არ ეანანებოდა. ხელფასიდან ცოტაოდენ თანხას უსათუოდ გადასდებდა ხოლმე.

ირაკლის შეეძლო თავის ბევრ სხვა ჩვევისათვის ეღალატა, მაგრამ ხელფასის აღების დღეს, სახლში დაბრუნებისას ერთი-ორი წიგნი რომ არ ეყიდა, არ შეეძლო.

ირაკლის წიგნი ძალიან უყვარდა. წიგნს ისევე სათუთად ეპყრობოდა, როგორც მეგობარს. ამიტომ მწიგნობარ ხალხს პატივსა სცემდა.

ირაკლისათვის წიგნი ცოცხალი არსება იყო. იცოდა, რომ ცოდნას ის შეაძენდა, ვისაც ნამდვილად უყვარდა წიგნი. ამიტომ იყო, რომ განსაკუთრებით უყვარდა წიგნის ყვილა მოყვარული. ამიტომ უყვარდა წიგნის გამყიდველებიც და მათი სამფლობელოც — წიგნების თაროები.

წიგნის გამყიდველებთან ირაკლი ხშირად ისე გართულა, რომ სადილიც კი დავიწყებია.

ამ მაღაზიის გახსნის ცნობა მთელი დღე თავში უტრიალებდა. ეჩქარებოდა, რომელიმე საინტერესო წიგნს წასწყდომოდა და თავისი ღარიბი ბიბლიოთეკა შეევსო. განა ყოფილა ვინმე, რომ წიგნის შეგროვება თავის სიცოცხლეში მოეთავებინოს?

დღეს, ხელფასის მიღებისას, გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ მაღაზიაში შეევლო. ვახტანგიც აიყოლია.

მაღაზიის თაროები ჭერამდე სავსე იყო წიგნებით.

მყიდველები — მეცნიერები, მოსწავლეები, მწერლები, მუშები და მუშაქალები ერთმანეთში ირეოდნენ.

ირაკლიმ კარებიდანვე თვალი შეავლო მაღაზიას და მარცხნივ, კუთხეში ძველი წიგნების განყოფილებაში მივიდა.

შავ ზოლებიან კოსტუმში გამოწყობილი საკმაოდ დიდღიპიანი ჭაღარა კაცი, ცხვირზე სათვალეთი და გულზე გახუნებული ჰალსტუხით კიბეზე ასულიყო და მუშტრისათვის რაღაც წიგნს ეძებდა.

ირაკლი დააცქერდა მას. იცნო მისი ხორცსავსე სახე, მშვიდი, მოკუმული ტუჩები, წვრილი და მკვირცხლი, მაგრამ უკვე მღვრიე თვალები და ყვითელ ქილეტზე საათის ოქროს ძეწკვი. იცნო ბავშვობის დროს ნახული ადამიანი და მოაგონდა სტამბის ყოფილი პატრონი და შემდეგ დირექტორი, ივან სტეპანიჩი.

გაუკვირდა.

— ივან სტეპანიჩ! — შესძახა ირაკლიმ.

კიბის თავზე ჩამომჯდარმა ივანე სტეფანეს ძემ სათვალეს ზემოდან გაკვირვებით გადმოხედა ირაკლის. ღიმილმა გაუბრწყინა სახე, აჩქარებით ჩამოვიდა კიბიდან და ხელი გაუწოდა.

— ირაკლი, ირაკლი! ძლივს გიცანი. როგორ დავაკაცებულხარ. მიკვირს როგორ მიცანი. ან როგორ მოგაგონდი?!

— როგორ არ გიცანით. სრულებითაც არ გამოცვლილხართ. განსაკუთრებით მომაგონდა ეგ თქვენი ძეწკვი!

— ჰა, ჰა, ჰა! გადიხარხარა მოხუცმა. — ეს ჩემი უცვლელი ნიშანია. ერთხელ ვიყიდე და აი ორმოც წელზე მეტია ვატარებ. სხვა, როგორ არიან, ფიდო, სპირიდონი, გიორგი, ... ხოლმე, ჰა?

— ყველანი კარგად არიან. ძალიან ხშირადაც გიგონებენ, — განსაკუთრებით მაშინ, — გაიღიმა ირაკლიმ, — როცა სტამბაში რაიმე სიახლე შემოვა ხოლმე. რამე ახალ ხერხს რომ მიმართავენ, იტყვიან ხოლმე: „ივან სტეპანიჩის სტამბა არ გეგონოთო“.

— ჰა, ჰა, ჰა! — ისევ გადაიხარხარა ივანე სტეფანეს-ძემ. — მაშ დამცინიან ხოლმე, ჰა?!

— არა, ივან სტეპანიჩ, თქვენ კი არ დაგცინიან, ყველაფერი გამოიცვალა. ძველი და დროძველი ახლა ასეთი მოგონებისათვის თუ გამოდგება!

— ისიც დიდი საქმეა, თუ კვალი დატოვე ვისიმე მეხსიერებაში!

— ივან სტეპანიჩ, სად იყავით ამდენ ხანს, რომ ქალაქში ერთმანეთს არსად შევხვედრივართ? — შეეკითხა ირაკლი.

— ჰმ! — ხელები ჟილეტის ბოლოზე დაიწყო ივანე სტეფანეს-ძემ და თავის ქნევით შეხედა ირაკლის. — პენსიაზე გადავედი თუ არა, ჩემს ქალიშვილთან როსტოვში წავედი. წავედი და იქვე ჩავრჩი. სიძემ წიგნის გამყიდველის ადგილი მომიხერხა და ჩემთვის კარგად მოვეწყე. ეს საქმე, ჩემო ირაკლი, თავიდანვე მიყვარდა. ქაშვეთის ქუჩაზე, წინათ, შენ მგონი დაბადებულიც არ იქნებოდი, ძველი წიგნებით სავაჭრო მქონდა. იმას მე თავს ვერ დავანებებდი, მაგრამ ჩემს სიმამრს უნდოდა მე გავმდიდრებულიყავი. ძველად კაცად ხომ მდიდარსა სთვლიდნენ. გამდიდრებისათვის მეც მესტამბეობა ავირჩიე. ახლა მიბრძანე, რითი გემსახურო. ბიბლიოთეკის მოწყობა ხომ არ გინდა?..

— მე მინდოდა ძველი ბერძნული ლიტერატურა, თუ ძალიან ძვირი არ ეღირება, ივან სტეპანიჩ!

— ძვირი? რას ამბობ! წიგნი, ისეთი იაფი, როგორც საბჭოთა კავშირშია, დედამიწაზე არსად არ არის. ხედავ ამას? — უჯრიდან ამოიღო წიგნი, რომელიც თხუთმეტ თაბახს შეიცავდა. წიგნს ყდა ყავისფერი ლედერინისა ჰქონდა. ყუა კი ცოტა უფრო მუქი ფერის ტყავში ჩამჯდარი. ზედ ოქროს ასოებით ინგლისურად ამობეჭდილი

იყო „ნიზამი განჯელი“. გადაფურცლა. ქაღალდი თხელი და ლითონის ფირფიტასავით მაგარი ჰქონდა. მარჯვენა გვერდზე ტექსტი სპარსულად იყო დაწერილი, მარცხენაზე—ინგლისურად. გვერდები სპარსული სტილის ფერად მინიატურებში, სუროებისა და ფანტასტიკური ცხოველების ნახატებში იყო ჩასმული. — აი, ლონდონის უკანასკნელი გამოცემა. ეს წიგნი ერთ გირვანქა სტერლინგზე მეტი ღირს. თხუთმეტი თაბახი ერთ გირვანქა სტერლინგზე მეტი! მართალია, სუფთა ნამუშევარია, მაგრამ იქ ამას მუშა ან სტუდენტი ვერასოდეს ვერ იყიდის. აბა, აიღე ახლა ჩვენი აკადემიის გამოცემა, ეს „ათას ერთი ღამე“, ან ეს, ბალმონტის თარგმანი „ვეფხისტყაოსანი“, ორმოცდაათი თაბახი, ზიჩის იშვიათი ილუსტრაციებით, ვიშხიმის ქაღალდზე დაბეჭდილი, ათჯერ ნაკლები ღირს. აიღე ჩვენი რომანები: შოლოხოვის „წყნარი დონი“, ტოლსტოის „პური“, ან ლევ ტოლსტოისა და გორკის თხზულებანი, ძალიან იაფად ფასობს. ყველას შეუძლია შეიძინოს მთელი თხზულებათა კრებული ისე, რომ მის საარსებო ბიუჯეტს მაინცდამაინც არა შეეტყოს რა.

— ბიბლიოთეკის მოწყობაზე, ივან სტეპანიჩ. ჯერ ვერც კი ვოცნებებ, მე მინდა დოსტოევსკის მეუღლის დღიურები.

— უჰ, დოსტოევსკის ცოლის დღიურები. აი, ამ ხუთი წუთის წინ ერთმა მშვენიერმა გოგონამ წაიღო, რომ მცოდნოდა! — სინანულით შენიშნა ივანე სტეფანეს-ძემ, — მაგრამ არა უშავს, გიშოვნი. რაც შეეხება ძველი ბერძნული ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშებს, ხვალ-ზეგ მივიღებთ აკადემიის გამოცემებს და შეგინახავ, შემოიარე.

— ახლა რას მომცემ?

— არ ვიცი, რა გირჩიო?

ვიდრე ირაკლი ივანე სტეფანეს-ძესთან საუბრით იყო გართული, ვახტანგი მხატვრულ ლიტერატურას ათვალიერებდა. ამ დროს ის ნათელასა და პოეტ თეოფილეს შეხვდა... ნათელამ მაშინვე ირაკლი იკითხა და როცა გაიგო, ისიც აქ არისო, სახე გაუბრწყინდა.

ირაკლიმ ნათელა დაინახა და ეახარულით გაუღიმა.

— რომ იცოდე, რა წიგნი გიყიდე! — უთხრა ირაკლიმ და წიგნი მაღლა ასწია.

— შენ რომ იცოდე, ირაკლი, მე რა წიგნი გიყიდე?! — გაისმა პასუხად ნათელას წკრიალა ხმა, — მაგრამ... სახლში მინდოდა მომეტანა, იქ მინდოდა გამეხარებინე. შენ კი აქ შემხვდი. — უსაყვედურა ნათელამ ირაკლის.

— კარგი, მე წავალ ახლა სახლში, ვითომ არ გინახავარ და როგორც გინდოდა, ისე მოიქეცი, სახლში მომიტანე. — გაეხუმრა ირაკლი და ამხანაგურად ხელი ჩამოართვა, — მე კი აქვე გადმოგცემ.

თეოფილემ ცნობისმოყვარეობით შეხედა ირაკლის და როცა ნათელამ სთხოვა, გაიცანითო, თეოფილემ წიგნი საჩქაროდ მარცხენა ხელში დაიჭირა და ხელი გაუწოდა.

თეოფილე რიონელი ახალგაზრდა პოეტი იყო. მისი ლირიკა თუმცა პოპულარობით სარგებლობდა, პოეტური სიღრმე მაინც აკლდა. რიონელს კრიტიკა ხშირად აგონებდა საბჭოთა პოეტის დიდ მოვალეობას, სინამდვილისაკენ მიუთითებდა, განყენებული თემებისაგან თავის დაღწევას ურჩევდა.

ახლა თეოფილეს ცისფერ ლედერინიანი შელის პირველი ტომი შეეძინა.

თეოფილეს სანდომიანი გარეგნობა ჰქონდა, ლამაზ, ქერა სახეზე კეთილშობილება ესახებოდა. სასიამოვნო იერი კრთოდა გრძელი წამწამებით დამშვენებულ მის დიდრონ თვალებში.

ირაკლი შორიდან იცნობდა თეოფილეს. რამდენჯერმე სტამბაშიც შეხვდა, როცა მისი ლექსები იწყობოდა. ერთი-ორჯერ თავიანთ ეზოშიც ნახა თამართან ერთად, მაგრამ მასთან დალაპარაკების შემთხვევა დღემდე არა ჰქონია.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. ნათელას ხშირად უქიხართ. თამარი ხომ აღტაცებულია თქვენით, — გულწრფელად წარმოთქვა თეოფილემ.

ნათელას ლოყები გაუწითლდა.

— მე კი არ ვიცოდი, თუ რაიმე საქები გამაჩნდა, — და ირაკლიმ ღიმილით გადახედა ნათელას.

— ეს თამარი გაქებდა ხოლმე. ირაკ-

ლი, მე არაფერ შუაში ვარ. — მორცხვად ჩაილაპარაკა ნათელამ.

— თამარი? მე რომ თამარი არ მიცნობს?! — გაიკვირვა ირაკლიმ.

— შორიდან ხომ გიცნობს, ჩემგან.

თეოფილემ იგრძნო, რომ ნათელა ეხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

— ირაკლი, უნივერმაღში არ წავიდეთ? — შეეკითხა ვახტანგი ირაკლის და ამით შეწყვიტა ახალგაზრდების საუბარი.

— ეს რა გიყიდია, ბიჭო?! — სიცილით ჰკითხეს ირაკლიმ და ნათელამ.

— რის გასაღებაც უნდოდა გამყიდველს, ყველაფერი მე მომაჩეჩა, — ღიმილით ამბობდა ვახტანგი.

— ვინ იცის, რამდენს მაგინებ, ამდენი ფული რომ დაგახარჯინე! — შენიშნა ირაკლიმ, — და მერე რამდენ დროს წაგართმევენ ეგ წიგნები?

— რა ბგონია, რამდენს მივცემდი! ბევრი-ბევრი, შენ რომ მიეცი მაგ ერთ წიგნში, იმდენი მიმეცა. წიგნის კითხვას კი, ირაკლი, განა დიდ დროს ვანდომებთ? არ გახსოვს რა სწრაფად წავიკითხე გორკი და ჯეკ ლონდონი?

— ჰო. მართლა, ნათელა, თუ გინდა ნამცხვარზე დაგპატიჟოთ და ჩვენი დედებიც მადლიერები დაგრჩნენ, უნივერმაღში გამოგვყევი და საკაბეები აგვარჩევინე მათთვის.

— ო, თქვე ეშმაკებო, ისე ხომ არ დამპატიჟებდით? თქვენი დედებისათვის საკაბეების არჩევა არც ისე იოლი საქმეა. — შეფიქრიანდა ნათელა.

— გამყიდველიც შეგვეშველება არჩევაში და საერთო ძალით რამე კარგს შევიძენთ. წავიდეთ. ნულარ ვაყოვნებთ. ეგ წიგნი კი აქვე მაჩვენე, გზაში მინდა გადავხედო, რამდენი ხანია ვეძებდი.

11.

გვერდებად შეკრული წიგნების ანაწყობით დატვირთული ვაგონეტი მუშამ ელვის სისწრაფით მიაგორა ამოსაბეჭდ მანქანასთან და ისე უცბად დაამუხრუჭა, თითქოს დახურულ ალაყაფის კარებს ავტო მიაყენაო.

— ივანე, საჩქაროდ ამოიღე ამონაბეჭდი, მანქანაზე ჩასაშვები ფორმებია, — ოფლის წმენდით მიმართა ყუთზე ჩამომჯდარ თეთრწვერულვაშა ამონაბეჭდების ამომღებ ოსტატს.

— მე ვისვენებ, მგეგმავს უთხარი, იმან ამოიღოს! — ისე უკმეხად უპასუხა ივანემ, რომ სახეც არ მოუბრუნებია მისკენ. ის ფანჯრიდან მტკვრის ნაპირს გასცქეროდა.

— საჩქაროა! — ახლა უკვე გაბრაზებით მიმართა მუშამ.

— მგეგმავს ამოაღებინე! — ისევ უზრუნველად უპასუხა ამონაბეჭდის ამომღებმა.

— რა მოხდა, სიკო, ვანო აღარ გიჯერებს? — ჩაერია ლაპარაკში მოხუცი ასოთამწყობი, რომელიც იქვე ასოთაკასაში სასათაურო ასოებს ეძებდა.

სიკოს მოხუცი ასოთამწყობისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— თუ არ ამოიღებ, პავლეს ვეტყვი, რომ უარს აცხადებ სამუშაოზე, — დაემუქრა იგი.

— პავლეს კი არა, თუ გინდა პოლიგრაფტრესტის მმართველს უთხარი!

მუშა დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართა. კარებში პავლე შეხვდა. მაშინვე უთხრა ვანოს შესახებ. სამბეჭდაო საამქროდან კი წამდაუწუმ ტელეფონით ურეკავდნენ. რომ საბეჭდად გამზადებული ფორმები ჩაეშვათ.

აღელვებული პავლე ვანოსთან მიიჭრა.

— რატომ არ იღებ ამონაბეჭდს?! — მიმართა პავლემ.

— მე აქ მცირე ხელფასზე კი არ მოვსულვარ!

— აბა, რა დროს ეგ არის, მანქანები უნდა გააცდინო?! — ბრძანების კილოთი უთხრა ამონაბეჭდის ამომღებს და ვაგონეტის დამტარებელ მუშას მიუბრუნდა: — ამონაბეჭდები მიუტანე და შეკრული გვერდები ჩასაშვებ დაზგაზე დააწყვე.

ის იყო პავლემ წასვლა დააპირა, რომ აღელვებულმა ივანემ წინსაფარი მოიხსნა და პავლეს ფეხთით დაუგდო.

— მე თქვენთან მეტს აღარ ვიმუშავებ. თქვენი ბავშვი კი არა ვარ!

სიბრაზისაგან ყურებამდე გაწითლებული პავლე მოტრიალდა, უნდოდა შეეყვირა მისთვის, მაგრამ მიუხვდა მიზეზს და დამშვიდდა. დაიხარა, წინსაფარი აიღო, მიაწოდა და მოფერებით მიმართა:

— ივანე, თუ ძმა ხარ, ახლა მანქანებს ნუ გამიცდენ და მაგ ამბავს მოვაგვარებთ. ხომ იცი, არ გაწყენინებთ!

— როდის გამოასწორებთ, არ ვიცი, მე, ძმაო, „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკას“ სტამბებში მეხვეწებოდნენ, ფიდოს ხათრით მოვედი თქვენთან, ხუთას მანეთიან ხელფასზე. აგერ, ჰკითხე იოსებს, — ხელი გაიშვირა მოხუცი ასოთამწყობისაკენ, — „კომუნისტის“ სტამბაში ექვსას მანეთად მეხვეწნენ თუ არა, ჰა, იოსებ? ერთი უთხარი ამას. მეხვეწნენ თუ არა? სამოთახიან ბინასაც დამპირდნენ. აქ ხათრით მოვედი ხუთას მანეთზე. მართალია, ფიდო ახალ სახლებში ბინას დამპირდა, მაგრამ... ახლა უცებ, თქვენი მგეგმავის ანგარიშით, მცირედი უნდა მომცენ! — გიჟი ხომ არა ბგონივარ? რას გამოასწორებთ, დირექტორი ახალ ნორმებს ხელს რომ აწერდა, შენც იქ არ იყავი, ფიდოც იქ არ იყო? ორმოცი წელიწადია ამაზე ვმუშაობ, ჩემი ხელობა ეს არის და თქვენი მგეგმავი ამას ხელობად აღარ თვლის. თუმცა ეგ თქვენი საქმეა, — ხელი ჩაიქნია ივანემ, — როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. მე მეტს აღარ ვმუშაობ!

— პავლე, კარგი ბიჭი ხარ, კარგი მუშა და იმიტომ პირდაპირ გეუბნები: — ჩავრია ლაპარაკში მოხუცი ასოთამწყობი, — დანორმვა სწორი არ არის. მგეგმავმა მთლიანად ახალგაზრდა სტახანოველებზე აიღო ვარაუდი. მერე კიდევ. დამხმარე მუშები რომ არა გვყავს და ჩვენ თვითონ შპონების, შრიფტისა და კვადრატების ძებნა რომ გვჭირდება. ეს დრო ნორმაში რატომ არ შევიდა, ასე ვინ იმუშავებს? აი, გეუბნები და იცოდე, ყველანი გაიქცევიან!..,

— იოსებ, მე თვითონ წინააღმდეგი ვარ ამ ნორმების ასე შემოღებისათვის. ხვალ ფიდო ჩამოვა და საწარმოო თათბირს მოვიწვევთ. განვიხილავთ. ივანე, ნუ გაჯიუტდები. გულს ნუ აიცრუებ, მოდი, იმუშავე ისევე, როგორც აქამდე გიმუშავნია და გჯეროდეს, არ გაწყენინებთ!

ივანემ უნებლიეთ ჩამოართვა წინსაფარი.

სალინოტიპო საამქროდან ხმაური მოისმოდა. პავლემ შუშაბანდიდან დაინახა, რომ ლინოტიპზე მიყრდნობილ ირაკლის მუშები შემოხვეოდნენ. იგი აჩქარებით შევიდა საამქროში.

— რა ამბავია, ამხანაგო ირაკლი, საამქრო რომ არ მუშაობს?

— ცოტა არ იყოს, ახალი ნორმები ემძიმათ! — დინჯად მიუგო ირაკლიმ.

— ნორმები ზუსტად არის გათვანგარიშებული და რად უნდა უმძიმოთ? — გაკვირვებით მიუგო პავლემ. — ამხანაგებო, ნორმებს გადავსინჯავთ, შევამოწმებთ, დასვენება გათავდა და შეუდექით მუშაობას, — თხოვნით მიმართა პავლემ.

— პავლე, მე არ მესმის ამ ნორმებისა. ასე შეუმოწმებლად, ასე სასწრაფოდ ბრძანებით გატარება, როგორ შეიძლება? არც ფიდო არის აქ, არც საწარმოო თათბირზე გაგვიხილავს!.. არც მუშები გასცნობიან!

— მეც ეგ მიკვირს! სპირიდონმა როცა წამიკითხა, მოვუწონე. კარგადაა დასაბუთებული, შესწავლილი და გათვალისწინებული შრომის ყველა წვრილმანი; მაგალითები, მართალია, ცოტას აჭარბებენ, სულ კარგ და სწრაფ მუშებზეა აღებული. მაგრამ ეს არაფერია. მთავარი ის არის, რომ გათვალისწინებულია დამხმარე მუშების საკმაო რაოდენობა. ეს დამხმარე მუშები კი ჩვენ არა გვყავს. ეს მე შევნიშნე, მაგრამ სპირიდონმა დამავალა, ბრძანება დღეიდანვე გაგვეტარებინა. ისიც დამავალა, დამხმარე მუშებზე მეზრუნა. მივმართე კავშირს, მივმართე სხვა სტამბებსაც, მაგრამ საქმე არა გაქვს? თვითონაც მუშახელის ნაკლებობას განიცდიან. სად ვიშოვნოთ დამხმარე მუშები? არა და, ახალი ნორმები უნდა გავატაროთ, მოსკოვს არ უნდა ჩამოვრჩეთ. — გაიძახის სპირიდონი. აგერ იოსებს მუშახელის საჭიროებაზე განცხადებას ვაწყობინებ, ყველგან გავაკრავთ.

— არა, პავლე, ასე არ შეიძლება! — ცოტა დუმილის შემდეგ წამოიწყო ირაკლიმ,—სპირიდონს ჯერ პირობების შექმნაზე უნდა ეზრუნა და მერე გაეტარებინა ახალი ნორმები. საქმის ასე წამოწყება, ახალ მუშას კი არა, მუშაობაზე ძველსაც აუცრუებს გულს.

— ვანოც მიდის, ის მართალია. ჩვენ რას არ დავპირდით, დაგვიჯერა, ხათრით დარჩა, მაგისი ამოღებული ანაბეჭდი შესანიშნავია. რატომღაც იმ ინსტრუქციაში, ეკონომისტს რომ აქვს, ეს კვალიფიკაცია უმნიშვნელო თანრიგშია მოქცეული,—დასძინა პავლემ.

— პავლე, ეს საკითხი საწარმოო თათ-

ᲞᲘᲠᲖᲔ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲒᲕᲐᲠᲝᲗ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲓᲘᲓ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲡ, ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ. ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲙᲚᲔᲡ! — ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲧᲔᲕᲐ ᲪᲣᲓᲘᲐ! ᲒᲐᲓᲐᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ. ᲛᲔ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!

* * *

ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲔᲓᲔᲕᲜᲐ ᲕᲐᲡᲝᲡ. ᲐᲚᲔᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲔᲬᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲓᲝ.

— ᲩᲘᲛᲝ ᲕᲐᲡᲝ. ᲒᲐᲬᲧᲔᲜᲘᲜᲔᲡ, ᲐᲠᲐ? ᲐᲠᲐ ᲣᲨᲐᲕᲡ ᲠᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲐ! — ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲛ.

— ᲜᲝᲠᲛᲐ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ, ᲔᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲧᲐᲕᲡ. ᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲜ? ᲨᲔᲜᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲘᲙᲕᲓᲔ, ᲧᲣᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲑᲔᲠᲢᲧᲐᲕᲔᲜ, — Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲕᲐᲡᲝᲛ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲖᲛᲝᲠᲔᲣᲚᲛᲐ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲙᲠᲐᲭᲣᲜᲐ.

— ᲛᲐᲒ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲜ. ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ. ᲔᲡᲛᲘᲡ. ᲨᲔᲜ ᲔᲡ ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲔᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ? ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲞᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲭᲐᲛᲘᲐ. ᲡᲐᲓᲛᲔ ᲩᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲜᲐᲧᲠᲓᲔᲗ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲭᲐᲛᲐ ᲛᲔᲖᲐᲠᲔᲑᲐ. ᲮᲛᲐ ᲘᲪᲘ, ᲛᲐᲠᲗᲝ ᲙᲐᲪᲘ ᲭᲐᲛᲐᲨᲘᲐᲪ ᲑᲠᲐᲚᲘᲐᲜ.

— ᲡᲐᲓ ᲛᲔᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ? ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲢᲘᲠᲘᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲮᲛᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲮᲐᲓᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ. ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲒᲓᲔ!

— ᲐᲑᲐ, ᲛᲐᲛ ᲐᲥ ᲩᲐᲕᲘᲓᲔᲗ. ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲕᲔᲜ, — ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡᲘ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ.

ᲕᲐᲡᲝᲛ ᲐᲠᲧᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲚᲕᲐᲨᲔᲑᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲪᲛᲐᲪᲣᲜᲐ. ᲓᲐᲒᲔᲨᲘᲚᲘ ᲛᲔᲫᲔᲑᲐᲠᲘᲕᲘᲗ ᲨᲔᲘᲧᲜᲝᲡᲐ ᲓᲐᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲡᲣᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲐᲖᲔ ᲛᲝᲡᲣᲚᲡ ᲨᲔᲐᲤᲠᲔᲯᲝᲚᲐ.

ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲗ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ.

ᲑᲣᲤᲔᲢᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲘ ᲘᲠᲔᲝᲓᲐ.

ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲡᲝᲪ ᲘᲥᲘᲗ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ.

— ᲠᲐᲡ ᲘᲜᲔᲑᲔᲑᲗ? — ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲣᲗᲕᲐᲚᲐ: — ᲛᲖᲐᲓ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲧᲐᲣᲠᲛᲐ, ᲡᲐᲪᲠᲘ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲬᲕᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲬᲘᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲕᲬᲕᲐᲗ!

— ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘ, ᲕᲐᲡᲝ, ᲠᲐ ᲒᲔᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ? — ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲔ.

— ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ! — ᲛᲘᲣᲒᲠᲝᲕᲔᲚᲘᲐᲓ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲐ ᲕᲐᲡᲝᲛ.

— ᲯᲔᲠ ᲝᲠᲐᲡᲘ ᲒᲠᲐᲛᲘ ᲐᲠᲐᲧᲘ, ᲧᲕᲔᲚᲘ. ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲚᲘ. ᲛᲔᲠᲔ ᲧᲐᲣᲠᲛᲐ ᲓᲐ... — ᲛᲘᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲡᲝᲡ, — ᲚᲣᲓᲘ ᲗᲣ ᲦᲕᲘᲜᲝ? ᲛᲔ ᲙᲘ ᲚᲣᲓᲡ ᲕᲐᲠᲩᲔᲕᲓᲘ.

— ᲚᲣᲓᲘ ᲘᲧᲝᲡ, — ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ ᲕᲐᲡᲝ.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡᲐᲓᲘᲚᲔᲡ, ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲛ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲔᲑᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲣᲒᲓᲝ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ.

— ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲔᲑᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲕᲐᲡᲝ, ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲜ ᲙᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ, ᲞᲣᲠᲛᲐᲠᲘᲚᲖᲔ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲔᲑᲘ ᲨᲘᲨᲝᲕᲜᲔᲗ, ᲨᲔᲛᲔᲮᲕᲔᲬᲧᲐ. ᲛᲔᲪ ᲒᲐᲕᲑᲠᲘᲧᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲔᲠᲘᲠᲓᲘ, ᲣᲡᲐᲗᲣᲗᲝᲓ ᲒᲘᲛᲝᲕᲜᲘ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲘᲡᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲨᲔᲛᲔᲠᲘᲠᲓᲐ ᲪᲘᲜᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲐᲣᲖᲔᲚᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲣᲗᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲜᲙᲐᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲜᲘᲜᲔᲑᲝ, ᲮᲝᲛ ᲘᲪᲘ ᲐᲠ ᲘᲛᲝᲕᲔᲑᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲕᲕᲐᲠᲓᲔ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ!

— ᲐᲰ, ᲐᲰ, ᲐᲠ ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲝ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲖᲔ! — ᲒᲐᲐᲡᲐᲕᲡᲐᲕᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲡᲝᲛ, — ᲓᲦᲔᲓᲐᲚᲐᲛ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲔᲑᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲪᲕᲓᲔᲡ. ᲠᲝᲛ ᲙᲕᲓᲔᲑᲝᲓᲔ. ᲔᲠᲗ ᲪᲐᲚ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲡ.

— ᲙᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ. ᲪᲐᲥᲝᲪ ᲮᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲚᲐᲥᲘᲐ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ? — ᲔᲠᲗᲮᲐᲜᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲓᲐ ᲕᲐᲡᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲨᲘ. ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲒᲠᲫᲜᲝ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲣᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲔᲑᲜᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲛᲐᲓᲐᲑᲚᲐ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲐ: — ᲓᲘᲓ ᲥᲔᲘᲤᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲡ ᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ. ᲐᲠᲪ ᲤᲣᲚᲡ ᲓᲐᲘᲨᲣᲠᲔᲑᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲕᲐᲡᲝ.

ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲛ ᲐᲠᲧᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲭᲘᲥᲐ ᲕᲐᲡᲝᲡ ᲭᲘᲥᲐᲡ ᲛᲘᲣᲯᲐᲮᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ:

— ᲛᲐᲨ. ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲕᲗᲮᲝᲕᲝ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲠᲩᲔᲕ?

— ᲐᲠᲐ, ᲫᲛᲐᲝ. ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ! — ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲐ ᲕᲐᲡᲝᲛ.

ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲛ ᲣᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲗᲣᲛᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲠᲐ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲕᲐᲡᲝᲡ ᲓᲐᲐᲜᲐᲮᲕᲐ.

— ᲐᲘ, ᲔᲡ ᲤᲣᲚᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲕᲐᲡᲝ. ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲓᲕᲘᲐ... ᲗᲣ ᲐᲠ ᲔᲧᲝᲤᲐ, ᲛᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲧᲘᲓᲔ ᲡᲐᲮᲚ-ᲙᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲛᲝᲕᲝ. ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲐᲠ!

ᲡᲣᲤᲠᲐᲖᲔ ᲓᲣᲛᲘᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ.

ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲡᲝ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ... ᲝᲪᲘ ᲚᲘᲜᲝᲢᲘᲞᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲘᲥ-

ნებოდა. მართალია, ბევრ დროს წაართმევდა შეგროვება, მაგრამ არც სამეთაესი მანეთი იყო ადვილი საშოვარი. ამასთან რამდენ ძმა-ბიჭს დაპატიჟებდა ამ ფულით და როგორ დროს გაატარებდა თვითონაც!

— ეს კარგი. მაგრამ ვასოს რომ ხელმრუდობა არასოდეს არ ჩაუდენია? ლოთობა ლოთობაა, მაგრამ ქურდობა ხომ წარმოუდგენელია მისთვის?! — ეწყინა. როგორ გაივლო ეს აზრი თავშიო?

კირილე მიხვდა ვასოს გულისთქმას. ის არყით სავსე ჭიქებს აწვდიდა და აქეზებდა. სულ იმას გაიძახოდა: სიტყვის პატრონი ვარ. და ყელი რომ გამოვიჭრა, მაინც უნდა ვიმოვნო, თორემ თავი გარეთ აღარ გამეყოფებაო.

გულში კარგახნის ბრძოლის შემდეგ არყით გონებაგაბრუებული ვასო შეჰპირდა: „კარგი, როგორმე გიშოვიო". მაგრამ სირცხვილით ფულს ხელი მაინც ვერ მოჰკიდა.

გახარებულმა კირილემ ვასოს ჯიბეში ძალად ჩაუდო ფული.

— როცა იმ ბაქოელს მატრიცებს ჩავაბარებ, მაშინ კიდევ სხვა იქნება. შენ ახლა ჩემ ღმერთად ხარ მოვლენილი, სირცხვილს გადამარჩინე. გმადლობ, ძმაო!

12.

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა. თოვლით გაბრწყინვებული, ბინდშერეული დღის სინათლე ფანჯრის მინებს რძისფრად გაკვროდა. ოთახში სინათლე არ ენთო.

ირაკლი მოუსვენრობას გრძნობდა. იგი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ბუხართან მივიდა. ორი ღერი შეშა შეუკეთა. შემდეგ მის წინ იატაკზე გაფენილ ქეჩაზე დაჯდა და ფეხები მოიკეცა.

ცეცხლის წითლად ავარდნილი ალი აბრეშუმის არშიებად აუთამაშდა ჩაფიქრებულ სახეზე.

გული აჩქარებით უცემდა. გამზადებული იყო წასასვლელად, მაგრამ, იცოდა, რომ გრძნობების რაღაც საზღვარი უნდა გადაელახა და ეძნელებოდა, რადგან ამ უცნაურ საზღვარს უახლოვდებოდა.

ბუხარში ნაკვერჩხლადქცეული შეშა გამოფიტული ქვის ფენებივით იშლებოდა. თვითეული ფენა იზნიქებოდა ქვევითკენ, თითქოს ავარდნილი ლოდი მოსწყდაო, დაეცემოდა ნალვერდალში და ნაცრის ნაზი ქსოვილი შეგროვილი ცოტა ხანს კიდევ ციმციმებდა და ქრებოდა.

ირაკლის გულში და გონებაში ამ ნაკვერჩხლებივით გავარვარებული ფიქრები უღვივოდა. ეს ფიქრები მისთვის უცნობი არ იყო, ირაკლი ამას ჩვეული იყო. ეს იმ დღიდან შეიცნო, როცა ელენეთი მოიხიბლა.

გულში არ გრძნობდა სიცარიელეს, პირიქით, თითქოს მისი გული თამარის მშვენიერებას აევსო.

მუგუზლებივით აპრიალებული მისი თვალები ირაკლის ლოდინით შესცქეროდნენ, თუ როდის გადალახავდა ირაკლი საზღვარს და სადღაც სინათლეში შეხვდებოდა მას. ირაკლის თვითონაც ვერ გამოეცნო, როდის გადალახავდა ამ საზღვარს. აშინებდა მისი გიმრის თვალები, მისი შეუცნობი, ამოუკითხავი თვალები.

თვალები, რომლებიც აღარ შორდებოდნენ და, ამავე დროს, არაფერს ამბობდნენ, არც გაურბოდნენ და არც იზიდავდნენ.

ირაკლის ამ თვალებისა ეშინოდა.

ფიქრებში გართულმა ვერ გაიგო, როგორ შემოვიდა ნათელა. ვერც ის გაიგო პირველად, რა წარმოთქვა მან. ირაკლი შესცქეროდა მხოლოდ ნაკვერჩხლების მკრთალი შუქით განათებულ წვიფებს სხეულისფერ წინდებში და დაბალქუსლიან პატარა ფეხსაცმლებში.

ეს ფეხები თამარის ფეხებს ძალიან ჩამოგავდა. თუმცა იცოდა, რომ ეს ნათელა იყო, მაგრამ მაინც თამარი წარმოიდგინა. ნათელაც, თითქოს განგებ, სიბნელიდან არ გამოდიოდა, რომ მისი სახე ირაკლის არ დაენახა.

ერთი წამით გაანათა ღუმელმა. შუქმა ტახტამდეც მიაღწია. ელისოს შავი კაბაც გაანათა და ჩაქრა. ნათელა წყვდიადში ჩაიმალა.

— მამა პროფესორი, დედა ექიმი, რომელსაც დრომოჭმული კნეინის მანერები აქვს!..

— მერე შენ რად გაშინებენ ეგ ადამიანები?

— არ მაშინებენ, მაგრამ დრომოჭმული წარსულის უფერული ნიღბების ცქერა არ მსიამოვნებს. ძმა სად ჩვენი სინამდვილე და სად ეგ პრანჭია ადამია-

ნეში. ვერ ვიტან უაზრო პრანჭვა-გრეხას. მე მიყვარს უბრალოება, პირდაპირობა!

— კარგი, ირაკლი, ახლა შენ თვითონ ბუ იპრანჭები, — ნათელას მოუთმენლობა ეტყობოდა, — თამარი ძალიან შეხვეწა, თეოფილემაც მთხოვა და თამარის დედამაც. მინდა გავიცნოო. უშენოდ კი არ წავალ... შენ არა მთხოვდი. წავიდეთო?! გინდა თუ არა, ეს ჩემთვის სულ ერთია. უნდა წამოხვიდე. მე მინდა. რომ წამოხვიდე! წავიდეთ!

ირაკლი წამოდგა. სულ რამდენიმე წუთში გამოეწყო და ნათელასთან ერთად ოთახიდან გავიდა.

თამარის ბინას რომ მიუახლოვდნენ, ირაკლის კვლავ მერყეობა შეეტყო.

— ეს კი მეტისმეტია, — გაუწყრა ნათელა.—გიტაცებენ, თუ რა გემართება.

ირაკლის გაეღიმა და ნათელას მხარზე ხელი დაადო.

ნათელას ტანში შეაჟრჟოლა და რომ მის მძიმე ხელს გასცლოდა, დაწინაურდა. თამარის ბინაში შესასვლელი კარი აღელვებით შეაღო.

დერეფანში მათ თამარი შეეგება. ირაკლის პალტო ჩამოართვა და იქვე, სარკის გვერდით ჩამოჰკიდა. მერე ჩაავლო სახელოში ხელი და ელექტრონით განათებულ დიდ დარბაზში შეიყვანა. დარბაზში სხვადასხვა ზომის ძვირფასი მაგიდები, სავარძლები და სკამები იდგა. აბრეშუმის ფარდებიანი წითელი ხის წიგნის კარადები კედელზე გაკრულ ხალიჩებსა და სარკეებს შორის მოხდენილად იყო ჩადგმული. ირგვლივ, კედლებზე ეკიდა ოთხი დიდი და რამდენიმე პატარა, საკმაოდ კარგი გემოვნებით შერჩეული ნახატები, რომლებიც ოქროს ვარაყიან ჩარჩოებში იყო ჩასმული. ეს ნახატები წითელი ხის ჩუქურთმებიან სადგამებზე დაწყობილ მარმარილოს და ბრინჯაოს პატარა ფიგურებთან ერთად მდიდარ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

კუთხეში როიალი იდგა. იქვე, რუხი ფერის პიჯაკში, გამოწყობილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მაღალი, გამხდარი, გრძელულვაშა კაცი პატარა, მრგვალ მაგიდას მიჯდომოდა და მიშას ჭადრაკს ეთამაშებოდა. მიშა თამაშში ისე იყო გართული: რომ ირაკლის შემოსვლა ვერ შეამჩნია.

როიალის გვერდით, გახიერ რბილ ტახტზე შავ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი, ოდნავ შეევერცხლილ ლამაზად ჩაწნული თმებიანი შუა ხნის ქალი იჯდა და თეთრი ხელებით ლორნეტს ათამაშებდა. ის მის წინ სავარძელში მჯდომ თეოფილეს ესაუბრებოდა.

თამარმა ირაკლი დედას წარუდგინა.

— აი, დედა, ეს ირაკლია. გაიცანი!

თამარის დედა წამოიწია. ლორნეტი ცხვირთან მიიტანა და ირაკლის ხელი გაუწოდა. სახეზე გადაკრულ სიამოვნებაზე ეტყობოდა, რომ ეს ხანში შესული ქალი ირაკლის სერიოზულმა და ენერგიულმა გამომეტყველებამ უცებ მოხიბლა.

„უფრო სტუდენტსა ჰგავს, ვიდრე მუშას“ — გაუელვა გულში ეკატერინეს.

ირაკლიმ ხელი მორიდებით ჩამოართვა. ხელის ჩამორთმევის დროს ირაკლიმ გაიფიქრა. ეტყობა დედა-შვილი ერთი ჯიშისანი არიან, იციან თავის მოვლაო.

თამარმა ირაკლი მამასაც გააცნო.

თამარს სახე აელანძა. ის ირაკლის გვერდში ამოუდგა და ხელგაყრილი წიგნის კარადებთან მიიყვანა.

— ჩემი საგანძური ეს არის. — აღებდა წიგნის კარადებს და ტყავის ყდებში ჩასმული წიგნების ოქროს წარწერებიან ყუებს უჩვენებდა. — და კიდევ აი, ეს. — დაიხარა თამარი და იქვე კურატივით მსუქანს, გრძელბეწვა, ციმბირული ჯიშის თეთრ კატას ხელი დასტაცა. — ჩემი მუმუ! — მაგრად მიიკრა მკერდზე. — როცა მარტოკა ვრჩები, ისე მართობს, საათობით რომ დავყო, მოწყენას არ ვიგრძნობ. ამიტომ გთხოვთ თქვენც პატივისცემით მოეპყრათ! — სიცილით თქვა თამარმა და კატის თათი ირაკლის გაუწოდა.

ირაკლიმ კატის გამოწვდილ თათს საჩვენებელი თითი მოუცაცუნა.

— ძალიან ლამაზი ცხოველია!

ირაკლიმ წიგნებს ცნობისმოყვარეობით გადაავლო თვალი. აქ თითქმის ყველაფერი იყო. ყველა მნიშვნელოვანი წიგნი დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ლიტერატურიდან. მთელი რუსული და ქართული მწერლობა.

ირაკლიმ შეაქო ბიბლიოთეკა.

— ეს რა არის! — შესძახა გახარებულმა თამარმა, — ხუთი ამდენი წიგნი

ბამის კაბინეტში გავხიდე. მეჩხუბა, ჩემი წიგნები ვერ დამიტევია, სამუშაო ადგილი არა მაქვს და ახლა შენებიც აქ შემოზიდეო, მაგრამ რას გააწყობდა, სადაც გინდა იქ გადაყარე-მეთქი! — იცინოდა თამარი, კატას მაგრად იკრავდა და თან ირაკლის შეჰყურებდა.

თამარის სიახლოვე და მისი ბავშვური მოქცევა ანიარაღებდა ირაკლის და სიცილში გულუბრყვილოდ აყოლილი გრძნობდა, რომ საზღვარს გადასცდა და წყალში მუხლებამდე იყო შესული.

ეკატერინემ მოსამსახურე ქალს ვახშმის მოსამზადებლად განკარგულება მისცა და თვითონ სტუმრები მრგვალ მაგიდასთან მიიპატიჟა.

თეოფილეს თავისი ახალი პოემა „სიხარულის სიმღერები“ უნდა წაეკითხა.

სტუმრები მაგიდას შემოუსხდნენ. ირაკლი თეოფილეს პირდაპირ დაჯდა. თეოფილეს გვერდით მდგარ რბილ სკამებზე თამარი და ნათელა ჩამოსხდნენ.

თეოფილემ მაგიდაზე თავისი ხელნაწერი გადაშალა, თმები თითებით გადაიწია, მუხლით ხელს დაყრდნო, ხმადაბლა პოემის კითხვას შეუდგა.

პოემა კავკასიონის მთების პეიზაჟით იწყებოდა. ზევრგან ლექსის გარეგნული ფორმა ერთგვარ სიმაღლეს აღწევდა. მაგრამ მთლიანად პოემა სხვადასხვა განცდისა და განწყობილების შეკოწიწება იყო.

თითქოს სტრიქონებში თერგისა და არაგვის ხმაური მოისმოდა. კარგად იყო დახატული ამ ორი მდინარის თვალწარმტაცი ხეობები. მდელოები, გორაკები და ტყეები საჭირო ფერებში იყო გადაშლილი.

მაგრამ იქ, სადაც ეპოქა უნდა გადმოეცა, სადაც ხალხის საქმიანი გულისთქმა მოქმედებაში უნდა გამოეხატა, მოისუსტებდა, თითქოს პოეტი შეგნებულად გაურბოდა სინამდვილეს. როდესაც თავის საყვარელი განწყობილებით ბუნების პეიზაჟში გაინავარდებდა, აღწერა არ უძნელდებოდა. მაშინ მის აღმაფრენას საზღვარი არ ჰქონდა. ასეთ ადგილებში ლექსიც საოცრად გამართულად ჟღერდა.

ყველამ აღტაცებით მოისმინა პოემა და სახეზე ყველას სიამოვნების ღიმილი გადაეკრა.

ირაკლის არ გამოჰპარვია პოემის არცერთი დამახასიათებელი დეტალი, მისთვის ნათელი გახდა, რა დიდი შემოქმედებითი ძალის პატრონი იყო თეოფილე. მაგრამ, ამავე დროს, ეს მყოფთაგან განსხვავებით, ირაკლიმ პოემის ნაკლიც კარგად დაინახა. როცა კითხვა დამთავრდა, ირაკლიმ ვერ დაფარა თავისი შთაბეჭდილება და ხმამაღლა განაცხადა:

— თქვენ შესანიშნავად წერთ, მაგრამ ის კი არ იცით, თუ რა წეროთ, ეს იმიტომ, რომ დღევანდელ დღეს ვერ გრძნობთ. თქვენ არა ხართ დაკავშირებული ჩვენს ცხოვრებასთან, ლამაზად წერთ, მაგრამ ეს არა კმარა. დღეს ვინ არის თქვენი მკითხველი? მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი! თუ მათ თქვენს ნაწარმოებში ის არ დაინახეს, რაც მათ აწუხებთ და აინტერესებთ, არ მოეწონებათ. მარტო პეიზაჟების აღწერით ლამაზი სიტყვების მომხიბვლელობა ვერ გაიტაცებს მათ. ხალხს დღევანდელი დღის სინამდვილის დანახვა სწყურია. მუშამ უნდა დაინახოს, თუ რა ვეყავით გუშინ, რა ვართ დღეს და რა ვოქნებით ხვალ. ამას მოელის საბჭოთა ადამიანი ყოველი შემოქმედისაგან და ამას უნდა მეტყველებდეს თქვენი ყოველი სტრიქონი! მუდამ უნდა გახსოვდეთ ის ბრძნული სიტყვები, რომ თქვენ ხართ სულის ინჟინერი! — კარგა ხანს ლაპარაკობდა ირაკლი, დაწვრილებით გაარჩია პოემა. მრავალ ნაკლზე მიუთითა მან თეოფილეს.

არავინ არ მოელოდა, რომ პოემაში შეიძლებოდა რაიმე ნაკლის ან სუსტი მხარეების აღმოჩენა. მით უმეტეს, ირაკლისაგან.

ყველა გააკვირვა ირაკლის პოეტურმა გემოვნებამ.

თამარის დედა პირველად ვერ ჩაწვდა ირაკლის აზრს, და წინასწარ აკვიატებული შეხედულებით, რომ მუშა შეუძლებელია ასეთი ცოდნისა და ფაქიზი გრძნობების პატრონი იყოსო, ცხვირის აწევით შენიშნა:

— თქვენ, ჩემო ირაკლი, პოემაში შეუმჩნეველი დაგრჩათ ის ფაქიზი ნიუანსები, რომლებიც ახასიათებთ ევროპის დიდ ოსტატებს. ეს ოსტატობა თეოფილეს საკმაოდ ათვისებული აქვს. ყველა დიდი პოეტური ნაწარმოები ასე შექმნილა.

ირაკლი გაწითლდა. მას განმარახვა არ ჰქონია თეოფილესთვის შეურაცხყოფა

მიეყენებინა. პირიქით, მას უნდოდა თავისი შეხედულების გამოთქმით მეტი სიმტკიცე მიეცა თეოფილეს შემოქმედებისათვის, უნდოდა მომავალში ენახა პოეტის უზადო ნაწარმოებები. თამარის დედის გესლიანმა გამოხმაურებამ წამით გული ჩაუთხრო, უხერხულობა აგრძნობინა, ინანა აქ მოსვლა. მაგრამ ნათელას გახარებულმა შემოხედვამ გაამხნევა.

— მოითმინეთ, პატივცემულო ეკატერინე, — მიმართა თეოფილემ ეკატერინეს, — მე სიამოვნებით ვიღებ ირაკლის შენიშვნებს.

თამარი აღტაცებით შესცქეროდა ირაკლის.

ირაკლი თავჩაღუნული იჯდა. გარეშემო სიჩუმე იყო გამეფებული.

ამ დროს მოსამსახურემ ეკატერინეს სუფრის გაშლა მოახსენა. ეკატერინემ გულწრფელად მიიპატიჟა სტუმრები სასადილო ოთახში.

ვახშამი მხიარულად ჩატარდა. გულუხვმა მასპინძელმა ყველა აღაფრთოვანა. შეზარხოშებულმა თეოფილემ სატრფიალო ლექსებიც წაიკითხა. ყველა კმაყოფილი იყო საღამოთი, განსაკუთრებით თამარი, რომელიც ირაკლის ფარვანასავით თავს ევლებოდა.

* * *

ელექტრონით განათებულ ოთახში თამარი ნიდაყვით დაყრდნობოდა საწერ მაგიდას. ხშირად ისწორებდა შუბლზე ჩამოფანტულ კულულებს. ქაღალდს, რომელზედაც ეწერა: „ძვირფასო ირაკლი!“ ცბიერად დასცქეროდა. ყურებამდე გაწითლებულს, ფანქარი მალიმალ მიჰქონდა ტუჩებთან, გრძნობებით სავსე სიტყვების ძებნაში რომ უთრთოდნენ და ულიმოდნენ. მაგრამ სიტყვები საპნის ბუშტებივით უქრებოდნენ.

ეჩქარებოდა. უნდოდა დაგროვილი სურვილები სწრაფად გადაეშალა. ბოლომდე ეთქვა ყველაფერი, გული ამოეწურა, „ძვირფასი ირაკლისათვის“ ეთქვა ისიც კი, რის თქმასაც თავის თავსაც ვერ უბედავდა.

მაგრამ ფიქრში გაზეპირებული ყველა საალერსო სიტყვა, რომელსაც კი მის გონებაში გაუვლია, ფანქრის აღებისთანავე, თითქოს ვიღაცა უფრთხობსო, ეფანტებოდა.

სამი საათია წვალობს, ირაკლისადმი გორ დაიწყოს, როგორ უთხრას, როგორ გააგებინოს... ვერ ახერხებს და შუბლზე ნერვიულად ისვამს ხელს.

მას უნდა წერილით გააგებინოს ამდენი ხნის გულში ჩუმად შემონახული გრძნობა ირაკლისადმი.

თვალწინ უდგას ირაკლის ფიქრიანი და მშვიდი სახე. „ვერა, ვერ გაუბედავს!“

იმ ღამეს ბევრი ქაღალდი დახია და ღუმელში შეჰყარა. მათზე მხოლოდ ორად-ორი სიტყვა ეწერა: „ძვირფასო ირაკლი!..“

ისე იყივლეს მამლებმა, რომ ვერც ერთი სიტყვა წერილს ვერ დაუმატა.

13.

აგრაფინა სადილისათვის სუფრას აწყობდა. კირილე სავარძელში იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა. სათვალე ცხვირზე ჩამოსცურებოდა. ის თავისთვის ბუზღუნებდა:

„სიფხიზლე, სიფხიზლე!“

სახეშეშლილი დასცქეროდა გაზეთის სტრიქონებს და ბოლმით სავსე გული ეკუმშებოდა.

— დამაცადეთ, მე თქვენ დაგანახვებთ სიფხიზლეს! არ შეგარჩენთ ჩამორთმეულ არც ერთ გროშს, არც ერთ ნივთს, ყველაფერს ერთი ათად დაგიჯენთ...

— მამა, ვისადილოთ, ეტყობა, სპირიდონი დაიგვიანებს, — შეაწყვეტინა ფიქრი აგრაფინამ და ფაიფურის ჯამი მაგიდაზე დადგა.

კარგად შეკაზმული კერძის სურნელებამ კირილეს, მადიან მჭამელს, მთლად საღერღელი აუშალა.

გაზეთი მეორე სავარძელში გადისროლა და სკამი ხვნეშით მიდგა მაგიდასთან.

— ცოტაც მოვიცადოთ, დღეს სპირიდონს კაბინეტში არაფერი დააკავებს, ჯერ ღომს ნუ ამოიღებ!

აგრაფინა ისევ სამზარეულოში გავიდა. ნერწყვმორეულმა კირილემ კი სამარილეში ხოლოკი ჩააწო და შეახრამუნა.

ამ დროს ფეხის ხმა გაისმა. წინა ოთახში სპირიდონი შემოვიდა. საწერ

მაგიდაზე პორტფელი დააგდო, პიჯაკი გაიხადა. სკამის ზურგზე დაკიდა და სამზარეულოში ხელ-პირის დასაბანად გავიდა. ეტყობოდა, გუნებაზე არ იყო.

სუფრას რომ მიუსხდნენ, კირილემ სიძესთან საუბარი დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან არ უნდოდა ქალიშვილი თავისი განზრახვის მოწმედ გაეხადა. სპირიდონმა წვენი შეხვრიპა, ფიქრებში წასულმა ვერც კი შეამჩნია, რომ ტყემალში ამოვლებული შემწვარი გოჭის ნაჭერთან ერთად შეორედ მიმატებული ღომიც გაათავა.

კირილეც მადიანად შეექცეოდა გოჭია ბარკალს და თან ულიტყვოდ ჩაის ჭიქებით აყოლებდა კარგად ჩაცხებულ კახურ თეთრ ღვინოს.

ისე ისადილეს, რომ ხმა არავის ამოუღია.

როცა სპირიდონმა ხელსახოცით შეიწმინდა ხელები და თავის ოთახში გავიდა, კირილე შეჰყვა.

— რა დაგემართა, კაცო, არ იტყვი?

— თავი დამანებე, თუ კაცი ხარ, შენ აქ ჩემ დასაღუპად ჩამოხვედი!

— როგორ, კაცო, რა შეგიჯდა მაგ თავში?

თვალებდასისხლიანებული სპირიდონი მთელი სხეულით მიუბრუნდა კირილეს და დოინჯი შემოიყარა.

— აბრეშუმის საქმე, როგორც იქნა, ჩავფარცხეთ. შოთას პორტრეტის დიდი ნაწილი ქალალდზე დავბეჭდეთ. ამ დანაშაულს ვეღარ გაგვიგებენ. როგორც იქნა, გადავრჩით. კუტრავაძისგან წაღებულმა კალამ ხომ, კინაღამ თან გადამიტანა. ახლა ძმაო, ლინოტიპები გინდა დამიცარიელო მატრიცებისაგან და... ვერ გამიგია, როდემდის, რო-დემდი-ს?! — უკანასკნელი სიტყვის დამარცვლით და აწეული ხმით შესძახა სპირიდონმა კირილეს.

— როდემდის, ჩემო სპირიდონ, და მანამდე, სანამ უკანასკნელ გროშებს არ წავართმევ მთავრობას ჩემგან ჩამორთმეულ სახლ-კარში, ბაღ-ვენახში, სახნავ-სათესში, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონელში; მე კირილე შაფაქიძე არ ვიქნები, თუ ერთი დამპალი სარის ღირებულება შევარჩინე... და ეს ყველაფერი ჩემთვის კი არა, შენთვის, ჩემო სპირიდონ, და ჩემი აგრაფინასათვის, თქვენი მომავალი სიკეთისათვის!.. — მიუგო კირილემ თავის აღელვებულ სიძეს.

— მე არაფერი არ მინდა! — თავი დაგვანებე, გამიშვი. ლუკმაპატარი ტკბილად ვჭამო ამ ქვეყანაზე. შენ გგონია გამოეპარებათ ეს შენი ბნელი საქმეები? ადრე თუ გვიან ჩავარდები და მეც მიმსხვერპლებ. მე შენი არაფერი არ მინდა, გაიგე, არაფერი არ მინდა!

კირილემ ჯერ შეიჭმუხნა წარბები, სიბრაზით აუთრთოლდა ტუჩები. მაგრამ მალე გამოიდარა და ხმამაღლა გადაიხარხარა:

— ხა... ხა... ხა... ხა... ახლა აღარაფერი გინდა? ვერ მოგართვი, ბიძიავ, შენ შენსას აღარ მისტირი. შენი ოფლით შენაძენ ბაღებს და მიწას. თუ თბილმა ადგილმა დაგავიწყა გაჭირვების დროს, ჩუმად რომ მიყიდიდი გოჭებს, ქათმებს, სიმინდის ფქვილს და ტკბილად შეექცეოდი? ხელი ჩაგაქნევინა ცოლის სამზითვოზე? მე, ჯერ არ მომჭარბებია სიცოცხლე და იმედი არ დამიკარგავს ჩემი საკუთრების განაღდებაზე. შენ გგონია ჩემსას ვინმეს შევარჩენ? მე კი არ დამვიწყებია, ფეხშიშველა, ერთი ნატეხი ჭადისათვის მზის ამოსვლამდე რომ ვიწყებდი ყანაში მუშაობას და დაღამებისას ვიღაცეების საღორესთან მშიერ-მწყურვალი ვწვებოდი. კი არ დამავიწყდება დაბეჩავებულს, ყველა რომ თავში მიტყაპუნებდა და ძაღლივით მარბენინებდნენ, სადაც სურდათ. ასე შეგროვილი გროშებით შევაძინე მიწები და კისრად ვიდე მთელი სოფლის ცოდო. რომ მიწის ნაკვეთისათვის სხვისი მიწებიც მიმემატებინა, რომ ჩემი აგრაფინას და შენი მომავალი უზრუნველმეყო, ბატონებივით გეცხოვრათ და მეც სიმერე არხეინად გამეტარებინა. ჩამიმწარეს იმედები, მარა, არც მე შევარჩენ... არც შენ უნდა შეარჩინო, არც შენა გაქვს სხვა გზა. შედი პარტიაში, გამოიყენე. მიიღე კარგი თანამდებობა. ახლა გვიან არის უკან დახევა. შენ უნდა ეცადო. გზა გამიკაფო, თორემ... თუ მე ჩავვარდი... შენც...

სპირიდონი მუხლებში მოკვეთილი ჩაჯდა სავარძელში და ნიდაყვებზე დაეყრდნო.

—ჩემო სპირიდონ, — განაგრძო კირილემ, — ნუ გეშინია, მე საქმეს ისე არ ვითავებ, რომ ვინმეს ხელის ჩასაჭიდი რამე მიზეზი დავუტოვო. შენ მა-

გის ნუ გედარდება. მე თავში იმდენი ჭკუა შემრჩენია, რომ არავის მივცე საბუთი!

— კი, მაგრამ წაიკითხე მოხსენება პლენუმის შედეგებზე? ყველა საეჭვო ფესვებს ბოლომდე ჩასწვდებიან, ძირიანად ამოთხრიან!.. — ენას ძლივს აბრუნებდა ფიქრით დამძიმებული სპირიდონი.

— მაგისი ნუ გედარდება, — ამშვიდებდა კირილე, — მე კოლმეურნეობის წევრობის საბუთები მაქვს მოტანილი, რამდენი წელია, უკვე აქ ვმუშაობ შენთან, ჩემზე ეჭვი არ მოუტანიათ, იმიტომ რომ საბაბი არა მიმიცია რა. ვინ დამიწყებს ძებნას სოფელში, ანდა ისეთი რა თანამდებობა მაქვს, რომ ვინმეს თვალში ეცეს და იმის ძიება დაიწყოს, საიდან გაჩნდა ვილაც მომმარაგებელიო?

— შენი საქმიანობის შედეგი თანდათან იჩენს თავს, მუშები რაღაცას ამჩნევენ, განსაკუთრებით ის ლაწირაკი ირაკლი კერესელიძე, ხომ ხედავ, როგორ კრიჭაში მიდგას. სულს არ მათქმევინებს. პარტკომი და პავლე უფრო დინჯი ხალხია. მაგრამ იმ შეჩვენებულ ირაკლისთან შეიძლება ორივე ფეხებით ჩავარდნა. მე იმისი მეშინია!..

— ოჰ, რას ამბობ, კაცო, იმ ბალღმა როგორ შეგაშინა?! — გაიკვირვა კირილემ.

— ნუ იცინი, კირილე, ის ძალზე მაგარი ბიჭია, პარტიის წევრია... ჭკვიანია და ისეთი ყნოსვა და მოსაზრება აქვს, რომ შენს მტერს! ჭკუა წავაგე, არ უნდა გადამეყვანა საამქროს უფროსად... მაგრამ ფიდოს ეჭვები მინდოდა გამექარწყლებინა და თან ირაკლიც მომემადლიერებინა. ამიტომ იყო, რომ პავლეს სიამოვნებით დავთანხმდი და ირაკლის საგზური და შვებულება მივეცი, ცოტა დაისვენოს-მეთქი... არ ვიცი რა ვქნა!

სპირიდონი გაჩუმდა. დუმდა კირილეც.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კირილემ შუბლზე შემოიკრა ხელი.

— მე შენ გაგათავისუფლებ ირაკლისაგან, ნუ გეშინია. ისეთ საქმეს დავმართებ, რომ ციხეში თავი შევაყოფინო!..

14.

ირაკლი თავის თავს არ უტყდებოდა, ჯიუტობდა, თამართან ერთად ყოფნის სურვილი არ უნდოდა სიყვარულად წარმოედგინა. ერიდებოდა მასთან ხშირ შეხვედრებს. ამის გამო სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ შინ თავაუღებლივ მუშაობდა. სადიპლომო შრომისათვის ემზადებოდა.

მას უნდოდა შრომაში თავდავიწყებით სიყვარულს გაქცეოდა, რომ ამ სიყვარულზე ფიქრის დროც კი არა ჰქონოდა.

მაგრამ ესეც არ შველოდა. როგორც არ უნდა ემუშავა, როგორც არ უნდა დაღლილიყო, გული მაინც თამარისკენ მიუწევდა.

ირაკლიმ სტამბის საწარმოოს საცალდებულო დროს გადარჩენილი საათებიც დაუთმო. იკისრა ტექნიკური წრეების ხელმძღვანელობა, ჩაება კულტმუშაობაში, სისტემატურად რჩებოდა მეორე ცვლაში, ეხმარებოდა ადგილკომს და პარტკომის ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდა.

მუშაობდა დილიდან საღამომდე.

ენერგიულმა შრომამ და საზოგადოებრივმა საქმიანობამ გული გაუხალისა. კვლავ მამამშვილური ალერსი იგრძნო ფიდოს ნათელ თვალებში.

* * *

ერთხელ ვახტანგმა ლითონის გამოწერის დროს ირაკლის შესჩივლა. საჭირო მასალებს უთავბოლოდ ეკიდებიანო. ირაკლი შეშფოთდა, მაშინვე მივიდა დირექტორთან და ოფიციალური განცხადება მისცა, ძველი წესი გაუქმებინათ და ლინოტიპის საამქროსათვის საჭირო მასალები ირაკლის მოთხოვნილების გარეშე არ გამოეწერათ, რისთვისაც ირაკლიმ სპეციალური აღრიცხვის წიგნი შემოიღო. უნდოდა სცოდნოდა, თუ რამდენი ლითონი იხარჯებოდა. აღმოჩნდა, რომ წინა თვეებში ერთი ორად მეტი ლითონი დახარჯულიყო და როცა შესამოწმებლად კომისია მოითხოვა, დახარჯული მასალების რაოდენობა ზუსტად ვერ გამოარკვიეს. ზოგი მოთხოვნილება დაკარგულიყო, ზოგიც უსაბუთოდ გაეცათ. ყალბი ხელწერილებიც აღმოჩნდა. ირაკლიმ მტკიცედ გადაწყვიტა. სახელმწიფო ქონების ხარჯვაში მომშვირნეობა დაეცვა.

სპირიდონს არ მოსწონდა ირაკლი, რადგან ის კრებებზე ყოველგვარ ნაკლს დაუხდობლად კიცხავდა, საქმიანი წინადადებებით გამოდიოდა, მისი ავტორიტეტიც ღლითიდღე იზრდებოდა. ამან სერიოზულად ჩააფიქრა სპირიდონი. გადაწყვიტა ფრთხილად მოქცეულიყო. ეაამებელ ტაქტიკას მიმართა. ხალხს მის მოსიყვარულედ მოაჩვენა თავი. ირაკლის ყველა კრებაზე ოვაციებს უმართავდა. სადაც კი მასზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, პირველი იწყებდა მის ქებას. ნამდვილად კი გული ბოღმით სავსე ჰქონდა. მის ახლოს ყოფნასაც ვერ იტანდა.

მატრიცები რომ დაიკარგა, სპირიდონმა ყური მოიყრუა, ვითომ ვერაფერი გაიგო. ირაკლის გამოესარჩლა კიდეც. სალინოტიპო საამქროში ჩატარებული თათბირის შემდეგ რამდენიმე ბრძანებაც დაწერა გეგმის შეუსრულებლობის შესახებ. რუსული ლინოტიპის მატრიცების დაკარგვის გამო, ახელმძღვანელოს თავის დროზე გამოუცემლობისათვის თავი დამნაშავედ სცნო.

—რადგან საქმეებს თავი ვერ გავართვი, ამიტომ სწორი ხელმძღვანელობა ვერ გავუწიე. ახალგაზრდა ნიჭიერ ოსტატს, საამქროს უფროსსო.—განაცხადა მან. მეორე სახელმძღვანელოს დაგეგმვებისათვის ირაკლის ფიდოსთან თანდასწრებით ღიმილით განუცხადა, რომ იძულებულია, მას საყვედური ბრძანებით გამოუცხადოს.

ირაკლის ტუჩები აუთრთოლდა.

მანქანების უმეტესობა ახალი იყო. საათის მექანიზმივით მუშაობდნენ, მაგრამ ლითონის და ბოლო ხანებში მატრიცების ნაკლებობის გამო მანქანები წამდაუწუმ ჩერდებოდა და დრო იკარგებოდა.

ივნისის მიწურული იყო. რუსულ შრიფტზე მომუშავე რამდენიმე ლინოტიპი კი უმოქმედოდ იდგა.

ირაკლი დირექტორთან მივიდა და სამ კომპლექტ მატრიცაზე განცხადება მისცა.

სპირიდონმა განცხადება წაიკითხა და მაგიდაზე შუშის ქვეშ ამოსდო.

— ამის შესახებ ბიუროზე ვიმსჯელოთ. წინასწარ კი უნდა გითხრა, ლენინგრადიდანაც რომ გამოვიწეროთ, ჩვენ მას ზაფხულის ბოლომდე ვერ მივიღებთ. მანამდე კი უნდა იმყოფინო რაცა გაქვს. ხუთ ლინოტიპზე ერთი სათადარიგო კომპლექტი [illegible] ამის გარდა, საწყობიდან [illegible] კომპლექტიც მოგეცით. საკვირველია, სად გაქრა?! — ნუთუ გაფუჭდა?!. — ირონიით შეაცქერდა სპირიდონი და განაგრძო, — შენი ხელმძღვანელობის უნარს დაბრალდება. მე ვფიქრობ, გამოვყოთ კომისია და საკითხი გამოვარკვიოთ!

ირაკლი დირექტორის კაბინეტიდან უსიტყვოდ გამოვიდა.

ორ მწკრივად დადგმული ოცი ლინოტიპი, რომელთაც ოცი მკლავებდაკაპიწებული ლინოტიპისტი უსხდა, გამალებით მუშაობდა. თუნუქგადაფარებული დაზგები ცხელი სტრიქონების სვეტებით ივსებოდა. მხოლოდ რუსულ ლინოტიპზე მომუშავე ლინოტიპისტებისაგან მოისმოდა ნერვიული წამოძახილები:

— დასწყევლოს ღმერთმა, ამ მატრიცებს რა ემართებათ, ვინმე ხომ არა ყლაპავს!?

ირაკლის გულს უხუთავდა მუშების სამართლიანი საყვედური. მიირბენდა ლინოტიპთან და დარწმუნებული იმაში, რომ ლინოტიპი მატრიცების ნაკლოვანების გამო იდგა, ნერვიულად შეეკითხებოდა:

— რომელი ასო არ გყოფნის?

— „ა“ მატრიცამ გამიჭირა საქმე! — ესმოდა პასუხი.

იმ დილით ვახტანგს მანქანა გაუჩერდა „ა“ და „ი“ მატრიცების უქონლობის გამო. დაღონებულმა ირაკლიმ აღარ იცოდა, რა ექნა. ვახტანგი განგებ დასვა რუსულ ლინოტიპზე სამუშაოდ, უნდოდა შეემოწმებინა რუსული მატრიცების ნაკლოვანება. მას ენდობოდა და აი, ისიც იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

— ამ წუთში მოვიტან, ირაკლი, — ჩაერია ლაპარაკში ვასო. მან იქვე მდგარ ლინოტიპისტს გამოართვა რამდენიმე „ა“ და „ი“ მატრიცი და ვახტანგს გადასცა... თვითონ კი, მეორე გაჩერებულ ლინოტიპთან მიიჭრა და ასოთამწყობს წყნარად წასჩურჩულა:

— რომელი ასო არ გყოფნის?..

— „გ“...

— ამ წუთში! — ვასომ სასწრაფოდ მოიშველია სხვა ლინოტიპიდან „გ“

მატრიცი და ლინოტიპისტს გამოწვდილ ხელში ჩაუდო.

„ასე საქმის გამოსწორება არ შეიძლება!“ — გაიფიქრა ირაკლიმ და ვასოსთან ერთად სახელოსნოში შევიდა.

— რა გემართება, ვასო! — დაბალი ხმით მიმართა ირაკლიმ და თვალებში შეაცქერდა.

ვასომ ვერ გაუძლო ირაკლის გამომცდელ ცქერას, თითქოს გულში ძარღვი ჩაუწყდაო. შეძრწუნდა, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის ცხოვრებით გამოცდილმა დაბნეულობას თავი მალე დააღწია და ნაძალადევი ღიმილით უპასუხა:

— ვერ ხედავ? — და ხელი მიაშვირა დაზგაზე ოქროსავით მოლივლივე მატრიცებზე. — მატრიცები ასე ფუჭდება, ძმაო. ოცი ლინოტიპი გვაქვს. დღეში რომ ოცი მატრიცა გაფუჭდეს, ეს იცი, რამდენი გამოვა?!

— ხო, მესმის, მაგრამ რაღა მაინცა და მაინც რუსულ ლინოტიპზე ფუჭდება ამდენი?..

— ააა! — შეკრთა ვასო, — საქმეც ეგ არის. რუსულ ლინოტიპზე რომ მოწაფეა, ეგ დალოცვილი დღეში ოთხხუთ მატრიცას აფუჭებს. აი, — ხელი მოჰკიდა დაზიანებულ მატრიცებს და ლითონგადასხმული მთელი სტრიქონი ამოიღო, — ხედავ ამას? მთელი სტრიქონი გააფუჭა გუშინ. შეუვსებელი სტრიქონი გაუშვა და ადუღებულ ლითონს შემოუსხამს... უნდა შეგეხედა, რა მდგომარეობაში იყო ლინოტიპი, კიდევ კარგი, თვითონ გადარჩა.

— შენ მართალი ხარ, ვასო, მატრიცების დაზიანება როგორმე უნდა შევამციროთ, ამაზე უნდა ვიზრუნოთ, — დააიმედა ირაკლიმ, — მაგრამ, დირექტორს რა ვუყო? დღეს კიდევ ერთი უკანასკნელი გაფრთხილება მომცა. ალბათ დამნაშავე ვარ, რას ვემართლები. დროზე უნდა გამოგეწერა დამატებითი მატრიცები. ლინოტიპისტები აღარ გაცდებოდნენ და გეგმაც აღარ ჩაიშლებოდა.

— მომმარაგებელმა მატრიცების ორი კომპლექტი რომ მოიტანა, არ გახსოვს?

—ის ხომ გამოვიყენეთ!

— მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ.

— არ გახსოვს, ვასო, ის ორივე კომპლექტი უკვე გამოვიწერეთ და სწორედ ამიტომ მაეჭვებს მატრიცების საქმე. იცოდე, ვასო, კომისია გამოყოფილი და არ დამკლა, ეს დაზიანებული მატრიცები არავის გაატანო, ცხრაკეტ შეინახე. კომისია დეტალურად გამოარკვევს მატრიცების რაოდენობას... პირდაპირ საკვირველია, ლითონში ჩასამატებელი კალის საქმეც ხომ...

— კაცო, ირაკლი, — ჩამოართვა სიტყვა ვასომ, დაზგაზე მიეყრდნო და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო, — ეჭვი მეპარება, ჩემო ძმაო, მაგრამ რა ვიცი, იქნება ვცდები!

— ეჭვით საქმეს ვერ ვუშველით, — ხელი ჩაიქნია ირაკლიმ, — ფაქტია საჭირო, ფაქტი! — უნდობლად ჩაილაპარაკა ირაკლიმ და სახელოსნოს უნებლიეთ თვალი მოავლო.

— ზოგიერთ შემთხვევაში ეჭვი ფაქტად იქცევა ხოლმე, — ცბიერად ახედა ირაკლის ვასომ და ისევ განაგრძო: — აი, იმ დღეს, კალის გამოსაწერად დირექტორთან ვიყავი და დირექტორი პარტკომს ეუბნებოდა: „მომმითრია ვილაც ნაჯიბგირალი და საამქრო გააძარცვინაო“.

ამ სიტყვების გაგონებაზე ირაკლი ვასოს მიუახლოვდა და ბრაზით ანთებული თვალები მიანათა. მაგრამ ვასომ არ შეიმჩნია ირაკლის აღელვება და იმავე ხმით განაგრძო:

— თვალყურის დევნება უნდა მაგ ბიჭს... ეშმაკმა იცის, — მხრები აიწია. — კარგი ბიჭი კია, მაგრამ იქნებ კიდევ გაიხსენა თავისი „ხელობა“?!.

— ვითომ?!

— ყველა ასე ამბობს! — იცრუა ვასომ.

— მე ვახტანგის ისევე მჯერა, როგორც ჩემი თავისა. ეგ არასოდეს აღარ თქვა!..

— აბა, მაშ ვინ იპარავს? გუშინწინ კალა, დაიკარგა, ახლა კიდევ მატრიცებს მიყვეს ხელი. უდანაშაულო კაცს ჩირქს სცხებენ, სახელი გვიტყდება. კომკავშირის მდივანი ხარ, სტამბის ახალგაზრდობას ზრდი, კარგი ავტორიტეტი გაქვს, ჩემო ძმაო, და ცუდი ამხანაგისათვის თავს ნუ შეირცხვენ. ეს ჩემი გულის ფიქრია. სიფრთხილე ზედმეტი არ იქნება!

* * *

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ირაკლი და ვასო ერთად ჩავიდნენ ეზო-

ში. საბავშვო ბაგის აივანთან მათ ელენე და პავლე შეხვდათ.

მოაჯირზე მომდგარმა ელენემ ირაკლი კომბინატის შესავალ კართან შენიშნა და პავლეს აღელვებით შეეკითხა:

— პავლე, რა დაემართა ირაკლის, ასე რომ გახდა და მუდამ უხასიათოდ არის?..

— საქმე ცუდად აქვს. ეტყობა, ხელს უშლიან... ხან ლითონი დააკლეს, ხან მანქანები გაუჩერეს. ახლა რუსული მატრიცები აკლდება და სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე ფერხდება.

— მერე, რატომ არ ეხმარებით?

— რას ამბობ, ელენე, როგორ არ ვეხმარებით. მე და ფიდო მაგის ჯავრით აღარა ვართ, მაგრამ... — თავი გაიქნია, — არა უშავს რა, მგონია რამე მოვუხერხოთ...

— ცოდვაა, ნახე, რას დამსგავსებია, სადღაა ის მხიარული ბიჭი?!.

— მე გადავწყვიტე, შვებულებაში გავუშვათ, ფიდოსაც მოველაპარაკე, ამ ხნის განმავლობაში კი საამქროში წესრიგს დავამყარებთ. კარგია, რომ ვასოც მასთან ერთად არის. ახლავე მოველაპარაკები.

— ირაკლი! — მიუბრუნდა პავლე ირაკლის, რომელიც მიუახლოვდა მათ, — მთელი დღე სამანქანო საამქროში ვიყავი და შენთვის ვერ მოვიცალე.

ირაკლი ელენეს მიესალმა და შეჩერდა.

— კარგია, ვასოც აქ არის. მე გადავწყვიტე, რომ შენ დასასვენებლად გაგიშვათ. ცოტა თავს მოუარე, თორემ ძალიან გახდი. რას იტყვი, ვასო?

— ძალიან კარგი რჩევაა. დაისვენოს, თორემ საამქროში პატარა გაუგებრობაა. ეგ კი ისეთი მგრძნობიარე კაცია, რომ თან გადაჰყვება ამ ამბავს!

— ხო, წადი, შენს ადგილზე ვასო იქნება. დარდს არ გაგაყოლებენ. — მუდარის კილოთი დაუმატა ელენემ.

ირაკლიმ გაიღიმა.

— ჩემი საქმე თვითონ მე უნდა გამოვასწორო, ასეთ დროს საქმის მიტოვება როგორ შეიძლება?..

— განა ისეთი რა დროა, ჩემო ირაკლი? — გაკვირვებით იკითხა პავლემ, — აქ არა ვართ?

— ჩემო ირაკლი, საქმეს აზვიადებ. ორიოდე მატრიცის გაფუჭება თუ დაკარგვა კატასტროფად მიგაჩნია. ძმორეც, ძმაო, სადიპლომო საამქროსათვის ხომ გინდა დრო და ჯანი. ამიტომ ჩემი რჩევაა, აუცილებლად დაისვენო, — კვლავ ურჩია ელენემ და თანაც დაემუქრა, — თუ უარს იტყვი, საკითხს ბიუროზე დავსვამ!

— წადი, ირაკლი, წადი, დაისვენე, მეც გაძლევ სიტყვას, დილაობით თითო ჭიქა არყის მეტი არ დავლიო. შენს მაგიერობას ვეცდები, გაძლევ ვაჟკაცურ სიტყვას! — სიცილით დააყოლა ვასომაც.

— გაფუჭებულ მატრიცებს შევაკეთებთ, მანქანებს შენსავით თავზე დავადგებით, ისე იფიქრე, ვითომ შენ აქ ყოფილიყავ. ხომ მენდობი?

— ოღონდ ეგ კარგად იყოს და ვიდრე არ დაბრუნდება, ერთ წვეთ ღვინოსაც არ დავლევ. — კვლავ იხუმრა ვასომ.

მეგობრებმა ირაკლი გაამხნევეს.

პირველ ივლისამდე ირაკლი მალულად უთვალთვალებდა საამქროს. წასვლის წინა დღეებში მუშაობა გაუმჯობესდა. მართალია, რუსული მატრიცები ისევ აკლდათ, მაგრამ მატრიცების ერთმანეთისათვის მიშველებით, მანქანების გაცდენა შემცირდა, ინტენსიური მუშაობით კი თვის მეორე ნახევრის გეგმაც შეასრულეს.

ირაკლი მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა სანატორიუმში დასასვენებლად წასულიყო.

15.

მბეჭდავთა კავშირის სანატორიუმი მთის კალთაზე, ხშირ ნაძვნარში იყო გაშენებული. ორსართულიანი თეთრი შენობა, თითქმის მთლიანად ფანჯრებად ქცეული, თავისი პატარა, მოხდენილი აივნებით სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

განსაკუთრებით მიმზიდველი იყო მაღალი, თეთრი სვეტებით შემაგრებული, მოხატული და ფერადი მარმარილოთი მოპირკეთებული თაღებიანი ვესტიბიული.

შენობა გემოვნებით იყო აგებული. ეტყობოდა, მშენებელს არ აკლდა ჩვენი ქვეყნის საკურორტო მშენებლობის გამოცდილება და შენობა ისე აეგო, რომ დამსვენებელს სიმშვიდე ეგრძნო.

დიდრონი დარბაზები გასართობებით, კლუბი კინო-თეატრით და ბიბლიოთეკით, ფართოდ გაშლილი სასადილო სურათებით, კრიალა ხის ავეჯითა და ოთვლილი ქათქათა სუფრებით და, რაც მთავარია, აქ იყო მყუდრო საცხოვრებელი ოთახები.

ირაკლის ცალკე ოთახი მისცეს. აქ ბევრი ავეჯი არ იყო. სარკიანი გარდერობი, ორი ტუმბო ელნათურებით, მაგიდა მწვანეარშიიანი სუფრით, რამდენიმე რბილი სავარძელი და ორი ფართო საწოლი. მინის კარ-ფანჯარაზე ოთახის შიგნიდან ჩამოფარებული იყო სურათებიანი, ლეჩაქივით თხელი ფარდები, ხოლო იქით ქოლგასავით გადმოხურული ნაძვებით დაბურული ხეივანი მოჩანდა.

ირაკლი ძალიან კმაყოფილი იყო აქაურობით. ოთახში მეორე დამსვენებელი ჯერ არ მიეღოთ.

— ჯერჯეროობით მარტო ვიქნები, — გაიფიქრა ირაკლიმ. გაიხადა პიჯაკი და გარდეროობში შეჰკიდა. სარკეში თავის დაღლილ სახეს დიდხანს უცქირა.

— არა უშავს, გამოვკეთდები, — დაიიმედა თავი. ჩემოდანი გახსნა, ამოიღო საპონი, სავარცხელი, პირსახოცი და საბანაოდ გავიდა.

ნელთბილი წყლით დიდხანს იბანა ტანი.

საათი სამის ნახევარს უჩვენებდა. სადილობამდე კიდევ საათნახევარი იყო დარჩენილი. ირაკლიმ ბალიშზე მიდო თავი და დაიძინა.

— მობრძანდით, ისადილეთ! — კარების კაკუნთან ერთად გაისმა მოსამსახურე ქალის ხმა.

უკვე ხუთი საათი იყო. ირაკლის შიოდა კიდეც. საჩქაროდ გადაიცვა ტანსაცმელი და სასადილოში ჩავიდა.

კურდღლის ყურებივით განაკვეთული ხელსახოცებით გაწყობილ მაგიდაზე პური, მწვანილი და ყვავილები ელაგა.

ირაკლის დიდი პალმის გვერდით მდგომ მაგიდასთან მიუჩინეს ადგილი და მენიუ მისცეს. მასში ბევრი უცხო საჭმელების სახელწოდება იყო ჩამოთვლილი. ირაკლიმ ისევ ნაცნობი კერძი აირჩია.

სასადილო დარბაზის სვეტებში ჩამალული კუთხიდან სიმღერიანი ორკესტრის ხმა გაისმა.

ირაკლის ბავშვობიდანვე უყვარდა მუსიკა. ახლაც სანეტაროდ ესალბუნებოდა ტკბილი ხმები. გრძნობდა, ფარულ შვიდებელ ძალას, გრძნობდა, ოპტიმიზმი და ენერგია ემატებოდა. კულს ჯავრი გადაეყარა და სადილს მადიანად შეექცა.

პირველ ორ დღეს ირაკლი სანატორიუმის ეზოს არ მოსცილებია. აგურის ფხვნილით მოფენილი ხეივნები შემოიარა. ერთხელ, მზის ჩასვლისას, გორაკზე აგებულ მწვანედ შეღებილ ფიცრის სოკომდე მივიდა.

მტკვრის ხეობა იქიდან კარგა მანძილზე მოჩანდა. ეს ხეობა მწვანე გორებს შორის იყო ჩაძირული. ნავთით დალაქავებული რკინიგზის ლიანდაგი შავ არშიად მისდევდა მტკვრის ნაპირებს.

მესამე დღეს ირაკლი დამსვენებლებთან ერთად ექსკურსიაზე წავიდა ბორჯომის წყაროების დასათვალიერებლად. პირველად იყო აქ და წყაროები ძალიან მოეწონა.

ჰაერმა, მყუდროებამ და კარგმა ამინდებმა ირაკლი მშვენიერ გუნებაზე დააყენა. იმ საღამოს, ვახშმის წინ, დამსვენებლებთან კალათბურთიც ითამაშა.

მისმა მკვირცხლმა თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა დამსვენებლები და სანატორიუმის კულტმუშაკს სურვილიც კი აღუძრა, ირაკლის მონაწილეობით შეჯიბრება მოეწყო მეზობელი სანატორიუმის დამსვენებლებთან.

ნავახშმევს ოთახში მაგიდაზე ორი წერილი დახვდა; ერთი პავლესაგან და მეორე ნათელასაგან იყო.

პავლე მოკითხვის შემდეგ აცნობებდა, რომ ვასო დანაპირებს თავგამოდებით ასრულებს და უკვე ოთხი დღეა, რაც ღვინო არ დაულევია. ილენიც თავისუფალ დროს ადის ხოლმე საამქროში და ხანდახან მთელი საათობითაც ეწველება ჩამორჩენილებს. ასე რომ, ირაკლის თავისი საამქროს დარდი აღარ უნდა ჰქონოდა.

დიდი სიხარული მოჰგვარა ირაკლის ამ წერილმა და კიდევ უფრო დამშვიდდა.

წარმოიდგინა სტამბის საქმეები. მატრიცების გაფუჭება გაზვიადებად ჩათვალა. მატრიცები გაფუჭდებოდა, აბა რა იქნებოდა!.. მხოლოდ ერთი ვერ ეპატიებინა თავის თავისათვის, რომ საბადარიგო მატრიცების საკმაო რაოდენო-

ბა არ ჰქონდა. პავლეს პასუხი მისწერა და სთხოვა მატრიცების გამოწერა მაინც დაეჩქარებინა.

ნათელას წერილმა გააოცა.

ნათელა თავის თავზე მოკლედ იწერებოდა. ყვარელში დედის გაცილებას ორი სიტყვით იხსენიებდა, თამარისა და თეოფილეს ამბებს კი დიდი ინტერესით წერდა, შეუმჩნეველი საყვედურით ჰკილავდა ირაკლის თამართან დამოკიდებულების გამო. მით უმეტეს, რომ თამარს გადაეწყვიტა, თეოფილეს კი არ გაჰყოლოდა ზღვაზე, არამედ ბორჯომში ბიძასთან წასულიყო.

ირაკლიმ ბევრი იფიქრა ნათელაზე. — თეოფილე ხომ არ უყვარდა, — მაგრამ, როცა მათი ურთიერთობა წარმოიდგინა, მიხვდა, რომ უსაფუძვლო ეჭვი დაებადა. იფიქრა იმაზეც, თუ რად აინტერესებდა თამარისა და თეოფილეს ბედი. შემდეგ გული იმით დაიმშვიდა, რომ ქვეყანაზე ყველას თავისი ინტერესი აქვსო. ალბათ უამისოდ არსებობა არც შეიძლებაო, მაგრამ გულში მაინც უნებურად ჩარჩა ბუნდოვანებით გარემოცული კითხვის ნიშნები....

* * *

„ძვირფასო ნათელა! — წერდა ირაკლი. — შენ, ცოტა არ იყოს, ცილსაც მწამებ!..

ჯერ ერთი, მე გარეგნობით ისეთ რამეს არ წარმოვადგენ, რომ ერთი შეხედვით ქალზე გავლენა მოვახდინო. თორემ შენ თვითონ ბევრჯერ გიოქვამს, „შენში რა თვისებებიც არის დასაფასებელი, წლების განმავლობაში უნდა გამოსძებნონო“. მეორეც, მე განზრახული მაქვს დასვენება მხოლოდ დასასვენებლად გამოვიყენო.

შენ რომ იმ დღეს არაჩვეულებრივი უხერხულობა და აჩქარება შემატყვე, პირობა მქონდა, მასთან ერთად მიესულიყავი. შენ კი განწყობილების შეცვლა გეგონა... მაშინვე მივხვდი.

— ტყუილად ნუ ფიქრობ, ვითომ შევტოპე!..

რაც შეეხება იმას, თუ მათ შორის რა ხდება, არ ვიცი. სტამბის გადასვლასთან დაკავშირებით არეული საქმეები საშუალებას არ მაძლევენ ყურადღება გავამახვილო, ნათლად გავერკვე მათ განზრახვებში... გამოგიტყდები: მათთვის ახლა არა მცალია, მე დასვენება მინდა.

ისე კი, დეტალურად ნოგიერი ერთ შეხვედრას:

— სწორედ, ჩემი გამოგზავრების ორი დღის წინ თეოფილე ჩემთან მოვიდა. სახეზე მძიმე განცდები ჩამოსწოლოდა. ქუდი მაგიდაზე დამიგდო და საკამის ზურგზე მიესვენა.

მე მას არა ვათქმევინე რა. იმას ჩემგან ნუგეში უნდოდა.

მე პირდაპირ შევეკითხე: „დღეს ნახე?“ და თვალებში ჩავაცქერდი. მან აღტაცებით შემომხედა, თითქოს რაღაც ფიქრებიდან გამოერკვა.

— თამარი? — შემეკითხა გაკვირვებით. მივხვდი, თეოფილე ეჭვს შეეპყრო.

მე ვუთხარი, მიშა ისეთს არაფერს წარმოადგენს, რომ თამარი მოხიბლოს. თუმცა ყველაფერი მოსალოდნელია, ზოგჯერ ქალი ისეთ კაცს შეიყვარებს, რომ...

თეოფილე მოიღუშა: „მე მიშა სრულებითაც არ მაფიქრებსო“.

მაშინ მე გულწრფელად შევნიშნე:

— თეოფილე, დიდ ბედნიერებას დიდი ბრძოლითა და შრომით იძენენ, შენ კი დიდი ბედნიერება გაურჯელად გინდა მოგართვან?

— მართალი ხარო, — გაიცინა.

მეორე დღეს ცუდად ვგრძნობდი თავს და ბილიარდის სათამაშოდ მინდოდა წასვლა, რომ თეოფილემ ძალად წამიყვანა თამართან. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ, თეოფილემ თამარს წინადადება მისცა. ამ ზაფხულს ზღვაზე ერთად ვიმგზავროთო.

თამარი უცბად მე მომიბრუნდა და ღიმილით მკითხა:

— შენ კი არსად მეპატიჟები?

— არა, მე დასასვენებლად მიკდივარ-მეთქი.

— დასასვენებლად?! — ნაძალადევად გამიღიმა თამარმა. ნაწყენი წამოხტა. მიუჯდა როიალს და თეოფილეს მიაძახა:

— მაშ ამ ზაფხულს ზღვაზე მივდივართ. მხოლოდ ერთი პირობით, კარგად უნდა შეიარაღოს ფოქსტროტი, რომ ჩემი განუყრელი პარტნიორი იყო.

ასეთ მღგომარეობაში დავტოვე ეგ ხალხი, ჩემო ნათელა, და ახლა რომ მწერ, თამარი ბორჯომში მოდისო, მაცვიფრებს. თუმცა მისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

აქ მე მარტო ვარ. მომიკითხე ფიდო და დეიდა ირინე. თუ არ დაიზარებ, ჩვენსას გადადი და დედაჩემს ჩემი კარგად ყოფნა შეატყობინე.

შენი ირაკლი.

* * *

მომხიბლავი განთიადი იყო. ნაწვიმარზე სასიამოვნოდ მოჩანდა ნაძვებით დაფარული მთები. ირაკლი ფანჯარასთან იდგა და შესცქეროდა თვალწარმტაც ბუნებას. მოსამსახურემ კარზე დააკაკუნა, — ახალგაზრდა ქალი გთხოვთო.

ირაკლიმ სასწრაფოდ ჩაიცვა ტანისამოსი და აივანზე გავიდა.

შემმოსასვლელ კარებთან ყვითელ ყვავილებიან კრეპდეშინის კაბაში, სხეულზე კანივით რომ გადაჰკვროდა, მაღალქუსლებიან თეთრ ფეხსაცმელში და ხორკისფერ თხელ წინდებში, თამარი იდგა. ირაკლი განცვიფრდა. ყოველ შემთხვევაში, მას ასე დილაადრიან არ მოელოდა.

თამარმა ირაკლი შენიშნა თუ არა, ვარმარილოს კიბეები სწრაფად აირბინა და ორივე ხელით სწვდა მაჯაში.

— ასე ადრე იმიტომ მოვედი, რომ მზის ამოსვლამდე მინდა ბორჯომში წავიდეთ, მანქანა გველოდება.

— მობრცა, თამარ, სული ამომათქმევინე, პირი არც კი დამიბანია, — უძალიანდებოდა ირაკლი.

— არაფერი არ გინდა, ისედაც მშვენიერი ხარ, ძლივს გათენდა, ეს ღამე, ჩქარა, ჩქარა! — ხელით ეწეოდა თამარი ირაკლის. — ძლივს გამოვეპარე ყველას, ძლივს... მე აქ მინდოდა, მე ბუნებაც მიყვარს, მთებიც, დილაც და მინდა შენთან ერთად დავტკბე ამ სანახაობით. მე აქ ვარ გაზრდილი, ყველაზე მეტად ეს მხარე მიყვარს. თითქმის ყოველ ზაფხულს აქ ვატარებ. ნახავ, ბიძაჩემი რა კარგ ადგილზე ცხოვრობს. ზღაპარი გეგონება... გუშინ საღამოთი ჩამოვედი და სულ იმას ვფიქრობდი, როდის გათენდებოდა, რომ შენ ჩამომეყვანე. — სულმოუთქმელად განაგრძობდა თამარი და ირაკლის არც კი აცლიდა, ხმა ამოელო.

ირაკლის ესიამოვნა, მზად იყო, თამარს გაჰყოლოდა, სადაც ის მოისურვებდა, თუ გინდა მთების იქითაც და სიხარულით აღტაცებულ ქალთან ერთად ჩაჯდა მანქანაში.

მანქანა ნელა მისრიალებდა დანამულ გზაზე.

დილის ნამი მზის პირველ სხივებს ჯერ კიდევ ვერ აეშრო. მთის ცხოველი სხივები მთის კალთებს ჯერ კიდევ არ მოჰკარებოდა, თითქოს ცის სივრცეში მიმართული პროჟექტორის სვეტებიაო, მარაოსავით გადაშლილიყვნენ მაღლა და ოქროსფრად შეეღებათ მთის წვერები.

გზას ცალი მხრით მტკვარი ეკვროდა, ცალი მხრით კი — განუწყვეტელი ბაღები და ტყეები.

გზა დაკლაკნილი იყო და ყოველ შემოსახვევზე ახალი და დიდი სანახაობა იშლებოდა. ხან ვიწრო, სრულიად ჩაბნელებული, მკაცრი, გულჩათხრობილი ხეობა, ხან კი გაშლილი საძოვრები ფერდობებზე მიმოფენილი ნახირით და მწყემსებით, ფალამურის სტვენით რომ აცოცხლებდნენ მიდამოს.

ბუნების სიმშვენიერით დამტკბარი და თამარის სიყვარულით კმაყოფილი ირაკლი ნეტარებაში იყო.

* * *

მოხუცი სამოცი წლისა იქნებოდა, მას ვერცხლისფერი თმები და წვერი ჰქონდა, მაგრამ მხნედ და მარჯვედ გამოიყურებოდა. სიცოცხლე ჩქეფდა მის ჯანიან მკერდში. მას სიმინდის თოხნა დაემთავრებინა და თოხით ხელში შინ ბრუნდებოდა.

— გამარჯობა, ირაკლი, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — შეეგება მოხუცი და შრომით დაკოჟრილი ხელი გაუწოდა, — წუხელ თამარი ბევრს მელაპარაკა თქვენზე. კარგია, რომ მოხვედით. — და მოხუცმა გულწრფელად გაუღიმა ირაკლის.

ოჯახის დიასახლისი სამზარეულოში ფუსფუსებდა. ალავარდნილ თონეში ხმელ ფიჩხს ტკაცატკუცი გაჰქონდა. ეზოში ბავშვები ხბორებს და ბატკნებს დასდევდნენ და ფარეხებში მიერეკებოდნენ.

თამარი ბიძას დოქიდან წყალს უსხამდა.

— მე ძალიან მომწონს თქვენი ხეობა, — წარმოთქვა იქვე დერეფნის სვეტზე მიყრდნობილმა ირაკლიმ, როცა თამარის თვალებს ერთი წამით მოსწყვიტა მზერა და მონახბლავ სანახაობას თვალი შეავლო.

მოხუცი ულვაშებში იღიმებოდა და ბალნით შებურვილ მკერდზე ალმასებივით ჩამბნეულ წყლის ანკარა წვეთებს იმშრალებდა.

— ხო, დალოცვილია ეს მიწა, — დაუდასტურა მოხუცმა და მარჯვენა ხელი გაიშვირა მთის კალთებისაკენ,—მუდამ მწვანეა და მუდამ ჰყვავის. ყვავილი კი, რანაირიც არ უნდა იყოს ის, ჩემო ირაკლი, სასიყვარულოა.

როცა ივანემ პირი შეიმშრალა და სახელოები ჩამოიწია, ჩამოჯდა და ირაკლისაც ანიშნა, გვერდით მომიჯექიო.

ირაკლი გაჰყურებდა გზას, ფერდობებზე გაშენებულ ვენახებს, მინდვრებს, მდინარეს და მის გადაღმა მთებს. დროდადრო თამარის ხმამაღალი კისკისი და ლაპარაკი ჩაეწვეთებოდა ყურს, ტკბებოდა მისი სიახლოვით, ყურადღებით უსმენდა მასპინძელს.

ივანე განაგრძობდა:

— რის მომსწრე არა ვარ, შვილო, ახლა რამდენი ვაი და ვარამი ჩვენს მამა-პაპათაგან მსმენია. ეს მხარე განსაკუთრებით დაიჩაგრა, ოდითგანვე მშრომელ კაცს არ აცლიდნენ, ამ ნოყიერი მიწიდან სარჩო-საბადებელი მიეღო. გლეხი დაშინებული იყო მუქთახორებისაგან და თუ ერთ ლუკმა პურს იმოვიდა, კარებს ირაზავდა. კარჩაკეტილობაში კი დაბრმავებულ გლეხს, რამდენი ზედმეტი ჯაფის გაწევა უხდებოდა!.. ერთ და იმავე ნაკვეთზე ჩაციებული გლეხი მიწას ძალ-ღონეს აცლიდა, ჰფიტავდა და მერე აღარაფრით აღარ შეეძლო აღედგინა მისი მოსავლიანობის უნარი.

მთვარემ გორაკზე მაღალ კაკლის ხეს დაანათა, როცა თამარმა ნავახშმევს ირაკლი წყაროსთან მიიყვანა. ალმართზე ასვლამ ვერ დაღალა ისინი, პირიქით, ღამის სიგრილემ თითქოს უფრო გაამხნევა.

პატარა ამწვანებულ კალთას ნაძვები და მუდამ მოშრიალე ვერხვები გარშემოვლებოდა. გზასთან, ლურჯად მთრთოლვარე ცაცხვებს იქით, ტუნდოვნად მოჩანდა ძველი ეკლესია.

ამ მყუდრო მიდამოს ვარსკვლავებით მოფენილი ცა სავსე მთვარის თვალით დასცქეროდა და უჩვეულო შვებას ჰგვრიდა მიწიდან ამომსკდარი ცივი წყარო, ყინულივით ცივ წინწკლებს ჩუხჩუხით რომ აპკურებდა.

შორს, ქვემოდან, ვერხვთა ფოთლების შრიალივით მოისმოდა სოფლის მოედანზე ლხინზე გასული ხალხის ამაო.

ირაკლი ვერხვების ქვეშ ქვაზე ჩამოჯდა და თამარიც გვერდით მოიკალა.

უჩვეულო აღელვება დაუფლებოდა ირაკლის. ახლა ცხადი იყო, ამ მშვენიერ ქალს სტამბის უბრალო მუშისათვის მიეცა უპირატესობა, უარეყო პოეტის წინადადება. და აქ მხოლოდ იმისათვის მისულიყო, რომ ირაკლის ერთხელ მაინც ცალკე შეხვედროდა.

როცა გამოირკვა, იგრძნო, რომ თამარს შეაჯოყოლა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ ერთხელ შემაზრზენად დაიკივლა ორთქლმავალმა, ეს ხმა ფარნების შუქთან ერთად შემოსახვეში შთაინთქა.

— მკივა, ირაკლი, — კვლავ შეაჯოყოლა თამარს და მიეკრო ირაკლის.

— საკვირველნი ვართ, თამარ...

— იცი, ირაკლი, — გააწყვეტინა სიტყვა თამარმა, — მე არ მიყვარს შენთან ყოფნის დროს ფიქრი ამგვარ ბუნდოვანებაზე, არაფერში არ მინდა ვერკვეოდე, მე ახლა მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ ბედნიერი ვარ და... — კბილების კაწკაწით ახედა, თვალები მიანათა და გალიმებულმა თავი ისევ მის მკერდზე დახარა, — ჩვენები არ შეწუხდნენ, შეყვარებულები, ხომ იცი, მშობლებს რატომღაც აფრთხობენ, ბიძაჩემისა კი, ძალიან მვრიდება.

ირაკლი წამოდგა. თამარს დააცქერდა. არ უნდოდა ეკითხა, მაგრამ მაინც ის იკითხა, რაც კარგა ხანია აწუხებდა.

— თამარ, გყვარებია ვინმე?..

თამარს მთვარით განათებული სახე გაუფითრდა.

— ნუთუ შენ ვერა გრძნობ, რომ მარტო შენ მიყვარხარ?!.

— არა, ისე... გულში ოდესმე თუ ვინმე ჩაგვარდნია?..

— არა! მაგრამ რად მეკითხები? შენთვის სულ ერთი არ არის? ჰა, აბა მითხარი, რას გაჩუმდი, განა შენთვის სულ ერთი არ არის? — ეკითხებოდა თამარი.

— მე თვითონ არ ვიცი, სულ ერთია, თუ სულ ერთი არ არის, — დუმილის შემდეგ წარმოსთქვა ირაკლიმ, — მაგრამ ერთი კია, რომ ამაზე ფიქრი გულსა მტკენს: მე თვითონ არ ვიცი, რატომ მაგრამ ეს ასეა.

ირაკლიმ თავი ჩაჰქინდრა. თამარის გულშიც სევდა დატრიალდა. ისინი უსიტყვოდ შეეიდნენ სახლში.

— როგორიც არ უნდა იყოს ჩემი წარსული, — დაარღვია სიჩუმე თამარმა, — შენი გულის სიამაყეს არ შეჰბღალავს. მე არასოდეს არავინ მყვარებია შენსავით! — წარმოთქვა თამარმა და მერე გაჯავრებით დაუმატა, — მე არავინ მყვარებია-მეთქი. და განა ეს საკმარისი არ არის შენთვის?!

ირაკლი მიხვდა თამარის გულისწადილს. იგრძნო, რომ შეურაცხყოფა მიაყენა, მაგრამ რა ექნა, მოუსვენრად გრძნობდა თავს. ეჭვებს შეეპყრო.

— მაგაზე ნუღარაფერს მეტყვი. მენდე, ჩემო ირაკლი, უსაფუძვლო ეჭვით მაწყენინებ!

ირაკლიმ ფანჯრის ფარდა გადაწია, რაფას დაეყრდნო და პაპიროსს მოუკიდა.

ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდა. ბაღში საამო მკრთალი ნათელი იდგა.

ირაკლის ოთახის გვერდით მეორე კუთხის ოთახში თამარმა ფანჯარა მიიხურა. შეეშინდა. მის ბედნიერებაში უცხო მოწამესავით არ შეეჭრილიყო ღამე. ფარდაც ჩამოაფარა, საღამურ ლამპას ამოუწია, სარკის გვერდით დაიდგა და თმის სწორებას შეუდგა.

მშვიდი სახე ჰქონდა ამ ღამეს თამარს. ბედნიერების ღიმი დასთამაშებდა ალისფერ ბაგეზე. მთელი მისი სახე რაღაც დიდ სიხარულსა და ნეტარებას გამოხატავდა. გიშერივით მოელვარე თვალები უბრწყინავდა. სარკეში იყურებოდა. კმაყოფილი იყო თავისი სილამაზით.

სარკე პატარა იყო. მასში სახის მოხაზულობა ძლივს ეტეოდა. ამიტომ თამარს აღარ შეეძლო შეეხედა თავისი მკერდისათვის, გამალებული სუნთქვით რომ ირხეოდა.

ის ახლაც გრძნობდა ირაკლის გულის სითბოს.

ბედნიერი იყო.

ირაკლის სანდომიანი თვალები ახლაც ჩასცქეროდნენ თამარს თვალებში. თვალწინ ედგა ირაკლის ღიმილი, გულღია, ალერსიანი ღიმილი.

თამარს დღემდე ისეთი არავინ შეხვედროდა, რომლის უპირატესობა და ძალა ეგრძნო. ყველას რაღაცა ნაკლი ახასიათებდა. ყველას რაღაც აკლდა. მართალია, გრძნობდა, რომ შეეძლო მათი თავისი ნებით ტარება, თავისი ამაყი სურვილებით წარმართვა. ეგონა, მათგანში გონების [illegible] [illegible] გრძნობდა, მაგრამ ეს არასოდეს არ იზიდავდა. პირიქით, მისი თავნება ბუნება ძლიერი ნებისყოფის ვაჟკაცს ეძებდა. იმ ვაჟკაცის ალერსი სწყურიოდა, რომელიც დაიმორჩილებდა, ყველაფერს დაავიწყებდა, თავისი გზით წაიყვანდა.

ასეთი ვაჟკაცი ირაკლი იყო.

ირაკლი გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე თეოფილე და მიშა. თუმცა თეოფილე პოეტი იყო და მიშა მომავალი მეცნიერი, მაგრამ ირაკლი, სტამბის მუშა, გაცილებით მაღლა იდგა მათზე თავისი ადამიანური სისპეტაკითა და მოქალაქეობრივი პრინციპულობით. აბა სად თეოფილეს ერთფეროვანი, ჭიანურივით გაბმული მსჯელობა, და სად ირაკლის სხარტი სიტყვა, რომელშიც იმდენი გონებამახვილობა და საღი აზრი მოჩანდა, რომ თამარს ხშირად გაკვირვებია კიდეც.

ახლა თამარი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ჩამოეცილებინა ირაკლი სტამბას.

თამარმა სასწრაფოდ ჩაუწია ლამპას, გადადგა სარკე და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

* * *

როდესაც ირაკლის გაეღვიძა, ღია ფანჯრიდან მზის სხივები უკვე მის საწოლს ეფინებოდა.

ერთწამს დაავიწყდა წუხანდელი ამბავი. ისურვა, აელო პირსახოცი, წყაროზე ტანი დაებანა, მერე გასულიყო ფერდობზე, ახლად დანამული ბალახი ფეხშიშველას გადაერბინა, ასულიყო მაღლა ბორცვზე, მუხებთან და იქედან მტკვრის ხეობისათვის გადაეხედა, ენახა, თუ გარიჟრაჟის მზის სხივები, როგორ ადნობდნენ ხეობაში ჩაწოლილ ნისლს. ამ დროს მტკვრის ხმაურიც თანდათან ძლიერდება, სოფლიდან ზლაზვნით გამოდის ნახირი. ბავშვებისა და ფრინველების ჟრიამულით ცოცხლდება მიდამო.

ზღაპრული დილა იცის ამ ხეობამ, თვალს ასვენებს და გულსაც საამო გრძნობებით ავსებს.

* * *

— რამ დაგაღონა, რაზე მოგიწყენია?! — ეკითხებოდა თამარი ირაკლის და ჰალსტუხს უსწორებდა.

— მოწყენილი არა ვარ, ფიქრი კაცს არ მოაწყენს!

— გააჩნია, რა ფიქრი გაწუხებს!...

— არ მომწონს, ირაკლი, ამ ბოლო დროს, რაღაც ცუდ გუნებაზე ხარ. — უთხრა და სავარძელში ჩაჯდა.

ირაკლიც გვერდით მიუჯდა და ხელი წელზე მოჰხვია.

— რა ფიქრიც არ უნდა მაწუხებდეს, შენს სიახლოვეს ყველაფერი მავიწყდება!

თამარის თვალები ირაკლის სურათმა მიიპყრო, ლამაზ ჩარჩოში რომ იყო ჩასმული.

— აქაც ფიქრიანი ხარ, ირაკლი, მაგრამ აქ მშვენივრად გამოიყურები... ასე მგონია, ჩემზე ფიქრობ! ახლა კი თითქოს ჩვენს შორის კედელი აღიმართა. ნეტავი რა გაწუხებს, რატომ არ მეუბნები?

— რა უნდა გითხრა, როგორ გაგაგებინო. ჩვენს სტამბაში ვიღაც სამუშაო მასალას იპარავს. როცა მასალა გვაკლდება, მუშაობა ფერხდება და გეგმას ვერ ვასრულებთ. გარდა ამისა, ჩვენი დირექტორი ვერ აუდის საქმეს, ჩვენი წარმოების ზრდას ვერ მიჰყვება ფეხდაფეხ. ბევრი რამ არის მოსაგვარებელი, ყველაფერი ეს ჩემზე მოქმედებს. შენ კი, ჩემო სიცოცხლევ, — ღიმილით დააყოლა ირაკლიმ, — ნუ იდარდებ, ყველაფერს მე თვითონ მოვაწესრიგებ.

თამარმა თვალები დახარა და თავისი განზრახულის სათქმელად მოემზადა.

— მე დღეს სერიოზულად მინდა მოგელაპარაკო, ირაკლი!

ირაკლი ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა მას. თამარის სიტყვებში საქმიანი ტონი გაისმოდა.

თამარი სავარძელში ნახევრად შემობრუნდა, ხელი ქამარში ჩაატანა, თითქოს წინდაწინ ბოდიშს იხდისო, ნაძალადევი ღიმილით შეხედა ირაკლის.

— შენ სტამბას თავი უნდა დაანებო!

ირაკლიმ არ უპასუხა. ტუჩები ოდნავ შეუთამაშდა. იცოდა, რომ თამარს სიტყვა ჯერ არ დაესრულებინა, ამიტომ მოთმინებით ელოდა.

— შენ სტამბას თავი უნდა დაანებო, — გაიმეორა თამარმა, — იმიტომ რომ ეგ წვრილმანი ფიქრები, ჩვენს თავს რომ გამორეცენ, თავიდან მოიცილო. მე ვერ ვიტან მეტოქეს. ჭუჭყიანი მანქანები, რკინის ხელსაწყოები, საღებავები... — უმაღლესს ამთავრებ. შენ შეგიძლია უკვე ახალი გზით იარო. არ გირჩევნია შენი ცოდნა უფრო აზრიანად გამოიყენო? თუ გიყვარვარ, თუ ჩემი ხათრი გაქვს, მიანებე თავი სტამბას. მორჩი მაგ შავ სამუშაოს, უკეთესად მოვეწყობით!..

არ ესიამოვნა ირაკლის თამარის სიტყვები, დაღონდა, მიხვდა, რომ თამარს ეს აზრი ძვალში და რბილში ჰქონდა გამჯდარი და მას გულიდან ვერც ამოიგდებდა. მიხვდა, რომ თამარი სიცოცხლის აზრს მხოლოდ უზრუნველ დროსტარებაში და მხიარულებაში ხედავდა.

თამარი არ ფიქრობდა მომავალზე, არ ოცნებობდა შვილზე, მას უნდოდა, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიეღო და უდარდელად ეცხოვრა.

თამარმა იგრძნო, რომ ირაკლის უსიამოვნება მიაყენა და სახეზე ვეღარ უყურებდა.

— სტამბაში პატარა ბრძოლაა და ვიდრე არ დავაბოლოვებ, მანამ მაგაზე ფიქრი ზედმეტია! — უპასუხა და წამოდგა, ოთახიდან გავიდა.

* * *

უკვე შებინდებული იყო, როცა საწარმოო თათბირი დამთავრდა. ფიდოც გვიან დაბრუნდა სახლში. დასასვენებლად წამოწვა, მაგრამ ვერ მოისვენა. ფიქრები შემოაწვა. წამოდგა და კარგა ხანს ბოლთას სცემდა... უკვირდა, რატომ ვერ გამოამყღავნა ირაკლიმ ბოროტმოქმედი? ორი მანქანა გაჩერდა. როდის მოგვისწრებს ლენინგრადიდან გამოწერილი მატრიცები?

ნუთუ მატრიცების დაკარგვაში ირაკლი დამნაშავეა? არა, ეს შეუძლებელია! შეუძლებელია! — ხელს აქნევდა ფიდო, თითქოს აბეზარ ბუზივით აკვიატებული ფიქრის მოშორება უნდაო. — მაგრამ ერთი კი მაფიქრებს... იმ ქალთან რომ ვხედავ ხშირად. მას რას ეყოფა ირაკლის ხელფასი?! მაინც ვიტყვი, რომ მიღალატა, შემარცხვინა!

უცებ კარი გამოაღო და მეორე ოთახში გასძახა:

— ნათელა. ირაკლის დამიძახე!

ნათელა ირაკლის დასაძახებლად გარეცა.

ირაკლი საწერ მაგიდას უჯდა და თამარის წერილს კითხულობდა:

— „მაინც ძვირფასო და დაუვიწყარო ირაკლი. დავყურებ შენს სურათს და გული მიკვდება. რა მოხდა? კითხვას ვეღარ ვბედავ. ნუთუ აღარ გიყვარვარ!

ვგრძნობ, რომ აღარ გიყვარვარ, მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია სხვა მიყვარდეს! ჩემი ბედნიერება სწორედ ეს არის, რომ მაინც მიყვარხარ!“

ნათელას ელისოც თან შეეჰყვა. ის გრძნობდა ირაკლის წუხილს, ხედავდა, როგორ გახდა მისი შვილი. ხვდებოდა დედა, რომ ირაკლი თავის დარდზე ხმას არ იღებდა, დედას არაფეროს ეუბნებოდა.

ირაკლი მართლაც დუმდა, დედას არც კი აგრძნობინებდა თავის დარდს.

„ვაი თუ შვილი მამასავით დამისნეულდა, რაღა მეშველება?!“ — ფიქრობდა შეშინებული ელისო და გული დარდით ევსებოდა.

ნათელა უგუნებოდ შემოვიდა. ელისომ ეს შენიშნა და თუმცა შვილის ერიდებოდა, მაინც შეჰყვა თან, უნდოდა გაეგო, რად ეძახდა ფიდო.

ირაკლიმ წერილი დაკეცა, უბეში ჩაიდო, ხმაამოუღებლივ წამოდგა და გაჰყვა ნათელას.

ვიდრე ირაკლი მივიდოდა, ფიდომ გადაწყვიტა, მამაშვილურად გამოეკითხა, გაეგო, რაში იყო საქმე და ჩავარდნილ მდგომარეობიდან გამოსავალი გამოენახა. მაგრამ ირაკლის სახეზე დამცინავი ღიმილი რომ შეამჩნია, აენთო, ვეღარ შეიკავა მოწოლილი ბოღმა და საყვედურით ეთხრა:

— კაცო, საშუალება მოგეცით, გესწავლა. ბინაც მოგეცით, სახელმწიფომ შენზე სახსრები არ დაზოგა, დაგაწინაურეთ კიდეც... შენ კი სამუშაოზე გული აიცრუე და პატარა საქმეს ვერ გაუძეხი. გავიწყდება შენი მოვალეობა!

ირაკლის არ უნდოდა ფიდოსათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა, მაგრამ ისედაც ჯავრიანმა ეს სიტყვები ვერ აიტანა, მოთმინება დაკარგა.

— უთაურობას რად მაბრალებთ? რაში დამეხმარა დირექცია ან პარტკომი? იმაში, რომ მართალი კაცი ციხეში ჩასვით?!

— საქმეც ეს არის! — გააწყვეტინა სიტყვა ფიდომ. — მე ის მაწუხებს, რომ შენ... — უნდოდა ეთქვა, რაღაც შეურაცხმყოფელი, მაგრამ ირაკლის შემხედვარემ ვეღარ გაბედა. — ჩვენ კომისია გამოვყავით და იცოდე, ეს კომისია პარტიაში შენი ყოფნა-არყოფნის საკითხა გადაწყვეტს.

— მამა, ირაკლიზე ასე რად ფიქრობ? — მორიდებით მიმართა ნათელამ, რომელმაც ის-ის იყო კარები შემოაღო და ძმის უკანასკნელი სიტყვები გაიგონა.

— შენ ვინ გეკითხება! — დაუყვირა ფიდომ.

ამ ხმამ ირაკლი გონზე მოიყვანა, იგრძნო, რომ ფიდო სწორედ ირაკლის ბედით იყო აღელვებული. მაგრამ ირაკლის აღარ შეეძლო წყნარად საუბარი. აღარ შეეძლო მშვიდად ეთქვა სინამდვილე, რომ გამოსავალ გზას დადგომოდნენ. ეუხერხულა. შეეშინდა უხეში სიტყვა არ წამოსცდენოდა, ნათელაც შეეცოდა, ჩუმად რომ აქვითინდა. ირაკლი უსიტყვოდ ოთახიდან გამოვიდა.

ფიდო სახტად დარჩა.

„ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავშეუკავებლობა. მე ხომ ასე არ მინდოდა მეთქვა, ეს რა დამემართა, თავი ვერ შევიკავე. ახლა კი დაიღუპა ის ბიჭი!“

უნდოდა დასდევნებოდა, დაეძახა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ირაკლიმ ეზო გადაირბინა.

„არა, შეუძლებელია, რომ ირაკლი ამ საქმეში დამნაშავე იყოს! მაშ ვინ არის დამნაშავე?.. ვინც არ უნდა იყოს, სულ ერთია, უნდა დაისაჯოს!“ — დადიოდა ოთახში ფიდო და პაპიროსს განუწყვეტლივ ეწეოდა.

სასადილო მაგიდასთან, სავარძელში მოკუნტულ ნათელას თავი ხელებში ჩაეყო და ქვითინებდა. მას დედამ მიუალერსა, მაგრამ ნათელა ვერ მშვიდდებოდა. ცოლის ხმაურზე ფიდოსაც მოაგონდა ნათელას დატუქსვა: გულაჩუყებული გავიდა მასთან, ხელი მოხვია და გულზე მიიხუტა.

— ვიცი, რომ ირაკლი მართალია. მაგრამ ცუდი ხელმძღვანელობისათვის სასტიკად დასჯიან. მე ეს მაბოროტებს!

16.

თამარი და ირაკლი ამჯერადაც შერიგდნენ. თამარი თითქოს გამოიცვალა კიდეც, მაგრამ ირაკლის უხასიათობამ

მათი ურთიერთობა ისევ გაამწვავა. თამარი ფიქრობდა, ირაკლის ჩემს ნებასურვილზე დავიყოლიებო. მაგრამ სურვილმა მდგომარეობა ვერ შეცვალა.

ერთ საღამოს თამარის შემოტევამ მძაფრი ხასიათი მიიღო. საბაბი ისევ გასეირნება გახდა. ირაკლის კვლავ დაუწყო მტკიცება, რომ საჭირო იყო სტამბისათვის თავის დანებება.

„ბოლოს და ბოლოს არ გაგვიჭირდება, მშობლები დაგვეხმარებიან, საჭმელსა და ტანსაცმელს არ მოგვაკლებენ და სხვა რაღა გვინდა?“.

ირაკლიმ თავი ვეღარ შეიკავა და შეჰყვირა:

— ცხოველები ხომ არა ვართ, მხოლოდ მაგით დავკმაყოფილდეთ და საზოგადო მოვალეობებს გავექცეთ!..

იმ საღამოს ირაკლიმ თამარი ატირებული დატოვა, მაგრამ მეორე დღეს ირაკლიმ გადაწყვიტა ნასადილევს თამართან ასულიყო და შერიგებოდა.

კარები თამარის დედამ გაუღო.

ირაკლის არ ესიამოვნა, თამარი რომ არ შეეგება. ეკატერინემ კი კარები ვაუღო თუ არა, მაშინვე ზურგი შეაქცია და ხმია გაუცემლად სავარძელში ჩაჯდა.

— პირდაპირ დამიავადმყოფე შვილი, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ წამოიწყო ეკატერინემ. ხმაში ეტყობოდა, რომ ირაკლიზე სერიოზულად გაწყრალი იყო, — თამარი მე გაბრაზებულიც კი არასოდეს არ მინახავს, არავც თუ სიტყვა შემოებრუნებინოს ჩემთვის. ბოლო ხანებში ძალიან ნერვიულობს და ამიტომ ჩემი თხოვნაა წინდახედულად მოეპყრო!..

ირაკლის არ ესიამოვნა ეკატერინეს კილო. იფიქრა, ალბათ თამარი ახლა შუბლწაკრული თავის ოთახში წევს და ჩემზე გაჯავრებულიაო. ცოტა არ იყოს გაეხარდა კიდეც: ალბათ, ინანა ჩემთან უსაფუძვლო კამათი და დედასაც იმიტომ აწყენინაო.

ირაკლი თავის მართლებას შეეცადა და ეკატერინესაგან პატიებაც კი ითხოვა.

— პატივცემულო ეკატერინე, მე არასოდეს არ მქონია განზრახვა, თამარისათვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა. ჩემი სიყვარული ამის საშუალებას არ მაძლევს. მაგრამ მარტო სიყვარული ხომ არ არის კაცის ცხოვრება. საქმე მაქვს, სამსახურში პატარა უსიამოვნება მაწუხებს. ისე გამანერვიულეს, — რომ ჩემდა უნებურად უხეშად — მოვექეცი. თქვენ ნუ შეწუხდებით, მე მოვიხდი ბოდიშს თამართან. ის მე მაპატიებს!

უკანასკნელი სიტყვები ირაკლიმ განგებ ხმამაღლა წარმოთქვა, რომ თამარს გაეგონა და გამოსულიყო.

— უნდა იცოდე, რომ ქალის გული ვარდის ბუჩქია,—ტუქსავდა ეკატერინე, — თუ მას სიყვარულისა და ალერსის მზე და წყალი მოაკელი, დაჭკნება, ვერ გაიხარებს. მე კი ნებას არავის მივცემ, ჩემი თამარი დაჩაგროს. ჩემს შვილს ჯერ არაფერი მწუხარება არ განუცდია. მე სულ მაგის ბედნიერებას ველოდები, ცივი ნიავი არ მიმიკარებია. მისი სურვილები ჩემს ოჯახში კანონი იყო და ახლა, როცა თავისი სისულელით მუდმივი მეგობარი აირჩია, განა უფლებას მივცემ ამ მეგობარს აწყენინოს და ანერვიულოს? არასოდეს! ჩემი თამარი იმის ღირსია, რომ ქმარი ფეხებზე უკოცნიდეს, თავს ევლებოდეს, რაც მოისურვოს, წამსვე შეუსრულოს... რა გახდა ეგ შენი სტამბა?! საყვარელი ქალისათვის სიცოცხლესა სწირავენ, თორემ ჭუჭყიანი სტამბის მიტოვება? ნუთუ ეს ძნელია?

ირაკლი თითქმის არ უსმენდა ეკატერინეს. მას გულისყური თამარის ოთახისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. გულის ფანცქალით ელოდა, აი, გამოჩნდება თამარი და მას თავის ოთახში წაიყვანს, ჯერ დატუქსავს, როგორც იცის ხოლმე, მერე მოეხვევა კისერზე და კოცნით აავსებს.

მაგრამ იქვე კუთხეში კატა რომ დაინახა, შეშფოთდა, იცოდა, თამარი მარტო არ ჩაიკეტებოდა, კატაც უსათუოდ თან ეყოლებოდა. თუმცა ისიც გაივლო გუნებაში, იქნებ ჩაეძინა და კატა გამოეპარაო?!

— სად არის თამარი? — მღელვარედ იკითხა ირაკლიმ.

— თამარი მიშას გაჰყვა, — გესლიანად უპასუხა ეკატერინემ და ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა.

ირაკლის ფერი ეცვალა.

„არ დამელოდა?!“ — წაიჩურჩულა ირაკლიმ.

— შენ განებავს ეჩხუბო ხოლმე, ის კი მოუთმენლად გელოდოს ოთახში კარ-

ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ? — ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘ ᲓᲘᲛᲘᲚᲘᲗ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔᲛ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ. ᲩᲥᲐᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ ᲔᲚᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲚᲒᲐᲠᲗᲘ. ᲒᲐᲓᲐᲘᲐᲠᲐ ᲮᲘᲓᲘ. ᲒᲐᲰᲧᲕᲐ ᲞᲚᲔᲮᲜᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲡ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲗᲐᲜ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ.

ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲠᲔᲝᲓᲐ ᲔᲚᲜᲐᲗᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲣᲚ ᲗᲕᲐᲚᲬᲐᲠᲛᲢᲐᲪ ᲪᲐᲚᲨᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ. ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲚ-ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘᲗ ᲔᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲙᲘᲜᲝᲨᲘ, ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ ᲗᲣ ᲛᲠᲣᲓᲔ ᲡᲐᲠᲙᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ; ᲓᲐᲧᲘᲜᲡ, ᲢᲙᲑᲘᲚᲔᲣᲚᲡ ᲗᲣ ᲛᲖᲘᲡᲣᲛᲖᲘᲠᲐᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲡᲝᲙᲝᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲑᲜᲔᲣᲚ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲗᲡ ᲤᲐᲠᲓᲣᲚᲔᲑᲡ ᲑᲣᲖᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲔᲡᲔᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲑᲓᲐ. ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲔᲡᲪᲥᲔᲠᲝᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲡ. ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲖᲔᲪ ᲡᲘᲐᲛᲔ ᲙᲠᲗᲝᲓᲐ. ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲙᲐᲠᲒᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲢᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲡᲐᲡᲣᲚᲔ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲓ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ.

„ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲝᲠᲝᲛᲢᲠᲘᲐᲚᲨᲘ ᲠᲐ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲡ ᲣᲩᲔᲛᲝᲓ ᲗᲐᲛᲐᲠᲛᲐ?!“—ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲛ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲪᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲰᲧᲕᲐ.

ᲙᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲐ. ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ ᲫᲔᲑᲜᲐ. ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ. ᲪᲔᲙᲕᲔᲑᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲒᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲒᲐᲰᲧᲝᲚᲝᲓᲐ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲡ? ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲡ ᲘᲥ ᲠᲐ ᲛᲘᲘᲖᲘᲓᲐᲕᲓᲐ?..

ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲘᲠᲔᲝᲓᲐ. ᲮᲐᲚᲮᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲕᲚᲝ. ᲗᲐᲛᲐᲠᲘ ᲐᲥ ᲐᲠ ᲘᲧᲝ.

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲯᲔᲠ ᲙᲐᲤᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲡ ᲔᲢᲐᲜᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲛ ᲘᲥ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ.

„ᲐᲥ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲘ“ — ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲕᲠᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ.

ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲔᲫᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗᲒᲐᲜ ᲛᲝᲔᲩᲔᲜᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲠᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲭᲠᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲚ-ᲕᲐᲟᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲪᲮᲝᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ, ᲑᲝᲓᲘᲨᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲠᲓᲐ.

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲰᲧᲕᲐ ᲡᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲝ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲠᲘᲜᲘᲜᲒᲖᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲕ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲔ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ. ᲮᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲝᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲩᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲙᲐᲛᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲜᲐ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲡᲘᲚᲣᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲬᲔᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲮᲔᲓᲐ. ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲘᲬᲐᲛ ᲩᲐᲧᲚᲐᲞᲐᲝ, ᲐᲠᲡᲐᲓ ᲩᲐᲜᲓᲐ ᲐᲛ ᲖᲦᲕᲐ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ.

„ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ?!“ — ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲛ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲨᲘ ᲟᲠᲣᲐᲜᲢᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲣᲐᲠᲐ. — „ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲠᲐ ᲔᲨᲛᲐᲙᲛᲐ ᲛᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲔᲚᲔ?“

ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲔᲫᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲝᲓ.

ᲔᲠᲗ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲨᲘ ᲛᲔᲠᲮᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ. ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲤᲮᲘᲖᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲒᲐᲠᲘᲨᲛᲘᲣᲪᲔᲛᲚᲐᲓ ᲘᲥᲘᲗᲙᲕᲔᲜ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲐᲓᲒᲐ.

ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ, ᲨᲘᲒᲛᲧᲝᲤᲜᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲠᲙᲐᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲕᲚᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲛᲝᲣᲗᲥᲛᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲪᲥᲔᲠᲝᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲬᲧᲕᲘᲚᲡ, ᲛᲝᲐᲡᲤᲐᲚᲢᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲓᲐ.

ᲛᲐᲦᲐᲚᲥᲣᲡᲚᲘᲐᲜ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡᲤᲔᲠ ᲗᲮᲔᲚ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲨᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲛᲛᲫᲕᲠᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲓᲐᲮᲢᲝᲓᲜᲔᲜ. ᲑᲐᲙᲐᲑᲣᲙᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘ. ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲔᲑᲐᲓ ᲮᲐᲢᲐᲕᲔᲜᲝ. ᲒᲣᲚᲒᲐᲓᲐᲚᲔᲚᲘᲚᲘᲚᲘ ᲛᲣᲥᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲔᲠᲘᲡ ᲙᲐᲑᲐ ᲢᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲘᲛᲝᲓᲐ, ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ ᲢᲠᲘᲐᲚᲨᲘ ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲘᲛᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲤᲔᲮᲔᲑᲡ ᲐᲩᲔᲜᲓᲐ.

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲕᲐᲟᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲡᲔ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲛᲘᲔᲖᲘᲓᲐ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲬᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ ᲣᲞᲘᲠᲔᲑᲡᲝ.

ᲕᲐᲟᲘ ᲥᲐᲚᲡ ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲥᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲔᲮᲕᲘᲐ ᲮᲔᲚᲘ.

ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲐᲖᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲰᲝᲔᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲗ ᲔᲗᲛᲐᲡᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲕᲐᲟᲡ, ᲔᲮᲕᲔᲝᲓᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲣᲠᲝ. ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲔᲓᲔᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲜᲐᲑᲐ. ᲑᲐᲒᲔ ᲒᲐᲔᲪᲝ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲧᲔᲚᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲐᲙᲝᲪᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲛᲨᲕᲘᲠᲐ.

ᲕᲐᲟᲘ ᲥᲐᲚᲡ ᲥᲝᲠᲘᲕᲘᲗ ᲩᲐᲡᲪᲥᲔᲠᲝᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲨᲘ. ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲚᲐᲛᲝᲑᲓᲐ ᲥᲐᲚᲡ ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ ᲓᲐᲰᲙᲝᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲧᲔᲚᲘ ᲧᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲐ-

ეჭდო, მაგრამ ქალი, თავდავიწყებიდან გონზე მოდიოდა, ოდნავ ზურგს შეუქცევდა და განზე დგებოდა, ფეხებს დაუბაკუნებდა და ერთხანს თავისთვის დამოუკიდებლად ცეკვავდა. ამ დროს ვაჟი ქალის წელს ხელს უშვებდა, თავს ანებებდა და ისიც ცალკე გააკეთებდა რამდენიმე შემოვლას, მაგრამ ქალი მას მარცხენა ხელს არ აშორებდა, თითქოს ვაჟის სრულიად მიტოვება ენანებაო, ისევ მიუბრუნდებოდა, მიეკვროდა და მის მხარზე ნიკაპით დაყრდნობილი, მინებებული და ჩაფიქრებული განაგრძობდა მასთან ერთად რიტმულ რხევას.

კარგი სანახავი იყო მოცეკვავე ქალ-ვაჟი. იქ მყოფნი ინტერესით უყურებდნენ. სახეზე ყველას სიამოვნების სხივი უბრწყინავდა. ცეკვით აღტაცებული მუსიკოსებიც არ იშურებდნენ უნარს და ათასგვარი ვარიაციებით იმეორებდნენ საცეკვაოს ლამაზ რიტმს.

თავზარდაცემული ირაკლი ერთხანს უაზროდ შესცქეროდა ნაცნობ წყვილს, მაგრამ უცებ ზურგი შეაქცია მას.

გასასვლელ კართან ფართო ტროტუარი თითქოს შეირხაო, როდესაც უზარმაზარი ჭადრის თოთლებს ზევიდან ნიავმა ელნათური შეარხია და ვეშაპის თათებივით გაფარჩხული ფოთლის ჩრდილები შეათამაშა.

ირაკლის თავბრუ დაესხა, წატორტმანდა და რომ არ წაქცეულიყო, ხეს მიეყრდნო.

— რა უცხონი ვართ ერთმანეთისათვის! — წაილუღლუღა ირაკლიმ და დინჯი ნაბიჯით შინისაკენ გაემართა.

17.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა თეოფილე ირაკლისთან შემოვიდა. ირაკლის თმები შუბლზე ჩამოჰფენოდა და გაფითრებულ სახეზე დაღლილობის იერი აღბეჭდვოდა. მის მაგიდაზე წიგნების გვერდით ღვინით სავსე ბოთლი და ჭიქა იდგა.

„სვამს?! ეს ვერ არის კარგი!“ — გაიფიქრა თეოფილემ, მაგრამ ირაკლიმ, თვალი რომ გაახილა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი შეუნიშნავსო.

— ცოტა უდროოდ მოვედი, მაგრამ ისეთ განწყობილებაზე ვარ, თუ არა შენთან, სხვაგან სიმშვიდეს ვერ ვიპოვი. ჩემო ირაკლი, — შესვლისთანავე მიმართა თეოფილემ.

— დაბრძანდი, თეოფილე. სწორედ ამ წუთას მოვრჩი ჩემს სადილობის შრომას და მოვისვენე ქალაქ. ბოლოს და ბოლოს დავასრულე ეს დასამლოცველი გადამუშავებები. მგონი უკვე შეიძლება ამ სახით წარდგენა.

— მაშ კარგ დროს მოვსულვარ. გამეხარდა. ყველაფერი უნდა მთავრდებოდეს. მეც, როგორც იქნა, დავამთავრე ეს ჩემი პოემა და მინდა წაგიკითხო, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება—და იგი იქვე მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა.

ირაკლიმ მეორე ჭიქაც გადმოიღო და ღვინით გაავსო.

— ნამდვილი ქინძმარაულია!

— რასაკვირველია, დასათრობად არ ვსვამ, მაგრამ ისე კი... იცი, რა გითხრა, კარგი ღვინოა!

— ქინძმარაული, ცხადია, შესანიშნავი ღვინოა!

— დაიწყე, სიამოვნებით მოგისმენ,— სთხოვა ირაკლიმ, როდესაც თეოფილემ ღვინო შესვა.

ირაკლი აღტაცებული უსმენდა და უხაროდა, რომ თეოფილემ გადალახა ძველი და უვარგისი ჩვევები.

როცა თეოფილემ პოემის კითხვა დაამთავრა, ირაკლიმ თავი მაღლა ასწია და აღტაცებით შეხედა.

— გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა? გახსოვს ის საღამო, როცა თამარის ოჯახში წაიკითხე ეს პოემა? მაშინ ყველა აღტაცებული იყო, მეც ბევრი რამ მომწონდა, მაგრამ ამკარად დავინახე რომ ბევრი პოეტური სახე, ბევრი სტრიქონი დაუძლეველი გქონდა. საკვირველია, — ვფიქრობდი, ჩვენს სამშობლოში, ჩვენს საინტერესო ცხოვრებაში პოეტი რატომ სხვას ვერაფერს ამჩნევს, გარდა თავისი ვიწრო პირადული ამბებისა-მეთქი. ახლა კი ეს პოემა სულ სხვაა. შენ ახლა დიდი აზრი გამოქმედებს. იგი ნათელია, როგორც ჩვენი ცხოვრების მზით განათებული ყოველი დღე. აი, რა გვინდა ჩვენ, აი რა უნდა ხალხს პოეზიისაგან!

ირაკლი წამოდგა.

თეოფილეც გახარებული წამოდგა და ირაკლის გადაეხვია.

— ირაკლი, დღეიდან იწყება ჩემი ახალი ცხოვრება!

ღამის სიჩუმე თამარის კისკისმა და

მიშას გამოთხოვების მორიდებულმა ხმამ დაარღვია.

მეგობრებს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს. გვიან იყო და არ მოელოდნენ, რომ ვინმე დაარღვევდა მათს მყუდროებას. უსიამოვნების ჩრდილმა გადაურბინა ორივეს.

თეოფილემ ქუდის ძებნა დაიწყო. ირაკლი კი ფანჯარასთან მივიდა.

თამარი კვლავ აიმართა მის წინ.

— არ გესიამოვნათ ჩემი მოსვლა? ხელი შეგიშალეთ? — ნაძალადევი ღიმილით წარმოთქვა თამარმა და აათვალიერა თეოფილე და ირაკლი. თამარმა ოთახი ამაყად გაიარა და ჩაჯდა სავარძელში, რომელშიც მანამდე თეოფილე იჯდა.

თეოფილე მოკრძალებით გავიდა.

ირაკლი ერთხანს განცვიფრებული შეჰყურებდა თამარს. მისმა მომჯადოებელმა მიმზიდველობამ კვლავ აუძგერა გული და გაიფიქრა, — ხომ არ უნდა ვაპატიო ამ შესანიშნავ ქალს კერპობაც, ჯიუტობაც და ისიც, რომ სრულიად არ თანამიგრძნობს.

— მე ვერ წარმომიდგენია, ისე როგორ უნდა წამალო წარსული, რომ ერთხელ მაინც არ გაიხსენო ჩემთან გატარებული დღე და წუთები? ნე შენ არ გიყვარვარ, არც გყვარებივარ. შენ მე ყურადღებას არასოდეს არ მაქცევდი!

— „არა, ჩვენს შორის დიდი ზღვარია!“ — გაიფიქრა ირაკლიმ და მცირე დუმილის შემდეგ ჩაილაპარაკა:

— კაცს თუ არ შეუძლია თავისი ცხოვრების მუდმივ მეგობარს მთელი გულით დაენდოს, ისინი ერთად ვერ იცხოვრებენ, ვერ შექმნიან ოჯახს. ეს შენ კარგად იცი. მაგრამ შენ ამისათვის არა ხარ დაბადებული!

თამარი თვალებზე ცხვირსახოცაფარებული სავარძელში იჯდა და მთელი სხეულით თრთოდა.

— ეს საშინელებაა! მესმის, რომ მე შენთვის უცხო ვარ, მაგრამ ამას ვერ შევრიგებივარ. რად იყავი ხოლმე ხანდახან ჩვეულებრივი? რაღა ვქნა, არ ვიცი. ქვეყანა უშენოდ, უკაცურად მეჩვენება.—თეოფილეც, მიშაც, სხვებიც ვერ მავიწყებენ შენს თავს!

დაწითლებულ, მშრალ თვალებზე მოისვა ცხვირსახოცი და გაფითრებულმა მშვიდად დაუმატა:

— რა დამავიწყებს შენს ღიმილს?!. ან და შენს მოღუშულ სახეს?!. რაცა ვგრძნობ ხოლმე შენს დაშორებას, მეშინია!

ირაკლი თითქოს დამშვიდდა, სახეზე ღიმილიც აუთამაშდა.

თამარმა ნერვიულად პაპიროსი გააბოლა და ირაკლის შეაცქერდა.

ირაკლი თავჩაღუნული იდგა. გრძნობდა, რომ ჰყარგავდა ამ მშვენიერ არსებას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ ქალთან მცირე რამ ჰქონდა საერთო და რაც ადრე განშორდებოდნენ, მით უკეთესი იქნებოდა...

18.

მაგიდაზე წყლით სავსე გრაფინი იდგა. ახლად ნასადილევი მუშები ეწაფებოდნენ წყალს. სახემღიმარე დარაჯს კი ხშირ-ხშირად გაჰქონდა გრაფინი წყლის შემოსატანად.

ირაკლი დარცხვენილი უცქეროდა ამხანაგებს. დღევანდელი ამბით გულდამძიმებულს, სიამოვნებდა, თანაგრძნობის გამომხატველ სახეებს რომ ხედავდა. ის პაპიროსს გამალებით ეწეოდა.

ორი საათის წინ პარტიულმა ბიურომ ირაკლის პარტიიდან გარიცხვა დაადგინა, ახლა ეს საკითხი დახურულ პარტიულ კრებაზე გადმოიტანეს.

დალონებულმა და გულდაწყვეტილმა ვერც კი შეამჩნია, როგორ აირჩიეს კრების თავმჯდომარე, როგორ მოახსენა კომისიამ კრებას საამქროში შექმნილი მდგომარეობა.

კომისიის თავმჯდომარემ თავისი დასკვნა ასე დაამთავრა:

„მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ირაკლი კერესელიძემ მაინც ვერ აღკვეთა სალინოტიპო საამქროში უმსგავსო მდგომარეობა — ქურდობა. კერესელიძის სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად დაკარგულია 5.200 მანეთის ფასი, ორი კომპლექტი მატრიცი და ორასამდე სათადარიგო სხვადასხვა ასო, რის გამოც ლინოტიპები ხშირად უმოქმედოდ დგანან. ამან გამოიწვია ექვსი სახელმძღვანელოს დაგვიანებით გამოცემა და გეგმის შეუსრულებლობა. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

ირაკლი კერესელიძე გაირიცხოს საკ. პ. (ბ) რიგებიდან, მოიხსნას სამსახურიდან და მისი საქმე გადაეცეს პროკურატურას“.

ირაკლი უკანასკნელი სიტყვების გა-

გონებაში შეკრთა, თავი მაღლა ასწია და როცა ზოგიერთი ამხანაგის გაკვირვებული სახე დაინახა, სირცხვილისაგან სახე აეწვა, თითქოს გახურებულ თონეში ჩააგდესო, მათ შემოხედვას მოღლილი თვალები ძლივს გაუსწორა.

ახლა ირაკლი პაპიროსს აღარ ეწეოდა, ღეჭდა, სახეგაფითრებულს მთელი ტანი უცახცახებდა.

სიჩუმე კრების თავმჯდომარემ დაარღვია.

— ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ პარტბიუროს მიერ გამოყოფილი კომისიის ცნობა სალინოტიპო საამქროში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ვის სურს სიტყვა?

თავმჯდომარემ კრებას ჩაფიქრებულად შეავლო თვალი.

ხალხი შეირხა, თითქოს ფარჩის სამოსელი ამრიალდაო. მაგრამ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას უნდოდა სიტყვა ეთქვა, ირაკლი დაეცვა, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

დაფიქრებული სახით წამოდგა პავლე და დინჯად მიმართა კრებას.

— ამხანაგებო, ჩვენ დღეს მეტად სერიოზულ საკითხს ვიხილავთ, ეს არის, ჩვენი პარტიის რიგებიდან ირაკლი კერესელიძის გარიცხვის საკითხი. ყველამ კარგად ვიცით, რომ პარტიიდან გარიცხვა პატიოსანი კომუნისტისათვის სიკვდილს უდრის. მე კი მწამს და ჩემი აზრით ყველა დარწმუნებულია, რომ ირაკლი კერესელიძეს ამ საქმეში დანაშაული არ მიუძღვის...

— მართალია, მართალია! — უდასტურებდნენ მუშები.

— ეჭვი არავის შეგვაქვს, — განაგრძო პავლემ, — მაგრამ კერესელიძემ ამდენ ხანს რატომ არ აღმოაჩინა ბოროტმოქმედი? ჩემი აზრით, ამას დრო ესაჭიროება! და ჩვენ, იმის მაგივრად, რომ ირაკლისათვის დრო მიგვეცა, დავხმარებოდით მას, ბრძანებითა და საყვედურებით გავალიზიანეთ. ამ ბრძანებებმა საქმის არ უშველა, პირიქით, საქმის გამოსწორებას ხელი შეუშალა. უნდა განვაცხადო, რომ ვახტანგის დაპატიმრების საქმეში შეცდომა ჩავიდინეთ, ქურდობა მისი დაპატიმრების შემდეგაც გრძელდება. ახლა ჩემთვის გასაგებია, რომ ბოროტმოქმედება მიმართულია ამხანაგ კერესელიძის წინააღმდეგ, იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელმაც ჩვენს წარმოებაში პირველმა ჩაუყარა საძირკველი სტახანოვურ მუშაობას. მას ნამდვილად შესტკივა გული ჩვენი წარმოებისათვის და... თავის სამართლიანი კრიტიკის გამო, ზოგიერთებს არ მოსწონთ ის. — აქ პავლე შეჩერდა. მას უნდოდა ეთქვა, რომ იქნებ განზრახ უწყობენო, მაგრამ თავი შეიკავა. — მერწმუნეთ, ამხანაგებო, რომ თუ ირაკლის პარტიიდან გავრიცხავთ, შეცდომას ჩავიდენთ. ჩემი წინადადებაა: მივუთითოთ, დავეხმაროთ მას თავისი ნაკლი გამოასწოროს.

პავლეს შემდეგ ილაპარაკა დირექტორმა. მას აღელვება ეტყობოდა. მან გადაწყვიტა, ისე ელაპარაკა, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. გადაწყვეტილი ჰქონდა, უფრო ირაკლის „სასარგებლოდ“ ელაპარაკა. მან, როგორც პარტბიუროს ერთ-ერთმა წევრმა, წინასწარ იცოდა პარტბიუროს დადგენილება ირაკლის პარტიიდან გარიცხვის შესახებ. კამათში კი იმიტომ გამოვიდა, რომ პავლეს ნალაპარაკევი „თითქოს ზოგიერთებს არ მოსწონდეს ირაკლის სამართლიანი კრიტიკაო“, — არ მოეწონა. ამ „ზოგიერთებში“ თავისი თავი იგულისხმა და სწორედ. ეს აზრი უნდოდა კრებისათვის თავისებურად განემარტა.

— მე კომისიის მუშაობიდან ბოროტმოქმედების გამომჟღავნებას მოველოდი, ამხანაგებო, — თქვა დირექტორმა, — მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კომისიას მთელი სიმძიმე გადაუტანია ამხანაგ ირაკლიზე, როგორც საამქროს ხელმძღვანელზე. მართალი უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში კომისია არ სტყუის. ყველასათვის ცნობილია, რომ ხელმძღვანელი პასუხისმგებელია თავის უბანზე. ამ თვალსაზრისით კომისიის დასკვნა სავსებით სწორია. არ არის მართალი ამხანაგი პავლე, რომელიც ლაპარაკობს, ვითომ „ბოროტმოქმედის აღმოჩენისათვის აუცილებლად რაღაც დიდი დრო იყოს საჭირო“. მე კი ვიტყვი: ბოროტმოქმედს თავი წამოყოფილი არც კი უნდა ჰქონდეს, რომ ჩვენ უნდა დავარტყათ და გავანადგუროთ. ამხანაგ ირაკლის კი, ჩემის აზრით, საკმაო დრო ჰქონდა მიცემული, რომ თავის საამქროში ბოროტმოქმედება აღმოეფხვრა. მან ეს ვერ შეძლო და აი, ამისათვის ჩვენ მას ვაძლევთ სასჯელს.

ირაკლი ენერგიულად მუშაობდა,

მაგრამ ბოლო ხანებში, როგორც ჩანს, გული აიცრუა თავის საქმეზე, აჰყვა მის მიერ მოყვანილ ვახტანგისებურ ტიპებს და თავისი პირდაპირი მოვალეობა დაივიწყა. ჩვენ ბევრი ვეცადეთ ირაკლის დავხმარებოდით, მაგრამ მაინც ვერ გამოსწორდა მის საამქროში შექმნილი მდგომარეობა. მე ვფიქრობ, ამხანაგი ირაკლი თვითონ გამოვა და გულახლილად გვეტყვის ყველაფერს.

დირექტორი დაჯდა. პაპიროსს მოუკიდა. ხელი უკანკალებდა.

— ამხანაგებო, ხომ არავის გსურთ სიტყვა? — შეეკითხა კრებას თავმჯდომარე. ყველა დუმდა. თავმჯდომარემ ახლა ირაკლის მიმართა. — ირაკლი, შენ ხომ არაფერს იტყვი?

— მე პარტბიუროს სხდომაზე ვილაპარაკე. ახლა საჭირო არ არის ჩემი გამოსვლა, — მიუგო ირაკლიმ.

— არაფერს ითხოვ?

— პარტბიუროს ვთხოვე, რაც სათხოვარი მქონდა!

— მაშ, გადავიდეთ წინადადებაზე. პირველი წინადადებაა: ამხანაგი ირაკლი კერესელიძე გაირიცხოს პარტიიდან, მოიხსნას სამსახურიდან და მისი საქმე გადაეცეს პროკურატურას. მეორე წინადადებაა: ამხანაგ ირაკლი კერესელიძეს მიეცეს უკანასკნელი გაფრთხილება, პირად საქმეში შეტანით და დატოვებულ იქნეს სამუშაოზე. ვინა ხართ პირველი წინადადების მომხრე? გთხოვთ ასწიოთ ხელი!..

ხმის უმრავლესობით პირველი წინადადება გავიდა.

* * *

პავლემ და ელენემ ირაკლი დააჯერეს, რომ ჩვენი პარტორგანიზაციის გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და შენს საკითხს ზემდგომი ორგანოები განიხილავენო, მაგრამ ირაკლი ისე აღელვებული იყო, რომ ვერ ისვენებდა, ერთ ადგილას გაჩერება უძნელდა.

გადაწყვეტა, იმავე ღამეს დაეწერა განცხადება ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახელზე. სჯეროდა გაამართლებდნენ, მაგრამ გული მაინც ულონდებოდა, თითქოს ფეხებიდან ნიადაგი ეცლებოდა და უფსკრულში ეშვებოდა.

ელენემ და პავლემ აღარ იცოდნენ, როგორ გაემხიარულებინათ ირაკლი, როგორ დაერწმუნებინათ, რომ ეს მარცხი არ იყო გადამწყვეტი მის ცხოვრებაში, რომ მას [illegible] პარტიამი და მომავალ[illegible] ცდას დააკვიწყებდა.

ირაკლი მათ არ უგდებდა ყურს. იგი გაშტერებული მისჩერებოდა ფანჯარას. იგი ხედავდა მამადავითის მთაზე ჩამოწოლილ შავ ღრუბლებს, რომლებიც თანდათან აბნელებდნენ მიდამოს.

ამ დროს რამდენჯერმე იელვა. მერე თითქოს ათასმა ქვემეხმა ერთად იგრიალა, იტეხა და სახლებმა ზანზარი დაიწყეს.

— დაკეტე ფანჯრები, ქარი ამოვარდა, შუშები არ დაამტვრიოს! — მიმართა პავლემ ელენეს, მაგრამ აღარ დაუცადა მას და თვითონ წამოხტა. ფანჯრები სწრაფად ჩაკეტა.

— მე წავალ! — წარმოთქვა ირაკლიმ და ქუდი დაიხურა.

— სად წახვალ, ამაღამ ჩვენთან დარჩი, ირაკლი! — სთხოვა ელენემ.

— დარჩი, ძმაო, წვიმამ გადაიაროს და მერე წადი. — შეეხვეწა პავლეც.

— ძია ირაკლი, ჩვენთან იყავი. — ეხვეწებოდა მათი თმახუჭუჭა ბიჭუნაც.

— არა, გენაცვალე, — გაუღიმა ირაკლიმ ბავშვს და ხელი ლოყაზე მოუცაცუნა, — უეჭველად უნდა წავიდე. ღამე მშვიდობისა!

ქუჩაში გავიდა თუ არა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

წვიმა თანდათან მატულობდა და რამდენიმე წამში ისე გაძლიერდა, თითქოს ზღვა გადმოპირქვავდაო. სახურავის მილებში წყალი რომ ვერ ეტეოდა, ნაპირებიდან იღვრებოდა. ნიაღვარივით მოვარდნილმა წყალმა ქუჩები დაფარა.

ვიდრე ბელგიის ქუჩას გამოიცლიდა და პლეხანოვის პროსპექტზე გამოვიდოდა, მოასფალტებულ ქუჩის მაგივრ აბობოქრებული მდინარე დახვდა. კაცი არ ჭაჭანებდა. ცას პირი მოეხსნა, თითქოს ლამობდა ქვეყანა წყალში ამოეხრჩო.

ირაკლი ცდილობდა ჩქარა ეცლო, რომ ასეთი ნიაღვრის დროს დედას არ შეშინებოდა. ირაკლი ქუჩაში მდინარეს მიაპობდა. უკვირდა, როგორ მოაგორებდა წყალი ვებერთელა ლოდებს, რომლებიც ხანდახან საგრძნობლად მტკივნეულად ეჯახებოდა და ერთხელ კინალამ წააქცია კიდეც.

თავზარდაცემულმა ირაკლიმ ლენინგრადის ქუჩის ბოლოს გადახედა. მარჯანიშვილისა და ბელგიის ქუჩიდან მოვარდნილი ნაკადები შესახვევში იყრიდა თავს და პირდაპირ კომბინატის ალაყაფის კარებისაკენ მიიმართებოდა.

ირაკლი კარებთან მიიჭრა. ნიაღვრისაგან ნახევრად გაღებული კარი იზნიქებოდა.

საყარაულო ფარდულში ჩაკეტილი დარაჯი შეშინებული მოსდგომოდა ფანჯარას და ტუჩების ცმაცუნზე ეტყობოდა, რომ რაღაცას ყვიროდა, მაგრამ მისი ყვირილი ცისა და წვიმის გრგვინვაში სულ არ ისმოდა.

ირაკლიმ შეამტვრია ფარდულის კარი და შეჰყვირა:

— გამოდი, მომეშველე, საწყობი გადავარჩინოთ!

თავზარდაცემული დარაჯი ირაკლის გაჰყვა.

ირაკლიმ მანქანის რკინის ჩარჩოს ხელი წაავლო, მოიშველია დარაჯი და გასამაგრებლად კარებს შეუდგა. წყალი მათ წელამდე სწვდებოდა. დარაჯი რამდენჯერმე წააქცია წყალმა. ირაკლი ჩარჩოზე ხელჩაჭიდებული იდგა, რომ წყალს არ წაეთრია, მაგრამ წყალმა ჩარჩოსთან ერთად ირაკლიც გადაიყოლა.

ირაკლიმ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ამ ჩარჩოს კარზე მიდგმა მოახერხა.

— აბა, სიმონ, ახლა აგურები ვზიდოთ და მივაყაროთ!..

რამდენიმე წუთის შემდეგ კარებთან ორი მეტრის სიმაღლეზე აგურები დააგროვეს. რამაც ლენინგრადის ქუჩიდან მოხეთქილი ნიაღვარი კამოს ქუჩისაკენ შეაბრუნა.

წყლის დიდი ნაწილი აიცილეს, მაგრამ პატარა შენაკადები მაინც ავსებდნენ სარდაფებს.

— სიმონ, მე საწყობებს მივხედავ, შენ კი აქ იყავი, წყალმა კედელი არ გამოანგრიოს.

ირაკლი საწყობისაკენ გაიქცა.

წვიმა არ ცხრებოდა, პირიქით, მატულობდა კიდეც.

ეზო ტბას დამსგავსებოდა.

საწყობში ჩასასვლელი კიბეების რამდენიმე საფეხური წყალს უკვე დაეფარა.

ირაკლიმ კიბეები ჩაირბინა, მიადგა საწყობის კარებს, რომელიც წყლისაგან შეზნექილიყო.

ირაკლიმ ფანჯრიდან [illegible] გავსებულ სარდაფში შეიხედა. [illegible] ელნათურა ოდნავ ციმციმებდა. ირაკლიმ ვერაფერი გაარჩია.

მუშტით შეამტვრია მინა და ფანჯარაში შეძვრა. სამი მეტრის სიმაღლიდან პირდაპირ გადაეშვა და ქაღალდის ვეებერთელა შეკვრებზე დაეცა. იგი წამოხტა და, ვიდრე სიბნელეს თვალს შეაჩვევდა, გაემართა საწყობის კანტორაში შესასვლელ კარისაკენ. ახსოვდა, ეს კარი თხელ ფიცრებისაგან იყო შეკრული. იგი ვერ გაუძლებდა ოთახებში დაგროვილ წყალს და მაშინ საწყობს ვეღარ უშველიდა, ქაღალდი და სხვა მასალა გაფუჭდებოდა.

ირაკლიმ კარს ყური მიადო. სიწყნარე იგრძნო. ის-ის იყო გულდამშვიდებული სარდაფისაკენ გამობრუნდა, რომ სამინელი ნგრევის ხმა გაისმა. ეზოდან მომსკდარმა წყალმა აგურების გროვა ხმაურით გადმოანგრია და შხუილით გადაეშვა საწყობისაკენ.

აშკარა იყო, რომ თხელი ფიცრით შეკრული კარი მეტს ვეღარ გაუძლებდა. ირაკლიმ სამასკილოგრამიანი ქაღალდის ხვეული გადმოაგორა და კარებს მიაბჯინა. შემდეგ ასეთივე ხვეულების გამოგორებას შეუდგა, ძვირფასი ქაღალდებით, აზერფოლით, კალენკორით, მუყაოს და ლედერინის შეკვრებს შემაღლებულ ადგილისაკენ ეზიდებოდა.

წყალი შეიჭრა საწყობში.

ირაკლიმ მუყაოს უკანასკნელი შეკვრა ააცურა ფიცარზე. მერე თვითონ აძვრა ფანჯრის რაფაზე, ლითოგრაფიის ქვის გამონაშვერზე ფეხი შედგა და როგორც იქნა მუყაოს შეკვრაც აითრია ზემოთ. სარდაფში უკანასკნელი მბჟუტავი ელნათურებიც ჩაქრა. დალეწილ კარებიდან შემოხეთქა წყალმა და ირაკლის თითქოს გული ჩასწყდაო, თავბრუ დაესხა და ღონემიხდილი დაეცა.

* * *

ჯერ კიდევ წვიმდა, როდესაც ფიდო გულის ფანქქალით შეიჭრა წიგნის სასახლის ეზოში. გადაირბინა აგურების გროვა და ღონემილეულ სიმონს წააწყდა, ალაყაფის კარებზე ნიჩბით, სილისა და ტალახის მიყრას რომ განაგრძობდა.

— საწყობში რა ამბავია? — შესძახა ფიდომ და საწყობისაკენ გაიქცა.

გონზეგოსულმა სიმონმა ნიჩაბი ხელიდან გააგდო და ფიდოს დაედევნა.

— კაცი დაიდუპა, ფიდო, კაცი დაიხრჩო საწყობში!

— ვინ კაცი?

— ირაკლი!

— ირაკლი? — ელდანაცემი ფიდო შეჩერდა საწყობის კიბესთან, რომლის ქვედა საფეხურები ჯერ კიდევ წყლით იყო დაფარული.

— იმას აქ რა უნდოდა?

— წვიმა რომ წამოვიდა, ირაკლიმ მოირბინა... ალაყაფის კარები ამოხერგა, მერე ფანჯრიდან საწყობში გადაძვრა. ბევრი ვეძახე, მაგრამ ხმა აღარ გაუცია. წყალი შედიოდა სარდაფში. მე აქ ვცდილობდი წყლის შეკავებას. მინდოდა მეშველა, მაგრამ იმ კაცს ვეღარ ვხედავ!..

ვიდრე სახანძრო რაზმი მოვიდოდა, ხალხი შეგროვდა. გამოჩნდა საწყობის გამგე, გაფითრებული, შეშინებული. მერე, სპირიდონი და კირილეც მოვიდნენ.

კაცი ხმას არ იღებდა. მხოლოდ ელენე ეკითხებოდა სიმონს ირაკლის შესახებ.

მეხანძრეებმა წყლის ამომქაჩავი მანქანები აამუშავეს. გაუკვირდათ, როდესაც რეზინის მილები პირველ ფანჯრიდან გადაუშვეს, იქ სადაც საწყობის მთავარი ფართობი იყო. მანქანის ამუშავების დროს ვერც ერთი წვეთი წყალი ვერ ამოიღეს.

საწყობის კიბეებიდან წყალი მალე ამოიწრიტა. საწყობის გამგემ კარები შეაღო. მას მოუთმენლად შეჰყვნენ სხვებიც... გაირბინეს ოთახები და სარდაფები. მიადგნენ საწყობის შიდა კარს, ამ კარის მხოლოდ ქვედა ნაწილი იყო მთელი, ზედა, ჩამოსაკიდ ჩარჩოებამდე დამსხვრეული იყო.

გათენების ბინდბუნდში შეამჩნიეს, რომ საწყობის წინა ფართობი დაცარიელებული იყო.

პავლე კარებსა და დასველებულ ქაღალდის ხვეულს გადაახტა. მას ფიდო და უფროსი მეხანძრე მიჰყვნენ.

— სასწრაფო დახმარება გამოიძახეთ! — სარდაფიდან გამოსძახა პავლემ ელენეს.

— მე გამოვიძახებ! — შესძახა ვიღაცამ კარებიდან. ელენე კი საწყობში შევიდა.

მიწითა და ღორღით სავსე სარდაფში კედელთან ირაკლი პირქვე გამოტილიყო.

ფიდომ და პავლემ სწრაფად გადმოიღეს ირაკლი და საკაცეზე დაასვენეს.

სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ჩალურჯებული ტუჩები ოდნავ გაპობოდა და სისხლიანი კბილები უჩანდა.

კირილემ და სპირიდონმა ერთმანეთს უხმოდ გადახედეს.

ელენემ ირაკლის მკერდზე ყური დაადო...

— ცოცხალია, ცოცხალი! — სიხარულით შესძახა მან.

* * *

ექიმმა ელისო დაამშვიდა:

— თქვენი შვილი ისეთი ჯანმრთელია, რომ ათას წარღვნას გადაიტანს. ეგ სიცხე მალე გამონელდება. მაგარი გული აქვს!

— დედა ენაცვალოს! — წაიბუტბუტა გახარებულმა ელისომ, სპანი შეუკიცა და ტახტის ბოლოზე ჩამოჯდა.

ბნელოდა. ოთახში სიჩუმე იყო. ელისომ სინათლეც კი არ აანთო, — შვილს ძილი არ დაუფრთხესო.

— შეიძლება? — გაისმა კარებთან მოკრძალებული ხმა და ამ ხმაზე ავადმყოფიც შეიშმუშნა.

ელისომ ნათელა ხმაზე იცნო.

— მობრძანდი, შვილო, მობრძანდი! — წამოდგა ელისო ტახტიდან და ოთახი ელექტრონით გაანათა.

ნათელამ კარებთან მაგიდაზე რაღაც ქაღალდში შეხვეული დადო. მერე ელისოსთან მივიდა და აკოცა.

— როგორ არის ირაკლი, დეიდა?

— არ ვიცი, გენაცვალე, ექიმმა კი მანუგეშა, მოსვენება უნდა, ძალზე გადაქანცულიაო.

ირაკლიმ ნათელა ხმაზე იცნო. ესიამოვნა და თვალი გაახილა.

ნათელა ფეხაკრეფით მივიდა ირაკლის საწოლთან და იქვე ჩამოჯდა.

— არ შეგშვენის ლოგინში წოლა, ირაკლი! — ღიმილით უთხრა ნათელამ. ირაკლის ნაღვლიანი გამოხედვა რომ შენიშნა, თვითონაც მოიწყინა. დუმილის შემდეგ მის გამხნევებას შეეცადა.

— გადაიყარე გულიდან ჯავრი, ყველაფერი გამოსწორდება! ვაჟკაცი არა ხარ? შენი ცხოვრება წინ არის, გული გაიმაგრე!

ირაკლიმ ნაღვლიანად გაიღიმა და საბნისპირის ყვავილების ხვეულს თვალი გააყოლა.

— ნუთუ დამარცხებულად უნდა ჩათვალო თავი და დაჯაბუნდე. სირცხვილია, ირაკლი. ხომ გჯერა, რომ ეს ვიღაც გაიძვერებმა მოგიწყვეს?

— განა კომკავშირმა და პარტიამ ისე გამოგზარდა, რომ ასე უცებ ბრძოლის უნარს კარგავ?!. ეაეც რომ არ იყოს, თავმოყვარეობა რას გიკარნახებს?.. თავი უნდა გარმართლო!..

ირაკლიმ სიცხიანი ხელი ჩაავლო მაჯაში და სიტყვა შეაწყვეტინა.

— ავდგები და უსათუოდ ვიბრძოლებ ჩემი სიმართლისათვის! — უპასუხა ირაკლიმ და სიხარულით მიაცქერდა ნათელას. სიმხნევე იგრძნო.

კარებზე მორიდებული კაკუნი გაისმა.

— გახედე, დედა, ვინ არის? — გადასძახა ირაკლიმ.

ოთახში შემოვიდა მოხდენილად ჩაცმული, ტანმაღალი, პირხმელი ახალგაზრდა, რომელსაც იღლიაში პორტფელი ჰქონდა ამოდებული.

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის, მაგრამ საჩქარო საქმე მაქვს თქვენთან. — წარმოთქვა მან და ისე გადახედა ნათელას და ელისოს, თითქოს უსიტყვოდ ანიშნა. მარტო მინდა დარჩენაო. ელისო და ნათელა მიხვდნენ და ოთახიდან გავიდნენ.

— მე გახლავართ უფროსი გამომძიებელი!

— დაბრძანდით, ამხანაგო, — გაუშვირა ხელი ირაკლიმ სკამისაკენ.

— ამხანაგო კერესელიძე, მე მაინტერესებს ორი საკითხი. თუმცა მე მაქვს მათზე უკვე გარკვეული შეხედულება, მაგრამ, ვფიქრობ, თქვენი აზრი გადამწყვეტი იქნება.

— ბრძანეთ!

— პირველი, მე მაინტერესებს თქვენი მართალი, პირუთვნელი შეხედულება თქვენს მეგობარზე, ვახტანგზე.

— ვახტანგზე? ის უმწიკვლო ადამიანია! თუკი მის პატარა ბნელ წარსულს ბოროტად არ გამოიყენებთ, ლაქას ვერავინ წასცხებს... გულახდილი მოვიდა ჩვენთან და ცხოვრების სწორ გზაზე დადგა.

— მაშასადამე, თქვენი აზრით, ვახტანგი ამ საქმეში არაფერ შუაშია?

— დიახ, მე ასე მჯერა?

— მეორე, იცნობთ თუ არა კირილე შაფაქიძეს?

ირაკლი წუთით ჩაფიქრდა. გულში რაღაცამ გაჰკრა.

— თითქმის არ ვიცნობ. დირექტორისაგან კი გამიგია, ძალიან მოხერხებული და საქმიანი კაციაო.

— მაშ, მისი წარსულიდან არა იცით რა, რომ ის განკულაკებული ყოფილა.

— არა, პირიქით, ისევ დირექტორისაგან გამიგია, რომ იგი კოლმეურნე ყოფილა.

გამომძიებელმა გაიღიმა.

— ბაქოდან გვეკითხებიან. გვთხოვენ გავიგოთ, თუ ვინ გაყიდა თბილისში ბატრიცები.

გამომძიებელმა პორტფელიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და ჩუმად გაიკითხა.

— მაშასადამე, თქვენს წარმოებაში დაკარგული მატრიცები გაყიდულია ბაქოში. — ჩაილაპარაკა თავისთვის და მერე ისევ ირაკლის მიუბრუნდა. — თქვენ არ გახსოვთ, ამ ხნის განმავლობაში ვინ იყო ბაქოში მივლინებული?

განცვიფრებული ირაკლი ცდილობდა გახსენებას, მაგრამ ვერ მოეგონებინა.

— არა, არავინ არ ყოფილა, — გააქნია თავი ირაკლიმ.

— მაშ ეს იქიდან ჩამოსული ექსპედიტორის საქმე იქნება. ამასაც გავიგებთ. მატრიცები ვის ებარა?

— კირილე შაფაქიძეს, მაგრამ მატრიცები საწყობიდან კი არა, ჩემს საამქროდან იკარგებოდა!

— მესმის... — წარმოთქვა გამომძიებელმა. პორტფელი დახურა და წამოდგა, — ესეც მითხარით, კომბინატის რომელიმე მუშა თუ მეგობრობდა შაფაქიძესთან?

— ეგ არ ვიცი. მხოლოდ. თუკი როდესმე ჩვენს საამქროში შემოსულა, გულთბილად მხოლოდ კუტივაძეს გახუმრებია.

— ბოდიში შეწუხებისათვის, ნახვამდის!

— ბოდიშინეთ. ვახტანგზე არაფერს მეტყვით?

— ვახტანგს ამაღამ გავათავისუფლებთ!

* * *

მეორე დღეს ირაკლიმ უწყება მიიღო. მას ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე იბარებდნენ.

უხაროდა ირაკლის.

„ფიდოც იქ იქნება, უმისოდ ხომ არ გადაწყდება კომბინატის რაიმე საქმე! ფიდო პატიოსანი კაცია, ცილისმწამებლებს არ მისცემს ნებას, რომ საბოლოოდ გამსრისონ!“ — ფიქრობდა ირაკლი.

საათის ისრები ძლივს მიცოცავდნენ. ანე ეჩვენებოდა ირაკლის. მფოთავდა. ველარ ისვენებდა. წამოწვა. იქნებ დავიძინოო, მაგრამ მაშინვე წამოხტა.

ელისოს ხელსაქმე კალთაში ჩაეწყო. გულხელდაკრეფილი იჯდა. შიშით შეჰყურებდა შვილს. თვალს არ აშორებდა. გულში სთხზავდა ათასგვარ წინადადებას: სთავაზობდა კერძს, მურაბას, ყავას, თუნდა ღვინოსაც ამოუტახდა, ოღონდ ამ პაპიროსის წევისათვის თავი დაენებებინა.

მაგრამ ის ვერ უბედავდა შვილს ამის თქმას.

შესცქერის და ამჩნევს, რომ იმედიანი ნაპერწკალი უკრთის თვალებში.

— ჰაერზე გავალ.

— წადი, გენაცვალოს დედა!

ქალაქი ელექტროშუქით იყო განათებული.

ირაკლიმ ტესიკის ქუჩა ჩაიარა. ჯორჯიაშვილის ქუჩით მარქსის სახელობის ხიდის ერთი ნაწილი გადაიარა. მარცხნივ გადაუხვია და ახლადგაშენებულ ბაღში შეავიდა. შუა ბაღიდან შემოუხვია და დაეშვა სანაპიროსაკენ. მიძინებულ ბადრებიდან ჩამოცვენილ ხმელ ფოთლებს ირაკლის ფეხქვეშ ხმაური გაჰქონდა.

მტკვრის სიგრილე მოჰქროდა.

საათი რვას უჩვენებდა.

— რა გაიყვანს ამ დროს? — გაიფიქრა.

ქვაფენილიდან განიერი კიბეებით პატარა მოედანზე ჩავიდა. აქ ორივე მხარეს ზურგიანი გრძელი სკამები იყო ჩამწკრივებული. მასზე რამდენიმე სერიოზულად მოსაუბრე წყვილი იჯდა.

ირაკლის არც ამ ადგილზე მიუვიდა გული. ისევ გასეირნება არჩია.

ახალი ცირკისაკენ გაეშურა.

* * *

ნათელას დიდი ხანია, რაც ოდუმალი გრძნობა აწუხებდა, მაგრამ [illegible] არავინ ჰყავდა, რომ ვინმესათვის გაეზიარებინა. ამას არავის დახმარება არ სჭირდებოდა. არავისგან არ სურდა შველა. სათუთად ინახავდა თავისი გულის ფიქრს, არავის უმხელდა. გულს არავის უხსნიდა და რადგან მესაიდუმლეს არ ეძებდა, არც არავის აგრძნობინებდა თავის გულის წადილს.

მშობლები ვერ მიუხვდნენ ნათელას. ბევრჯერ შეეცადნენ გაეგოთ, რატომ არაფერს არ ფიქრობდა ნათელა თავის მომავალზე, გულის სწორზე. საკუთარი ოჯახის მოწყობა ხომ საჭირო იყო? ნათელა მომხიბვლელი გოგონაა, მხიარული, სიცოცხლით სავსე. ყმაწვილებიც თავს ევლებოდნენ, მაგრამ რატომ არა ჰყავდა გულის სწორი? განა მშობლები დაიშლიდნენ, თუკი თვითონ ვინმეს აირჩევდა?!.

დედ-მამას არ გამოეპარება შვილის იდუმალი გრძნობა, რაც არ უნდა დაფაროს იგი.

დედამ ერთ საღამოს მორიდებით ჩამოუგდო ლაპარაკი.

— შვილო, ნათელა, ჩვენც გვინდა მოვესწროთ შენს შვილს! — მუდარა გაისმოდა დედის ხმაში.

ნათელამ წარბები შეიკრა.

ამის შემდეგ ველარ უბედავდნენ გათხოვებაზე სიტყვის ჩამოგდებას. ნათელას დედა გულს იმშვიდებდა. ფიქრობდა, მშვენიერი ქალის გათხოვება ყოველთვის შეიძლებაო!

მთვარე ამღვრეულ მტკვარს დაჰქათქათებდა.

ირაკლი სანაპიროს მოაჯირს დაეყრდნო. თვალი გააყოლა მტკვარს და ბორანს მიაჩერდა.

ბორანი მტკვარზე დაღვრილ მთვარის ნათელზე მიცურავდა, შუაში კუნძულის აქეთ-იქით ნაკადების შესართავთან გაჩერდა. მებორნემ ორთაყვირი ასწია, მერე მარცხნივ წამოიღო და თითქოს ბორანმა აიწყვიტაო, მავთულებზე ზეთით გაპოხილი რგოლების ჭრაჭუნით, თვალის დახამხამებაში მისრიალდა ბოგირთან.

ირაკლიმ იგრძნო, რომ ვიღაცა მხარში სწვდა, მიიხედა და ნათელა დაინახა.

გაეხარდა.

— აქ რას აკეთებთ? — გაკვირვებით შეეკითხა ნათელა.

— ცენტრალურ კომიტეტში ვარ გამოძახებული, ნათელა!

— მართლა?! — სიხარულით წამოიძახა, — დღეს დილით მინდოდა შენი ნახვა. როგორ მიხარია, ირაკლი, როგორ მიხარია! — აღელდა ნათელა.

ირაკლი შეაცქერდა ნათელას და მძიმედ ამოიხვნეშა. გაქცევა დააპირა.

ნათელამ იგრძნო ირაკლის განზრახვა. ორივე ხელით მაჯაში სწვდა და გააჩერა.

— რას ბავშვობ, ირაკლი. მე შენს ლოდინში გული დამელია, შენ კი გარბიხარ! — უსაყვედურა.

ირაკლი შეკრთა, თავი სიზმარში ეგონა.

— მე შენი ზრუნვის ღირსი არა ვარ!..

19.

ირაკლიმ გულის ფანცქალით აირბინა მარმარილოს ფართო კიბეები.

რძისფერ ნათურებში ჩამსხდარი ელექტროლამპიონები შვიდფერ სინათლეს აფრქვევდა კიბის ბაქნებზე, ვესტიბიულებში და კორიდორებში, რომლებიც გრძელი ხალიჩებით იყო მოფენილი.

კიბის ყველა შემოსახვევში და კუთხეში ვეებერთელა პალმები იდგა.

— იმ კარში შებრძანდით! — ანიშნეს მას.

ირაკლიმ ტყავგადაკრული მაღალი კარი შეაღო და ოთახში შევიდა. ქართული სტილის ბორდურებიან კედლებზე, კაკლის ხის ჩარჩოებში ბელადების პორტრეტები ეკიდა. საწერ მაგიდას მისჯდომოდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც გადაშლილ წიგნს ჩასცქეროდა.

ირაკლის შემოსვლაზე მან თავი მაღლა აიღო და ცისფერი თვალები შეანათა.

ირაკლიმ სამი წარუდგინა. ქალმა გადაათვალიერა, გადაშალა წიგნი, შეხედა კედელზე საათს და შიგ რაღაცა აღნიშნა.

— მანდ მოსაცდელი ოთახია და იქიდან თავის დროზე გამოგიძახებენ.

ირაკლი დამშვიდდა.

ჯერ შეეშინდა, ბიუროზე მარტო მეხომ არ მიბარებენო. ჩემი მოხსენებითი ბარათი ისეთი ხასიათისა იყო, რომ კომბინატიდან დირექტორი და პარტკომი მაინც უნდა დასწრებოდნენ და მარტო ჩემთან რა გადაწყდებაო. ეამა, როცა ქალმა მოცდა სთხოვა.

მოსაცდელ ოთახს დიდი დარბაზი წარმოადგენდა. წითელი ხით დაფარული კედლები, ტყავგადაკრული სავარძლები და წითელი ხის მაგიდები; კედელზე ეკიდა რამდენიმე ფერადი სურათი წითელი ხის ჩარჩოებშივე ჩამჯდარი. ეს სურათები გამოხატავდნენ ლენინისა და სტალინის გმირული და დაუღალავი ბრძოლისა და ცხოვრების ეპიზოდებს. ოქროსფერი ლითონის ჭაღები, ისეთივე რძისფერ ნათურებში, როგორც კორიდორში და კიბეებზე, მშვიდ სინათლეს აფრქვევდნენ ძირს გაფენილ ხალიჩებზე და ჩამწკრივებული პალმები, თავისი ჩრდილებით ლამაზ სურათებს ხატავდნენ.

დარბაზში ხალხი იცდიდა. ისინი უფრო ჯგუფად იყვნენ შეგროვილნი და ჩუმად ათვალიერებდნენ სურათებს, მაგიდაზე დაწყობილ ჟურნალებსა და გაზეთებს. ზოგი ხმადაბლა საუბრობდა. კართან მრგვალ მაგიდას ორი კაცი მისჯდომოდა.

ერთი მათგანი ფიდო იყო, ის გაზეთს ათვალიერებდა. ფიდოს ჩვეულებრივი დინჯი და საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ირაკლის ერთი თვალის შევლებითაც არ გამოეპარა, რომ ის რაღაცით კმაყოფილი იყო. სპირიდონი გვერდით უჯდა, ის ლოყებჩამოცვენილი, ფერწასული, უმოძრაო თვალებით მისჩერებოდა გაზეთის მეორე გვერდს. მძიმე ავადმყოფივით მთელი სხეულით მისვენებოდა სავარძლის ზურგს. მელოტი თავი სარკესავით უკრიალებდა და ორიოდე ღერი გრძელი თმა სიტიტვლის დასაფარავად კეფიდან შუბლისაკენ რომ წამოევარცხნა, ქოდის მოხდის დროს ასწეწოდა და უბზინავდა.

მათ ირაკლის შემოსვლა არ გაუგიათ.

ირაკლიმ გადაწყვიტა მისულიყო მათთან. მაგრამ უმალ გადაიფიქრა. ყველაფერი მოაგონდა. განა ამას მოელოდა ფიდოსაგან? წლების განმავლობაში ფიდოს მისთვის მამის მაგვრობა გაუწევია. კარგად იცნობდა ირაკლის, მის ხელში დავაჟკაცდა და ის როგორ გაიფიქრა, რომ ირაკლი ბოროტმოქმედია? რა გულგრილად მოეპყრო?! ვთქვათ, თვითონ ვერ შეძლო ამ მოხერ-

ხებულად მოწყობილ ბოროტ მახედან თავის დაღწევა, რად არ შესძრა ფიდომ მთელი კომბინატი, რომ მართალი კაცი უბედურებისაგან დაეხსნა?! სპირიდონი კი, აგერ იქ, კუთხეში გამოშტერებული რომ ზის და ლოქოსავით პირი დაუღია, ისეთივე ბოროტმოქმედია, როგორც ის სხვა ვილაც უცნობი, ირაკლის სამარეს რომ უთხრიდა.

ირაკლი აღელდა, წარბები შეიკრა და მუშტები შეკუმშა. სიბრაზე მოაწვა ყელში.

„სპირიდონი თავისი გამომეტყველებითაც კი ამტკიცებს, რომ ღირსი არ არის კომბინატის ხელმძღვანელობისა. რა შეუძლია მას, რის გაკეთება?! კაცი, რომლის გონება წვრილი სტამბების ჩარჩოებს ვერ გასცდა, ვერ შეიცნო ქვეყნისა და შრომის სიახლე, ვერ ჩასწვდა მის აზრს! ფიდო რომ არ მდგარიყო, პავლე რომ არ ყოფილიყო, ირაკლიც რას იზამდა?!“ — ფიქრობდა ირაკლი. იგრძნო სიძულვილი სპირიდონისადმი და ზურგი შეაქცია. კედელზე ჩამოკიდებულ ერთ ნახატს მიუახლოვდა და სიყვარულით დააცქერდა. ყურებიან ბეწვის ქუდში და კოჭებამდე დაშვებულ მხედრულ მაზარაში დიდი სტალინი მარხილზე შემდგარიყო და სიტყვით მიმართავდა ცხენოსანი არმიის ჯარისკაცებს, ცარიცინის დასაცავად რომ მიჰქროდნენ.

სტალინს ხალხი შემოხვეოდა და აღფრთოვანებით უსმენდა.

ირაკლის მზერა განსაკუთრებით მოიტაცა სურათის მარცხენა კუთხეში მდგარმა ბიჭუნამ, აღტაცებით რომ შესცქეროდა დიდ ბელადს.

კარი გაიღო და დინჯად გამოვიდა ხალხის ჯგუფი.

ერთმა მათგანმა, მომცრო ტანიანმა, ტყავის პიჯაკში გამოწყობილმა, რომელსაც გამხდარი სახე ასწითლებოდა, ხმამაღლა წარმოთქვა:

— ჩვენმა გეგმამ გაიმარჯვა, ხვალვე გავუშვებთ ახალ ელექტრომავლებს!

მათ სწრაფად გაიარეს დარბაზი და გავიდნენ.

ირაკლიმ ნახევრად ღიად დატოვებულ კარს გახედა.

— ირაკლი კერესელიძის საქმეზე! — გაისმა ხმა ღია კარიდან.

ირაკლის მთელი სხეული აუთრთოლდა, მოეშვა, მოდუნდა, მაგრამ ამ მდგომარეობამ მხოლოდ ელვის სისწრაფით გაურბინა სხეულში, როგორც ელექტრონმა, და მერე ისევ დაეჭიმნენ კუნთები, თითქოს სპილოს ძალისაგან გამოუთლიათო. გაკაჟდა და დაუცხრომელი ენერგია ზღვა ხალისად მოაწყდა.

გაუკვირდა, თუ როგორ აღმოჩნდა მასთან ერთად ფიდო და სპირიდონი. როდის შევიდნენ, ვერ მიხვდა.

ირაკლი დამშვიდდა.

ჩუქურთმიანი საწერი მაგიდის აქეთ, ტყავის მაღალზურგიან სავარძელში იჯდა მდივანი.

მაგიდას შემოსხდომოდნენ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები.

ფიდო და სპირიდონი კედელთან მდგარ სავარძლებზე დასხდნენ, ირაკლი კი მაგიდის ბოლოს გაჩერდა. ის მორიდებული იყო. არ იცოდა სად დამჯდარიყო. ეს ნახევარ წამში გარბენილი ყოყმანი მდივანმა რომ შეამჩნია, ღიმილით უთხრა:

— მოდი აქ, აქ დაჯექი! — მარჯვნივ, სავარძელზე ანიშნა.

ირაკლიმ შემოთავაზებული სავარძელი ოდნავ უკან გასწია და დაჯდა.

ბელადის სურათის ქვეშ მდგარი სავარძლიდან წამოდგა პირხმელი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაღალი ტანის ყმაწვილი, გვერდზე გადავარცხნილი წაბლისფერი თმით, ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი. საქაღალდე გადაშალა და ქაღალდები შეათვალიერა.

ირაკლიმ თავისი მოხსენებითი ბარათი იცნო.

ინსტრუქტორმა ირაკლის საქმის გამორკვევის კითხვა დაიწყო.

„დადგენილი ცნობებიდან ჩანს, რომ კომბინატის მომმარაგებლის, კირილე შაფაქიძის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებები მეტად მოხერხებულად იყო მოწყობილი. მან გადაიბირა ლოთი თანამშრომელი ვასო კუტივაძე. მისი დახმარებით მთელი წლის განმავლობაში იპარავდა მატრიცებს, ლითონს და სხვა ფასიან მასალებს სალინოტიპო საამქროდან, რამაც გეგმის ჩავარდნებს ხელი შეუწყო. მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ამხანაგი ირაკლი კერესელიძე ვეღარ გაუძღვებოდა მასზე დაკისრებულ საქმეს. ამ მხრივ გარკვეული ბრალი მიუძღვის კომბინატის პარტკომის მდივანს, ამხანაგ ფიდო მდევაძეს, რადგან მან დროზე ვერ შეისწავლა კი-

რილე შაფაქიძე. კირილე შაფაქიძე კომბინატის დირექტორის სპირიდონ იმნაიძის სიმამრი აღმოჩნდა.

კირილე შაფაქიძე მთლიანი კოლექტივიზაციის ჩატარების დროს გაუკულაკებიათ, რაც მას არსად არ გაუმჟღავნებია. მას ქურდობის გზით, სახელმწიფო ქონების მითვისების საშუალებით უნდოდა ჩამორთმეული ქონების ანაზღაურება.

კომბინატის დირექტორი სპირიდონ იმნაიძე მას ფარავდა. კიდევ მეტი, მან ისარგებლა მისი ბოროტმოქმედებით ირაკლი კერესელიძის წინააღმდეგ, რათა მისი კომბინატიდან მოცილებით, განთავისუფლებულიყო ირაკლის დაუნდობელი კრიტიკისაგან და ამით შეენარჩუნებინა თავისი უმწეო და მისთვის შეუფერებელი თანამდებობა.

როგორც საბუთებიდან ჩანს, ამხანაგი ირაკლი კერესელიძე სტამბის საქმეებისათვის თავდადებული მუშაკი იყო. ის იყო ორგანიზატორი და პირველი მაგალითის მაჩვენებელი სტახანოვური შრომისა. ირაკლი კერესელიძის ენერგიის მაჩვენებელი ისიც არის, რომ მან სამუშაოდან მოუწყვეტლად მიიღო უმაღლესი განათლება. გარდა ამისა, ირაკლი კერესელიძე კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის სარგებლობდა სიყვარულითა და ავტორიტეტით?;

ინსტრუქტორმა დაამთავრა გამოკვევის კითხვა და დაჯდა.

— თქვენ დაგავიწყდათ აღგენიშნათ ამხანაგ ირაკლი კერესელიძის ერთი დამახასიათებელი ფაქტიც, — მიმართა მდივანმა ინსტრუქტორს და მერე ღიმილით გადახედა ირაკლის, — ამხანაგმა ირაკლი კერესელიძემ დაღუპვისაგან გადაარჩინა მილიონზე მეტი ღირებულების სახელმწიფო ქონება.

ირაკლი სიხარულისაგან შეკრთა და თავი ჩაღუნა.

მდივანი მიუბრუნდა ფიდოს.

— ამხანაგო მდევაძე, თქვენ რას იტყვით?

ფიდო, რომელიც სერიოზული გამომეტყველებით ფარავდა თავის დიდ სიხარულს, ფეხზე წამოდგა და კრებას თვალი მოავლო. მერე თვალები გაუსწორა მდივანს და აღელვებით წარმოთქვა:

— მე დამნაშავე ვარ ამხანაგ ირაკლი კერესელიძის წინაშე...

— შეკითხვები თუ გაქვთ ვინმეს?— მიმართა მდივანმა ბიუროს წევრებს.

შეკითხვა არავის ჰქონდა. ირაკლის ყველა სიამოვნებით შესცქეროდა.

— ჩემი წინადადებაა, ამხანაგებო,

— ბოლოს წარმოთქვა მდივანმა, — ამხანაგი ირაკლი კერესელიძე აღდგენილ იქნეს საკავშირო კომუნისტური პარტიის რიგებში და დაინიშნოს კომბინატის დირექტორად. ამხანაგ ფიდო მდევაძეს გამოეცხადოს საყვედური პირად საქმეში შეტანით სიფხიზლის მოდუნებისათვის და... — გადახედა დაპატარავებულ და გაფითრებულ სპირიდონ იმნაიძეს, რომელსაც სახეზე სიმწრის ოფლი ასკდებოდა, — სპირიდონ იმნაიძე კი გაირიცხოს პარტიის რიგებიდან და მოიხსნას დირექტორის თანამდებობიდან.

ეს წინადადება ბიურომ ერთხმად მიიღო.

ირაკლი ფეხზე იდგა. ის ისე ღელავდა, რომ ადამიანთა სახეებს ვეღარ ხედავდა. გულის სიღრმეში სიამის გრძნობა უჩქროლავდა, გონებაში კი ჩაესმოდა: „პარტია სიმართლეს არ დაგიკარგავს!“

(პირველი წიგნის დასასრული)

დევან ებანოიძე

ხალხთა დიადი მეგობრობა

☆

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — ძლევამოსილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირმშოა. ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, ერა ადამიანის განთავისუფლებისა კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, ძველი ბურჟუაზიული ერების მოსპობის ბაზაზე, ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვნენ და განვითარდნენ ახალი, სოციალისტური ერები, რომელნიც თავიანთი მონოლითობით, დარაზმულობით და სიცოცხლისუნარიანობით შეუდარებლად მაღლა დგანან, ვიდრე ბურჟუაზიული ერები, რომლებსაც ღრღნიან შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ვადაში ჩვენს დიად სამშობლოში განხორციელდა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნები, რომელთაგან უმთავრესია: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, კულტურული რევოლუცია. ხელმძღვანელობდა რა ლენინურ — სტალინური ნაციონალური პოლიტიკით, კომუნისტურმა პარტიამ გაათავისუფლა რუსეთის ხალხები მრავალსაუკუნოვანი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, გაახორციელა ხალხების ფაქტიური გათანაბრების პოლიტიკა და ამით საბოლოოდ აღმოფხვრა წინათ ჩაგრული ხალხების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, დარაზმა ისინი ერთიან დიად ძმურ სოციალისტურ ოჯახად, შექმნა მტკიცე და მძლავრი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო — სსრ კავშირი, რომელიც ემყარება ისეთ შესანიშნავ მამოძრავებელ ძალებს, როგორიცაა: საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ასეთ დიად მამოძრავებელ ძალებს ემყარება, უძლეველია. იგი მტრებისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს.

სსრ კავშირის ხალხთა მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარნი ასახულია მის დიად კონსტიტუციაში, რომელიც გამარჯვებული სოციალიზმისა და გაშლილი სოციალისტური დემოკრატიის კონსტიტუციაა... გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარს ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმური მეგობრობა წარმოადგენს.

ახლა ყველასათვის ნათელია ორი სამყაროს პრინციპულად განსხვავებული გამოცდილება ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის საქმეში. ერების ურთიერთობის დარგში. ყველა ხედავს, რომ კაპიტალიზმის პირობებში ხალხების ეროვნული თავისუფლება შეუძლებელია. უფრო მეტი. იმპერიალიზმის ეპოქაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასობრივი დისკრიმინაცია და ეროვნული ჩაგვრა სულ უფრო და უფრო საზიზღარ, არაადამიანურ ფორმებს იღებს.

ამის მკაფიო დადასტურებაა ამერიკის შეერთებული შტატების ალვირახსნილი აგრესიული იმპერიალიზმის ქვეყანა — კუ-კლუს-კლანის, ლინჩის, გენოციდის საზიზღროებათა ქვეყანა, რომელიც ახალი ავაზაკური ომის გაჩაღებით ცდილობს მსოფლიოზე ბატონობას და ლამობს უოლ-სტრიტის მილიარდერთა ხროვის მონებად აქციოს ყველა ხალხი და ერი.

ამავე დროს, 36 წელზე მეტია მსოფლიოში არსებობს და უდიდესი წარმატებებით ვითარდება სსრ კავშირი—სოციალისტური ქვეყანა, რომელსაც ეროვნებათა შორის ურთიერთობის მოწესრიგების საუცხოო, მრავალმხრივი და მდიდარი დადებითი გამოცდილება აქვს. პროგრესული კაცობრიობა იმედით შესცქერის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, რომელმაც ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის ბრწყინვალე მაგალითი მისცა მსოფლიოს. სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა არის კოლოსალური მაგალითი, რომელიც საკუთარი ძალებისადმი რწმენით, გამარჯვების ნებისყოფით აიარაღებს ყველა ჩაგრულ ხალხს მათ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული მონობის წინააღმდეგ.

ახლა ყველა ხედავს, თუ რა გრანდიოზულ საერთაშორისო ძალად გადაიქცა სსრ კავშირი, რომლის გავლენით და დახმარებით კაცობრიობის ერთ მესამედზე მეტმა თავი დააღწია იმპერიალიზმის უღელს და მტკიცედ დაადგა სოციალიზმისა და დემოკრატიის გზას.

*
* *

კომუნისტური პარტიის ბელადები ლენინი და სტალინი ყოველთვის ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ ნაციონალურ საკითხს. ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში მათ შემუშავებული ჰქონდათ პარტიის პრინციპული პროგრამული საფუძვლები ამ დარგში. საყოველთაოდ ცნობილია ლენინისა და სტალინის ისეთი შრომები, როგორიც არის: „ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში“, „ბუნდის ადგილი ჩვენს პარტიაში“ (ლენინი), „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ (სტალინი).

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა ნაციონალური საკითხის ყოველმხრივ დამუშავებას 1912 — 1914 წლებში, როდესაც არა მარტო რუსეთში, არამედ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაშიც ერთმანეთს დაუპირდაპირდა ორი პრინციპულად განსხვავებული მიმართულება ნაციონალურ საკითხში: მარქსისტული—ლენინისა და სტალინის მეთაურობით და ავსტრიული, ოპორტუნისტული — ბაუერისა და რენერის მეთაურობით. ამ უკანასკნელთა შეხედულებებს ხელი ჩასჭიდეს ბუნდმა რუსეთში და მენშევიკ-ლიკვიდატორებმა კავკასიაში.

იმ დროს, როცა რევოლუციური მოძრაობა რუსეთის განაპირა მხარეებში მოითხოვდა სრულიად ნათელ და გარკვეულ პროგრამას ნაციონალურ საკითხში, მენშევიკებს არ აღმოაჩნდათ არავითარი პროგრამა ამ დარგში.

მხოლოდ ბოლშევიკებს ჰქონდათ მარქსისტული პროგრამა ნაციონალურ საკითხში, რომელიც მოცემული იყო ამხანაგ ვ. ი. ლენინის სტატიებში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ და „კრიტიკული შენიშვნები

ნაციონალურ საკითხზე“ და ი. ბ. სტალინის სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.

ლენინისა და სტალინის ეს ნაშრომები წარმოადგენენ მარქსიზმის თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური საკითხების შემდგომი დამუშავებისა და მემოქმედებითი განვითარების ბრწყინვალე ნიმუშებს.

ლენინი სტატიაში „რ. ს.-დ. მ. პ. ნაციონალური პროგრამის შესახებ“, რომელიც დაწერილია 1913 წლის დეკემბერში, ხაზგასმით აღნიშნავდა: „თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში საქმის ეს ვითარება და სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამის საფუძვლები უკვე იყო გაშუქებული უკანასკნელ ხანებში (აქ პირველ ადგილზეა სტალინის სტატია)“ [1].

ეროვნული საკითხის ყოველმხრივი თეორიული დამუშავება და მისი ბრწყინვალე გადაწყვეტა სსრ კავშირში უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარია. ეს მონაპოვარი განუყრელადაა დაკავშირებული ლენინისა და სტალინის უკვდავ სახელებთან.

მოწინავე თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, რევოლუციისა, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში პირველმა ბოლომდე მოსპო სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყველა საყრდენი და საფუძველი ჩაუყარა ხალხთა დიად ლენინურ — სტალინურ მეგობრობას.

ოქტომბრის რევოლუციით გათავისუფლებული წინათ ჩაგრული ხალხები შემჭიდროვდნენ მათი უფროსი ძმის დიდი რუსი ხალხის გარშემო და საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაში ჰპოვეს თავიანთი შემოქმედებითი წინსვლის ისეთი გასაქანი, როგორიც მანამდე ხალხთა განვითარების ისტორიამ არ იცოდა.

სოციალისტური წყობილება ერთადერთი საზოგადოებრივი წყობილებაა, სადაც ფართო მასები, მთელი ხალხი აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში და ამგვარად, ხალხი ნამდვილად არის ისტორიის შემოქმედი.

ოქტომბრის რევოლუციის დიადმა გამოცდილებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ერთადერთი საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც წარმატებით შეუძლია ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა, არის სოციალისტური წყობილება.

ლენინურ—სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება უზრუნველყოფილ იქნა იმით, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია კაპიტალიზმის ნაშთები, ექსპლოატატორული კლასები, ბურჟუაზიული ერები, რომელთა დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკა, შუღლისა და მტრობის გაღვივება ერებს შორის. სოციალიზმის გამარჯვება, ახალი, სოციალისტური ერების განვითარება ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირების საფუძველს, ეროვნებათა ძმური თანამშრომლობის, ხალხთა ურღვევი მეგობრობის საფუძველს.

ლენინურ — სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება უზრუნველყო კომუნისტურმა პარტიამ იმით, რომ იგი განუხრელად ატა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 645.

რებდა ხალხთა ურთიერთდახმარებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განუხრელად ახორციელებდა ხალხთა ფაქტიური გათანაბრების პოლიტიკას. როგორც ცნობილია, საბჭოთა ქვეყანამ მიიღო მემკვიდრეობა, რაც ეროვნებათა განვითარების დონის უთანაბრობით გამოიხატებოდა. განაპირა მხარეები ჩამორჩებოდნენ ცენტრს ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც და კულტურულადაც. ზოგიერთი განაპირა მხარე წინაკაპიტალისტურ ურთიერთობას ვერ გასცილდა, არ ჰქონდა მრეწველობა, არ ჰყავდა ინტერნაციონალიზმის მედროშე კლასი — პროლეტარიატი, არ იყო ჩამოყალიბებული ბურჟუაზიულ ერად.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაისახა და განხორციელდა ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომლის შედეგად განაპირა მხარეები, წინათ ჩამორჩენილი ხალხები სწრაფად განვითარდნენ და დროის სრულიად მოკლე მონაკვეთში ფაქტიურად გაუთანაბრდნენ მოწინავე ერებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ხალხები ჩვენს ქვეყანაში, აღმოჩნდნენ რა საბჭოთა წყობილების სისტემაში, პირდაპირ დაადგნენ სოციალიზმის გზას, სოციალისტურ ერებად განვითარების გზას, ისე, რომ არ დასჭირებიათ კაპიტალიზმის სტადიის გავლა, ბურჟუაზიულ ერებად ჩამოყალიბება, რითაც ხალხის მშრომელი მასები აურაცხელ ტანჯვა-წამებას გადაურჩნენ. ეს ნახტომი შესაძლებელი გახდა იმით, რომ საბჭოთა ქვეყანამ ინდუსტრიული ცენტრების საშუალებით მძლავრი სოციალისტური დახმარება აღმოუჩინა განაპირა მხარეებს. ეს ნახტომი უზრუნველჰყო დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებამ განაპირა ქვეყნების ხალხებისადმი.

ლენინურ — სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო სსრ კავშირის ყველა ერის მატერიალური და სულიერი ძალების ისტორიაში უმაგალითო სწრაფი განვითარება, სოციალიზმის დიად ბაზაზე ხალხების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინება, აყვავება.

სოციალისტური ერების ფაქტიური გათანასწორების ნიშნით დგებოდა და ხორციელდებოდა ყველა ხუთწლედი. ამით აიხსნება განვითარების განსაკუთრებით დიდი ტემპები განაპირა მხარეებში. თუ. მაგალითად, მთლიანად სსრ კავშირში მრეწველობის საერთო პროდუქცია 1940 წელს 1913 წელთან შედარებით 10.9-ჯერ გაიზარდა, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში იგი გაიზარდა 22,2-ჯერ, სომხეთის სს რესპუბლიკაში 22,3-ჯერ, საქართველოს სს რესპუბლიკაში 26,4-ჯერ, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში 160-ჯერ, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში 242-ჯერ. ასე თანმიმდევრობით ხორციელდებოდა ინდუსტრიალიზაცია წინათ ჩამორჩენილ ქვეყნებში. სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ სახე უცვალა განაპირა მხარეებს, აამაღლა ნაციონალური რესპუბლიკები მოწინავე ცენტრალური რესპუბლიკის დონემდე.

ნაციონალური საკითხის დადებითად გადაწყვეტა სსრ კავშირში დაკავშირებულია აგრეთვე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ წარმატებებთან სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში, რაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე განხორციელდა.

წვრილგლეხური მეურნეობის „მყარობის" თეორია, რასაც თავგამოდებით იცავდნენ კაპიტალიზმის რესტავრატორები ჩვენში, იმ პოლიტიკურ მიზანსაც ისახავდა, რომ მემარჯვენე კაპიტულანტებს სურდათ შეენარჩუნებინათ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საყრდენები, ხელი შეეწყოთ შოვინიზმის გაღვივე-

ბისათვის, რათა ამით ძირი გამოეთხარათ სოციალისტური ერების განვითარებისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ ვიდრე გლეხობა კერძო საკუთრების ხიდაგზე დგას, მანამდე კაპიტალიზმის ფესვები აღმოფხვრილი არ არის, ნაციონალური შუღლისა და მტრობის საფუძვლები მოსპობილი არ არის. აქედან გამომდინარე, სავსებით ნათელია, თუ რა განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალური საკითხის გადაწყვეტასა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის იმ უღრმეს რევოლუციურ გადატრიალებას, რასაც შედეგად მოჰყვა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება სოფლად. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ საბოლოოდ იხსნა გლეხობა სიღარიბისაგან, დააყენა იგი შეძლებული და კულტურული ცხოვრების ფართო გზაზე. ისიც ცნობილია, რომ განაპირა მხარეთა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გლეხობა შეადგენს. ცხადია, სოციალიზმის გამარჯვება სოფლად ეს არის ლენინურ — სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება.

ფაშიზმის ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტურის გააფთრებული ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წინააღმდეგ იყო ბრძოლა კაპიტალიზმის აღდგენისათვის საბჭოთა კავშირში; ამასთან ერთად, ეს იყო ბრძოლა, მოწოდებული კომუნისტური პარტიის ლენინურ — სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ჩასაშლელად, პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო ერების ფაქტიური გათანაბრებისაკენ, ჩამორჩენილი მხარეების მოწინავე ცენტრების დონემდე ამაღლებისაკენ. ნაციონალ-უკლონისტები, მოქმედებდნენ რა ტროცკისტ-ბუხარინელთა კარნახით, მიზნად ისახავდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გაღვივებას, ჩვენი სამშობლოს (უწინარეს ყოვლისა მისი განაპირა მხარეების) ჩავარდნას იმპერიალიზმის კოლონიურ კაბალაში. ამავე გამცემლურ მიზანს ემსახურებოდა ხალხის მტერი ბერია, რომელიც ყოველგვარი მზაკვრული ხერხებით ცდილობდა ჩაეშალა კომუნისტური პარტიის ღონისძიებანი, მიმართული საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისაკენ.

ცხადია, ხალხის მტრების ტროცკისტ - ბუხარინელთა, ნაციონალ-უკლონისტთა და სხვა ნაძირალების განადგურებას ჰქონდა და აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ამ ამოცანის შეუსრულებლად ჩვენ ვერ ავაშენებდით სოციალისტურ საზოგადოებას, ვერ აღვზრდიდით საბჭოთა ხალხს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, არ გვექნებოდა სსრ კავშირის ხალხთა ის დიადი მეგობრობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დიდ მონაპოვარს წარმოადგენს.

*

* *

კომუნისტური პარტიის ლენინურ—სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო სსრ კავშირის ხალხთა კულტურის მძლავრი აღმავლობა. ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობის ზრდას ჩვენს ქვეყანაში თან ახლდა რევოლუცია კულტურის სფეროში. კულტურული რევოლუცია ჩვენს სამშობლოში სოციალიზმის აშენების აუცილებელი პირობა იყო. კულტურულმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა, აამაღლა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ წარმოშვა კომუნიზმის აშენებელი ახალი

საბჭოთა ადამიანი, რომელიც თავისუფალია ბურჟუაზიული ცრურწმენებისაგან. შეიცვალა მთელი საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრება და ფსიქოლოგია. ხალხი ამაღლდა, იგი მაღალკულტურული გახდა, ვინაიდან, ცნობილია, რომ საბჭოთა კულტურა, სოციალისტური კულტურა ყველაზე მაღალი, მოწინავე, ყველაზე იდეური კულტურაა მსოფლიოში. საბჭოთა კულტურა ადამიანთა სოციალისტური ურთიერთობის გამოხატულებაა, იგი გამსჭვალულია ყოველგვარი სოციალური ჩაგვრისადმი სიძულვილის კეთილშობილური სულისკვეთებით, ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით.

სოციალისტურმა წყობილებამ უფართოესი ასპარეზი გაუხსნა ხალხების შემოქმედებითს ინიციატივას, მათი კულტურული ძალების ზრდასა და აყვავებას.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა რესპუბლიკაში დიდი ხანია დამთავრდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და გატარდა საყოველთაოსავალდებულო სწავლება. რესპუბლიკების დედაქალაქებში და დიდ სამრეწველო ცენტრებში უკვე ტარდება სავალდებულო სწავლება საშუალო სასწავლებლის ფარგლებში. ყველა რესპუბლიკაში ფართოვდება უმაღლესი სასწავლებლების ქსელი. გამოიზარდნენ საბჭოთა ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები. მილიონობით წიგნებისა და ბროშურების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემა, ხელოვნებისა და ლიტერატურის, თეატრისა და კინოს სწრაფი განვითარება ყველა რესპუბლიკაში კულტურული რევოლუციის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს.

განუზომელია ჩვენს ქვეყანაში მომხდარი კულტურული რევოლუციის მნიშვნელობა იმ ხალხებისათვის, რომლებიც ცარიზმის პირობებში კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის მძიმე უღელს ატარებდნენ. ცარიზმი ყველა საშუალებით ახშობდა ამ ერების როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ განვითარებას და ეროვნული დისკრიმინაციის საზიზღარი პოლიტიკის გასამართლებლად თხზავდა ზღაპარს მათ უუნარობაზე ცივილიზაციის განვითარების საქმეში. საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის შედეგებმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ამ ერებს აქვთ უდიდესი შესაძლებლობანი განავითარონ თავიანთი მატერიალური და სულიერი კულტურა. ამგვარად, საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა ხალხთა როგორც ეკონომიური, ისე კულტურული აღორძინების საუკეთესო ფორმა.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა და გაატარა იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მხილებულ იქნა იდეოლოგიური დამახინჯებანი მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის დარგში. მაგრამ, — როგორც ეს პარტიის XIX ყრილობამ აღნიშნა, — ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ იდეოლოგიურ მუშაობას, რის გამო იდეოლოგიური მუშაობა ამ ორგანიზაციებში ჩამორჩება პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში არ არის კლასობრივი ბაზა ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის, ჩვენში გაბატონებულია სოციალისტური იდეოლოგია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საფუძველს ემყარება. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არის დარჩენილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის, კერძო-მესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ნაშთები. ეს ნაშთები მეტად გამძლენი არიან, შეუძლიათ გაიზარდონ კიდეც, თუ მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა არ ვაწარმოეთ, ვინაიდან ცნობილია, რომ სოციალისტური იდეოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიის ყოველგვარი შესუსტება ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაძლიერებას.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს გაალვივოს ჩვენში არაჯანსაღი განწყობილებანი, იდეოლოგიურად გახრწნას ჩვენი საზოგადოების მერყევი ელემენტები. ამავე ბინძურ მიზანს ისახავენ ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებული საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფების ნაშთები, რომლებიც ჯერ კიდევ მთლიანად და სავსებით ვერ მოვსპეთ. ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, პარტია აყენებს იდეოლოგიური მუშაობის ყოველმხრივი გაძლიერების ამოცანას. იდეოლოგიური მუშაობა პარტიის პირველხარისხოვანი მოვალეობაა.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად ჩვენში გაბატონებულია ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია, რაც გამოხატულებას პოულობს სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობაში, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმში. ყოველი ნაბიჯი კომუნიზმის გრანდიოზული მშენებლობის გზაზე, რაც გასხივოსნებულია პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, კიდევ უფრო განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას—მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ამ საფუძველს. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ამ შესანიშნავი მონაპოვრის — ხალხთა მეგობრობის — შერყევა და დარღვევა.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება, — ამბობდა პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. გ. მ. მალენკოვი,—რომელმაც ომის მძიმე განსაცდელს გაუძლო და რომელიც მთელი მსოფლიოსათვის ერთა ნამდვილი თანასწორობისა და მეგობრობის მაგალითი და ნიმუში გახდა, ცხადყოფს ეროვნულ საკითხში ლენინურ—სტალინური იდეების დიად გამარჯვებას. ჩვენი პარტია თვალსაჩინოვით უფრთხილდება და კვლავაც გაუფრთხილდება სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობასა და მეგობრობას, განამტკიცებდა და კვლავაც განამტკიცებს საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის განუწყვეტელი ზრუნვა გვავალებს ულმობლად ვამხილოთ და გახურებული შანთით ამოვწვათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი ნაშთი და გამოვლინება ჩვენს ქვეყანაში. გარკვეული მიზეზების გამო, კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანის შეგნებაში ყველაზე უფრო გამძლეა ნაციონალური ურთიერთობის სფეროში. ამიტომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის მთელ მანძილზე ჩვენ მოგვიხდება მუდმივი მზადყოფნა იმისათვის, რომ მედგარი და თანმიმდევრული ბრძოლა ვაწარმოოთ კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად ადამიანთა შეგნებაში. უკანასკნელ წლებში ზოგიერთ რესპუბლიკაში (უკრაინაში, ბელორუსიაში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, სომხეთში) მხილებულ იქნა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივები ცალკეულ მეცნიერ მუშაკთა და ლიტერატორთა შრომებში. ასეთი ხასიათის რეციდივებს ადგილი აქვს საქართველოშიც. დღემდე ჩვენში არ არის აღმოფხვრილი სავსებით კულტურული მემკვიდრეობისადმი არაკრიტიკული მიდგომა, დრომოჭმული ტრადიციებისადმი ჩაბღაუჭების, დროგადასული ისტორიული მოვლენების იდეალიზაციის, ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის შეუფასებლობის შემთხვევები.

ზოგიერთი ისტორიკოსი და ლიტერატორი საქართველოში კიდევ ვერ გან-

თავისუფლდა ეგრეთწოდებული „ერთიანი ნაკადის“ თეორიის გავლენისაგან. მათ ნაწერებში ისეა წარმოდგენილი ოქტომბრის რევოლუციამდელი საქართველოს პოლიტიკური (ან ლიტერატურის) ისტორია, რომ მასში არ მოჩანს საზოგადოების განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა — კლასთა ბრძოლა, არ მოჩანს ხალხთა ფართო მასები, რომელნიც ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან.

„ერთიანი ნაკადის“ ანტიმეცნიერული „თეორია“ დიდი ხანია დაგმო და გააცამტვერა მარქსისტულ-ლენინურმა მეცნიერებამ, რომელიც გვასწავლის, რომ ისტორია პირველყოვლისა არის უშუალოდ მწარმოებელი — მშრომელი ხალხის ისტორია, მასების ისტორია, კლასთა ბრძოლის ისტორია. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყოველი ერის კულტურაში კაპიტალიზმის პირობებში არის ორი კულტურა, რომელიც ორი მოპირდაპირე კლასის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის სულიერ სამყაროს შეესაბამება.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი არ თაკილობს ჩვენი დროისათვის შეუფერებელი პოლემიკა გააჩაღოს ისტორიული ძეგლების გამო. შეუძლებელია ამ ადამიანებს არ ესმოდეთ, რომ ისტორიული ძეგლების გარშემო გამართული ასეთი დავა ხელს არ უწყობს საბჭოთა ეპოქის დიად მონაპოვარს — სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას. ჩვენი მოვალეობაა ასეთ ადამიანებს შევაგნებინოთ, რომ „ქვათა ღაღადის“ ეპოქა ისტორიას ჩაბარდა და აწ-ლა, ხალხთა მეგობრობის დიად ეპოქაში, ასეთი სახით პოლემიკა მიუღებელია, იგი ნაციონალიზმის თავისებურ რეციდივად უნდა მივიჩნიოთ.

წარსული ისტორიული პერიოდების გაზვიადებული იდეალიზაცია ჩვენში სავსებით აღმოფხვრილი არ არის. ზოგიერთი ავტორი ჯერ ისევ ლაპარაკობს „ოქროს საუკუნეზე“ წარსულში. მარქსისტისათვის სრულიად ნათელია, რომ ყოველი ერის ისტორიაში არის უკეთესი ეპოქები, რომლებიც ამშვენებენ ამ ერის წარსულს. მაგრამ „ოქროს საუკუნეზე“ ლაპარაკი კლასობრივ საზოგადოებაში იმავე „ერთიანი ნაკადის“ ყბადაღებულ თეორიაზე მიუთითებს და მას ნაციონალიზმის რეციდივის დაღი აზის. მართლაც, რა „ოქროს ხანაზე“ შეიძლება მსჯელობა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში, სადაც მშრომელი ადამიანის ღირსება იმზომად შეზღუდულია, რომ იგი თავისი მდგომარეობით თითქმის ცხოველის მდგომარეობას უახლოვდება. ცხადია, ადამიანის ნამდვილი ღირსების აღდგენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, რომელმაც არ იცის კერძო საკუთრება, ანტაგონისტური კლასები, ექსპლოატაცია. ასეთი საზოგადოებით იწყება ნამდვილი ოქროს ხანა უბრჭყალებოდ. ასეთია ჩვენი სოციალისტური საზოგადოება.

* * *

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა მსოფლიოს უჩვენა მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობის გრანდიოზული მაგალითი. ეს ისტორიაში უპრეცენდენტო მოვლენაა, ვინაიდან კაპიტალისტურ სამყაროს თავისი ექსპლოატატორული ხასიათის გამო არ გააჩნია და არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე დადებითი გამოცდილება მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობაში. ყოველ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არყევს და ასუსტებს შინაგარი კლასობრივი წინააღმდეგობანი. მრავალეროვან კაპიტალისტურ სახელმწიფოში კი კლასობრივ ანტაგონიზმს ზედ ერთვის წინააღმდეგობანი და შეხლა-შემოხლა ეროვნულ ნიადაგზე. კლასობრივი და ეროვნული ხასიათის წინააღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგობანი მძლავრად არყევენ მრავალეროვან ბურჟუაზიულ სახელმწიფოს საფუძვლებს. ამაშია სისუსტე და შინაგანი რღვევის ელემენტები, რომლებიც ღრღნიან მრავალეროვან ბურჟუაზიულ სახელმწიფოს.

მრავალეროვანი ბურჟუაზიული სახელმწიფოების დამარცხება, რაც განიცადეს — რუსეთმა 1917 წელს, ავსტრია-უნგრეთმა 1918 წელს, პოლონეთმა 1939 წელს, იმას ადასტურებს, რომ ნაციონალური წინააღმდეგობანი წარმოადგენენ გადაულახავ დაბრკოლებას მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის გზაზე კაპიტალიზმის პირობებში.

მაშინ როდესაც ისტორიის გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ კაპიტალიზმის ბაზაზე არათუ „მსოფლიო სახელმწიფო," არამედ „ჩვეულებრივი" მრავალერიანი სახელმწიფოც ძირმომპალი და მერყეევია, ამერიკის იმპერიალისტები, აბუჩად იგდებენ რა ისტორიის გაკვეთილებს, ავაზაკურად ესწრაფვიან შექმნან „მსოფლიო სახელმწიფო" და ამგვარად უზრუნველყონ ამერიკელ მილიარდერთა მონოპოლიური ბატონობა მსოფლიოში. ამავე რეაქციულ საქმეს ემსახურებიან იმპერიალიზმის იდეოლოგიური მეაბჯრენი მემარჯვენე სოციალისტების ბანაკიდან, ამ მიზანს ემსახურება მათი ლაშქრობა, მიმართული ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

უოლ-სტრიტის მილიარდერთა ხროვას სჯერა დოლარის ყოვლისშემძლეობა და ფიქრობს ოქროთი ისევე ადვილად მოისყიდოს ხალხები, როგორც მოისყიდა ცალკე კაპიტალისტური ქვეყნების ერთი მუჭა მმართველები და მათი დამქაშები მემარჯვენე სოციალისტები, რომლებმაც საკუთარ სინდისთან ერთად გაჰყიდეს სამშობლო ქვეყნის ეროვნული ინტერესები. ამით თანამედროვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიამ გამცემლობის ახალი ფუნქცია შეიძინა. წინათ იგი ეროვნული ბურჟუაზიის სამსახურში იდგა, ახლა იგი ამერიკული იმპერიალიზმის აგენტურად გადაიქცა და ასრულებს მის ყოვლად ბინძურ დავალებებს ომის მომზადების საქმეში და თავისი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ იმპერიალისტებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ ხალხი თავისი ქვეყნის თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით არასოდეს არ ვაჭრობს, ხოლო გაბატონებული კლასების და მათი იდეოლოგების ასეთ მორალურ დაცემას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ხალხის განრისხება და საყოველთაო აღშფოთება.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც იმპერიალისტური სამყაროს ავანგარდში დგანან, ფაშიზმის რასობრივი თეორიის აღმოფხვრას კი არა, არამედ მისი ახალი სახით აღორძინებას ცდილობენ და ამ მიზნით იყენებენ უბადრუკ, სულელურ „თეორიას" „ამერიკელთა უპირატესობის" შესახებ ყველა სხვა ქვეყნის ხალხებთან შედარებით. ამერიკელი სენატორი მილბო და ძმანი მისნი თავგამოდებით იბრძვიან, რათა ზანგები მარად უუფლებონი დატოვონ. ამერიკაში ყველა ფერადკანიანი (მულატები, ინდიელები, ჩინელები და სხვ.) დაბალი რასის ადამიანად ითვლება, ხოლო თორმეტი მილიონი ზანგი იქ საშინელი რასობრივი დისკრიმინაციის პირობებში ცხოვრობს. ზანგების მხეცური ცემატყეპა და დახოცვაც კი თითქმის ყოველთვის დაუსჯელი რჩება. „ლინჩის სასამართლო" ზანგების მიმართ, ეს შუასაუკუნეობრივი ბარბაროსობა, ფაქტიურად დღემდე ძალაშია.

რასისტული იდეოლოგიის პროპაგანდამ და რასისტული პოლიტიკის ბატონობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. რასიზმი იქ უკვე გაბატონებულ სახელმწიფო იდეოლოგიას წარმოადგენს. ამ

იდეოლოგიის მიხედვით სავალდებულოა შავკანიანის ყოველგვარი დისკრიმინაცია: მისი სიკვდილი და განადგურება ბოროტებად კი არა, სათნოებად ითვლება. ქალაქ ატლანტაში (შტატი ჯორჯია) ადგილობრივმა ხელისუფლებამ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს პოლიციელს, რომელმაც თავი იმით „გამოიჩინა", რომ „სამხრეთში ყველაზე მეტი ზანგი მოკლა".

იმავე ქალაქ ატლანტაში კუ-კლუკს-კლანელთა შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა მღვდელმა გარისონმა, რომელმაც განაცხადა: „ღმერთის თვალში ზანგის მოკვლა არ ითვლება ცოდვად, რადგან ზანგი იგივეა, რაც ძაღლი".

ასეთია ყბადაღებული „ამერიკული ცხოვრების წესი", რომელიც ისე ჰგავს ჰიტლერულ ფაშისტურ რეჟიმს, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს.

ამრიგად, კაციჭამია შოვინიზმი და საძაგელი რასიზმი არის იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიისა და პოლიტიკის საფუძველი, რომლითაც წინათ ფაშისტური გერმანია და ომში მისი მოკავშირენი, ხოლო ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები და მათი სატელიტები ცდილობენ მსოფლიოზე გაბატონებას. უეჭველია, ისტორია იმავე ხვედრს განუმზადებს ამერიკელ იმპერიალისტებს, როგორიც წილად ხვდა გერმანელ ფაშისტებს.

ამერიკელ იმპერიალისტთა ავანტიურისტული სწრაფვა მსოფლიო ბატონობისაკენ განწირულია დამარცხებისათვის უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიოზე ბატონობის მისწრაფებას წინ ეღობება სსრ კავშირი, რომელიც წარმოადგენს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯს, ანტიიმპერიალისტური ფრონტის მძლავრ დასაყრდენს. იმპერიალისტთა ამ ანტიხალხურ სწრაფვას წინ ეღობებიან დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, მთელი მუშათა კლასი, კოლონიური ქვეყნების მშრომელი ხალხები. ისტორიის ფაქტები ადასტურებენ, რომ ვიდრე არსებობს იმპერიალიზმი და მასთან დაკავშირებული ეროვნული ჩაგვრა, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ეს მოძრაობა რომ მოისპოს, ამისათვის საჭიროა მოისპოს იმპერიალიზმი და ეროვნული ჩაგვრა. ეს მოძრაობა, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა, ასუსტებს იმპერიალიზმის ზურგს.

პროლეტარიატის ჰეგემონია კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში წარმოადგენს იმ დიად ძალას, რომელიც ორგანიზებულს, მტკიცეს და უძლეველს ხდის ამ მოძრაობას.

პრინციპულად განსხვავებულ საფუძვლებს ემყარება საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო. ლენინმა და სტალინმა წინასწარ იცოდნენ რომ ის, რაც ვერ განხორციელდა კაპიტალიზმის ბაზაზე, შეიძლება წარმატებით განხორციელდეს საბჭოთა სოციალისტური წყობილების საფუძველზე, და მტკიცედ, სრული იმედით შეუდგნენ ჩვენს ქვეყანაში ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობას. ჩვენ თვალწინ გვქონდა, ამბობდა ი. ბ. სტალინი საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე, ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა შექმნის მარცხით დამთავრებული ცდები და მაინც მივმართეთ მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან ვიცოდით, „რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ უნდა გაუძლოს ყველა და ყოველგვარ განსაცდელს".

როგორც ყოველთვის, ლენინისა და სტალინის წინასწარდასახულობა განჩორციელდა. მრავალეროვანმა სახელმწიფომ — სსრ კავშირმა ეფექტურად გმირულად გაუძლო ყველა და ყოველგვარ განსაცდელს და ძლევამოსილად მიდის წინ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეკონომიური და კულტურული აყვავების გზით. კომუნიზმის გზით. ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, „რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა. ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უეჭველი გამარჯვება.

...ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცე შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ეროვნულ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში“[1].

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და უძლეველობა უდიდესი ძალით გამოვლინდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, რომელიც ამასთანავე იყო კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომი. სამამულო ომის დროს გამოვლინდა ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის, საბჭოთა პატრიოტიზმის უდიდესი ძალა და ძლიერება. ბრწყინვალედ დადასტურდა დიდი სტალინის მიერ ჯერ კიდევ სამამულო ომამდე წამოყენებული დებულება, რომ, ვიდრე ჩვენში სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარი — ხალხთა მეგობრობა არსებობს და ვითარდება, საბჭოთა ხალხი თავისუფალი და უძლეველი იქნება.

სსრ კავშირი, რომელიც სოციალისტური ერებისაგან შედგება, ერთსულოვნად აღსდგა სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და პატრიოტიზმის, მასობრივი გმირობის ჯერ არნახული მაგალითები გვიჩვენა სოციალისტური სამშობლოს დაცვის წმიდათა-წმიდა საქმეში. ისტორიას არ ახსოვს ხალხების ისეთი ერთსულოვნება და მონოლითობა, როგორიც გამოიჩინა საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში. მის გარშემო დაირაზმა სსრ კავშირის ყველა ხალხი. საბჭოთა ხალხის ერთსულოვნებასა და სიმტკიცეზე დაიმსხვრა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის სამხედრო ძლიერება.

გმირმა რუსმა ხალხმა, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — ამ ომში სამართლიანად დაიმსახურა იმის საერთო აღიარება, რომ იგი ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს ხელმძღვანელ ძალას საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შორის.

„მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს ამიერკავკასიის ხალხები, მოსწყვიტოს ისინი დიდ რუს ხალხს, — ჩვენს უფროს ძმას სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ ოჯახში, — ხალხს, რომელმაც ნამდვილი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების სიხარული მოგვანიჭა!“ [2].—ასე წერდა თავის მიმართვაში ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი 1942 წლის 23 აგვისტოს, როცა გამხეცებული ჰიტლერელი ავაზაკები ჩვენი ქვეყნის სიღრმეში მოძვრებოდნენ.

დიდი რუსი ხალხისადმი ასეთივე ძმური სიყვარულით იყო და არის გამსჭვალული სსრ კავშირის ყველა ხალხი. ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 644 — 645.

[2] „ამიერკავკასიის ხალხთა ფიცი“. 1942 წ., გვ. 15.

ტიკური ერთიანობა, ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი, წარმოშობილნი სოციალისტური საზოგადოებრივი ყოფიერების ბაზაზე, თვითონ იქცნენ დიდ მატერიალურ ძალად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა სამშობლოს ძლევამოსილად დაცვაში. ეს არის მამოძრავებელი ძალა, რომელსაც მივყავართ წინ, კომუნიზმისაკენ.

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს გულს — საყვარელ მოსკოვს — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გმირულად იცავდა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი. ვაჟკაცურად დაღუპულ სახელგანთქმულ 28 პანფილოველს შორის დიდი რუსი ხალხის შვილებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბელორუსი, ყაზახი და ყირგიზი ხალხის შვილები.

ყოველი საბჭოთა პატრიოტი ერთგვარი უფლებით გაიმეორებდა ქართველი მებრძოლის მიხეილ ხუდიშვილის მიერ მოსკოვის დაცვის დროს წარმოთქმულ სიტყვებს: „მე საქართველოში დავიბადე, განა მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი მხარე არ უყვარდეს? არა, ასეთი ადამიანი არ მოიპოვება, მაგრამ ყოველ ჩვენგანს შეგნებული აქვს ის, თუ სად იმყოფება ჩვენი სამშობლოს გული. ჩვენი სამშობლოს გული დიად ქალაქში მოსკოვში ძგერს...“

ანალოგიური მაგალითების მოტანა დაუსრულებლივ შეიძლება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელგანთქმული დედაქალაქის მოსკოვისა და სხვა გმირი ქალაქების — ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის და სხვათა დაცვის დაუვიწყარი ისტორიიდან.

ამგვარად, საბჭოთა არმიის თვითეული ბრძოლის ეპიზოდშიც კი ჩვენს თვალწინ იშლება სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიდებული სურათი. საბჭოთა არმია განასახიერებს ჩვენი ხალხების დიად მეგობრობას, მათს საბრძოლო ძმობას.

ასევე გმირულად შრომობდნენ ზურგში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია. ისტორიას არ ახსოვს არმიისა და ხალხის ასეთი უმაგალითო ერთიანობა და თავდადება სამშობლოსათვის ბრძოლაში.

*

* *

მტკიცედ დაადგნენ რა სსრ კავშირის მიერ გაკვლეულ გზას, სოციალიზმის გზას, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მშრომელებმა თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ახალი, სოციალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებლობის საქმეში. სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებისა და ხალხების ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად ხდება მათი კულტურის აყვავება, იქმნება ნამდვილად ხალხური ინტელიგენცია, სწრაფად ვითარდება მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ურთიერთმეგობრობა სსრ კავშირთან, რომელიც უანგარო დახმარებას უწევს მათ. ამით არის განპირობებული სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ყველა მონაპოვარი. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის — სსრ კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ურთიერთობა დამყარებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მტკიცე საფუძველზე, ერების თანასწორობისა და მეგობრობის ურყევ პრინციპებზე. ბრძოლა ყველა მშრომელის

ნამდვილი თავისუფლებისა და ნამდვილი ბედნიერებისათვის, ბრძოლა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ბრძოლა ხანგრძლივი მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში — ასეთია სოციალიზმისა და დემოკრატიის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის გრანიტისებური საფუძველი.

იყენებენ რა სსრ კავშირის მდიდარ გამოცდილებას, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები ბრწყინვალე წარმატებებს აღწევენ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის საქმეშიც. მაგალითად, პოლონეთი, რომელიც პანების ბატონობის დროს ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა. ამჟამად იქ მცხოვრები ყველა ერის მეგობრული თანამშრომლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ასევე ხალხთა ძმური თანამეგობრობის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს ჩეხებისა და სლოვაკების ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა — ორი თანასწორუფლებიანი სლავი ხალხის — ჩეხებისა და სლოვაკების ერთიანი სახელმწიფოა“ [1].

დიდი ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვება იმპერიალიზმზე, შექმნა ჩინეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელიც კომუნიზმის ბურჯთან — სსრ კავშირთან მჭიდრო თანამეგობრობით გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, ახალ უდიდეს მაგალითს წარმოადგენს მთელი კოლონიური სამყაროსათვის, რომელიც ძლევამოსილად მიისწრაფვის იქითკენ, რომ თავი დააღწიოს იმპერიალიზმის ჩაგვრას, დაადგეს ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრების, თავისუფალი განვითარების გზას.

ომისშემდგომ წლებში აზიაში და წყნარი ოკეანის აუზში მოხდა უდიდესი ცვლილებები, წარმოიშვნენ და გიგანტურ ძალად განვითარდნენ მშვიდობისა და დემოკრატიის მძლავრი ბასტიონები. ამ ობიექტურად შექმნილი მდგომარეობისათვის ანგარიშის გაუწევლობა ნიშნავს პოლიტიკურ სიბეცეს, ავანტურიზმს.

ამ ობიექტურ პირობებს შორის, — აღნიშნავდა ამხ. გ. მ. მალენკოვი 1953 წლის 19 სექტემბერს, — უმნიშვნელოვანესია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო გავლენა და პოლიტიკა.

მრავალი ათეული წლის მანძილზე იმპერიალისტური ჯგუფების ბრძოლა ჩინეთში ბატონობისათვის საერთაშორისო ურთიერთობის განსაკუთრებულ დაძაბულობას ქმნიდა აღმოსავლეთში. ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში მოქმედებს, როგორც სტაბილიზაციის მძლავრი ფაქტორი. სწორედ იმიტომ არიან გაბოროტებული აგრესიული საქმის ოსტატები, რომ ჩინეთი აღარ არის და არასოდეს აღარ იქნება მათი ოინებისა და ექსპლოატაციის ობიექტი, რომ მან არა მარტო ფორმალურად, არამედ ფაქტიურადაც მოიპოვა სუვერენიტეტი, რომ იგი საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებს არა როგორც სტატისტი, არამედ ახორციელებს თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას. მსოფლიოში გაჩნდა ახალი დიდი სახელმწიფო, რომელიც მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად იცავს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებს. ეს უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში საერთაშორისო ცხოვრების განვითარების ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანესი ისტორიული შედეგია, რომელიც აშუქებს არა მარტო განვლილ გზას, არამედ პერსპექტივებსაც.

---

1. „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კონსტიტუცია“, 1953 წ., გვ. 7.

2. „პრავდა“ № 8

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ სამამულო ომის დამთავრებამდე საბჭოთა ხალხი გულუხვ დახმარებას უწევდა მტრის ოკუპაციისაგან გათავისუფლებულ რაიონებს. ი. ბ. სტალინის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში გმირი ქალაქის — სტალინგრადის მშრომელები წერდნენ: „მთელი ჩვენი ქვეყანა იცავდა სტალინგრადს, მთელი ჩვენი ქვეყანა გვეხმარება ახლა მისი აღორძინების საქმეში". სტალინგრადელთა ეს განცხადება საერთოა სსრ კავშირის ყველა კუთხისათვის, რომელიც გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციის პერიოდში დაზარალდა. დაზარალებული რაიონების აღორძინებისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობაში ბრწყინვალედ გამოვლინდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი და ცხოველმყოფელი ძალა.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი მძლავრი განვითარების ამოცანების გადაწყვეტას. 1950 წელს წარმატებით შესრულდა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება მიმდინარეობს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის ნიშნით. მშვიდობიანი შრომის პათოსით არის გამსჭვალული მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც მტკიცედაა დარაზმული კომუნისტური პარტიის გარშემო. ამაშია ჩვენი ხალხის ძალა და უძლეველობა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოთა წყობილების სიმტკიცისა და ურყეობის და ჩვენი ხალხის ყველა წარმატების გადამწყვეტი პირობაა. თავის მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძალა იმაშია, რომ იგი მჭიდრო, ურღვევ კავშირშია ხალხთან.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა გამოხატულებას პოულობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც უკვე კარგა ხანია შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა სხვადასხვა ეროვნებათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა შორის. ეს დიადი სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს და ამრავლებს ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს წარმატებებს სამეურნეო და კულტურული აღმავლობის საქმეში, აჩქარებს ჩვენს საერთო წინსვლას დიადი მიზნისაკენ, კომუნიზმისაკენ.

მაგალითად, საბჭოთა საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების მუშაკები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან და ურთიერთდახმარებით. გამოცდილების გაზიარებით ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნიზმის მშენებლობაში. ჯერ კიდევ ომის წინა წლებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება უკრაინის სს რესპუბლიკის, ზაპოროჟიეს ოლქის, გენიჩესკის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეებსა და საბჭოთა საქართველოს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეებს შორის. გერმანელ ფაშისტთა ჯარების მიერ ამ რაიონის ოკუპაციის შემდეგ დროებით შეწყდა კავშირი ორი მოძმე ხალხის კოლმეურნეთა შორის. როგორც კი გენიჩესკის რაიონი ოკუპაციისაგან განთავისუფლდა, სოციალისტური შეჯიბრება ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა შორის კვლავ განახლდა.

საქართველოს მუშები, გლეხები და ინტელიგენცია ფართოდ არიან ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში მოძმე აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების მშრომელებთან. სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის მშრომელთა სამეურნეო და კულტურულ წარმატებებს, მათ ძმურ თანამშრომლობას და მეგობრობას. სომეხმა პოეტმა აშოტ გრაშმა ასე გამოხატა საბჭოთა ამიერკავკასიის ხალხთა ეს ურთიერთობა:

ერევანი და თბილისი მზეთუნახავი დებია,
მეგობრულ მეზობლობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.
ბაქო ამ დების ძმა არის სახელოვანი, მზიანი,
ბითსავით თავისუფალი, მათივე ბედის ზიარი.

საქართველო, როგორც მეტალურგიის ქვეყანა, ახალგაზრდაა. როგორც ყველა დიდ და მცირე საქმეში, მეტალურგიის განვითარებაში საქართველოს მშრომელებს უანგარო ძმურ დახმარებას უწევს დიდი რუსი ხალხი. რუსი და უკრაინელი მეტალურგების დახმარებით გამოიზარდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კადრები. ისინი მოკლე დროში დაეუფლნენ მეტალურგთა სასახელო პროფესიას და წარმატებით იბრძვიან საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

წლიდან-წლამდე გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება ჭიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელებს შორის, სახელგანთქმულ დონბასის მეშახტეებსა და ტყიბულ-ტყვარჩელის მეშახტეთა შორის. ხალხთა ძმური მეგობრობის საფუძველზე გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოიცვა სასწავლო-კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებანი, სკოლები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, სამეცნიერო აკადემიები. სოციალისტური შეჯიბრება ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო ხასიათს ატარებს.

პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული დირექტივებით მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ჩვენი ქვეყნის წინაშე გრანდიოზული ამოცანები დაისახა. ახალ ხუთწლედში — 1951-1955 წლებში გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის დონის გაზრდა 1950 წლის დონესთან შედარებით 70 პროცენტით, ნაციონალური შემოსავლის — 60 პროცენტით, ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრის — 100 პროცენტით, ხოლო ჰიდროსადგურებისა — 200 პროცენტით, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის — 70 პროცენტით.

ახალი ხუთწლედი უდიდესი ნაბიჯია კომუნიზმის მშენებლობის ისტორიულ გზაზე. როგორც ყველა წინანდელი ხუთწლედები, ახალი ხუთწლიანი გეგმა აგებულია საბჭოთა ხალხის მეგობრობის, ძმური ურთიერთდახმარების დიად პრინციპებზე. იგი ითვალისწინებს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

მეხუთე ხუთწლედი ითვალისწინებს მძიმე მრეწველობის დარგების შემდგომ ზრდას ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის რესპუბლიკებში, უკრაინაში, ბელორუსიაში და სხვ.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას. ხუთწლედი ითვალისწინებს პურის მოსავლის გაზრდას 40 — 50 პროცენტით, ბამბისა — 55 — 65 პროცენტით, შაქრის ჭარხლის 65 — 70 პროცენტით და ასე შემდეგ. გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მეცხოველეობის განვითარებას.

დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ სსრ კავშირის ყველა ხალხის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებას: დაბალი, საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო ქსელის ზრდას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, თეატრების, კლუბების, წიგნთსაცავების, ბიბლიოთეკების, კინოთეატრების შემდგომ ზრდას.

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ხალხი ერთსულოვნად იწონებს პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას, რომელიც ემყარება სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს და მიმართულია ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისაკენ. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ყველა რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში და რაიონში, ყველა საწარმოში და კოლმეურნეობაში. სსრ კავშირის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ახალი ხუთწლედის განხორციელებისათვის შრომობენ ისე, როგორც ეს შეფერის კომუნიზმისათვის ბრძოლის ავანგარდში მდგომი ქვეყნის ხალხს, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი დიადი მისია კაცობრიობის წინაშე.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიღწევებთან ჩვენს ქვეყანაში პირდაპირ კავშირშია ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი ზრდა. სისტემატურად ხდება ფასების დაკლება ფართო მოხმარების საგნებზე. მარტო მეექვსე დაკლების დროს 1953 წელს ჩვენმა ხალხმა მიიღო 46 მილიარდი მანეთის სარგებლობა. ამას მოყვა ფასების დაკლება საკოლმეურნეო ბაზარზე. ასე განუწყვეტლივ იზრდება მშრომელთა ცხოვრების დონე სსრ კავშირში, მაშინ როდესაც მოპირდაპირე ბანაკში — კაპიტალისტურ სამყაროში განუწყვეტლივ უარესდება ფართო მშრომელი მასების ცხოვრების დონე, წარმოებს მათი სულ უფრო და უფრო მეტი გაღატაკება.

ხალხთა დიადი მეგობრობის შესანიშნავ დემონსტრაციას წარმოადგენდა სსრ კავშირის აგვისტოს სესია, რომელმაც საბჭოთა სახელმწიფოს 1953 წლის ბიუჯეტი განიხილა. როგორც ყოველთვის, სესიის მუშაობაში და ბიუჯეტის განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დეპუტატები ყველა რესპუბლიკიდან.

სესიამ ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის 1953 წლის ბიუჯეტი, რომელშიც გამოხატულებას ჰპოვებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული ზრდა-განვითარება. სესიაზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. მ. მალენკოვი, რომელმაც გააშუქა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი გადაუდებელი ამოცანები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დარგში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების საქმეში და მოგვცა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ანალიზი.

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ამ დადგენილებაში ხედავს თავისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიის ზრუნვის ბრწყინვალე განსახიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების არსაკმაო დონისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენის მიზეზების ბრწყინვალე მარქსისტული ანალიზი და დასახულია ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და იმ ჩამორჩენათა სალიკვიდაციოდ, რასაც ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში.

საბჭოთა ხალხი გმირულად იბრძვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდი და კეთილშობილური ამოცანების განხორციელებისათვის: სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის. სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ყველა ოლქში, რაიონში, ყველა მტს-სა და კოლმეურნეობაში გაჩაღებულია დიდი მუშაობა ამ საერთო-სახალხო ამოცანების შესრულებისათვის. ჩვენი ქალაქები, მუშათა კლასი და ინტელიგენცია აქტიურად ეხმარებიან საკოლმეურნეო სოფელს. მათ იციან, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა მათი ღვიძლი საქმეც არის. ამ დიდი საერთო-სახალხო ამოცანების შესრულებისათვის პრძოლაში კიდევ უფრო მტკიცე ხდება მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი, კიდევ უფრო მტკიცდება და ვითარდება ხალხების ძმური ურთიერთდახმარება, საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობა.

სსრ კავშირის ყველა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავს. ეს საერთო-სახალხო დღესასწაული გადაიქცა სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად, რომელშიც უდიდესი ძალით გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მადლიერების გრძნობა და მხურვალე სიყვარული მისი უფროსი ძმის დიდი რუსი ხალხისადმი, რომელმაც კომუნიზმის მშენებლობის მთელი ისტორიული გამოცდილებით ჭეშმარიტად დაიმსახურა წამყვანი ერის როლი მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს ყველა თანასწორუფლებიან ერთა შორის.

*

* *

ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ღრმად არიან დარწმუნებული თავიანთი ისტორიული მისიის სიდიადეში, იმაში, რომ ისინი პირველნი კაფავენ კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას და ამით უდიდეს ამაგს დებენ კაცობრიობას.

გმირი საბჭოთა ხალხის გამოცდილება და დახმარება ბრწყინვალედ გამოიყენეს ევროპისა და აზიის მთელმა რიგმა ხალხებმა, რომლებმაც თავი დააღწიეს იმპერიალისტური მონობის უღელს და დაადგნენ ახალი ცხოვრების გზას, სოციალიზმისა და დემოკრატიის გზას. ამავე გზით წავა დროთა მსვლელობაში მსოფლიოს ყველა ხალხი, ვინაიდან ჩვენ ახლა ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიდის.

მ. ალექსიშვილი

მასებისა და პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში

★

ისტორიაში მასებისა და დიდ ადამიანთა როლის საკითხი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დაისვა. ამ ოცდათოთხი საუკუნის წინ დიდი ადამიანების შესახებ ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე წერდა: „გამოჩენილი ადამიანებისათვის კანონები არ არის საჭირო, იმიტომ რომ ისინი თვითონ არიან კანონები. მართლაც, სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ის, ვინც ეცდებოდა მათთვის კანონების დაწერას. ისინი (ე. ი. დიდი ადამიანები. მ. ა.) იმასვე ეტყვიან მას, რაც ანტისთენეს სიტყვით ლომებმა უთხრეს კურდღლებს,[1] როდესაც ეს უკანასკნელნი ცხოველთა კრებაზე ორატორობდნენ და ყველასათვის თანასწორუფლებიანობას მოითხოვდნენ“ (იხ. „პოლიტიკა“, III, 8,2).

არისტოტელე აზვიადებს დიდი ადამიანების როლს და წერს, რომ ისინი გამოირჩევიან მასიდან, როგორც ღმერთი გამოირჩევა ადამიანთაგან (იქვე, III, 8,1) და ამიტომ იმის მოთხოვნა, რომ ისინი კანონს დაემორჩილონ, ისევე შეუსაბამოა, როგორც შეუსაბამო იქნება, ვინმემ რომ თვით ზევსზე მოითხოვოს მბრძანებლობაო (იქვე, III, 8,7).

თითქმის ყველა ძველ ფილოსოფოსს და ისტორიკოსს გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა დიდი ადამიანების მნიშვნელობაზე. ეს იდეალისტური შეხედულება გაბატონებული იყო მარქსიზმამდე. მან თავის კულმინაციურ წერტილს ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიაში მიაღწია.

როგორც ცნობილია, ჰეგელს მატერიალური სამყაროსა და იდეის დამოკიდებულება უკუღმა ჰქონდა წარმოდგენილი და, ამის შესაბამისად, დიდი ადამიანების როლიც სრულიად არამართებულად ჰქონდა გაგებული. „ჰეგელისათვის, — წერს მარქსი, — ყველაფერი, რაც მომხდარა და რაც ხდება, სწორედ ისაა, რაც მის საკუთარ აზროვნებაში წარმოებს. ამის თანახმად, ისტორიის ფილოსოფია წარმოადგენს მხოლოდ ისტორიას ფილოსოფიისას, — მის საკუთარ ფილოსოფიისას“.[2] ასეთი კონცეფცია კი, წერდა მარქსი „წმინდა ოჯახში“, საბოლოოდ იქამდე მიდიოდა, რომ „ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში, ისევე როგორც მის ნატურფილოსოფიაში, შვილი აჩენს ქვეყნად დედას, — სული — ბუნებას, ქრისტიანული რელიგია — წარმართულს. შედეგი—დასაწყისს“.[3]

ამგვარად, ჰეგელს სული წარმოდგენილი ჰქონდა არა მარტო მატერიალური სამყაროს შემქმნელ დემიურგად, არამედ დიდი ადამიანების მეშვეობით ისტორიული პროცესის შემქმნელ და მამოძრავებელ ძალადაც. ეს დიდი ადამიანები ჰეგელს მიჩნეული ჰყავდა სამყაროს შემქმნელ მსოფლიო სულის წარმომადგენელად მიწაზე. „...მსოფლიო ისტორიულ პიროვნებათა მოწოდება, — წერდა იგი „ისტორიის ფილოსოფიაში“, — იმაში მდგომარეობდა, რომ ყოფილიყვნენ მსოფლიოს სულის ნდობით აღჭურვილი პირნი“.[4] თვითონ ეს მსოფლიო სული, ჰეგელის მიხედვით, აძლევს მიზანდასახულებას დიდ ადამიანებს, ეს „მიზანი, — განაგრძობს ჰეგელი, — როდესაც მიღწეულია, ისინი სცილდებიან, როგორც მარცვალს ცარიელი გარსი. ისინი ადრე კვდებიან, როგორც ალექსანდრე

---

[1] არისტოტელეს აქ მხედველობაში აქვს ეზოპეს ერთ-ერთი არაკი. ამ არაკში კურდღლებმა ლომებთან თანასწორუფლებიანობა მოითხოვეს, რაზედაც მათ ლომებმა უპასუხეს: „ფეხებბანჯგვლიანებო, თქვენს სიტყვებს სჯირდებათ, რომ თქვენ ისეთივე ბრჭყალები და კბილები გქონდეთ, როგორიც ჩვენ გვაქვსო“.

[2] კ. მარქსი. ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 170.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. III, 1929 წ. გვ. 200.

[4] Гегель, Философия истории. 1935 წ. თხზ. ტ. VIII, გვ. 30.

(მაკედონელი, მ. ა.), მათ კლავენ, როგორც მოკლეს ცეზარი, ანდა მათ ასახლებენ, როგორც ნაპოლეონი გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე".[1] ჰეგელის გაგებით, რჩეულ პიროვნებათა (დიდ ადამიანთა) მცირე რიცხვი მსოფლიო სულის მიერ მოცემული გეზის მიხედვით იმგვარად ქმნის და ამოძრავებს ისტორიულ პროცესს, რომ მასში მასები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ.

ასეთია ის უკულმართი ფილოსოფია, საიდანაც ჰეგელს გამოჰყავდა დიდი ადამიანების როლის შეფასება. უდავოა, რომ დიდი ადამიანების მნიშვნელობის ასეთი გაგება წმინდა წყლის იდეალიზმია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ მეცნიერებასთან.

ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ერთი ჯგუფი (შოპენჰაუერი, რიკერტი, ვინდელბანდი და სხვები) უარყოფს ადამიანთა საზოგადოებაში ობიექტური კანონზომიერების არსებობას. მათი აზრით, ისტორიაში მეფობს ქაოსი, შემთხვევითი, ინდივიდუალური და განუმეორებელი მოვლენები. ყოველივე ამის გამო დიდი ადამიანები, რომელთაც არ უხდებათ შეჯახება რაიმე ობიექტური ხასიათის კანონზომიერებასა და განვითარების გარკვეულ და აშკარად გამოსახულ ტენდენციასთან, თავისუფალი არიან თავიანთ მოქმედებაში. აქ უარყოფილია ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერება და, ამდენად, ეს მიმდინარეობა პრინციპულად გამორიცხავდა საერთოდ ისტორიული მეცნიერების არსებობას და მეცნიერული წინასწარმეტყველების შესაძლებლობას. მათი აზრით, მარქსიზმი შემცდარი იყო, რადგანაც ისტორიაში ობიექტური კანონზომიერების არარსებობის გამო არ ჰქონდა მას რაიმე საფუძველი, როცა ათეული წლებით ადრე წინასწარმეტყველებდა კაპიტალიზმის დამსხვრევასა და სოციალიზმის ისტორიულ აუცილებლობასა.

საბჭოთა ხელისუფლების წარმოქმნამ და რუსეთის იმპერიაში კაპიტალიზმის დამსხვრევამ მჭევრმეტყველურად დაამტკიცა მარქსიზმის სისწორე.

[1] Гегель. Философия истории. 1935 წ. Соч. VIII, стр. 30.

ადამიანთა საზოგადოების ისტორიის მოძრაობის შესახებ მისეულ-მეცნიერული პროგნოზები. ყოველივე ამ ამბების წინასწარმეტყველება კი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების არსებობის და მისი მეცნიერული შემეცნების საფუძველზე იყო შესაძლებელი.

პიროვნების როლი სწორად არ ეამოდათ აგრეთვე ფრანგ მატერიალისტებს — ჰელვეციუსს, დიდროს, ჰოლბახსა და სხვებს და არც იმ ფრანგ ისტორიკოსებს (მენიე, ტიერი, გიზო), რომელთაც პირველად აღმოაჩინეს ისტორიაში კლასების არსებობა და კლასთა შორის ბრძოლა. ეს გარემოება კი იმით აიხსნება, რომ ფრანგი მატერიალისტებიც და რესტავრაციის ეპოქის ფრანგი ისტორიკოსებიც ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვნენ, ისინი ვერ ამაღლდნენ ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე, რომლის გარეშეც საერთოდ შეუძლებელია პიროვნების როლის სწორი განსაზღვრა. „ფრანგი მატერიალისტები, — წერდა ენგელსი, — ბურჟუაზიის ნამდვილი ფილოსოფოსები იყვნენ".[2] ამ უკანასკნელთა გაგებით, საზოგადოებას მართავდა შეხედულებანი, ამიტომ დიდ ადამიანს ან მეფეს თავისი შეხედულებით შეეძლო გარდაექმნა ეს საზოგადოება და შეეცვალა მისი მსვლელობა. „ბედის ბრძანებით, — წერდა ჰოლბახი, — ტახტზე შეიძლება აღმოჩნდნენ განათლებული, სამართლიანი, ვაჟკაცური, კეთილი მონარქები, რომელნიც, შეიცნობენ რა ადამიანთა უბედურების ჭეშმარიტ მიზეზებს, შეეცდებიან განკურნონ ისინი სიბრძნის მითითების მიხედვით".[3]

ზემოთ დასახელებული ფრანგი ისტორიკოსები კი, როგორც ეს საყოველთაოდ არის ცნობილი, ადამიანთა საზოგადოების მოძრაობისა და განვითარების მიზეზებს ხედავდნენ ხან ერთი რასის ან ნაციის მიერ მეორე რასისა და ნაციის დაპყრობაში, ხან ცოდნის განვითარებაში. ბურჟუაზიული კერძო საკუთრება და ბურჟუაზიული ურთიერთობა მათ მიაჩნდათ ისეთ

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949 წ., გვ. 474.

[3] იხ. М. Д. Коммари, Марксизм-ленинизм о роли личности в истории. 1935 წ. გვ. 27.

ფორმად, რომელიც მუდმივად იარსებებდა. პიროვნების როლზე მათ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანი, გიზო, წერდა: „არავის არ შეუძლია თქვას, თუ რატომ ჩნდება გარკვეულ ეპოქაში დიდი ადამიანი და რამდენად მონაწილეობს იგი ქვეყნის განვითარებაში — ეს განგების საიდუმლოებაა“.[1] ხოლო ტიერრის ტიპის ისტორიკოსები კი პიროვნების როლის გაზვიადებაში იმდენად შორს მიდიოდნენ, რომ ფრანგების მიერ ბოროდინოს ბრძოლის ვერმოგებას ასე ხსნიდნენ: ნაპოლეონს იმ დღეებში თითქოს სურდო ჰქონდა, თორემ რუსეთს გაანადგურებდა და მსოფლიოს სახეს შეცვლიდა.

ისტორიული პროცესის გაგების და იდეისა და სინამდვილის დამოკიდებულების საკითხში იდეალისტურ თვალსაზრისზე იდგა პრუდონიც. პრუდონის გაგებით, წერდა მარქსი, „...საუკუნე ეკუთვნოდა პრინციპს და არა პრინციპი — საუკუნეს. სხვა სიტყვებით: პრინციპი ჭეშნიდა ისტორიას და არა ისტორია პრინციპს“. ყოველივე ამის გამო, შენიშნავს შემდეგ მარქსი, „პრუდონისათვის, ეტყობა, სისხლის მოძრაობა ჰარვეის თეორიის შედეგს წარმოადგენს“.[2]

დიდი ადამიანების როლის ასეთი გაზვიადებული, იდეალისტური გაგების საპირისპიროდ ადრევე შეიქმნა მეორე უკიდურესობა, რომელიც აბსოლუტურად უარყოფდა დიდი ადამიანების როლს ისტორიული პროცესის მსვლელობაში და მათ რაიმე გავლენას ამ პროცესზე. ასეთი მეტაფიზიკური მსოფლგაგება დღემდე ცოცხლობს ბურჟუაზიულ ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში. ამ შეხედულების მიხედვით, ბუნებისა და საზოგადოების უკლებლივ ყველა დიდი და პატარა მოვლენა წინასწარ, თვით ქვეყნის დასაბამიდანვე, განსაზღვრული და ზღვარდებულია, და ისინი ისე მიმდინარეობენ, როგორც ეს მათთვის ზესთაბუნებრივი ძალით თავიდანვე იყო განსაზღვრული.

„ამ გაგების თანახმად,—წერს ენგელსი,—ბუნებაში ბატონობს მხოლოდ მარტივი, პირდაპირი აუცილებლობა. ის გარემოება, რომ ...ამ ...ხუთი დიუმია და არც ერთი ...გრძელი და არც მოკლე, ...რომ მე წინა ღამეს რწყილმა მიკბინა დილის ოთხ საათზე და არა სამ საათზე ან ხუთზე და ისიც მარჯვენა მხარზე და არა მარცხენა კანჭზე, — ყველა ესენი ისეთი ფაქტებია, რომლებიც ...ურყევი აუცილებლობით წარმომდგარა, და მასთან ისე, რომ აირის ის ბურთი, საიდანაც მზის სისტემა წარმოიშვა, ისე იყო მოწყობილი, რომ ეს მოვლენები სწორედ ასე უნდა მომხდარიყო და არა სხვაგვარად“.[3]

გასაგებია, რომ ასეთი მსოფლმხედველობის გაზიარების დროს არც დგება საკითხი იმის შესახებ, რომ ვეძებოთ ამა თუ იმ ბუნებრივი თუ სოციალური მოვლენების წარმომქმნელი კონკრეტული მიზეზები, ვინაიდან ჩვენს დღეებში მომხდარ მოვლენათა იმგვარად მოხდენა, როგორც ისინი ხდებიან, განსაზღვრული ყოფილა ღვთის, განგების სამარადისო განჩინებით თვით ქვეყნის გაჩენის დროს.

ეს ყალბი შეხედულება შეიჭრა ისტორიულ მეცნიერებაშიც. როგორც ლომონოსოვი ამბობდა, ამ მსოფლგაგების გაზიარება მხოლოდ იმას საჭიროებს, რომ „ზეპირად დაიმახსოვრო სამი სიტყვა: „ღმერთმა ასე შექმნა“, „ღმერთმა ისე ინება“. ეხებოდა რა ისტორიულ მეცნიერებაში ამ თეოლოგიური მსოფლმხედველობის დანერგვას, მარქსი „ფილოსოფიის სიღატაკეში“ (გვ. 184,185) წერდა: „განგება. განგებითი მიზანი, — აი. ეს არის ის დიადი სიტყვა, რომელსაც ამჟამად ხმარობენ ისტორიის მსვლელობის ასახსნელად. ნამდვილად კი ეს სიტყვა არაფერს ხსნის“. შემდეგ მარქსი წერს: „თქვით ახლა, შოტლანდიაში საადგილმამულო საკუთრების განგებითი მიზანი ცხვრების მიერ ადამიანების განდევნა იყოო. და თქვენ იქნებით განგებითი ისტორიის გადმომცემი“. ეს განგებითი მსოფლმხედველობა ლიტერატურაშიც შეიჭრა. ავთანდილი „ვეფხისტყაოსანში“ ამბობს: „განგე-

[1]. იხ.М. Д. Коммари. Марксизм-ленинизм о роли личности в истории, 1935 წ. გვ. 41.

[2] კ. მარქსი. ფილოსოფიის სიღატაკე. გვ. გვ. 179, 244.

[3] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950 წ., გვ. 233-224.

ბასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქნების". ხოლო ჰამლეტის პირით შექსპირი ამბობს: „უგანგებოდ ჩიტიც ვერ მოკვდებაო".

ამგვარად, ბუნებისა და სოციალური ცხოვრების მოვლენებში ადამიანის ჩარევას ეს მსოფლმხედველობა წინასწარ განწირულად თვლის, რადგანაც ეს ელემენტი ყველა მოვლენა აუცილებლობაში გადაჰყავს და აღიარებს ადამიანის უმწეობას. გასაგებია, რომ ასეთ თვალსაზრისზე დადგომის დროს გამორიცხულია საერთოდ ადამიანების რაიმე ოდნავი გავლენაც კი ისტორიულ პროცესზე და ამით გამორიცხულია თვით დიდი ადამიანების არსებობა და მათი როლიც.

ყველა ზემოაღნიშნულ თეორიებს, რომელნიც გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს იცავდნენ, არც შეეძლოთ ისტორიაში მასების როლის სწორი განსაზღვრა. ამ შეხედულებათა წარმომადგენლები ცდილობდნენ, დაემცირებინათ ექსპლოატირებული მასები, — მონების, ყმა გლეხების, მუშების როლი, ჩაენერგათ მათში მათი როლის არარაობის რწმენა, საკუთარი მდგომარეობის უმწეობა და მისგან თავის დაღწევის უიმედობა. ეს ეხმარებოდათ, რომ ეს მასები მოთვინიერებული და ექსპლოატაციისათვის უფრო მორჩილნი ყოფილიყვნენ. ასე მაგალითად, ძველი ინდური შეხედულებით, მონებს „უდრტვინველად უნდა ემსახურათ" მთელი საზოგადოებისათვის და, ამავე დროს, მათ ეს მონური სამსახური არ უნდა მიეჩნიათ უსამართლოდ, რადგან მონობა ღმერთის მიერ არის გაჩენილი. კანონმდებლობა, რომელიც ძველ ინდოეთში მონათმფლობელთა ინტერესებს იცავდა, მონების ინტერესების საწინააღმდეგოდ, მონის, ძაღლისა და კატის მკვლელობისათვის თანაბარ სასჯელს აწესებდა.

არისტოტელეს მონობა ბუნების წარმონაქმნად მიაჩნდა და ამტკიცებდა, რომ თვითონ მონისათვის „მონად ყოფნა სასარგებლოც არის და სამართლიანიც" (იხ. არისტოტელეს „პოლიტიკა". 1,2,15). საერთოდ, მაშინდელი გაბატონებული შეხედულებით, მონები — საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური დოვლათის ეს ძირითადი წარმოებელი კლასი — ხმოვან საძუშაო იარაღად (instrumentum vocale) იყვნენ მიჩნეული და ადამიანებად არ თვლებოდნენ.

შემდეგ, ფეოდალურ ფორმაციაში (შუასაუკუნეებში), სადაც ძირითად მწარმოებელ კლასად ყმა გლეხები იყვნენ, მათი მდგომარეობა შენილბული ფორმით მონობის ახალ პრინციპზე იყო აგებული. ამ „...ახალი პრინციპის პირველი შედეგი იყო, — წერს ენგელსი, — მონობის აღდგენა სხვა, ნაკლებ საძულველი, მაგრამ სწორედ ამიტომ პირფერული, უფრო არაადამიანური ფორმით, ბატონყმური უფლების ფორმით". შუასაუკუნეების ფეოდალურ-არისტოკრატიული ისტორიოგრაფია ისევე ათვალწუნებით და ზიზღით უყურებდა ხალხს (რომლის ძირითად ნაწილს ყმა გლეხები წარმოადგენენ), როგორც მონათმფლობელური ისტორიოგრაფია ეყურებდა „დემოსს". ისტორიკოსი გვიჩარდინი (1483-1540 წ. წ.) წერდა: „სთქვა ხალხი, ჭეშმარიტად ნიშნავს — სთქვა ცოფიანები, ვინაიდან იგი საშინელეაა, სრული არევ-დარევა და ცთომილება, ხოლო მისი ფუჭი შეხედულებანი ისევე შორსაა ჭეშმარიტებისაგან, როგორც... ესპანეთი ინდოეთისაგან".

გასაგებია, რომ საზოგადოების დოვლათის ძირითადი მწარმოებელი კლასების — მონების, ყმების, მუშების დამცირება და აბუჩად აგდება, რასაც გაბატონებული კლასების იდეოლოგია ეწეოდა, გამორიცხავდა ისტორიაში მასების როლის სწორად შეფასებას.

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატები სოციალ-ეკონომიური მოვლენების და პიროვნებისა და მასების როლის მართებულად ახსნის საქმეში გაცილებით წინ წავიდნენ მარქსიზმის ჩამოყალიბების წინა ეპოქის დასავლეთ ევროპის მოაზროვნეებზე.

ბელინსკის დიდი ადამიანი თავისი ეპოქისა და თავისი დროის შვილად მიაჩნდა, ამიტომ მან უარყო როგორც დიდი ადამიანების განჯგებასთან დაკავშირება, ისე ისტორიული პირობებისაგან დამოუკიდებლად მათი ვაჭრობა. ბელინსკის აზრით, როცა დიდი სოციალური მოვლენებისათვის მწიფდებოდა ისტორიული პირობები, მაშინ დიდი ადამიანებიც ჩნდებოდნენ. ამიტომ ბი-

ლინსკის უაზროდ ეჩვენებოდა, მაგალითად, ასეთი კითხვების დასმა: „რა იქნებოდა, რომ პეტრე პირველი დაბადებულიყო საფრანგეთში, ხოლო ნაპოლეონ პირველი რუსეთში?“ ანდა: „რა მოუვიდოდა რეფორმაციას, რომ ლუთერი არ ყოფილიყო, ანდა, რომის მომკვდარიყო პაპის ბულის დაწვისთანავე?“

ბელინსკის გაგებით, ლუთერი დაიბადებოდა, თუ არ დაიბადებოდა, ისტორიული ამბები მაინც „თავისი გზით“ წავიდოდა. და მართლაც, ისტორიული ეპოქები თვითონ უკვე დაბადებულნი ან დაბადების პროცესში არიან, როცა ისინი ამ ლუთერებს ბადებენ. ეს ეპოქები აუცილებელ მოთხოვნად მხოლოდ იმას აყენებენ, რომ ეპოქის იდეებისა და ინტერესების გამომხატველად უნდა იყოს ვინმე, და, ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ იქნება ეს „ვინმე“. ჩერნიშევსკი წერდა: ეპოქის მიერ დაყენებული ამოცანების გადაწყვეტაში „პიროვნება... მხოლოდ დროებისა და ისტორიული აუცილებლობის მსახურს წარმოადგენს... და თუ კრიტიკის წარმომადგენელად ამ დროს ბელინსკი იყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი პიროვნება სწორედ ისეთი იყო, როგორსაც ისტორიული აუცილებლობა მოითხოვდა. იგი რომ ასეთი არ ყოფილიყო, ეს უდრეკი ისტორიული აუცილებლობა თავისთვის სხვა მსახურს მოსძებნიდა, სხვა გვარით, სახის სხვაგვარი ნაკვეთებით, მაგრამ არა სხვაგვარი ხასიათით: ისტორიული მოთხოვნა მოქმედებისაკენ იწვევს ადამიანებს და ძალას აძლევს მათს ამ მოქმედებას, თვითონ კი არავის არ ემორჩილება, არავის საამებლად არ იცვლება“.[1]

ასევე აფასებდა გამოჩენილ ადამიანთა როლს დობროლუბოვი. იგი უარყოფდა პიროვნების როლის იდეალისტურ გაგებას, როდესაც ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში ყველა წარმატებას თუ წარუმატებლობას მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს აწერდნენ. „ჩვენს ისტორიაში, — წერდა იგი, — ყველაფერი დაჰყავთ პიროვნებათა გავლენაზე: სახელმწიფო დაარსდა იმის გამო, რომ გამოძებნა დიდი ადამიანი, რომელმაც დააარსა იგი; სახელმწიფო დაეცა იმის გამო, რომ ხუთი-ექვსი ხელმწიფე მას ცუდად მართავდა და დაუშვეს ზნე-ჩვეულების შერყვნა; ახალი რელიგია გამოჩნდა — იმის გამო, რომ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც იგი გამოიგონა; ომი წაგებული იქნა — იმის გამო, რომ მხედართმთავრები არ აღმოჩნდნენ დახელოვნებულნი; აჯანყება მოხდა — იმის გამო, რომ რამდენიმე არაკეთილად განმზრახველმა ადამიანმა გააღიზიანა ხალხი... და ასე შემდეგ...“[2]

რუსი რევოლუციონერი დემოკრატები მართებულად აღნიშნავდნენ, რომ ისტორიული მეცნიერება უნდა დაინტერესდეს მასებით, მათი ისტორიისა და ყოფის შესწავლით. პისარევი წერდა: „ისტორია უნდა იყოს გააზრებული და მართალი მოთხრობა მასების ცხოვრებაზე; ცალკეულმა პირებმა და კერძოობითმა ამბებმა მასში იმდენად უნდა ჰპოვოს ადგილი, რამდენადაც ისინი მოქმედებენ მასების ცხოვრებაზე ანდა ემსახურებიან მის ახსნას. მხოლოდ ასეთი ისტორია იმსახურებს მოაზროვნე ადამიანის ყურადღებას“.[3]

მართალია, დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა დიდად წასწიეს წინ ისტორიაში მასებისა და პიროვნების როლის მეცნიერული გაგება, მაგრამ მაინც ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ მარქსისა და ენგელსის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენის შემდეგ და მის ნიადაგზე. ვიდრე აღმოჩენილი არ იქნებოდა ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების მსვლელობა და მისი ხასიათი, მანამდე შეუძლებელი იყო ისტორიული პროცესის მსვლელობაში მასებისა და მასთან დაკავშირებით თვით დიდი ადამიანებისათვის კუთვნილი ადგილის განსაზღვრაც.

ლენინი წერდა: „ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენამ ანუ უფრო სწორად, მატერიალიზმის თანმიმდევრულმა განგრძობამ, გავრცელებამ საზოგადოებრივ მოვლენათა

[1] М. Д. Коммари, Марксизм-ленинизм роли личности в истории, გვ. 50-51.

[2] იქვე, გვ. 54-55.

[3] იქვე, გვ. 58.

სფეროზე. მოსპო წინანდელი ისტორიული თეორიების ორი მთავარი ნაკლი. ჯერ-ერთი, ეს თეორიები უკეთეს შემთხვევაში განიხილავდნენ ადამიანთა ისტორიული მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს და არ იკვლევდნენ იმას, თუ რა იწვევს ამ მოტივებს, ვერ ხედავდნენ ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარებაში, ვერ ამჩნევდნენ ამ ურთიერთობათა ფესვებს მატერიალური წარმოების განვითარების დონეში; მეორეც, წინანდელი თეორიები არ მოიცავდნენ სწორედ მოსახლეობის მ ა ს ე ბ ი ს მოქმედებას, მაშინ როდესაც ისტორიულმა მატერიალიზმმა პირველად მოგვცა შესაძლებლობა ბუნებისმეტყველურ-ისტორიული სიზუსტით გამოვიკვლიოთ მასების ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები და ამ პირობების ცვლილებანი".[1]

შემდეგ ლენინი წერს, რომ თავისი ხასიათის გამო ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად რთული და მრავალფეროვანია. რადგანაც მასში ერთმანეთს ეჯასკვებიან და ეხლართებიან მოვლენები: ხალხთა და კლასთა შორის წინააღმდეგობანი და ბრძოლა როგორც ერთმანეთთან, ისე მათ შიგნით; ისინი ერთვიან „...კიდევ რევოლუციისა და რეაქციის, მშვიდობისა და ომების, შეჩერებისა და სწრაფი პროგრესის თუ დაცემულობის პერიოდების ცვლას. მარქსიზმმა მოგვცა სახელმძღვანელო ძაფი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ კანონზომიერება ამ მოჩვენებითს ლაბირინტსა და ქაოსში; ესაა: კლასობრივი ბრძოლის თეორია".[2]

ისტორიის მატერიალისტური გაგებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის აღმოჩენის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ მოჩვენებითს ქაოსში მასებისა და პიროვნების როლის მეცნიერული განსაზღვრა. ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად, „...ადამიანები ქმნიან ისტორიას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ადამიანები ისტორიას ქმნიან არა ისე, როგორც მათ რაღაც ფანტაზია უკარნახებს, არა ისე, როგორც ეს მათ მოეგონებათ",[3] არამედ ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების მიხედვით და თვით ამ ადამიანებისაგან დამოუკიდებლად.

კონკრეტულად ეს შემდეგში გამოიხატება. ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს, თუ არ მოაწყობს წარმოებას, ე. ი. თუ არ მოიპოვებს საკვებსა და ტანსაცმელს, არ აიშენებს საცხოვრებელ ბინას და ა. შ. ეს გარემოება ჯერ კიდევ არისტოტელესათვის იყო ცხადი. იგი წერდა: „პირველი მოთხოვნილების საგნების გარეშე არათუ არ შეიძლება კარგად იცხოვრო, არამედ არ შეიძლება საერთოდ იცხოვრო" (იხ. „პოლიტიკა" 1, 2, 4). „რომ ცხოვრობდე, — წერს ი. სტალინი, — უნდა გქონდეს საზრდო, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი ბინა, სათბობი და სხვ., ეს მატერიალური დოვლათი რომ გქონდეს, უნდა აწარმოებდე მას. ხოლო მას რომ აწარმოებდე, უნდა გქონდეს წარმოების იარაღები, რომელთა საშუალებით ადამიანები აწარმოებენ საზრდოს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საცხოვრებელ ბინებს, სათბობს და სხვ.).[4]

ამავე დროს, ცხადია, რომ ამ პირველი მოთხოვნილების საგნების მოპოვება და მათი წარმოების მოწყობა მარტოხელა ადამიანს არ შეუძლია. ამიტომ მას არც მარტოხელად, ე. ი. კოლექტივის, საზოგადოების გარეშე შეუძლია არსებობა და ცხოვრება.

„... ადამიანი თავისი ბუნებით, — წერდა არისტოტელე, — პოლიტიკური (ე. ი. საზოგადოებრივი. მ. ა.) არსებაა: ვინც თავისი ბუნების ძალით, და არა შემთხვევითი გარემოების შედეგად, სახელმწიფოს გარეშე ცხოვრობს, იგი ან ზეადამიანია, ანდა ზნეობრივი თვალსაზრისით განვითარება დაუსრულებელი არსებაა" (იხ. „პოლიტიკა", 1, 1, 9). მაგრამ, რადგანაც ზეადამიანები არ არსებობენ, ხოლო განვითარებადაუსრულებელი არსება ჯერ კიდევ ადამიანი არ არის, აქედან არისტოტელეს გამოჰყავდა დასკვნა, რომ ადა-

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი. იხ., ტ. 21, გვ. 51-52.

[2] იქვე. გვ. 53.

[3] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. იხ., ტ. 13, გვ. 111.

[4] საკ. კ. ბ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. 1947 წ., გვ. 155.

მიანს სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება საერთოდ არ შეუძლიაო.

არისტოტელეს ეს შეხედულება სწორია, მაგრამ იგი არასრულია და, ამდენად, არაზუსტი. ამ შეხედულებას შეუძლია შექმნას ისეთი წარმოდგენა, თითქოს ადამიანს მარტოხელად სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, როცა ეს სახელმწიფო არსებობს. მაგრამ მას მარტოხელად ცხოვრება შეუძლია, როდესაც ეს სახელმწიფო არ არსებობს, ე. ი. როდესაც იგი ან ჯერ არ არის წარმოქმნილი, ანდა უკვე ლიკვიდირებულია.

არისტოტელეს ასეთი გაგება იქიდან გამომდინარეობს, რომ მას ადამიანთა საზოგადოების ისტორია სახელმწიფოს არსებობის ისტორიის თანატოლად მიაჩნდა და უსახელმწიფო საზოგადოების არსებობას გამორიცხავდა. მაშინ როდესაც, მარქსიზმის მიხედვით, სახელმწიფო ჩნდება ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შუა წელზე. იგი გაჩნდა დაახლოებით ექვსი ათასიწლის წინათ, როდესაც ადამიანთა საზოგადოებას ხუთას ათასამდე წლის ისტორია ჰქონდა გავლილი და მომავალშიც, კომუნიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ, იგი ყველგან მოკვდება. ამიტომ მარქსიზმის მოძღვრებით, ადამიანს არც მაშინ შეეძლო მარტოხელად არსებობა, როცა სახელმწიფო არ იყო და არც მაშინ შეეძლება, როდესაც სახელმწიფო მოკვდება. ამიტომ არისტოტელეს ფორმულას — ადამიანს არ შეუძლია სახელმწიფოს გარეშე არსებობა, მარქსიზმი ცვლის ფორმულით: ადამიანს არ შეუძლია საზოგადოების გარეშე არსებობა. „ადამიანები, — წერს ი. სტალინი, — აწარმოებენ ბრძოლას ბუნებასთან და იყენებენ ბუნებას მატერიალური დოვლათის დასამზადებლად არა ერთიმეორისაგან იზოლირებულად, არა ერთიმეორისაგან მოწყვეტილი ერთეულების სახით, არამედ ერთად, ჯგუფებად, საზოგადოებებად. ამიტომ წარმოება ყოველთვის და ყველა პირობაში არის საზოგადოებრივი წარმოება“.[1]

ისტორიის მატერიალისტური გაგებისათვის აქ მთავარი ის არის, რომ, ჯერ-ერთი, ადამიანს არ შეუძლია ადამიანთა საზოგადოებისაგან იზოლირებულად, მარტოხელად არც წარმოება და, ამიტომ, არც არსებობა, და, მეორეც, ის, რომ ადამიანები წარმოებას აწყობენ და განსაზღვრულ კავშირსა და ურთიერთობაში, ე. ი. საწარმოო ურთიერთობაში შედიან არა თავისი სურვილით, არამედ იძულებით, რაკი მათ უნდათ არსებობა, ამიტომ ისინი იძულებული ხდებიან კოლექტიურად, საზოგადოებრივად მოაწყონ წარმოება და არსებობისათვის საჭირო საგნების საწარმოებლად, საგნებისა, რომელთა წარმოებაც მათ მარტოხელად არ ძალუძდათ. „თავისი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას, — წერდა მარქსი, — ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობებში — წარმოებით ურთიერთობებში, რომელნიც მათი მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამებიან“.[2]

მაგრამ ეს წარმოება, რომელსაც ადამიანები იძულებით კოლექტიურად, საზოგადოებრივად აწყობენ, როდის უცვლელი და გაქვავებული. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ერთ წერტილზე იქნებოდა გაქვავებული თვითონ ადამიანთა საზოგადოებაც. წარმოება მუდამ დინამიკასა და ცვლილებაშია. წარმოების იარაღებში დაწყებული ცვლილებები და განვითარება იწვევს წარმოებითი ურთიერთობის ხასიათის, ე. ი. წარმოების პროცესში ჩაბმულ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის ცვლილებებსა და განვითარებას.

ისტორიის მატერიალისტური გაგების შემდეგი ძირითადი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ცვლილებები წარმოების წესში და ამ ცვლილებებისაგან დამოკიდებით მთელი ზედნაშენის ცვლილებებიც ისევე არ არიან დამოკიდებულნი ადამიანთა ნებისაგან, როგორც მათი ნებისაგან არ იყო დამოკიდებული თვით ამ ადამიანების მიერ წარმოების მოწყობა და წარმოებითი ურთიერთობის შექმნა. ამგვარად, ადამიანების გარეშე არც წარმოება შე-

[1] სა. ე. ბ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 156.

[2] იქვე. გვ. 170.

იძლება არსებობდეს და არც ამ წარმოების ცვლილება. მაგრამ, ამასთან ერთად, თვით ამ წარმოების შექმნა და შემდგომი მისი ცვლილებები არ არის ამ წარმოების შემქმნელი ადამიანების ნებისყოფისაგან დამოკიდებული. ამაშია ისტორიული პროცესის განვითარების ობიექტური, ადამიანის ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ხასიათი.

გასაგებია, რომ, რადგანაც ადამიანთა საზოგადოებრივი შეკავშირება, წარმოების მოწყობა და შემდეგ ამ წარმოების ცვლილებისაგან დამოკიდებულებით ძველი ზედნაშენების შეცვლა საერთოდ ადამიანების ნებისყოფაზე არ არის დამოკიდებული, იგი მით უფრო არ შეიძლება ცალკეული მათგანის ნებისყოფაზე იყოს დამოკიდებული. ამიტომ წერს მარქსი, რომ „ჩემს თვალსაზრისს, რომლის თანახმად საზოგადოების ეკონომიური ფორმაციის განვითარება განიხილება როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, ნაკლებად, ვიდრე სხვა რომელიმე თვალსაზრისს, შეუძლია ცალკე პიროვნება გახადოს პასუხისმგებლად ურთიერთობისათვის, რომლის ქმნილებად იგი რჩება სოციალურად, რაგინდ მაღლა აიწიოს ამ ურთიერთობაზე სუბიექტურად“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის).

ისტორიული პროცესის ძირითადი მამოძრავებელი ძალები მასებია, რადგანაც სწორედ ისინი ერთობლიობით (და არა ერთეული ინდივიდები) ქმნიან წარმოებას და, მაშასადამე, საზოგადოების ეკონომიკურ საფუძველს, რაზეც დაფუძნებულია ზედნაშენი თავისი მრავალმხრივობით. გასაგებია, რომ ამის გამო ისტორიულმა მეცნიერებამ არ შეიძლება გვერდი აუაროს მასებს და თავის ძირითად ამოცანად არ გაიხადოს მათი შრომისა და ბრძოლის ისტორიის ჩვენება.

ისტორიის მატერიალისტური გაგების, მისი ობიექტური კანონზომიერების შეცნობის ბაზაზე უკვე დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს დიდი ადამიანების როლის მეცნიერული განსაზღვრა. გასაგებია, რომ, რადგანაც ადამიანთა საზოგადოების ისტორიის პროცესი მიმდინარეობს ადამიანების ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ობიექტური კანონზომიერების გზით. მასადამე, დიდ ადამიანებს [illegible] ეძლიათ მისი არც შეცვლა და არც [illegible]ობა. მაგრამ ეს იმას არ [illegible], [illegible] მათ არ შეეძლოთ ისტორიული განვითარების პროცესზე ზემოქმედება ამ პროცესის დაგვიანების ან დაჩქარების სახით. ამიტომ არის, რომ „მარქსიზმი სრულიადაც არ უარყოფს გამოჩენილ პიროვნებათა როლს“.[1]

საერთოდ, ისტორიული პროცესის დაგვიანებაზე ან დაჩქარებაზე მრავალი შემთხვევითი მიზეზი მოქმედებს. 1871 წელს მარქსი სწერდა კუგელმანს: „მსოფლიო ისტორიის გაკეთება, რასაკვირველია, ძალიან ადვილი საქმე იქნებოდა, ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ „ეუცდომლად ხელსაყრელ პირობებში რომ ხდებოდეს. მეორეს მხრივ, ის მისტიკური ხასიათის იქნებოდა, მასში რომ „შემთხვევითობებს“ არავითარი როლი არ ეთამაშათ. ეს შემთხვევითობები, რასაკვირველია, თვით ერთვიან განვითარების საერთოდ სვლას და ხელახლა წინასწორდებიან სხვა შემთხვევითობათა ზემოქმედებით. მაგრამ დაჩქარება და შენელება ძალიან არის დამოკიდებული ამგვარ „შემთხვევითობათაგან“, რომელთა შორის ადგილი აქვს აგრეთვე ისეთ შემთხვევითს მოვლენას, როგორიცაა იმ ადამიანთა ხასიათი, რომელნიც თავდაპირველად მოძრაობას სათავეში უდგანან“.[2]

საკითხის ამგვარი დაყენებიდან, — რომ დიდ ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ ისტორიული პროცესის დაჩქარება ან შენელება, — გამორიცხულია როგორც დიდი ადამიანების როლის იდეალისტური გაგება, როცა ისინი ისტორიის მკეთებლად იყვნენ მიჩნეული, ისე მათი წარმოქმნის ფატალისტური გაგება, როცა მათი გაჩენა იმ ქვეყანაში და სწორედ იმ წელს, სადაც და როდესაც ისინი გაჩნდნენ, წინასწარ განსაზღვრულ აუცილებლობად იყო მიჩნეული. 1894 წელს შტარკენბურგისადმი მიწერილ წერილში ენგელსი წერდა: „ის გარემოება, რომ სწორედ აი ეს დიდი პიროვნება ამ ქვეყანაში გარკვეულ დროში ჩნდება, რასაკვირველია, წმინდა შემთხვევაა. მაგ-

---

1 ვ. სტალინი, ეხს., ტ. 13, გვ. 110.

2 კ. მარქსი, წერილები კუგელმანისადმი, 1933 წ., გვ. 87-88 (ხაზი ჩვენია. ბ. ა.).

რამ თუ ამ პიროვნებას მოვიშორებთ, მაშინ ჩნდება მოთხოვნა მის ძემცვლელზე და შემცვლელიც გამოჩნდება, ავად თუ კარგად, მაგრამ გამოჩნდება დროთა მსვლელობაში. რომ ნაპოლეონი. სწორედ ეს კორსიკელი, საძველრო დიქტატორი იყო, რომელსაც საკუთარი ომებით გამოფიტული საფრანგეთის რესპუბლიკა სჭირდებოდა, ეს შემთხვევა იყო. მაგრამ ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყო, მის როლს სხვა ვინმე შეასრულებდა. ეს იმით დაადასტურდება, რომ ყოველთვის, როცა კი ასეთი ადამიანი საჭირო ხდებოდა, იგი მაშინვე გამოჩნდება ხოლმე: კეისარი ავგუსტუსი, კრომველი და ა. შ. თუ მარქსმა ისტორიის მატერიალისტური გაგება აღმოაჩინა, ტიერი, მინიე, გიზო, ყველა ახალგაზრდა ისტორიკოსი 1850 წლამდე ადასტურებენ იმას, რომ ამ გაგებისაკენ ბევრი ისწრაფოდა. ხოლო ამავე გაგების აღმოჩენა მორგანის მიერ მოწმობს იმას, რომ დრო საამისოდ უკვე მომწიფებული იყო და ის სწორედ აღმოჩენილი უნდა ყოფილიყო".

1931 წელს მწერალ ლუდვიგის შეკითხვაზე, რომ მრავალი თქვენი მეგობრები დაიღუპნენ დევნასა და ბრძოლებში და თქვენ, რომ ცოცხალი გადარჩით, ამ გარემოებას ხომ არ მიაწერთ ბედს, ან შემთხვევასო,—სტალინმა უპასუხა: ბედი არა მწამს. „არსებობს როგორც შინაგანი, ისე გარეშე მიზეზები, რომლებმაც ერთად გამოიწვიეს ის, რომ მე არ დავიღუპე. მაგრამ ამისგან სრულიად დამოუკიდებლად ჩემს ადგილას შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა, რადგან აქ ვინმე **უნდა** მჯდარიყო" (ი. სტალინი. თხზ., ტ. 13. გვ. 126).

ამგვარად, მარქსიზმის მიხედვით, დიდი ადამიანების წარმოქმნა საერთოდ აუცილებელია, როცა ამას მოითხოვს ეპოქა. მაგრამ ის გარემოება, თუ რომელ წელსა და თვეში, რომელ ქალაქსა და სოფელში, ვის ოჯახში და რა პროფესიის მშობელთაგან დაიბადა ეს კაცი, რომელიც შემდეგ დიდი ადამიანი გახდა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენაა. საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დადგომა იდეალიზმსა და ფატალიზმში გადავარდნაა. ამავე დროს, მარქსიზმი ხაზს უსვამს **იმ გარემოებას**, რომ დიდ ადამიანად არავინ და არასოდეს არ იბადება და არც დაბადებულა, —დიდ ადამიანად მას ხდის ძემდეგ ცხოვრება, მისი გარემომცველი პირობები, ეპოქის მოთხოვნა, კლასი, პარტია. 1909 წელს ლენინი წერდა: „ბებელად არ შეიძლება დაბადება, ბებელად საჭიროა გახდომა. ბებელები არ გამოდიან მზაზარეულად, როგორც მინერვა გამოვიდა იუპიტერის თავიდან, არამედ იქმნებიან პარტიისა და მუშათა კლასისაგან".[1]

მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ, როდესაც ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენის შედეგად შეცნობილი იქნა ისტორიის მსვლელობის ობიექტური კანონზომიერება, მუშათა კლასის ბელადების როლი ისტორიული პროცესის შეგნებულად დაჩქარების თვალსაზრისით გახსაკუთრებით გაიზარდა. ეს გასაგებიცაა, რადგანაც რაიმე მოვლენაზე ზემოქმედების მოხდენა მაშინ უფრო ძლიერი შეიძლება იყოს, როდესაც შეცნობილი გაქვს მისი კანონზომიერება და გაგებული გაქვს მისი განვითარების ტენდენცია. მეცნიერული სოციალიზმის თეორიის დასაბუთებით მარქსმა და ენგელსმა საშუალება მისცეს მუშათა კლასს, რომ მას ამიერიდან შეგნებულად, თვით ისტორიული პროცესის განვითარების შესაბამისად დაეჩქარებინა ბურჟუაზიული საზოგადოების სიკვდილისა და სოციალისტური საზოგადოების დაბადების პროცესი. სწორედ ამაშია მარქსიზმის უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა და თვითონ მარქსიზმის კლასიკოსების — მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის უდიდესი დამსახურებაც მსოფლიო ისტორიის ყინაში. მაგრამ მარქსიზმის კლასიკოსებს, რომელთაც ყველაზე უკეთესად ესმოდათ პიროვნების როლი ისტორიაში, არ შეეძლოთ გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონოდათ საკუთარ დამსახურებაზე.

ენგელსს შესანიშნავად ესმოდა მარქსის უდიდესი დამსახურება, მაგრამ იგი არ ფიქრობდა, და არც შეეძლო ეფიქრა, რომ მარქსის სიკვდილით ერთხელ და სამუდამოდ დაიღუპებოდა ის საქმე, რომელსაც მარქსი ედგა სათავე-

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 477.

ში — მსოფლიო მუშათა რევოლუციური მოძრაობა. ენგელსმა კარგად იცოდა, რომ კაპიტალიზმის დამხობისაკენ მიმართული მუშათა რევოლუციური მოძრაობა ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების განვითარების შედეგი იყო. ეს კანონზომიერება კი, რომელიც საერთოდ ადამიანების ნებისყოფის და, მაშასადამე, არც თვით მარქსის ნებისყოფისაგან არ იყო დამოკიდებული, რჩებოდა მარქსის გარდაცვალების შემდეგაც და ამის გამო რჩებოდა თვით მუშათა რევოლუციური მოძრაობაც.

მართალია, ეს მოძრაობა უდიდესი ბელადის დაკარგვის გამო ჰქმნიდა შეცდომების გამრავლების შესაძლებლობას და ერთგვარად აძნელებდა წინსვლას, მაგრამ წინსვლის გაძნელება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა წინსვლის გაქვავებას და, მით უფრო, მის მოსპობას. „თუ რას ნიშნავდა, — წერდა ენგელსი ბერნშტეინს მარქსის გარდაცვალების დღეს, — ჩვენთვის ეს ადამიანი თეორიის სფეროში, ხოლო ყველა გადამწყვეტ მომენტში კი პრაქტიკის სფეროშიაც. ამაზე წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მას, ვინც მუდამ მასთან იყო. მასთან ერთად მრავალი წლის მანძილზე გაქრება მისი ფართო ჰორიზონტი. ჩვენ, დანარჩენები, ჯერ კიდევ ვერ ავმაღლდით მის დონემდე. მოძრაობა თავისი გზით წავა, მაგრამ აღარ იქნება ის მშვიდი, დროული, მოფიქრებული ხელმძღვანელობა, რომელიც მას არაერთგზის იფარავდა მცდარ გზებზე ხანგრძლივი ხეტიალისაგან“.[1] მარქსის გარდაცვალების მეორე დღეს კი ამავე საკითხზე ენგელსი ზორგეს სწერდა, რომ მარქსის გარდაცვალებით „კაცობრიობამ ერთი თავით დაბლა დაიწია...“, მაგრამ „პროლეტარიატის მოძრაობა განაგრძობს თავისი გზით სვლას... საბოლოოდ გამარჯვება უზრუნველყოფილია, უდავოა, მაგრამ შემოვლილი გზები, დროებითი და ადგილობრივი ცთომილებანი, რომლებიც ისედაც გარდუვალი იყო, ახლა უფრო სულ სხვაგვარად გაიზრდება. მაგრამ ჩვენ იგი უნდა დავძლიოთ, მაშ, სხვა რისთვისღა ვარსებობთ? აი რატომ არასგზით არ ვკარგავთ სიმამაცეს“.[2]

ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების გაგება და ის, რომ ამ კანონზომიერების შედეგად მუშათა რევოლუციური მოძრაობა მარქსის გარდაცვალების შემდეგაც კვლავ „თავისი გზით წავიდოდა“ — ენგელსს აზღვევდა პანიკისაგან. ამის გამო მის წინაშე არ დგებოდა შიშისგან ნაშობი, დაბნეულობის გამომხატველი და გაურკვევლობის სფეროში დაყენებული კითხვა—რა მოხდება მერე? — და ეს იმიტომ, რომ ენგელსმა ძირითადი ხაზებში უკვე იცოდა, რაც მოხდებოდა. მან იცოდა, რომ მუშათა მოძრაობა „თავისი გზით წავიდოდა“, რომ „საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო“.

ამგვარად, თუ, ერთი მხრივ, ისტორიის ობიექტური კანონზომიერების, მასებისა და პიროვნების როლის მეცნიერული გაუგებრობის შედეგი იყო, რომ ზოგიერთ დიდ ადამიანებს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად, და ფიქრობდნენ, რომ ისტორიაც თვითონ აკეთებდნენ, ზელავდნენ მას, როგორც ცომს და ისეთ მიმართულებას და ხასიათს აძლევდნენ, როგორსაც ისინი თვითონ მოისურვებდნენ; მეორე მხრივ, ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების, მასებისა და პიროვნების როლის მეცნიერული გაგების შედეგი იყო ის, რომ მარქსიზმის კლასიკოსები, რომელთაც ყველაზე უკეთესად ესმოდათ ეს საკითხი, თვითონ დაზღვეულნი იყვნენ ასეთი გაზვიადებული წარმოდგენისაგან და საკუთარ თავს არ აწერდნენ რაღაც ზეადამიანურ დამსახურებას და გამოირჩეოდნენ თავმდაბლობით და უბრალოებით.

ამიტომ იყო, რომ მათ საკუთარი პერსონის ხოტბა და დიდება მიაჩნდათ შეუფერებლად და მავნებლად. ამ საკითხზე 1868 წლის 26 ოქტომბრის თარიღით მარქსი პირდაპირ სწერდა კუგელმანს, რომ „ასეთი რამ მიმაჩნია უფრო მავნებლად, ვიდრე სასარგებლოდ და არაშესაფერად მეცნიერების ადამიანებისათვის. მაგალი-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949 წ., გვ. 400.

[2] იქვე. გვ. 403.

თად, მაიერის ენციკლოპედიურმა ლექსიკონმა კარგა ხანია წერილობით მომმართა და მთხოვა, ჩემი ბიოგრაფია მიმეწოდებინა. მე იგი არამცთუ არ გავაგზავნე, წერილზედაც არ გამიცია პასუხი. ყველას თავისი გემოვნება აქვს". ხოლო 1874 წელს იგივე კუგელმანს მარქსი სწერდა, რომ „მე ინგლისურ გაზეთებს იმის ნებასაც კი ვაძლევ, რომ დროგამოშვებით ჩემი სიკვდილის ცნობა გამოაცხადონ ხოლმე, ისე რომ სიცოცხლის ნიშანსაც კი არ ვიძლევიო".

უბრალოება და თავმდაბლობა დამახასიათებელი იყო ენგელსისთვისაც. მან კარგად იცოდა, რომ ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენის საქმეში პირველი ადგილი მარქსს ეკუთვნოდა. ამ მდგომარეობას ენგელსი ყოველთვის ხაზს უსვამდა. როგორც ზემოთ ითქვა, ბერნშტეინისადმი მიწერილ წერილში ენგელსი, აღნიშნავდა მარქსის დამსახურებას, წერდა: „ჩვენ დანარჩენები, ჯერ კიდევ ვერ ავმაღლდით მის დონემდეო", ხოლო 1893 წლის 14 ივლისს ფ. მერინგს სწერდა, რომ „...თქვენ მე უფრო მეტ დამსახურებას მომაწერთ, ვიდრე მეკუთვნის... როდესაც დიდი ადამიანი გარდაიცვლება, მაშინ მის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან თანამებრძოლს ადვილად დაუწყებენ ხოლმე გადაჭარბებით შეფასებას, და აი, როგორც ჩანს, მეც სწორედ ახლა ეგ მხვდა წილად: ისტორია საბოლოოდ ყოველივე ამას მოაწესრიგებს. მაგრამ მანამდე მე ცოცხალი აღარ ვიქნები და აღარც არაფერი მეცოდინება".

საყოველთაოდ ცნობილია ლენინის უბრალოება და თავმდაბლობა „...ლენინის ეს უბრალოება და თავმდაბლობა, — წერს ი. სტალინი, — ეს მიცწრაფება . შეუმჩნეველი დარჩენილიყო ანდა, ყოველ შემთხვევაში, თვალში არ მოხვედროდა ყველას და ამით ხაზი არ გაესვა თავისი მაღალი მდგომარეობისათვის, — ეს თვისება ლენინის, როგორც ახალი მასების, კაცობრიობის უღრმესი, „ქვედაფენების" უბრალო და ჩვეულებრივი მასების ახალი ბელადის ერთ-ერთ უძლიერეს მხარეს წარმოადგენს"[1].

ი. სტალინი, რომელიც, ამბობ ბარბუსის თქმით, „იყო „ადამიანი-ფანტომი" [illegible] ერის თავით, მუშის სახით [illegible] კაცის ტანსაცმელით", ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ბელადები არ ჰქმნიან ისტორიას და ამის გამო მათ არა აქვთ უფლება მოსწყდნენ მასებს და გაზვიადებული წარმოდგენა შეიქმნან საკუთარ დამსახურებაზე. შატუნოვსკისადმი გაგზავნილ წერილში ი. სტალინი წერდა: „თქვენ ლაპარაკობთ თქვენს „ერთგულებაზე" ჩემდამი. იქნებ ეს შემთხვევით წამოსაცდენი ფრაზაა. იქნებ... მაგრამ თუ ეს შემთხვევითი ფრაზა არ არის, გირჩევდით უკუგეგდოთ პირებისადმი ერთგულების „პრინციპი". ეს ბოლშევიკს არ შეეფერის. ერთგული იყავით მუშათა კლასისა, მისი პარტიისა, მისი სახელმწიფოსი. ეს საჭიროა და კარგი. მაგრამ ნუ აურევთ მას პირებისადმი ერთგულებაში, ამ ფუჭ და ზედმეტ ინტელიგენტურ საქმარუნოში".[2]

ხოლო, როცა სამავშვო გამომცემლობას გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა წიგნი — „ნაამბობი სტალინის ბავშვობაზე", ი. სტალინმა 1938 წლის 16 თებერვალს გამომცემლობას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც წერდა: „მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ გამოიცეს „ნაამბობი სტალინის ბავშვობის შესახებ". წიგნი სავსეა უამრავი ფაქტიური უსწორობით. დამახინჯებით, გაზვიადებით, დაუმსახურებელი ქება-დიდებით. ავტორი შეცდომაში შეუყვანიათ ზღაპრების მოყვარულთ, ცრუპენტელებს (შესაძლოა, „კეთილსინდისიერ" ცრუპენტელებს), მლიქვნელებს. მეცოდება ავტორი. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ისაა, რომ წიგნის ტენდენციაა — ჩაუნერგოს საბჭოთა ბავშვებს (და საერთოდ, ადამიანებს) კულტი პიროვნებისა, ბელადისა, უცოდველი გმირისა. ეს საშიშია, მავნებელია. „გმირებისა" და „ბრბოს" თეორია არის არა ბოლშევიკური, არამედ ესერული თეორია. გმირები ქმნიან ხალხს, აქცევენ მაბრბოდან ხალხად — **ამბობენ ესერები.** ხალხი ქმნის გმირებს — **უპასუხებენ ესერებს ბოლშევიკები.** აღნიშნული

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 65.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 20.

წიგნი წყალს უშვებს ესერების წისქვილზე. ყოველი ასეთი წიგნი წყლის მიშვებაა ესერების წისქვილზე. **ვნებას მიაყენებს** ჩვენს საერთო ბოლშევიკურ საქმეს.

გირჩევთ დაწვათ იგი.

ი. სტალინი". [1]

პიროვნების კულტის თეორია, რომელსაც მასების როლის დამცირების ხარჯზე ყოველთვის მხარს უჭერდნენ ექსპლოატატორული კლასები და მათი იდეოლოგები, ახლაც მეტად მოდაშია ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ბურჟუაზიის იდეოლოგები პოპულარიზაციას უკეთებენ პიროვნების კულტის ე. წ. „ცეზარიზმის" თეორიას და ცდილობენ შექმნან იმის რწმენა, რომ რომელიმე ახლად გამომცხვარი ფიურერი კაპიტალიზმს საბოლოოდ კრახისაგან იხსნის იმით, რომ ისტორიულ პროცესს მისთვის სასურველ მიმართულებას მისცემს.

პიროვნების როლის ასეთ იდეალისტურ გაგებას უდიდესი ზიანი მოაქვს კაპიტალისტური ქვეყნების ექსპლოატირებული მასებისათვის, თესავს მათში ეჭვს საკუთარი ძალების რწმენაში. მას შეუძლია მძიმე შედეგების მოტანა ჩვენთვისაც იმით, რომ უარყოფს პიროვნების როლის მარქსისტული გაგებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპს. მარქსიზმი აღიარებს, რომ სოციალური ცხოვრების მოვლენები მეტად რთული და მრავალმხრივია, და რომ ერთ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს ერთპიროვნულად ყველა მათი გადაწყვეტის უნარი შეცდომებისაგან დაზღვევის გარანტიით. ამიტომ არის, რომ როგორც ამხანაგი ი. სტალინი გვასწავლის, „ერთპიროვნული გადაწყვეტილებანი ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის ცალმხრივი გადაწყვეტილებებია. ... სამი რევოლუციის გამოცდილებით ჩვენ ვიცით, რომ 100 ერთპიროვნული, შეუმოწმებელი, კოლექტიურად შეუსწორებელი, გადაწყვეტილებიდან დაახლოებით 90 გადაწყვეტილება ცალმხრივია". [2]

ისტორიის ობიექტური კანონზომიერების შემეცნებამ და ამის ნიადაგზე მასებისა და პიროვნების როლის სწორმა, მარქსისტულმა გადაწყვეტამ საშუალება მისცა ისტორიულ მეცნიერებას, რომ სწორად განესაზღვრა და გაეგო თავისი ძირითადი ამოცანები. ეს ამოცანები კი იმაში მდგომარეობს, რომ, რაკი ადამიანები, მასები ქმნიან ისტორიას, ამიტომ „...საზოგადოებრივი განვითარების ისტორია... არის ისტორია თვით მატერიალური დოვლათის მწარმოებლებისა, ისტორია მშრომელი მასებისა, რომლებიც წარმოებითი პროცესის ძირითად ძალებს წარმოადგენენ". [3] მასების ამ როლის გამო „...ისტორიულ მეცნიერებას, თუ მას სურს იყოს ნამდვილი მეცნიერება, აღარ შეუძლია საზოგადოებრივი განვითარების ისტორია მეფეთა და მხედართმთავართა მოქმედებამდე, სახელმწიფოების „დამპყრობელთა" და „დამორჩილებელთა" მოქმედებამდე დაიყვანოს. არამედ, უწინარეს ყოვლისა, მან ხელი უნდა მოჰკიდოს მატერიალური დოვლათის მწარმოებლების ისტორიას, მშრომელი მასების ისტორიას, ხალხთა ისტორიას". [4]

მასების როლი ისტორიაში მარტო იმით არ განისაზღვრება, რომ ისინი ქმნიან ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ პირობებს. ისინი ქმნიან იმის შესაძლებლობასაც, რომ მზარდი მატერიალური ცხოვრების ბაზაზე წარმოიშვან ახალი იდეები და თეორიები, წინ წავიდნენ ზედნაშენები, მთელი სულიერი და მატერიალური კულტურა. ამავე დროს, ეს მწარმოებელი მასები წარმოადგენენ რევოლუციების ძირითად ძალას, რომელსაც თვით მათი შრომით შექმნილი მატერიალური ცხოვრების პირობები ამზადებენ.

მშრომელი მასების ამ დამსახურებიდან გამომდინარეობს მათი დაფასების, მათდამი პატივისცემით მოპყრობის და მათზე ზრუნვის ის პოლიტიკა, რომელსაც ისტორიაში პირველად კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ატარებენ.

[1]. П. И. Поспелов, Пятьдесят лет коммунистической партии Советского Союза. „Вопросы истории", 1953 წ. № 11, გვ. 21.

[2]. ი. სტალინი. იხხ. ტ. 13., გვ. 112.

[3]. საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი. გვ. 157.

[4]. იქვე, გვ. 157-158.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი თოფურია

სოციალისტური რეალიზმის საწყისები დეო ქიაჩელის შემოქმედებაში

★

საბჭოთა ლიტერატურის მძლავრი იდეური აღმავლობის, მისი უდიდესი რევოლუციური გაქანების საფუძველი ის არის, რომ იგი თავის შემოქმედებითს განვითარებაში მთლიანად და სავსებით ემყარება სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, სოციალისტური ესთეტიკის მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრინციპებს.

სოციალისტური რეალიზმის, როგორც საბჭოთა ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის, ფორმულირება ეკუთვნის გენიალური ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობს ი. ბ. სტალინს. ამ მეთოდის მტკიცედ და საბოლოოდ დამკვიდრება ჩვენს ლიტერატურაში დაკავშირებულია სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის იმ პერიოდთან, როცა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკის წარმატებით გატარებამ უზრუნველყო სოციალისტური სისტემის სრული გამარჯვება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სწორედ ამ პერიოდში, 1932 წლის 26 ოქტომბერს, გორკის ბინაზე მწერლებს შეხვდა დიდი სტალინი. ი. ბ. სტალინის ეს შეხვედრა დიდი მნიშვნელობის თარიღად იქცა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში; სტალინმა პირველად აქ უწოდა მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრები, ხოლო საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რეალიზმი გამოაცხადა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სოციალისტური რეალიზმის ელემენტების ჩასახვის, ამ მეთოდის წარმოშობის ისტორია მხოლოდ ოცდაათიანი წლების პერიოდთან იყო დაკავშირებული. უნდა განვასხვავოთ ამა თუ იმ მოვლენის ჩასახვა და წარმოშობა მისი საბოლოო განმტკიცებისა და დამკვიდრებისაგან. ზოგიერთი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე კი ივიწყებს ამ მარტივ ჭეშმარიტებას და სადავოდ ხდის სოციალისტური რეალიზმის ფესვების ძიებას „სოციალიზმის მატერიალური ბაზის აღმოცენებამდე“ ჩვენს ქვეყანაში. ასე, მაგალითად, ა. ტარასენკოვი პირდაპირ წერს: „შეცდომას სჩადიან ის ლიტერატორები, რომელთაც სოციალისტური რეალიზმის წარმოშობა გადააქვთ შორეულ წარსულში“[1]. ამგვარად, თვით გორკის „დედას“ აღიარება სოციალისტური რეალიზმის სათავედ ეჭვის ქვეშაა დაყენებული. მართალია, ეს აზრი უარყოფილია საალიტერატურო კრიტიკაში, მაგრამ მისი ცალკეული გამოვლინებანი დღესაც გვხვდება. ამიტომ ამ საკითხებში სწორად გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში სოციალისტუ-

---

[1] ა. ტარასენკოვი, საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური რეალიზმის გზებზე, „საბჭოთა ლიტერატურა“ (წერილების კრებული), მოსკოვი, 1950 წ., გვ. 17.

ري რეალიზმის სათავეების საკითხის გაშუქებისათვის.

ლიტერატურულ მიმართულებათა, ისე როგორც ბაზისებისა და ზედნაშენების, ცვალებადობა შეპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეული ისტორიული პროცესებით, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების გარკვეული ვითარებით, გარკვეული ობიექტური კანონზომიერებებით.

კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური იდეების ფართოდ გავრცელების, იმპერიალიზმის რგოლის გაწყვეტისა და პირველი პროლეტარული რევოლუციის ეპოქის გარიჟრაჟზე რუსული კრიტიკული რეალიზმის წიაღში ჩაისახა და წარმოიშვა სოციალისტური რეალიზმი, როგორც ახალი წარმოებითი ურთიერთობის ნიადაგზე შემდეგში ჩაისახა და წარმოიშვა სოციალისტური საზოგადოების ლიტერატურის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდი, როგორც უმაღლესი ეტაპი ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში.

სოციალისტური რეალიზმი სინამდვილეს განიხილავს მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით და ასახავს მას რევოლუციურ განვითარებაში, პერსპექტივაში. ესაა მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთავისებურება. იგი ღრმად წვდება და გვისურათებს არა მხოლოდ დღევანდელს, არსებულს, არამედ გვიჩვენებს დღევანდელს მის ხვალინდელობაში, უკეთესი, უფრო დიადი მერმისისათვის ბრძოლის პერსპექტივაში. სოციალისტური რეალიზმი მთავარ მიზნად ისახავს მასების აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით. იგი თავისთავში ერთებს რევოლუციურ რომანტიზმს, როგორც მის ორგანულ, შემადგენელ ელემენტს. რევოლუციური რომანტიზმი ის შენაკადია სოციალისტურ რეალიზმში, რომლითაც მწერალს სრული შესაძლებლობა ეძლევა სინამდვილე გვიჩვენოს მის წარმტაც პერსპექტიულობაში და ამით დაარაზმოს ხალხი ასეთი სინამდვილის შესაქმნელად.

აშუქებდა რა სოციალისტური რეალიზმის არსის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, ა. ა. ჟდანოვი სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის I საკავშირო ყრილობაზე 1934 წლის 26 აგვისტოს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ლიტერატურისათვის, რომელიც ორივე ფეხით დგას მატერიალისტურ პოზიციებზე, არ შეიძლება უცხო იყოს რომანტიკა, მაგრამ რომანტიკა ახალი ტიპის, რომანტიკა რევოლუციური“.

რას ნიშნავს სოციალისტურ რეალიზმთან რევოლუციური რომანტიზმის შეერთება?

„რევოლუციური რომანტიზმი უნდა შედიოდეს ლიტერატურულ შემოქმედებაში, როგორც შემადგენელი ნაწილი,—ამბობდა იქვე ა. ა. ჟდანოვი,—ვინაიდან ჩვენი პარტიის მთელი ცხოვრება, მუშათა კლასის მთელი ცხოვრება და მისი ბრძოლა იმაში მდგომარეობს, რომ უაღრესად მკაცრი, უაღრესად ფხიზელი პრაქტიკული მუშაობა შეათავსოს უდიდეს გმირობასთან და გრანდიოზულ პერსპექტივასთან. ჩვენი პარტია მუდამ იყო ძლიერი იმით, რომ იგი აერთებდა და ახლაც აერთებს ნამდვილ საქმიანობას პრაქტიკულობის ფართო პერსპექტივასთან, გამუდმებულ მიზანსწრაფვასთან, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლასთან“.

სინამდვილის პერსპექტიული ჩვენება არ ხდება იმ უბრალო რომანტიკით, იმ უბრალო ფანტაზიით, რომელიც მეტნაკლებად ყოველ რეალისტ მწერალს ახასიათებს, როგორც მხატვრული შემოქმედების აუცილებელი პირობა. აქ ლაპარაკია გორკისეულ რევოლუციურ რომანტიზმზე, გორკისეულ შემოქმედებითს გაქანებაზე, რო-

მელმაც თავისი კლასიკური გამოხატულება ჰპოვა „დედაში“.

მეცნიერული სოციალიზმის იდეების მუშათა მოძრაობასთან შეერთების, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ფართოდ გაჩაღების, მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად და ახალი სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად მუშათა კლასის რიგების ორგანიზაციული დარაზმულობის ეპოქამ ცხოვრებაში წარმოშვა მოწინავე მებრძოლი მუშის, ბოლშევიკი-რევოლუციონერის სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ტიპი.

მაქსიმ გორკის გამჭრიახი მხატვრული ხედვა და გენიალური ალღო სწორედ აქ გამოჩნდა. მან ცხოვრებაში წარმოშობილი რიგითი ახალი ადამიანების — პეტრე ზალომოვისა და მისი დედის — ანა კირილეს ასულის პროტოტიპული მონაცემებიდან შექმნა რევოლუციისათვის, სოციალისტური იდეებისათვის თავდადებული გმირი ადამიანების — პავლე ვლასოვისა და პელაგია ნილოვნას უძლიერესი, მსოფლიო ლიტერატურაში უბრწყინვალესი სახეები. ასეთი სახეები შეიძლება იშვიათად მოიძებნებოდა მაშინდელ სინამდვილეში, მაგრამ ისინი მილიონებად გაიზრდებოდნენ (და გაიზარდნენ კიდეც) შემდეგში, რადგან მათ ჰქონდათ ზრდის, განვითარების, წინსვლის, აღმაფრენის პერსპექტივა. და უძლეველობა ხომ იმაშია, რაც იზრდება, ვითარდება. ასე იჩინა თავი გორკის „დედაში“ სინამდვილის გამოსახვის სოციალისტურმა მეთოდმა, რომელიც განათებული იყო რევოლუციური რომანტიკის შუქით. სწორედ ამიტომ მისცა ესოდენ მაღალი შეფასება ამ ნაწარმოებს პროლეტარიატის ბრძენმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა.

მებრძოლი, რევოლუციური ოპტიმიზმი და თავისუფლებისათვის ხალხის დარაზმულობის გმირული ჰეროიკა, სოციალისტური ჰუმანიზმი და ძალაფრი ტენდენციურობა, სინამდვილის წარმოსახვა მის მუდმივად მზარდ განვითარებაში, ადამიანთა გმირული, რეალისტური სახეების რომანტიკული შეფერადება, დიადი და ნათელი მომავლისათვის ბრძოლის სწორი გზის ჩვენება და ამ გზაზე არსებული წინააღმდეგობების გადასალახავად მთელი რაინდული სულიერი ძალების მობილიზება და დარაზმვა, გმირთა შემტევი, ბოლომდე დაუმორჩილებელი და გაუტეხელი სულისკვეთება, — აი, ის ძირითადი ნიშნები, რითაც შორდება „დედა“ კრიტიკული რეალიზმის შემბოჭველ ხუნდებს და გვესახება ახალ, უმნიშვნელოვანეს ეტაპად რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში.

გორკის შემოქმედების ეს სიახლე შეპირობებულია იმ განსაკუთრებული თავისებურებით, რომლითაც ხასიათდება რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორია მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეში. გორკის ამ ნაწარმოების შექმნისათვის ცხრაასხუთიან წლებში მომზადებული იყო იდეოლოგიური საფუძველიც. 1905 წლის 17 ნოემბერს „ნოვაია ჟიზნში“ გამოქვეყნდა ლენინის ისტორიული სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელმაც შეაიარაღა პროლეტარიატის ინტერესებთან ახლო მდგომი მწერლობა სოციალისტური ლიტერატურის შექმნისათვის ბრძოლის თეორიული საფუძვლებით. ლენინმა ამ სტატიაში დაიცვა და განავითარა მარქსისტული შეხედულება ლიტერატურის კლასობრივი ხასიათის შესახებ, გაანადგურა ხელოვნების „ზეკლასობრიობის“ ყალბი, ბურჟუაზიული თეორია, წამოაყენა და დაასაბუთა ლიტერატურის პარტიულობის, როგორც ლიტერატურის კლასობრიობის, პრინციპი და ამით განსაზღვრა ახალი, სოცია-

ლისტური ლიტერატურის განვითარების გზები და ამოცანები.

მაქსიმ გორკი რუსულ ლიტერატურაში იყო პირველი მწერალი, რომელიც გამოეხმაურა ლენინის მოწოდებას პროლეტარული ლიტერატურის შექმნის შესახებ. და შემთხვევითი როდია, რომ პროლეტარული, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი ნაწარმოები „დედა" იქცა აგრეთვე სოციალისტური რეალიზმის ელემენტების პირველ შემომტანად საბჭოთა ლიტერატურაში.

ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ გორკის „დედაში" სოციალისტურმა რეალიზმმა თავისი სრულყოფილი და დამთავრებული სახე მიიღო. სოციალისტური რეალიზმის ნიშნების სრულყოფა (რაც დღესაც გრძელდება) შესაძლებელი იყო მომხდარიყო მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ექსპლოატატორული კლასისა და კლასობრივი ჩაგვრის მოსპობის შემდეგ, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. მაგრამ ეს საკითხის მეორე მხარეა.

აქედან ცხადი ხდება, რომ სოციალისტური რეალიზმის ჩასახვა და აღმოცენება დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის რევოლუციური ბრძოლის გმირულ წარსულთან, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ფართოდ გაჩაღების ისტორიასთან. მაშასადამე, სოციალისტური რეალიზმის სათავეების „შორეულ წარსულში" ძიების უგულვებელყოფა მცდარია და გაუმართლებელი.

* * *

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში? გვაქვს თუ არა შესაძლებლობა ვეძიოთ სოციალისტური რეალიზმის სათავეები ჩვენი ლიტერატურის „შორეულ წარსულში", თუ მისი დამკვიდრება ავხსნათ მხოლოდ „დიადი გარდატეხის", „სოციალიზმის მატერიალური ბაზის აშენების" ეპოქასთან უშუალო და მჭიდრო კავშირში? თუ შესაძლებლია ეს ძიება, სახელდობრ სად, რომელ პერიოდში, რომელ მწერალთან?

აღსანიშნავია, რომ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ამ მიმართულებით თეორიული ძიება დღემდე არ გაშლილა. ამავე დროს, დასმული საკითხის შესწავლას, ვფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურის ეროვნული თვითმყოფადობის ნათელსაყოფად.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნის შრომებში გამოთქმულია მოსაზრებანი, რომლებიც მოითხოვენ ამ საკითხისადმი ინტერესის გაძლიერებას. ეს აზრები არსებითად ურთიერთ საწინააღმდეგო ხასიათს ატარებენ, მაგრამ მათ აერთებს ერთი საერთო სწორი პოზიცია: სოციალისტური რეალიზმის სათავეების შესაძლებლობის აღნიშვნა ჩვენს რევოლუციამდელ ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ ადრე, 1950 წელს, ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლების მეთოდიკურ პრობლემებზე მუშაობისას, ჩვენ გამოვთქვით აზრი ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში" სოციალისტური რეალიზმის ნიშნების არსებობის შესახებ, მაგრამ მაშინ ამ აზრის გაშლა და დასაბუთება არ მოგვიცია. შემდეგ სალიტერატურო კრიტიკაში გამოჩნდა მსგავსი შეხედულებანიც,[1] რამაც გვაიძულა კვლავ დავბრუნებოდით ამ საკითხს და გვეცადა მისი რამდენადმე საფუძვლიანი გაშუქება.

---

[1] მხედველობაში გვაქვს პ. ბახტურიძის წერილი „ლეო ქიაჩელი" („მნათობი", 1952 წ. № 2, გვ. 126-127) და გ. მერკვილაძის ნაშრომი „სოციალისტური რეალიზმის შესახებ", 1954 წ. გვ. 101-106.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებით შევაჩეროთ ამ საკითხებზე მკითხველის ყურადღება.

უწინარესად, როგორია „ტაროელ გოლუას“ მთავარი იდეური შინაარსი? რა კონკრეტულ ისტორიულ მასალაზეა აგებული იგი?

ლენინი თავის მოხსენებაში 1905 წლის რევოლუციის შესახებ, რომელიც მან წაიკითხა 1917 წლის 22 იანვარს ციურიხში მუშა ახალგაზრდობის მიერ მოწვეულ კრებაზე, იძლევა 1905 წლის პერიოდში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ამომწურავ, კლასიკურ დახასიათებას. ლენინი ამ მოხსენებაში მთელი თავისი სიცხადით აღადგენს მოვლენათა რევოლუციური განვითარების მღელვარე ეპიზოდებს, გვიჩვენებს, თუ როგორ, რა პოლიტიკური და სოციალური იდეალებით მონაწილეობდნენ გლეხთა მილიონიანი მასები 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, თანდათან როგორ იჭრებოდა მათს შეგნებაში რევოლუციური შეგნება, თავისუფლებისათვის ბრძოლის რევოლუციური იდეა.

„რუსეთის სოფელში, — ამბობდა ამ მოხსენებაში ლენინი. — გამოჩნდა **ახალი ტიპი — შეგნებული** ახალგაზრდა გლეხი. მას „გაფიცულებთან“ ურთიერთობა ჰქონდა, ის კითხულობდა გაზეთებს, ის უყვებოდა გლეხებს ქალაქებში მომხდარ ამბებს, ის უხსნიდა სოფელს ამხანაგებს პოლიტიკურ მოთხოვნათა მნიშვნელობას, ის მოუწოდებდა მათ ებრძოლათ მსხვილ მიწათმფლობელ თავადაზნაურთა, ხუცებისა და მოხელეთა წინააღმდეგ“[1] (ხაზი ჩემია, ა. თ).

ლენინის ამ სიტყვებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის ეპოქამ სოფლად წარმოშვა სრულიად ახალი ტიპი — ახალგაზრდა შეგნებული გლეხისა, რომელიც, დაკავშირებული იყო რა ქალაქის პროლეტარიატთან, ეწეოდა სოფლად რევოლუციური იდეების პროპაგანდას, აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლის აგიტაციას.

თავისი ხასიათით გლეხთა მოძრაობა იყო დაქსაქსული, არაორგანიზებული; ლენინი, აჯამებდა რა რევოლუციის დამარცხების მიზეზებს, თავის მოხსენებაში 1917 წელს, ამბობდა: „სამწუხაროდ, გლეხები მოქმედებდნენ მეტად დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, ვერ იჩენდნენ საკმარისად შეტევითს უნარს და ეს არის რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი“.[2] რევოლუციამ, როგორც ლენინი გვასწავლის, 1905 წლის გაზაფხულიდან დეკემბრამდე განვლო თავისი განვითარების შინაგანი ეტაპები.

ასეთი იყო გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გამლის თვალსაზრისით 1905 წლის ეპოქის კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე, რომლის მხატვრულ გამუქებას იძლევა ლეო ქიაჩელი.

როგორ შეძლო მწერალმა მოცემული ეპოქის ამ კონკრეტულ-ისტორიული ფაქტებისა და მოვლენის ასახვა ნაწარმოებში?

ჯერ ერთი, ნაწარმოები მოიცავს პერიოდს 1905 წლის გაზაფხულიდან შემოდგომამდე და მასში მოვლენათა და ვითარებათა ასეთივე დახლართული, ზიგზაგობრივი, გამწვავებული და შენელებული განვითარებაა, როგორც ეს ამ პერიოდის კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეში იყო. ოსტატურად გამოკვეთილი მხატვრული სახეების, ხასიათების საშუალებით იგი დამაჯერებლად და შთამაგონებლად მოგვითხრობს ჩვენი ხალხის სახელოვანი წარ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 1952 წ, გვ. 319-320.

[2] იქვე, გვ. 327.

სულის — 1905 წლის ეპოქის—მღელვარე და ბობოქარ დღეებზე, სწორად გვიხატავს მშრომელთა შეუნელებელ სწრაფვას თავისუფლებისაკენ, მათი რევოლუციური განწყობილების თანდათანობითს ზრდას, გვიჩვენებს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თანდათანობითს გაშლას, ამ მოძრაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის მიდრეკილებას, მიმართულებას. აღმავალი, რევოლუციური ხაზით მის განვითარებას, დაცემას და აღდგენას და. რაც მთავარია, ხალხის ჩაუქრობელ, გაუტეხელ რწმენას საბოლოო გამარჯვებისადმი. ამაშია ამ ნაწარმოების განსაკუთრებული შემეცნებითი მნიშვნელობა. მისი იდეურ-თემატიკური სიახლე ქართული კრიტიკული რეალიზმის წინა ნიმუშებთან შედარებით.

ნაწარმოებში გამოსახული სოციალური და პოლიტიკური მოვლენები, მაღალი საზოგადოებრივი იდეალები, ქართველი ხალხის საუკეთესო მებრძოლი ტრადიციები მთელი თავისი სიცხადით გამოხატულებას პოულობენ ტარიელ გოლუას მკვეთრად ინდივიდუალიზებულ, მაგრამ ამავე დროს დიდი მხატვრული ოსტატობით გამოძერწილ ზოგად ტიპიურ სახეში. ამ გმირის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორია არის ისტორია თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებით ამაღლებული მოწინავე ქართველი ხალხისა, ისტორია იმ მწვავე და შეურიგებელი ანტაგონიზმისა, რომელიც არსებობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ტარიელის სახეში ჩაქსოვილია ყველა ის ძვირფასი თვისება, რაც ისტორიულად ახასიათებდა და ახასიათებს ჩვენს ხალხს. იგი გვევლინება, როგორც ძლიერი და შეუდრეკელი ქართველი ხალხის ისტორიული სიმტკიცის, ქედუხრელობის, მტრებთან ბრძოლაში გამობრძმედილობისა და შეურიგებლობის მეტად ორიგინალური და რეალისტური განსახიერება.

თვით ადამიანის სულიერ ცხოვრების ყველაზე უსამინელეს მომენტშიც კი, როცა ტარიელ გოლუა ხელზე აყვანილი მოკლული ერთადერთი შვილით წინ ეგებება დავითის მიერ მიგზავნილ მეფის ჯარს, მის სახეზე არ იხატება შიშისა და შეკრთომის, უკანდახევისა და მორჩილების ოდნავი ნიშანი. მაინც მტკიცეა და უდრეკი მისი გამომეტყველება, მაინც ფეთქავს მის გულში გამარჯვების იმედი, იმედი ნათელი, ბრწყინვალე, თავისუფალი მომავლისა.

და, აი, ამ იმედით შთაგონებული ტარიელ გოლუა, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, კვლავ პირველი ეწერება ახალი რევოლუციისათვის მებრძოლთა წინა რიგებში. იგი კვლავ დგება გლეხთა მოწინავე რევოლუციური ძალების მხარდამხარ და მტრის წინააღმდეგ ბოლომდე შეუპოვარი ბრძოლის სანიმუშო მაგალითს აძლევს ახალგაზრდობას. „ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, — ვკითხულობთ რომანის ეპილოგში, — როგორც დროს ქარიშხლით ტოტებშემსხვრეული, აქაიქ დაკორძებული, მაგრამ ფესვებმაგარი და ტანძლიერი ძველი მუხა სდგას ხოლმე ახალ ავარდნილ ნორჩ ტყეში“.

ტარიელ გოლუას უეჭველად ჰყავს თავისი წინამორბედნი კრიტიკული რეალიზმის დადებითი გმირების: ხევისბერი გოჩას, ელგუჯას, ჯორ-ზაქარას და სხვათა სახით. მაგრამ მათთან შედარებით იგი წინ დგას თავისი მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებით, გამოცდილებით, შეხედულებით, თავისუფლების იდეებისადმი ერთგულების ურყევი გრძნობით. იგი ერთებს თავისთავში კრიტიკული რეალიზმის ბიერ დაგროვილ მდიდარ ტრადიციებს, მაგრამ აფართოვებს და აღრმავებს ამ ტრადიციებს ახალი ისტორიული ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად. ტარიელის სიტყვა და საქმე განუშორებელია

ერთმანეთისაგან; მისი ხასიათი ყალიბდება მოქმედებაში, მუდმივ მისწრაფებაში ახლისკენ, სინათლისკენ, მზისკენ; იგი ებრძვის ძველს, ანტაგონისტურ, დახავსებულ სინამდვილეს; და ამ ბრძოლაში კი არ სუსტდება, კი არ ეცვნა, არამედ უფრო და უფრო მაგრდება და მტრისთვის აუღებელ ციხესიმაგრედ იქცევა. ამაშია მისი სულის სიდიადე.

ასეთი ნაწარმოების შექმნითა და ასეთი ძლიერი მხატვრული სახის გამოკვეთით ლეო ქიაჩელმა სიმბოლიზმის ღრუბლებით დაბურული რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა აღადგინა თავის უფლებებში ქართული კლასიკური პროზის შესანიშნავი ტრადიციები. ამით მშვიდოდ დაუკავშირა ლიტერატურა ხალხის ინტერესებს, ცხოვრებას, სინამდვილეს და ამავე დროს სათავე დაუდო ახალ მხატვრულ-შემოქმედების მეთოდს — სოციალისტურ რეალიზმს. მაგრამ ეს მხოლოდ დებულებაა. მას სჭირდება დამტკიცება. გავყვეთ მსჯელობის ლოგიკას.

რას გვიჩვენებს „ტარიელ გოლუას“ იდეური შინაარსის ანალიზი?

უწინარეს ყოვლისა, ეს ნაწარმოები მასში გამოსახული ეპოქალური მოვლენებით. კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის სწორი ჩვენებით, მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით, დადებითი გმირების ხასიათით არსებითად განსხვავდება ქართული კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის სხვა ნაწარმოებისაგან. ეს განსხვავებულობა შეპირობებულია განსაზღვრული ისტორიული ეპოქის პირობებით, სპეციფიკური თავისებურებებით.

ფართო მასების შეგნებაში სოციალისტური იდეების შეჭრის ეპოქამ, რაც უშუალოდ დაკავშირებულია 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდთან, თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანა არა ცალკეული ინდივიდები, არამედ მთელი ხალხი. და თუ ინდივიდების ბრძოლა ისტორიული, გასაგებული იყო დამარცხებისათვის, ხალხის აღშფოთებისა და მრისხანების ჩაკვლა არ ძალუძს არავითარ ძალას, დაუშრეტელია მისი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, ამიტომ გარდაუვალია მისი გამარჯვებაც.

„ტარიელ გოლუაში“ მებრძოლი ოპტიმიზმი სწორედ ამითაა შეპირობებული. ლეო ქიაჩელმა გვიჩვენა ახალ ისტორიულ ეპოქაში გმირის ახალი ხასიათი, ახალი განწყობილება. პიროვნებისა და საზოგადოების მისწრაფებათა ერთიანობის უმაგალითო ძალა. ანტაგონისტური სინამდვილე ლამობს კვლავ გათიშოს ეს ერთიანობა, კვლავ ნამსხვრევებად აქციოს დადებით გმირთა პროგრესული იდეალები, ამ მიზნით იგი „ერთობის“ რაზმში გზავნის რეაქციის პირწავარდნილ აგენტს გაბოროტებულ გაიოზ გადალენდიას, მაგრამ, მიუხედავად შავი რეაქციის ყოველგვარი ხრიკებისა, მიუხედავად გაღებული დიდი მსხვერპლისა, ჩაუმქრალია მაინც ხალხის რევოლუციური სულისკვეთება. მისი რწმენა საბოლოო გამარჯვებისადმი. ეს რწმენა აღაფრთოვანებს ხალხის საუკეთესო შვილებს, უნერგავს მათ ნებისყოფის სიძლიერეს და მტერთან შეურიგებლობის გრძნობას.

ამის შედეგად ტარიელ გოლუა მისი წინამორბედი ლიტერატურული გმირებისაგან განსხვავებით ნაწარმოებიდან გამოიყურება არა ქედმოხრილი, დევნისა და რეპრესიების შედეგად სულიერად გატეხილი ადამიანი, არამედ გოლიათური, შეუდრეკელი სულის პიროვნება, როგორც ვაჟკაცობისა და გმირობის, ძვირფასი ხალხური გრძნობებისა და იდეალების უკვდავების განსახიერება. ამ მხრივ ტარიელ გოლუა უაღრესად ეროვნული, კოლორიტული სახეა.

ეს დიდი სოციალური აზრი მწერლის მიერ ჩაქსოვილია ეპილოგში, რაც როგორც ახალი შინაარსის ადექვატური ახალი ფორმა, შედარებით უცხო იყო კრიტიკული რეალიზმისათვის. მასში ოსტატურადაა ნაჩვენები მოვლენათა ხელახალი განვითარების, რევოლუციური მოძრაობის ხელახალი აღმავლობის დასაწყისი და მისი პერსპექტიულობა. ასე გასცილდა ლეო ქიაჩელი „ტარიელ გოლუაში" კრიტიკული რეალიზმის შეზღუდულობას და ამაღლდა ეპოქის მოთხოვნების დონემდე. ასე მოამზადა ქართველი ხალხის რევოლუციური გმირული ბრძოლების ისტორიულმა სინამდვილემ ნიადაგი სოციალისტური რეალიზმის ნიშნების ჩასახვისათვის ჩვენს ლიტერატურაში.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში" სოციალისტური რეალიზმის ნიშნების წარმომშობა აგვეხსნა მარტოოდენ 1905 წლის კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის თავისებურებებით, ჩვენი ხალხის გმირული ისტორიული ბრძოლის წარსულით. არ შეიძლება ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში" სოციალისტური რეალიზმის ნიშნებზე ვილაპარაკოთ და პარალელი არ გავავლოთ გორკის „დედასთან", როგორც ამ ნიშნების პირველ კლასიკურ გამოხატულებასთან მთელს საბჭოთა მრავალეროვან ლიტერატურაში. ამ ორი ნაწარმოების შედარებითი ანალიზი გვარწმუნებს, რომ ლეო ქიაჩელი ახლო დგას გორკის „დედასთან" არა მარტო თემატიკური აქტუალობის თვალსაზრისით, არამედ სახეთა შექმნის, იდეების გამოსახვის მხატვრული სიძლიერის მხრივაც.

მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

როგორც გორკიმ „დედა" შექმნა ცხოვრების სინამდვილეში მის მიერ უშუალოდ ნახული და განცდილი ფაქტიური მასალების, ამ მასალების დიდი მხატვრული განზოგადების საფუძველზე, ასევე ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" მთლიანად და საუკეთესოდ ემყარება მწერლის [illegible] გადატანილებას და იმ მდიდარ ფაქტიურ მასალებს, რაც მოეპოვებოდა მას 1905 წლის რევოლუციის შესახებ. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა მწერლის ერთი საინტერესო, დღემდე უცნობი მოგონება „ტარიელ გოლუას" შექმნის შესახებ, რომელიც ავტორთან შეთანხმებით გამოქვეყნებულია 1952 წელს გამოცემულ ჩვენს შრომაში „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში" (გვ. 59-62).

აი, რას წერს ერთგან ლეო ქიაჩელი ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის ტარიელის სახის შექმნის შესახებ თავის მოგონებაში:

„ტარიელს ისეთი პროტოტიპი არ ჰყავს, როგორც, მაგალითად, ბაჩუას. იგი ხალხური, ოდნავ იდეალიზებული ლიტერატურული სახეა, რომელიც უეჭველად შეიცავს კონკრეტულ დამახასიათებელ ნიშნებს იმ ადამიანებისას, რომლებიც მინახავს ბავშვობაში და შემდეგ. ასეთს მაღალს, ტანადოვანს, პირდაპირსა და თავმომწონე გლეხებს, დიდი საზოგადოებრივი ზნეობისა და გმირული ხალხური ტრადიციების მატარებლებს მე ბევრს ვიცნობდი ჩემს ცხოვრებაში. კერძოდ ობუჯში მე ვმეგობრობდი ბავშვობაში და შემდეგაც მთის ხალხის ამნაირ წარმომადგენლებს, ალსავსეთ ფიზიკური და სულიერი სიკეთით, რომელთა მოგონება ახლაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ამათი მხატვრული ანარეკლია ჩემი ტარიელ გოლუა".

აქედან ჩანს, რომ ტარიელ გოლუა ისე, როგორც ვლასოვი, არ წარმოადგენდა მაშინდელ ცხოვრებაში ჩვეულებრივს, გავრცელებულს, არამედ შექმნილია მწერლის მიერ რეალიზმში რევოლუციური რომანტიკის ელემენტების ძლიერად გამოყენების გზით, სახის მხატვრული შეფერადების, გამახვილების გზით, რაც ლიტერატურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ტიპიურობის პრობლემის გადაჭრის სრულიად სწორი, გორკის შემოქმედებითი პრაქტიკით შემოწმებული გზაა. უდავოა, რომ ტარიელ გოლუა მთელი სისრულით გამოხატავს მოცემული ისტორიული ეპოქის სოციალური ძალის არსს.

ისე როგორც გორკიმ „დედაში", ლეო ქიაჩელმა „ტარიელ გოლუაში" მძლავრად გვიჩვენა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი, როგორც ისტორიის მთავარი და შემოქმედი ძალა, ამ ხალხის სულიერი და მატერიალური ძალების განსაკუთრებული სიმტკიცე, მასში სოციალისტური იდეების ზეგავლენით პოლიტიკური შეგნებულების ამაღლებულობა და რევოლუციური განწყობილებების თანდათანობითი ზრდა. გლეხური იდეოლოგიის სოციალისტურად გარდაქმნის სიმბოლურ სურათს გადმოგვცემს ნაწარმოების ეპილოგის შემდეგი სტრიქონები:

„ახალგაზრდა სტუდენტის მოწოდებაზე პირველად ვერავის გაებედნა ხმის ამოღება. ამიტომ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

— მე მოვდივარ, — გაისმა ბოლოს თამამი ხმა ხალხიდან და წინ წარსდგა სვანური ქუდით შუბლზე ჩამოფარებული, თეთრი თმაწვერულვაშით მოსილი ტარიელ გოლუა... ტარიელის ხმის გაგონებაზე და მის დანახვაზე ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, მაგრამ მალე მიწყდა, სიჩუმე დამკვიდრდა.

ახალგაზრდა სტუდენტი შეკრთა, გაკვირვებულად მიმოიხედა, მაგრამ ხალხის ღრმა ფიქრით მოცულ სახეზე მომხდარის ამოცანა ვერ ამოეკითხა, — მისთვის უცნობი იყო ტარიელ გოლუას ოჯახის თავგადასავალი...

— მეც, — გაისმა შემდეგი, ცოცხალი კრიალა ხმა და ტარიელს გვერდით ამოუდგა კოხტად შეიარაღებული ბიჭანა.

— გზა მიტიეთ, ყმაწვილებო... ტარიელის გვერდში ამომაყენეთ... გლახა ბაჩუას სული მაცხონებინეთ... ძის მაგიერობა გამაწევინეთ, — გაისმა ტაგუს ხმა.

ხალხი გამოერკვა. სულ მცირე ხანში, რაც კი აქ ახალგაზრდობა მოიბოვებოდა, ტარიელისაკენ ყვირილით გაეშურა.

— ყველანი შენთან ვართ... მოვდივართ... ტარიელი მამაა ჩვენი და წინამძღოლი... აღფრთოვანებით ამბობდა ახალგაზრდობა და საყვარელს ადამიანს გარს ეხვეოდა".

ქართული კრიტიკული რეალიზმის არც ერთ წარმომადგენელს ლეო ქიაჩელამდე არ უჩვენებია ხალხის სულიერი აღფრთოვანების, სოციალისტური აზრების გარშემო მისი ერთსულოვანი დარაზმულობის ესოდენ მიმზიდველი და კდემამოსილებით აღსავსე სურათი. კრიტიკულ რეალიზმს არც შეეძლო მოეცა ასეთი სურათი თავისი შეზღუდულობის გამო, ეპოქის ჩამორჩენილობის გამო. ლეო ქიაჩელმა ახალი ისტორიული ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა გვიჩვენა ხალხის იდეური ზრდა და დარაზმულობა. მისი სულიერი ამაღლება და ერთიანობის ძალა, მისი მებრძოლი ოპტიმიზმი და ანტაგონისტური საზოგადოების დანგრევის გარდუვალი აუცილებლობა.

მ. გორკის „დედაში" ახალგაზრდა, 19-20 წლის, პავლე ვლასოვი პირველად იწყებს არალეგალურ ფარულ ორგანიზაციაში მუშაობას და მარქსისტული წიგნების კითხვით გარშემო იკრებს ფაბრიკის მუშებს, ხდება მათი მეთაური და ორგანიზატორი. შვილის მოქმედებაში სიმართლესა და ჭეშმარიტებას ხედავს დედა — პელაგია ნილოვნა. ეს აიძულებს მას, არათუ დაუშალოს შვილს საშიში გზით სიარული, არამედ შიმდეგში თვითონ ხდება გამოჩენილი რევოლუციონერი, ხალხის წინამძღოლი და ბელადი.

დედა ამ შემთხვევაში დიდი რუსი ხალხის სულიერი სიმტკიცის, მისი გოლიათური და რევოლუციური გაქანების განსახიერებაა ნაწარმოებში. დედის სიტყვა და საქმე შთაგონებულია ხალხის ინტერესებისათვის, სიმართლისა და ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის ბრძოლის იდეით. იგი ძლიერია ხალხური სიბრძნით, გამოცდილებით, ჰუმანიზმით. ამიტომ დედა უნათებს გზას არა მარტო პავლე ვლასოვს, არამედ მთელ რევოლუციურ ახალთაობას, ანდრეი ნახოდკასაც და ეგორსაც, საშენკასაც და ნატაშასაც, რიბინსაც და მიხეილსაც. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების სიუჟეტი უმთავრესად პავლე ვლასოვის რევოლუციური წრთობის, მისი ბოლშევიკური ხასიათის ჩამოყალიბების პროცესის ჩვენების გარშემო ტრიალებს, მის ცენტრში მაინც დგას პელაგია ნილოვნა, როგორც ხალხის უძლეველობის სიმბოლური სახე.

ლეო ქიაჩელი თავის ნაწარმოებში უეჭველად მიყვება ამ გორკისეულ ნაცად გზას — იმ განსხვავებით, რომ გორკის „დედაში" მუშათა კლასი მოსჩანს, როგორც რევოლუციის მთავარი ძალა და ჰეგემონი. ხოლო „ტარიელ გოლუაში" მოვლენების რევოლუციური განვითარება ნაჩვენებია სოფლის ცხოვრების მასალებზე. ამიტომ ამ უკანასკნელში მამა — ტარიელი ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებაში ისეთივე როლს ასრულებს, როგორსაც ასრულებს პელაგია ნილოვნა „დედაში".

აქაც სოფლად რევოლუციური იდეების პირველი შემომტანია 20-21 წლის ახალგაზრდა გლეხი ლევან გოლუა, ხელობით მებუხრე, თავისი საქმის ოსტატი, რომელსაც „ხშირად ქალაქშიაც კი იწვევდნენ სამუშაოდ". ჩვენი აზრით, ლევან გოლუა შეგნებული ახალგაზრდა გლეხის **იმ ახალი ტიპის** ცოცხალი სახეა, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ წარმოშვა, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სოფლებშიც. მართალია, ლევან გოლუა თავისი პოლიტიკური [illegible] კიდევ არ არის ამაღლებული ლენინის მიერ დახასიათებული ტიპის დონემდე. იგი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული პროფესიონალი რევოლუციონერი, მაგრამ განა სწორედ ქალაქთან დაახლოებულ ამ ახალგაზრდა მუშას არ შეაქვს სოფელში ახალი იდეები? განა სწორედ იგი არ იკრებს თავის გარშემო „სოფლელ ამხანაგებს", მოწინავე გლეხებს, არ შეაქვს მათ შეგნებაში ახალი აზრი, ბრძოლისა და მოქმედების ახალი იდეა? განა იგი არ რაზმავს მეამბოხე გლეხებს მემამულეთა წინააღმდეგ, ჭეშმარიტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ საბრძოლველად? სწორედ ამიტომ ნაწარმოების სიუჟეტი უმთავრესად ლევანის გარშემო ტრიალებს. მაგრამ აქაც მამა — ტარიელი, მთელი არსებით უერთდება რა შვილის მიერ გაჩაღებულ ახალ საქმეს, შემდეგ თვითონ ხდება რევოლუციური მოძრაობის ბელადი და ორგანიზატორი სოფლად. ამ შემთხვევაში ტარიელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი ხალხის გმირული სულისა და ისტორიული გამბრძმედილობის გამოხატულებაა და მხოლოდ იგი რჩება უკვდავი, როგორც ხალხი.

ასეთი სიახლოვე „დედასა" და „ტარიელ გოლუას" შორის კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგება თვალწინ, როცა ამ ორი ნაწარმოებიდან მოტანილ შემდეგ ადგილებს დაკვირვებით შევადარებთ ერთმანეთს: მოვიგონოთ პავლე ვლასოვის პირველი გამოსვლა ხალხის წინაშე, ფაბრიკის სახელდახელო მიტინგზე: — ჯერ კიდევ გაუბედავია მისი ხმა, თითქოს ძალა და სიმტკიცე აკლია, თითქოს ერთგვარ შიშსა და შეკრთომას განიცდის, მაგრამ იქვე გვერდით უდგას დედა, როგორც შთაგონება, რომელიც გაბედულებას მატებს მის ხმას.

„იქ, სადაც სიზოვი და მახოტინი იდგა, — ვკითხულობთ „დედაში“, — პავლეც გაჩნდა და გაისმა მისი ძახილი.

— ამხანაგებო!..

დედა ხედავდა, რომ მას სახე გაუფითრდა, ტუჩები უთრთოდა (ხაზი ჩვენია. ა. თ.); იგი თავისდაუნებურად გაემართა წინისაკენ... პავლე დაეუფლა თავს და ლაპარაკობდა სადად, წყნარად. ხალხი ნელნელა უახლოვდებოდა მას“.

შევადაროთ ამ ეპიზოდს ბოლიას პირად გამართულ ფარულ კრებაზე ლევან გოლუას პირველი გამოსვლის სცენა. როგორ უკანკალებს, უკრთის მას პირველ ხანებში გული! როგორ იკრებს თანდათან ძალას, ენერგიას, რაოდენ გაბედულებას მატებს მის მეტყველებას მამის — ტარიელის ყოფნა გვერდით! „ლევანის ხმა თანდათან ძლიერდებოდა, — აგვიწერს ამ სცენას მწერალი. — აზრი უმტკიცდებოდა, ბოლოს მისმა სიტყვამ თავისუფლებისა და მშრომელი ხალხის უფლებათა დეკლარაციის ხასიათი მიიღო. როგორც კი გაათავა ორატორმა თავისი სიტყვა, აღელვებულმა ხალხმა დაიგრიალა:

— გაუმარჯოს ერთობას!.. ერთობას გაუმარჯოს!“...

ჩვენ ვხედავთ, რომ ლეო ქიაჩელის ნაწარმოებშიც ახალგაზრდა რევოლუციონერის განცდები, მისი სიტყვების გავლენა ხალხზე თანდათან ყალიბდება და ძლიერდება უფროსი თაობის მიბაძვით; ისევე როგორც გორკის „დედაში“, აქაც ძლიერად გაისმის მქუხარე მომწოდებელი სიტყვები: „ამხანაგებო“, „ძმებო“, „გაუმარჯოს“, „თავისუფლება“, „ერთობა“ და სხვა, რაც 1905 წლის ეპოქამ წარმოშვა, როგორც რევოლუციური დარაზმულობის პრწყინვალე გამოხატულება.

[1] მაქსიმ გორკი. „დედა“, 1929 წ., საქართველოში. გვ. 58-59.

საინტერესოა გორკის „დედადან“ ერთ-ერთი პერსონაჟი — ნატაშა. იგი ვაჭართა კლასის, რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი კლასის წარმომადგენელია, მაგრამ ახალგაზრდა ნატაშა გაექცა მამის მიერ ხალხის გაძარცვით დაგროვილ სიმდიდრეს და ცხოვრებაში აირჩია სახიფათო, ძნელი, ბრავალ რისკთან დაკავშირებული რევოლუციური მუშაობის გზა. მან ზურგი შეაქცია თავის კლასს, თავის მშობლიურ გარემოს. დაახლოებით მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე „ტარიელ გოლუაშიც“. თინა ვერ ურიგდება მემამულე დავითის — მშობელი მამიაცივ და უხეშ ხასიათს, ზურგს აქცევს თავის კლასს. როგორც სოციალური ბოროტების საფუძველს და ლევანთან სიყვარულის გამოცხადებით თანაუგრძნობს ახალ თაობას, ახალ რევოლუციურ იდეებს, დგება ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზებზე.

ჩვენ ამ ორი ნაწარმოების ერთმანეთთან შედარება იმისათვის დაგვჭირდა, რომ უფრო ნათლად გვეჩვენებინა სალიტერატურო კრიტიკაში უკვე შენიშნული ის იდეური და თემატიკური სიახლოვე, რომელიც გორკის „დედასა“ და ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ შორის არსებობს.

მაქსიმ გორკის „დედა“ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ნაწარმოებია. „დედაში“ ნამდვილი რევოლუციონერი კლასის — მუშათა კლასის ორგანიზაციული დარაზმულობის, მუშა-ბოლშევიკების: ეგორის, ანდრეი ნახოდკას, პავლე ვლასოვის და სხვათა წარმტაცი სახეების ზრდის, მათი ხასიათის ფორმირების, ჩამოყალიბების ისტორიული პროცესია ნაჩვენები. ამ მხრივ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ განსხვავდება გორკის „დედასაგან“. ლეო ქიაჩელის ნაწარმოებში შორიდან, ისიც ბუნდოვანად მოჩანს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში. ჩვენ ამას ვგრძნობთ

ქვეტექსტიდან ლევანის მორიდებულ სიტყვებში მამის წინაშე: „სირცხვილი იყო... ჩვენ-ღა ვსდუმდით“, ე. ი. ქალაქი რევოლუციის ალშია გახვეული და სოფელიც მის გზას უნდა გაჰყოლოდა. მაგრამ მთლიანად ნაწარმოების სიუჟეტი სოფლის ორტახებშია ჩაკეტილი, გლეხური რევოლუციის ამბებზეა აგებული. გლეხობა კი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, არ არის ბოლომდე რევოლუციონერი კლასი, იგი მერყევი და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელია. როგორ შევახამოთ ასეთი კლასის ინტერესები სოციალისტური რეალიზმის პრინციპებთან? ხომ არ არღვევს ეს არგუმენტაცია ჩვენს მტკიცებას? ვფიქრობთ, არა.

ცნობილია, რომ რუსეთის სინამდვილესთან შედარებით, საქართველოში სამრეწველო პროლეტარიატი ჯერ კიდევ ნაკლები იყო; ამით განსაკუთრებით სარგებლობდნენ მენშევიკები და ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ამის შესახებ ვკითხულობთ. რომ „თბილისის მენშევიკებმა (თბილისში კი ცოტანი იყვნენ სამრეწველო მუშები) ყრილობაზე (ლაპარაკია რსდმპ სტოკჰოლმის მე-4 გაერთიანებელ ყრილობაზე. ა. თ.) იმდენივე დელეგატი გამოგზავნეს, რამდენიც გაგზავნა უდიდესმა პროლეტარულმა ორგანიზაციამ — პეტერბურგის ორგანიზაციამ“.[1] ამიტომ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ჩვენში შედარებით უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა: „სარატოვის, ტამბოვის, ჩერნიგოვის, თ ბ ი ლ ი ს ი ს, ქ უ თ ა ი ს ი ს (ხაზი ჩემია ა. თ.) და ზოგიერთ სხვა გუბერნიაში მოდებული იყო ნამდვილი გლეხური აჯანყებები“.[2] ლეო ქიაჩელი გვერდს ვერ აუვლიდა ამ ისტორიულ სინამდვილეს. იგი თავისი წარსულიდან სწორედ ამ გლეხურ მოძრაობასთან ერთად შირებული. ცხადია, ყოველივე ამან განსაზღვრა მისი ნაწარმოების შეზღუდულობაც გორკის „დედასთან“ შედარებით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაწარმოებში ისტორიული სინამდვილე დამახინჯებულად, გლეხური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი მერყეობითა და წვრილბურჟუაზიული განწყობილებებით როდია მოცემული. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, თუ როგორ შეძლო მწერალმა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების მხატვრული განზოგადების სიმაღლემდე აყვანა. ამ საქმეში მწერლის მსოფლმხედველობის სწორი მიმართულებით განვითარება, ჩვენი აზრით, განაპირობა მაქსიმ გორკის „დედას“ გამოჩენამ რუსული რევოლუციამდელი ლიტერატურის ჰორიზონტზე, მისმა კეთილისმყოფელმა იდეებმა. ასეთია საქმის ვითარება.

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ყოველივე ზემოთქმულიდან?

1. 1905 წლის კონკრეტულ-ისტორიული ეპოქა უმნიშვნელოვანესი პერიოდია ქართველი ხალხის რევოლუციურ-გამათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში. ამ პერიოდში რუსეთის მოწინავე, მთელ მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური მუშათა კლასის გმირულ მაგალითზე, მუშათა კლასისა, რომელსაც სათავეში ედგნენ მარქსისტული თეორიით შეიარაღებული ბოლშევიკების პარტია, დიდი ლენინი, საქართველოშიც ჩაღდება მუშათა და გლეხთა მძლავრი რევოლუციური მოძრაობა. ამ მოძრაობამ, რომელსაც ამიერკავკასიასა და საქართველოში უშუალოდ ხელმძღვანელობდა გენიალური ლენინის თანამებრძოლი ი. ბ. სტალინი, თავისუფლებისათვის ბრძოლის ნათელი გზა უჩვენა ხალხს, მუშებს და გლეხებს.

[1] საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, თბილისი, 1950 წ., გვ. 106.

[2] იქვე, გვ. 99.

2. ქართულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის ელემენტების ჩასახვა სწორედ ქართველი ხალხის ამ ისტორიულ წარსულთანაა დაკავშირებული. ეს სათავეები, ჩვენი აზრით, მომდინარეობს 1905 წლის ეპოქის ბრწყინვალედ გამომსახველი ნაწარმოებიდან — ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუადან". მასში, კრიტიკული რეალიზმისაგან" განსხვავებით, მოცემული ეპოქის სინამდვილე ასახულია მის განვითარებაში, პერსპექტივაში, მებრძოლი ოპტიმიზმისა და თავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლის რევოლუციური იდეებით.

3. „ტარიელ გოლუაში" სოციალისტური რეალიზმის ამ ელემენტების წარმოშობა განაპირობა, ერთი მხრივ, ჩვენი ეროვნული ლიტერატურის სახელოვანმა ტრადიციებმა და ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის განსაზღვრული ისტორიული პერიოდის თავისებურებებმა, ხოლო მეორე მხრივ, დიდი ჰუმანისტისა და სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის „დედამ".

ამის შედეგად ნაწარმოები გამოირჩევა თავისი რევოლუციური პათოსით, რევოლუციური გაქანებით, რაც ერთიორად ზრდის და ამაღლებს მის ობიექტურ მნიშვნელობას.

4. ყოველივე ამან შექმნა მტკიცე საფუძველი ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის საბოლოოდ და ურყევად გამარჯვებისათვის, რაც ასე მტკიცედ გამოვლინდა შემდგომში ქართული საბჭოთა პროზის ისეთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში, როგორიცაა „გვადი ბიგვა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. გაჩეჩილაძე

მარქსიზმის კლასიკოსები თარგმნის ხელოვნების შესახებ

★

ხალხთა კულტურული ურთიერთობის დღევანდელი ეტაპი განსაკუთრებული აქტუალობით აყენებს მხატვრული თარგმანის პრობლემას. მხატვრული თარგმანი სახელმწიფოებრივ საქმედ ითვლება. საბჭოთა მთარგმნელების წინაშე დიდი თეორიული და პრაქტიკული ამოცანები დგას. ამავე დროს, ჩვენ არა გვაქვს მხატვრული თარგმანის ჩამოყალიბებული თეორია, რომელიც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინურ მეთოდს და საუკეთესო ტრადიციებს მხატვრული თარგმანის დარგში. თარგმანის თეორიის შექმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მიერ გამოთქმულ კონკრეტულ მოსაზრებებს თარგმანის შესახებ, მათ საკუთარ მთარგმნელობითს პრაქტიკას.

თარგმანის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის სტრუქტურასთან, მის კანონებთან.

ბუნებრივია, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად მარქსიზმის ფუძემდებლები უპირველეს ყოვლისა მოითხოვენ უცხო ენათა შესწავლას. თვითონ ისინი თავისი დროისათვის უცხო ენათა შესანიშნავი მცოდნენი იყვნენ; ძალიან ხშირად თვითონ თარგმნიდნენ მათთვის საჭირო მასალას მშობლიურ ენაზე, ან, პირიქით, საკუთარ ნაწარმოებს — უცხო ენაზე. ხშირად ისინი ამჯობინებდნენ იმ ენაზე წერას, რომელთანაც იყო დაკავშირებული მათი ყურადღების საგანი — ადამიანი თუ ნაწარმოები.

ენების შესწავლას და თარგმნას მარქსიზმის ფუძემდებლები არ უდგებოდნენ ვიწრო პროფესიული და წმანდა ფილოლოგიური თვალსაზრისით. მათთვის მისაწვდომი იყო არა მარტო დასავლეთის მკვდარი და ცოცხალი ენები. მარქსი და ენგელსი სწავლობდნენ რუსულ ენასაც და ცნობდნენ მის დიდ მნიშვნელობას.

„იმისათვის, რომ შესაძლებლობა მქონოდა საგნის საკუთარი ცოდნით რუსეთის ეკონომიკური განვითარების საფუძველი განმეხილა და დამეფასებინა, რუსული ენა შევისწავლე და შემდეგ, მრავალი წლის მანძილზე, ვსწავლობდი ოფიციალურსა და სხვა გამოცემებს, რომელნიც ამ საკითხს ეხებოდნენ“[1].

როდესაც „კაპიტალი“ რუსულად ითარგმნა, მარქსს საშუალება ჰქონდა ეთქვა დანიელსონისათვის (წერილში 28/5, 1872 წ.): „თარგმანი ოსტატურად არის შესრულებულია“. მარქსს თარგმანი მოეწონა, მიუხედავად იმისა, რომ სამი კაცი თარგმნიდა „კაპიტალს“ და მოსალოდნელი იყო სხვაობა მთარგმნელთა ნაშრომში. წერილებში ზორგესადმი იგი ერთგან წერს (21/6—1872 წ.): „აი, რას მწერენ რუსეთიდან ჩემი წიგნის რუსულ თარგმანზე (რომელიც ოსტატურად არის შესრულებული)“. ადრე კი მარქსი სრულიად არ მოელოდა, რომ მისი შრომის პირველი უცხო თარგმანი განხორციელდებოდა სწორედ რუსულ ენაზე. წერილში კუგელმანისადმი (12/X — 1868) ნათქვამია: „ჩემმა თხზულებამ პრუდონის წინააღმდეგ (1847), ასევე იმან, რაც დუნკერმა გამოსცა (1859), ვერსად ვერ პოვა ისეთი გასაღება, როგორც რუსეთში. პირველი უცხო ერი, რომელმაც „კაპიტალი“ გადათარგმნა, რუსების ერია“. ლაფარგი ამბობს: „მარქსი კითხულობდა ყველა ევროპულ ენაზე, სამ ენაზე

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი „რჩეული წერილები“, სახელგამი, 1949, გვ. 344.

კი — გერმანულად, ფრანგულად და ინგლისურად ისე წერდა, რომ ამ ენების მცოდნე ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა; მას უყვარდა განმეორება ფრაზისა: „სხვისი ენა არის იარაღი სასიცოცხლო ბრძოლაში". როდესაც მარქსი უკვე 50 წლისა იყო, მან დაიწყო რუსული ენის შესწავლა და, მიუხედავად ამ ენის სიძნელეებისა, იმდენად დაეუფლა მას რაღაც ექვსიოდე თვის შემდეგ, რომ შეეძლო სიამოვნებით ეკითხა რუსი პოეტები და პროზაიკოსები, რომელთაგან განსაკუთრებით აფასებდა პუშკინს, გოგოლს და შჩედრინს" [1]...

მარქსი არა მარტო თვითონ თარგმნიდა, არამედ რედაქტორობდა სხვის თარგმანებსაც. ამ მხრივ მის მიერ ჩატარებული მუშაობა და წერილობითი შენიშვნები საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ მარქსის შეხედულებებზე თარგმანის ამოცანებისა და მეთოდიკის შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მარქსის სარედაქტორო შენიშვნები ლისაგარეს ფრანგული შრომის — „პარიზის კომუნის შესახებ" გერმანული თარგმანის გამო. ეს შენიშვნები მოთავსებულია წერილებში აღნიშნული შრომის გამომცემელ ვ. ბრაკესადმი. აღსანიშნავია აგრეთვე წერილი ვ. ბლოსისადმი.

მარქსი განიხილავს ამ თარგმანს და აღნუსხავს მასში გაპარულ შეცდომებს. მაგრამ იგი უფრო შორს მიდის: არკვევს ამ შეცდომების ბუნებას და წარმოშობის მიზეზებს. მარქსის ეს შენიშვნები სცილდება დედნის და თარგმანის ფორმალური შედარების და ფაქტის კონსტატაციის საზღვრებს და მეცნიერული დასკვნის სახით გვევლინება.

მარქსი არჩევს მცდარად თარგმნილ სიტყვებს და გამოთქმებს და ასკვნის, რომ მთარგმნელი (იზოლდა კურცი) თარგმანისათვის „იღებს პირველსავე სიტყვას, მიუხედავად იმისა, გამოსადეგია, თუ არა იგი". [2]

წერილში ბრაკესადმი (21/4 — 1877) მარქსი წერს: „ქ-ნ კურცს რამდენიმე თვის წინათ... მივწერე, რომ უკიდურეს შემთხვევაში, დროის ნაკლებობის გამო, მე შემიძლია გავასწორო მხოლოდ ყველა უსწორმასწორობა, რომელსაც ვერ გაექცევა ვერც ერთი უცხოელი, ვინც კი საკმაოდ არ იცნობს საფრანგეთის პირობებს, მაგრამ გავასწორო არა მთარგმნელის უბრალო შეცდომები". [3]

ამგვარად, მარქსი მთარგმნელს სთავაზობდა იმ ხარვეზების შევსებას, რომელსაც ქვეყნის პირობების გაუცნობლობა უქმნის მთარგმნელს მის მუშაობაში. აქ აშკარად ჩანს ამ პირობათა გაცნობის, მათი შესწავლის მნიშვნელობა მთარგმნელის სერიოზული მუშაობისათვის, ჩანს იმ დიდი გავლენის შესაძლებლობა, რომელსაც ზემოაღნიშნული ფაქტორი ჰქმნის მთარგმნელისათვის.

შეცდომების აღნუსხვისა და ანალიზის შედეგად მარქსი წერილში ვ. ბრაკესადმი (16/5 — 1877) ასკვნის: „საერთოდ თარგმანი იქ, სადაც იგი არ არის უბრალოდ მცდარი, ხშირად განცვიფრებს თავისი უძლური ფილისტერული და მშრალი ენით. თუმცა შეიძლება ეს გარკვეულად უპასუხებს გერმანულ გემოვნებას". [4]

სტილის მიმართ მარქსის დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელია ერთ-ერთი თარგმანის შესახებ მარქსის მიერ გამოთქმული აზრი (6/XI—1876 წ): ..... მას აშკარად აკლია ენის ის სიმსუბუქე და მოქნილობა, რომელიც საჭიროა სწორედ ამ წიგნის თარგმნისათვის". [5]

გარდა იმისა, რომ მარქსი მეტად მაღალ მოთხოვნილებებს უყენებდა თარგმანის ენასა და სტილს, იგი ამავე დროს აღნიშნავდა კლასობრივი მსოფლმხედველობის გავლენასაც მთარგმნელზე და მის შემოქმედებაზე. ამ მსოფლმხედველობაზე არის დამოკიდებული თარგმანის მეთოდიც და სისტემაც, ლინგვისტური ფაქტების გარკვეული ინტერპრეტაციაც. მაგრამ გარკვეული მსოფლმხედველობის ბრმა მიმდევრობას შეუძლია გამოიწვიოს არასწორი დასკვნები და შეცდომები.

მარქსი ამავე დროს ამხელდა სიტყვა-სიტყვითი თარგმანის უძლურ და

[1] П. Лафарг, „Воспоминания о Марксе", 1933 г. стр. 7—8.

[2] Маркс-Энгельс, Архив, т. I(VII), стр. 106.

[3] იქვე, გვ. 109—110.

[4] იქვე, გვ. 114.

[5] იქვე, გვ. 101.

მშრალ ენას, მოითხოვდა სინტაქსის კანონებისა და ზუსტი ტერმინოლოგიის დაცვას და პოლიტიკურ გარკვეულობას, სტილის სიმსუბუქესა და მოქნილობას.

მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მარქსის და ენგელსის არქივის XI ტომი. ამის გამო ნ. სამორუკოვი წერს გაზეთ „პრავდაში“:[1] „მარქსი და ენგელსი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის მრავალი წლის განმავლობაში რუსეთის ისტორიას, მის რევოლუციურ მოძრაობას დიდ ყურადღებას უთმობდნენ... რათა ჰქონოდა შესაძლებლობა უკეთ გამოეკვლია პირველწყაროების სამუალებით რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, მარქსი სწავლობდა რუსულ ენას... მარქსმა წაიკითხა რუსული წიგნების დიდი რაოდენობა, სხვადასხვაგვარი ოფიციალური და არაოფიციალური რუსული მასალები, გამოცემული როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ“.

როგორც ირკვევა ამ მასალებიდან, მარქსს რუსი ავტორებიდან ყველაზე უფრო აინტერესებდა ჩერნიშევსკი, რომლის ეკონომიკური ნაშრომები მან მთლიანად წაიკითხა და დიდად შეაფასა. მარქსი აგრეთვე კითხულობდა და კრიტიკულად ამუშავებდა 70-ანი წლების რუს ლიბერალ-რეფორმისტებს, რომელთა სრული მხილება მარქსმა დაგვიტოვა შენიშვნების სახით მათი წიგნების კონსპექტებში.

ჩერნიშევსკის შრომათაგან მარქსი განსაკუთრებით დაინტერესებულა „უმისამართო წერილებით“, რომლის გამოქვეყნება მეფის ცენზურამ აკრძალა. მხოლოდ მარქსის დაბეჯითებითი მოთხოვნით გამოქვეყნდა ეს ნაშრომი შვეიცარიაში 1874 წელს.

ნ. სამორუკოვი წერს იმავე სტატიაში: „პირველი წერილი გერმანულ ენაზე მარქსმა გადათარგმნა სრულად, დანარჩენი ოთხი წერილიდან იგი თარგმნიდა ცალკე ამონაწერებს“. საინტერესოა მარქსის თარგმნის მეთოდის დასახასიათებლად მესამე წერილის ამონაწერთა თარგმანი. ამის შესახებ ნ. სამორუკოვი ამბობს: „არაერთგან მარქსი აძლიერებს ხელნაწერიდან თარგმნილ გამოთქმებს, აძლევს რა ჩერნიშევსკის დებულებებს იმ სინათლეს და გარკვეულობას, რომელიც „უმისამართო წერილებს“ [illegible] საცენზურო ნაწარმოებს [illegible] ვის, შეუძლებელი იყო. ამგვარად, თარგმნის რა ჩერნიშევსკის თხზულებიდან ადგილს იმის შესახებ, რომ საეჭვოა მოხერხდეს რაიმე ლონისძიების მიღება სხვა რეფორმებისადმი საერთო მისწრაფების წინააღმდეგ, რომელიც ეს-ეს არის თავს იჩენს, მარქსი გადმოგვცემს შემდეგს: „ამ მისწრაფებებს, სწრაფად მზარდს, დამსჯელი ლონისძიებებით ვერავინ ჩაახშობს“.

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ თარგმნის პროცესში მარქსი იყენებს ორგვარ პრინციპს: მთლიან და სრულ თარგმანს (პირველი წერილის შემთხვევაში) და საგანგებოდ გაძლიერებულ და ნათელყოფილ თარგმანს (მესამე წერილის შემთხვევაში). მარქსი პედანტურად და ფორმალურად არ უდგება თარგმანს: ხელმძღვანელობს პრინციპული საჭიროებით და ორიგინალს თავისუფლად ექცევა. მაგრამ, ისე, რომ ორიგინალის იდეა არ იკარგება, ეს იდეა უფრო წინ წამოწეული გამოდის.

ფრ. ენგელსი მთარგმნელისაგან მოითხოვს უპირველეს ყოვლისა „ორიგინალის გამოთქმის ძლიერების“ გადმოცემას. როდესაც იგი არჩევს „საფაბრიკო კანონმდებლობის“ ფრანგულ თარგმანს, წერილში მარქსისადმი (29. XI 1873) წერს: „ორიგინალის ძალა, მარილიანობა და ცხოველმყოფელობა — ყველაფერი დაკარგულია“. ენგელსი აკრიტიკებს ფრანგული ენის ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს, რომლებიც ბოჭავენ აზრის გამოთქმის საშუალებებს და ყოველგვარ გამჭვირვალობას და სიცოცხლეს უკარგავენ მათ. იგი წერს: „მარტო ის, რომ პედანტური ფორმალური ლოგიკის კარნახით აუცილებელი გახდა თითქმის ყველგან წინადადების გადასმა, აუფერულებს გადმოცემას, ცხოველმყოფელობას უკარგავს მას. მე დიდ შეცდომად ჩავთვლიდი, თუ ინგლისურ თარგმანს საფუძვლად ფრანგული ტექსტი დავუდებოდა. ინგლისურ ენაზე არაა საჭირო ორიგინალის გამოხატვის სიძლიერის შესუსტება; ის გარდაუვალი ზიანი, რაც ზოგიერთი ადგილის ნამდვილად დიალექტიკური

[1] „Правда“, № 45 (11152) 1949 г.

გადმოცემის მხრივ იქნება, ანაზღაურდება სხვა ადგილებში ინგლისური ენის უფრო მეტი სიძლიერითა და ლაკონურობით"[1].

ენგელსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთარგმნელის მიერ იმ ხალხის ცხოვრების ცოდნას, რომლის ენაზედაც არის დაწერილი ორიგინალი.

ენგელსი იცნობს და ანგარიშს უწევს ორიგინალის და თარგმანის ენის სინტაქსის ფორმალურ — „სკოლურ" წესებს. წერილში ბერნშტეინისადმი (5/2—1884) იგი წერს:

„ერთის გამო შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ: მე არ ვისურვებდი ჩემთვის სწორედ თქვენზე უკეთეს მთარგმნელს. პირველ ფურცელში თქვენი მისწრაფების გამო — სწორად და ზუსტად გადმოგეცათ აზრი — ცოტათი უგულვებელყავით წინადადებათა შეთანხმება, voila tout. ამით აიხსნება, რომ მე, რომელმაც ვიცი მარქსის თავისებური, თქვენთვის უჩვეულო წინადადებათა შეთანხმება და რომელსაც მინდოდა მათი შეტანა თარგმანში, მოვახდინე მრავალი ცვლილება... თუ თქვენ გერმანულ ენაზე აზრის გადმოცემის შემდეგ კიდევ ერთხელ გადაიკითხავთ ხელნაწერს და ყურადღებას მიაქცევთ წინადადებათა გასაგებ შეთანხმებას და, ამასთან ერთად, მოიგონებთ, რომ საჭიროა შეძლებისამებრ გავექცეთ წინადადებათა გაგრძელებულ სკოლურ შეთანხმებას, სადაც დამატებითი წინადადების ზმნა ყოველთვის ბოლოშია მოქცეული, როგორც ეს ჩვენ ყველას თავში ჩაგვიჭედეს, მაშინ თქვენთვის ძნელი აღარ იქნება ყოველივე თვითონვე მოაწესრიგოთ"[2].

ენგელსი მოითხოვს ზუსტ მეცნიერულ ტერმინოლოგიას: უცხოური გამოთქმები და ტერმინოლოგია აუცილებელია ითარგმნოს და შევიდეს თარგმანის ენაში, მაგრამ აუცილებელი უცხოური სიტყვები თარგმანში უნდა დარჩეს. ამის შესახებ ენგელსი წერს თავის ნაშრომში,—„სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ".

„რაც შეეხება ფორმას, მხოლოდ უცხო სიტყვათა სიმრავლეს შეეძლო გამოეწვია ეჭვი. მაგრამ უკვე ლასალი თავის სიტყვებსა და პროპაგანდისტულ ბროშურებში მაინცდამაინც არ ერიდებოდა უცხო სიტყვების ხმარებას, და, რამდენადაც ვიცი, ამის გამო არავის უსაყვედურებია. ამ დროიდან კი ჩვენი მუშები უფრო გულმოდგინედ და უფრო რეგულარულად კითხულობენ გაზეთებს და ამის მეოხებით მათ უფრო მეტად შეითვისეს უცხო სიტყვები. მე დავკმაყოფილდი იმით, რომ განვდევნე ყველა ზედმეტი უცხო სიტყვა. მაგრამ, დავტოვე რა აუცილებელი სიტყვები, მე აღარ დამირთავს მათთვის ეგრეთწოდებული განმარტებითი თარგმანი. აუცილებელი უცხოური სიტყვები, უმეტეს შემთხვევაში საყოველთაოდ შემოღებული მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინები, აუცილებელიც აღარ იქნებოდა, მათი თარგმნა რომ შესაძლებელი ყოფილიყო. მაშასადამე, თარგმანი მხოლოდ ამახინჯებს აზრს. განმარტების ნაცვლად მას არევ-დარევა შეაქვს. ასეთ შემთხვევაში გაცილებით უფრო შველის საქმეს ზეპირი ახსნა-განმარტება".[3]

თარგმანის ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის შემსწავლელი გვერდს ვერ აუვლის ენგელსის სტატიას — „როგორ არ უნდა ითარგმნოს მარქსი". ეს სტატია დაიწერა მარქსის „კაპიტალის" რამდენიმე გვერდის ინგლისური თარგმანის გამო, რომელიც შესრულებულ იქნა ჯონ ბროდჰაუსის მიერ. თარგმანი გამოქვეყნებული იყო ინგლისური ჟურნალის „To Day"-ის 1885 წლის ოქტომბრის ნომერში.

ენგელსი, უპირველეს ყოვლისა, ეხება იმ თვისებებს, რომლებიც უნდა გააჩნდეს მარქსის მთარგმნელს. ეს სწორედ ის ზოგადი თვისებებია, რომლებიც უნდა ჰქონდეს საერთოდ ყოველ მთარგმნელს.

ენგელსი წერს: „იმისათვის, რომ გადათარგმნოთ ასეთი წიგნი, არაა საკმარისი კარგად იცოდეთ გერმანული ლიტერატურული ენა... რომ გაიგოთ იგი, (მარქსი. გ. გ.) ჭეშმარიტად სრულყოფილად უნდა ფლობდეთ გერმანულ

[1] მარქსის და ენგელსის წერილები „კაპიტალის" შესახებ, თბ. 1951, გვ. 240—1.

[2]. Маркс-Энгельс, „Архив", т. I, გვ. 335.

[3] ფ. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, სახელგამი, 1940, გვ. 9.

ენას, სალაპარაკოს და ლიტერატურულს, და გარდა ამისა, გერმანული ცხოვრებისა უნდა იცოდეთ რამე"[1].

შემდეგ ენგელსს მოჰყავს ასეთი საგულისხმო მაგალითი: „როდესაც ოქსფორდის რამდენიმე სტუდენტი მიცურავდა დუვრის სრუტეში ოთხნიჩიანი ნავით, გაზეთი გვატყობინებდა, რომ ერთმა მათგანმა „Caught a crab". „Köluische Zeitung"-ის ლონდონელმა კორესპონდენტმა სიტყვასიტყვით გაიგო ეს გამოთქმა და კეთილსინდისიერად შეატყობინა თავის გაზეთს, „რომ კიბორჩხალი მოედო ერთ-ერთი მენავის ნიჩაბს".

ენგელსმა კარგად იცოდა, რომ ინგლისური გამოთქმა catch a crab სიტყვასიტყვით ნიშნავს კიბორჩხალის დაჭერას, მაგრამ როგორც იდიომი, ნიშნავს ნიჩბის უხერხულად ჩაშვებას წყალში. ენგელსი მარქსის ინგლისელ მთარგმნელს ბროდჰაუსს ასეთი „კიბორჩხალების ჭერია" დიდ ოსტატად თვლის.

ენგელსი სამართლიანად ფიქრობს, რომ: „ჩვენი საუკუნის მწერალთაგან მარქსს ყველაზე უფრო ძლიერი და კომპაქტური სტილი აქვს. იგი რომ გადმოიცეს თანაბარფასოვანი სტილით, საჭიროა არა მარტო გერმანული, არამედ ინგლისური ენის ცოდნაც. მაგრამ ბროდჰაუსი, როგორც ჩანს, არის რა საკმაოდ ნიჭიერი ჟურნალისტი, ინგლისურ ენას ფლობს იმ გასაგებლად მოცულობით, რომლითაც სარგებლობენ იმისათვის, რათა დააკმაყოფილონ პირობითი ლიტერატურული მოთხოვნილებანი... ძლიერი გერმანული ენა უნდა გადმოიცეს ძლიერი ინგლისური ენით".[3]

ენგელსი უწუნებს ბროდჰაუსს არა მარტო ენობრივი შესაძლებლობის, არამედ გამბედაობის ნაკლებობასაც; როდესაც საჭიროა სულ მცირეოდენი სიახლე, რაც სცილდება ინგლისური ლიტერატურის ყოველდღიურ ენას, ბროდჰაუსი შემდეგნაირად იქცევა: „ძველ გერმანულ სიტყვას გადმოსცემს ცოტად თუ ზევრად გარკვეული ტერმინით, რომელიც არ ჭრის მას ყურს, მაგრამ აბნელებს ავტორის აზრს; ან, რაც უფრო უარესია, თუ სიტყვა მეორდება, ბროდჰაუსი თარგმნის მას სხვადასხვა ტერმინების მთელი რიგით და ავიწყდება, რომ ტექნიკური ტერმინი ყოველთვის უნდა გადმოიცეს ერთი და იმავე თანაბარმნიშვნელოვანი გამოთქმით".[4]

მარქსიზმის კლასიკოსების ზემოაღნიშნული გამონათქვამებით როდი ამოიწურება ის მდიდარი მასალა, რომელსაც ისინი ჰქმნიან თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისათვის. მოკლე სტატიაში შეუძლებელია ამ მასალის ამომწურავი მითითებაც კი, მაგრამ ის მცირედიც, რაც შეიძლება მაინც მითითებულ იქნას ამგვარ ვითარებაში, ჩვენი აზრით, ნათელს ჰფენს ამ გამონათქვამთა უდიდეს მნიშვნელობას.

---

[1]. Маркс-Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. I, გვ. 220.

[2] ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ არის ცნობილი რუსი მწერლის კ. ჩუკოვსკის ცნობა ანალოგიური „კიბორჩხალის დაჭერის" შესახებ ინგლისელი მწერლის გოლსუორსის რუსულ თარგმანში, რომელიც გამოვიდა 1946 წელს (ეს ცნობა პირადად გადმოგვცა კ. ჩუკოვსკიმ. იხ. „ფორსაიტ საგას" რუსული თარგმანი, ტ. I, გვ. 607).

[3]. Маркс-Энгельс, Сочинения. т. XVI, ч. I, გვ. 231.

[4]. იქვე.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი ნაშრომი ქართული ენის შესახებ

★

ა. შანიძის ნაშრომის გამოსვლამდე ჩვენ არ გვქონია ქართული ენის **მეცნიერული გრამატიკა**, თუმცა არსებობდა მანამდე ქართული ენის ბევრი გრამატიკა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მე-19 საუკუნის მარტო ოთხმოციან წლებში გამოქვეყნდა ცნობილი გრამატიკები დ. ყიფიანისა (1882 წ.), პ. კვიცარიძისა (1888 წ.). ქუთათელაძისა და თ. ყორდანიასი (1889 წ.). მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ შრომებში, ბევრი საკითხი საერთოდ კარგად იყო დაყენებული და გადაჭრილი (მაგალითად, ასპექტის საკითხი დ. ყიფიანის გრამატიკაში), მათი მეცნიერული დონე დაბალი იყო.

ა. შანიძის გრამატიკაში მორფოლოგიის კურსი სრულად და მკაცრი მეცნიერული საბუთებით არის დალაგებული. მასში შეჯამებული და განზოგადებული სახით არის წარმოდგენილი მისი ავტორის 40 წლის მუშაობის შედეგები ქართული გრამატიკის სხვადასხვა საკითხებზე. მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი სახელმძღვანელო მხოლოდ პროგრამული საკითხებით შემოფარგლული. იგი ამავე დროს გამოკვლევის სპეციალურ ხასიათსაც ატარებს ამ ტიპის შრომებისათვის დამახასიათებელი მეცნიერული აპარატით, კვლევის მეთოდებითა და დეტალებით. არა ერთი ამ წიგნში წამოჭრილი საკითხთაგანი სცილდება ქართველოლოგიის ფარგლებს, მათ ზოგადი მნიშვნელობა ენიჭებათ სხვა ენათა კვლევის საქმეშიც. ასეთია, მაგალითად, მოძღვრება მწკრივების შესახებ, ახალი შეხედულება გრამატიკულ დროზე და სხვ.

წიგნში გამოყენებულია ი. სტალინის კლასიკური ნაშრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების" დებულებები რიგი მნიშვნელოვანი საკითხების ახსნაში. ასეთ საკითხთა წრეს ეკუთვნის, მაგალითად, ასპექტის გამოხატვის საშუალებათა შეცვლა ქართულში (§ 336 ა), ენის შინაგანი კანონების ბუნების გამოვლინება თავისებური ზმნების შესწავლის მაგალითზე (§ 542) და სხვ. ცალკე პარაგრაფები აქვს მიძღვნილი ი. სტალინის მოძღვრების გადმოცემას გრამატიკის რაობისა და მნიშვნელობის, ენის სპეციფიკის, ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის, ენის ლექსიკური შემადგენლობისა და აზროვნებისა და მეტყველების შესახებ.

აკაკი შანიძე, „ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია", 1953.

წიგნის ავტორი ქართული ენის სტრუქტურის მთავარ საკითხებს განიხილავს არა იზოლირებულად, არა სხვა მონათესავე ენათაგან მოწყვეტით და განმხოლოებით, არამედ მჭიდრო კავშირში ქართველურსა (ჭანურ-მეგრულ და სვანურ) და კავკასიურ ენებთან. ავტორი ხშირად მიმართავს ხოლმე ქართული ენის მასალების ხსენებულ ენებთან შედარებას. წიგნში გათვალისწინებულია და სათანადოდ გამოყენებული ქართველურ და კავკასიურ ენათა დარგში უკანასკნელად მიღწეული შედეგი.

ამა თუ იმ საკითხის განხილვისას ავტორი არ კმაყოფილდება გრამატიკული ფორმების მხოლოდ აღწერით. ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ძეგლების შემცველი ენაა, მას აქვს მდიდარი წერილობითი ისტორია, სადაც ნათლად არის ასახული გრამატიკული ფორმების ცვლილებათა მთელი სახე. ამიტომაა, რომ ავტორი ხშირად მიმართავს შედარებას ძველი ქართულის სათანადო მოვლენებთან, იგი დაუღალავად ეძიებს ფორმათა ამ ცვალებადობის მიზეზებს.

წიგნში გრამატიკული მოვლენები განხილულია ფორმისა და ფუნქციის შეპირისპირებისა და მთლიანობის თვალსაზრისით. ქართულში მთელი რიგი ზმნებია, რომელთაც ფორმა ვნებითისა აქვთ, ხოლო ფუნქცია მოქმედებითისა, მაგალითად: **იწერება**: წიგნი იწერება, შრომა იწერება. **იწერება** ერთპირიანი ზმნაა, გვარის მიხედვით ვნებითი. მაგრამ ზოგჯერ მას შეიძლება ჰქონდეს მოქმედებითის ფუნქციაც. განსაკუთრებით ასეთ გამოთქმებში: წერილს იწერება, ამბავს იწერება. ასეთია კიდევ: ილანძღება, იგინება, პასუხს იძლევა, და სხვ. ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის ზემოთ აღნიშნული წესით განხილვის ნიადაგზე აუცილებელი გახდა ამ ზმნების ცალკე გამოყოფა. ესაა ე. წ. დეპონენსები, რომლებიც პირველად ამ წიგნშია გამოვლინებული და ვრცლად გაშუქებული (§ 366). ფორმისა და ფუნქციის შეპირისპირების თვალსაზრისითაა მოცემული აგრეთვე III სერიის ფორმათა ანალიზი, სადაც ნაჩვენებია, რომ წარმოშობით (ფორმით) პასივი ოდენობანი დღევანდელი ენის სისტემაში (ფუნქციით) აქტივად არის გააზრებული. ასევეა განხილული გარდამავალ ზმნათა ქცევის საკითხი III სერიის ფორმებშიც. ფორმისა და ფუნქციის ამგვარი სადავო საკითხების გადაწყვეტისას ავტორი უპირატესობას ფუნქციას ანი-

ჰებს. ფორმათა შეპირისპირების მეთოდი, საერთოდ, მთელ წიგნში წითელი ზოლივითაა გატარებული.

ავტორის მსჯელობანი უმთავრესად დაყრდნობილია ახალი სალიტერატურო ენიდან ამოღებულ მასალაზე. მაგრამ ზოგიერთი საკითხის განხილვისას ავტორი არ მორიდებია ძველისა და საშუალო ქართულის ჩვენებებსაც; წიგნში სათანადო მასალები ბლომადაა დამოწმებული. ასეთ შემთხვევაში ძალიან ხშირად ქართული ენის კილოებიდანაც არის შემოტანილი საჭირო ფაქტები. ეს მრავალფეროვნება ხელს უწყობს ავტორის მტკიცებასა და საბუთიანობას და ზრდის წიგნის მეცნიერულ ღირებულებას.

წიგნს ღირსებას მატებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იშვიათ ფორმებსა და თავისებურ მოვლენებს ხშირად ახლავს დამოწმება მხატვრული ლიტერატურიდან (ილია, აკაკი, ვაჟა და სხვ.) და ხალხური შემოქმედებიდან.

წიგნში მრავალი საკითხია ახლად წამოყენებული და გაშუქებული. საკითხთა ასეთ წრეს ეკუთვნის, მაგალითად, სახელებიდან მხლებლიანი ბრუნვები, ლოკალური ბრუნვები, საკითხი სახელის ხელმეორედ ბრუნების შესახებ, გეოგრაფიული სახელების ბრუნება და წარმოქმნა, და სხვ.

როგორც ცნობილია, ქართული ენის აგებულების ხერხემალს ზმნა წარმოადგენს. ზმნა არის, რომ ქმნის ძნელად გასავალ ხლართებსა და განსაკუთრებულ სიძნელეებს. ქართული ზმნის ეს სიძნელეები იყო, რომ პლატონ იოსელიანს მწარე სიტყვები წარმოთქმევინა: „ქართულისა ყოველნი ზმნანი არიან უკანონონი“. ამიტომ ბუნებრივია, თუ ზმნებს სარეცენზიო წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და დიდი ადგილიც აქვს დათმობილი (§§ 199-605). ავტორს საერთოდ ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული ქართული ზმნის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. იგი ამ შრომაშიც ვრცლად მიმოიხილავს ჩვენი ზმნის მრავალპირიანობას და აქედან გამომდინარე მრავალ თავისებურებას. ცნობილია რომ ორ და სამპირიანი ზმნები არ იცის რუსულმა და ინდოევროპულმა ენებმა, ის დამახასიათებელია ქართველურისა და კავკასიური ენებისათვის. ამიტომ ქართულში ყოველი ასეთი ზმნის უღლება ერთ რომელიმე დროში, კილოსა და მწკრივში, ნაცვლად საყოველთაოდ ცნობილი 6 ფორმისა, 18 ფორმას ვღებულობთ. ქართული ზმნის ეს მრავალპირიანობა არის მიზეზი, რომელიც ქმნის ახალ კატეგორიებს. პირველად ამ წიგნში არის დადგენილი და შესწავლილი ზმნის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: გეზი და ორიენტაცია, ჯერობა, აქტი, თანამდევრობა, სტატუსი, სიტუაცია და რთული კატეგორია მწკრივი. ბევრ ამათგანს ზოგადენათმეცნიერული მნიშვნელობა აქვს და თანაბრად გამოსაყენებელია სხვა ენებისათვისაც. ა. შანიძის ერთ-ერთ დამსახურებას სწორედ ამ კატეგორიების აღმოჩენა, დადგენა და დაწვრილებითი შესწავლა შეადგენს. ყველაფერი ეს, ვიმეორებ, შეჯამებული სახით პირველად ამ წიგნშია მოცემული.

ზმნის კატეგორიათაგან, გარკვეული თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი ასპექტს, „რომელიც განხილულია ისტორიულად და დადგენილია ამ კატეგორიის გამოხატვის სისტემაა შეცვლა ქართული ენის წერილობითი ისტორიის მანძილზე. ის განსხვავება, რომელიც მოგვეპოვება ძველ ქართულსა და ახალს შორის მწკრივთა რაოდენობისა და თვისებების მხრივ, სწორედ ასპექტის ბრალია. გრამატიკულ ნიშნებს შორის ასპექტის ჩვენება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქართული ენის პერიოდიზაციის დასადგენად“. ასპექტის სისტემის იმ ძირითადს ცვლილებას, რომელიც მან განიცადა ძველისა და ახალი ქართულის საზღვარზე, ავტორი უწოდებს დიდ **მობვეულს** ქართული ენის განვითარების ისტორიაში.

წიგნში მეტად საინტერესოდ და ამომწურავად არის დამუშავებული გვარის კატეგორია. ავტორის დასკვნით, ქართულში გვაქვს სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო. ვნებითი მოქმედებითისაგანაა ნაწარმოები; ამ წარმოებისას მოქმედებითის პირდაპირი ობიექტი ვნებითში სუბიექტად გვევლინება, ხოლო მოქმედებითის სუბიექტი გადადის ნათესაობითს ბრუნვაში და ამნაირად წყვეტს კავშირს ზმნასთან და იკარგება. მოქმედებითი გვარის ზმნათა ვნებითად მოქცევას ავტორი კონვერსიას უწოდებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის შეხედულება გრამატიკული დროის შესახებ. ავტორმა გააკრიტიკა ტრადიციული შეხედულება ერთზე მეტი აწმყოს, ორი მყოფადის, რამდენიმე ნამყოსა და, საერთოდ, სამზე მეტი დროის შესახებ და ნათელი გახადა, რომ ენაში, როგორც სინამდვილეში, დრო მხოლოდ სამი გვაქვს: წარსული, ახლანდელი და მომავალი. ტრადიციული მცდარი შეხედულება ენაში დროის შესახებ იქიდან გამომდინარეობდა, რომ ერთმანეთში ურევდა დროის, კილოსა და ფორმათა იმ ჯგუფის კატეგორიას, რომელსაც ჩვენი ავტორი მწკრივს უწოდებს. მწკრივის, როგორც ზმნის რთული კატეგორიის, დადგენამ ავტორს შესაძლებლობა მისცა გაეიჯნა მწკრივი კილოსა და დროისაგან და თითოეულისათვის თავთავისი ადგილი მიეჩინა.

ავტორს საგულისხმო დაკვირვებები აქვს ზოგიერთი ზმნისწინის მიერ ახალი მნიშვნელობის მოპოვების შესახებ. ასე, მაგალითად, **და** ზმნისწინი, ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, განუსაზღვრელ მიმართულებას აღნიშნავს: მი-რბის (იქით), მო-რბის (აქეთ), მაგრამ **და**-რბის (საერთოდ, განუსაზღვრელი მიმართულებით). ასეთია კიდევ: **და**-აქვს, **და**-ღის, **და**-ცურავს, **და**-ფრინავს, **და**-ათრევს და სხვა. ამ **და**-ს ავტორი განუსაზღვრელობის **და**-ს უწოდებს.

ხანდახან იმავე **და**-ს შეუძლია გამოხატოს მოქმედების ინტენსიობა, რაც პირდაპირი ობიექტის (გარდაუვალობის შემთხვევაში, სუბიექტის) სიმრავლეს გულისხმობს: **და**-ჰხადა სტუმრებს ფეხსაცმელები (ერთს **გა**-ჰხადა), ფიცრები **და**-თალა, კბილები **და**-აძრო, **და**-ჭამა მგელმა თხები (ერთი შეჭამა) და სხ. **და**-ს ამ შემთხვევაში ავტორი ინტენსიობის **და**-ს ეძახის.

ბოლოს, ავტორი მიმოიხილავს უდეტრებს. აქ ავტორს განხილული აქვს ზმნიზედა, მხლებელი (თანდებული, კავშირი, ნაწევარი, ნაწილაკი) და შორისდებული, ბევრი აქ წარმოდგენილ საკითხთაგანი სრულიად ახლად არის აღძრული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და პირველად აქ ქვეყნდება.

უთუოდ აღსანიშნავია წიგნის დიდი მნიშვნელობა ზოგიერთი ფორმისა და ეტიმოლოგიების გარკვევის საქმეში. აქ დავასახელებთ რამდენიმეს. ავტორის აზრით: 1. „ხავერდი" მიღებული უნდა იყოს „ხაო-ედ"-ისაგან რ-ს ჩართვით: ხაოედ - ხავედ - ხავერდი (ო რედუქციით ვ-ს გვაძლევს), ე. ი. ხაოიანი (გვ. 127; ფუძეს **და**-მატებული **ედ** ძველად ქონების მაწარმოებელი სუფიქსი იყო: უჯრ-ედ-ი=უჯრიანი, (სამ)კუთხ-ედ-ი = (სამ) კუთხიანი, შვიდწლ-ედ-ი = შვიდწლიანი და სხ.); 2. „წვრილმანი". ავტორის აზრით. იმ ტიპის ფუძეგაორკეცებული სიტყვაა, როგორც გიჟმაჟი, ქოხმახი, ჟუმაჟი და სხ., სადაც მეორე ნაწილში ძირეული ხმოვანი ა-დ არის შეცვლილი, ხოლო თანხმოვნები — მანად: წვრილმალი→წვრილმანი (დ სიმილაციით). ამიტომ შემცთარია ნ. მარის აზრი, თითქო ამ სიტყვის მეორე ნაწილს „მან"-ს რაიმე კავშირი ჰქონდეს სომხურ „ბანრ"-თან (რომელიც იგივეა, რაც „წვრილი"). 3. „ლია". ავტორის ახსნით, მიღებულია „მღე"-საგან", რაც ხევსურულში „გაღებულს" აღნიშნავს: მღეა → ძღია→ ღია (§ 605); 4. ავტორის აზრით, ზმნისწინი **ალ** **შედის** „**წი-ალ-**"ში, რომელიც ძველ ქართულში იხმარებოდა. ეს **წიალ** წარმომდგარი ჩანს „**წულის ალ**"-ისაგან, როგორც წისქვილი **წულის** ფქვილისაგან („ფქვილი" ძველ ქართულში საფქველ ქვასაც — დოლაბსაც — აღნიშნავდა, § 269). ამ ეტიმოლოგიას სავსებით ამართლებს „წიალ" ზმნისწინის მნიშვნელობა: **წიალსვლა** მხოლოდ წყალზე გადასვლას ნიშნავდა; 5. ადამიანთა სადაურობის მაწარმოებლად ძველად მ—ელ თავსართ-ბოლოსართი გვქონდა; **მ-ეგ-ვიპტ-ელ-ი** (ეგვიპტის მცხოვრები, ეგვიპტელი), **მ-ეგრ-ელ-ი** (ეგრისის მკვიდრი), **მ-აწ-ყუერ-ელ-ი** (აწყურის ეპისკოპოსთა ტიტული), **მ-აჩაბ-ელ-ი** (აჩაბეთის მცხოვრები), **მ-როვ-ელ-ი** (სოფ. რუისის მცხოვრები) და სხვ. ავტორის აზრით, ამ სიტყვების თავში დართული **მ** წარმოშობით იგივეა, რაც სვანური **მ**, რომელიც სვანურში დღესაც აუცილებელია ადამიანთა სადაურობის საწარმოებლად. ასეთი წარმოებისაა **მუ-**რუს, რაც რუსს ნიშნავს; აქედანაა გვარი მურუსიძე, რაც მნიშვნელობით იგივეა, რაც რუსაძე, რუსიშვილი, რუსია; 6. „ნეტავი "ავტორის ჩვენებით, წარმომდგარი უნდა იყოს აქედან: ნეტარ ვინ, რ-ს ჩავარდნით—ნეტავი. ამიტომაა, რომ მასთან ჩვეულებრივ **მე-3** სუბპირის ფორმა იხმარება. ამგვარი შესანიშნავი ახსნები და გონებამახვილური მიხვედრები წიგნში ბლომად გვხვდება.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ავტორის დაუცხრომელი მუშაობა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში. ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის ისეთი საერთოდ აღიარებული ტერმინები, როგორიცაა: ქცევა, საარვისო, სათავისო, სასხვისო, სასუბიექტო, სობიექტო; წყვეტილი, უწყვეტელი, ზმნისწინი, მწკრივი და სხვ. სარეცენზიო წიგნშიც არა ერთი და ორი ახალი ტერმინი აქვს შემოღებული, მაგალითად: კონტაქტი, აქტი, უდეტერი, დინამიკური, სტატიკური (ვნებითი) და სხვ. ასეთი და მსგავსი ტერმინების მიზანია ამ სახით ადვილად დამკვიდრდეს საერთაშორისო გრამატიკულ ლიტერატურაში.

წიგნს დართული აქვს სხვადასხვა სახის საძიებელი, რაც მეტად აადვილებს ამ წიგნით სარგებლობას. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ახსნილი სიტყვები და ფორმები, აგრეთვე ტერმინებიც ყველა არ მოჰყოლია საძიებელში. ზოგჯერ საძიებელში მოცემული დაპირებაც არ მართლდება. ასე, მაგალითად, „პოლიპროსოპია"-სთან მითითებულია „ნ. მრავალპირიანობაო", მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვა სრულებით არ არის შეტანილი საძიებელში. შემდეგ უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის ყველა ნაწილი ერთნაირი სისრულითა და სიღრმით არაა დამუშავებული, უდეტრებს აკლია სისრულე. სასურველია შემდგომს გამოცემაში ამ ნაწილის უფრო გავრცობა. წიგნის ზოგ ნაწილში ჭარბადაა წარმოდგენილი ძველი ქართულის მოვლენები; თანამედროვე ქართული ენის გრამატიკაში (თუნდაც საფუძვლებში) არ იყო. საჭირო ნაწევარზე ასე ვრცლად საუბარი, მით უმეტეს, რომ ეს კატეგორია ახალმა ქართულმა არ იცის. ამ წიგნს ჩვენი სტუდენტობა სახელმძღვანელოდ ხმარობს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ჩვეულებრივი სახელმძღვანელო არ არის, მასში ბევრი რამ არის შეტანილი, რაც სახელმძღვანელოსათვის არ არის **საჭირო**. რომ ამ წიგნმა კარგი ხელმძღვანელობა გაუწიოს სტუდენტობას, საჭიროა წიგნიდან ჭარბი მაგალითებისა და დეტალების ამოღება, მსჯელობის გამარტივება და იმ ტექნიკური, კორექტურული და სხვა სახის შეცდომის გასწორება, რაც წიგნში აქა-იქ გვხვდება (მაგ., წინასიტყვაობაში იკითხება: „ქართული ენის საფუძვლები" გვ. 016, უნდა იყოს: „ქართული გრამატიკის საფუძვლები" და სხვ.).

ა. შანიძის ამ წიგნის სახით ჩვენმა სტუდენტობამ, მასწავლებლობამ, ჩვენი ენის გრამატიკული აგებულებით დაინტერესებულმა მკითხველმა საუკეთესო წიგნი მიიღო, ხოლო ქართველოლოგიისათვის იგი დიდი შენაძენია.

დოც. ი. იმნაიშვილი.

სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ ენაზე გამოსცა დ. ჩხიკვიშვილის წიგნი „სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის შესახებ", რომელშიაც განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები: საბჭოთა კულტურის სოციალისტური შინაარსისა და ეროვნული ფორმის შესახებ, ერის კულტურისა და ეროვნების კულტურის შესახებ, კულტურის ეროვნული ფორმის ელემენტები.

წიგნში ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ აზროვნების ისტორიაში კულტურის თანმიმდევრული, მეცნიერული გაგება, მისი მნიშვნელობის ნამდვილი გარკვევა საზოგადოებრივ განვითარებაში მოგვცეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა. მარქსიზმ-ლენინიზმი, წინააღმდეგ იდეალიზმისა, მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას აქვს ორი მხარე: მატერიალური და სულიერი. სულიერი ცხოვრება არის ანარეკლი, ნაწარმოები საზოგადოების მატერიალური ცხოვრებისა, ყოფიერებისა, რომელიც ადამიანის შეგნებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ბურჟუაზიული სოციოლოგია დამყარებულია მცდარ, იდეალისტურ მეთოდოლოგიაზე. იგი ვერ სცნობს და არც შეუძლია შეიცნოს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური პროცესები, ის კანონზომიერებანი, რომელთაც ადგილი აქვს სინამდვილეში. ამიტომ არის, რომ ბურჟუაზიული ფილოსოფოსები მეცნიერულად ვერ ხსნიან ადამიანთა სულიერი ცხოვრების არსს, ვერ ხედავენ იმას, რომ კულტურა საზოგადოებრივი ყოფიერების ზედნაშენია, ასახული სინამდვილეა.

წიგნში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების დებულებებზე დაყრდნობით დიდძალი ფაქტობრივი მასალის განზოგადების საფუძველზე ნაჩვენებია საბჭოთა კულტურის თავისებურებანი, მისი რევოლუციური არსი. დასაბუთებულია, რომ საბჭოთა კულტურა, რომელიც ფორმით ეროვნულია და შინაარსით სოციალისტური, ყველაზე მოწინავე კულტურაა მთელ მსოფლიოში, ძირფესვიანად განსხვავდება რეაქციულ-ბურჟუაზიული კულტურისაგან, სრულიად ახალი კულტურაა, რომლის ანგარიში ჯერ არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში, მას საფუძველი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩაუყარა.

საბჭოთა კულტურას ხანგრძლივი მოწინავე ტრადიციები აქვს. წინასოციალისტურ საზოგადოებაში ხალხები რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ქმნიდნენ პროგრესულ კულტურას, რომელიც სოციალისტურ სინამდვილეში შემდგომ ვითარდება და ახალ შინაარსს იღებს. დიდი ლენინი მიუთითებდა, რომ „ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში... არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკოროსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები" (ტ. 20, გვ. 21). ამრიგად, ბურჟუაზიულ წყობილებაში იქმნება ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო კულტურა: ბურჟუაზიული და პროლეტარული, რომელთა შორის, როგორც ამას ავტორიც მიუთითებს, შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა წარმოებს.

საბჭოთა ერები, რომლებიც შეკავშირებულნი არიან ერთ დიდ, უძლეველ ოჯახად, ავითარებენ ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას, კულტურას, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ სწორ გზას ერთი საერთო საკაცობრიო კულტურის შექმნისაკენ, კულტურის ერთიანი სოციალისტური ფორმისაკენ, რაც უნდა განხორციელდეს სრულ კომუნისტურ საზოგადოებაში.

ავტორი, ეხება რა კულტურის ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხს, აღნიშნავს, რომ ფორმა მხოლოდ დამოკიდებული კი არ არის შინაარსისადმი, არამედ იგი, ფორმა, გავლენასაც ახდენს მასზე, შინაარსზე. ფორმა უნდა გვესმოდეს არა მარტო როგორც გარეგანი ნიშანი საგნისა და მოვლენისა, არამედ როგორც შინაგანი სტრუქტურა შინაარსისა. ავტორი აღნიშნავს, რომ ფორმა, რომელიც შინაარსთან შესაბამისობაში იმყოფება აჩქარებს მის განვითარებას და წინსვლას. ჩვენი კულტურის ეროვნული ფორმა წარმოადგენს სწორედ ასეთ აქტიურ ძალას, რომელიც უკუზემოქმედებას ახდენს და აჩქარებს საბჭოთა კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურის განვითარებას.

ავტორი ეხება ერების, ეროვნული ენების და ეროვნული კულტურის მომავლის საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ კულტურის ეროვნული ფორმა ისტორიული კატეგორიაა, რომელსაც თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. კულტურის ეროვნული ფორმა იმიტომ არის ისტორიული კატეგორია, რომ თვით ერი არის ისტორიული კატეგორია და ამდენად კულტურის ეროვნული ფორმის ბედი დაკავშირებულია ერის ბედთან. კაცობრიობის ისტორიის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზ-

---

Д. Чхиквишвили. О национальной форме социалистической культуры. Академия наук Груз. ССР 1954.

მის გამარჯვების შემდეგ, როცა ყველგან დამყარდება ერთი ეკონომიური სისტემა, დაისმება საკითხი ეროვნულ თავისებურებათა და ეროვნული ენების კვდომის, ერთიანი ენისა და ფორმითაც ერთი საერთო კულტურის შექმნის 'ძესახებ. მარქსისტული მოძღვრება ეროვნული ენებისა და ერების კვდომის, ერთი საერთო ენისა და ერთი საერთო კულტურის შექმნის უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა და მთელი სიცხადით გადმოგვცა ი. სტალინმა თავის უკვდავ ნაწარმოებებში.

ჯერ კიდევ ერების აღმოცენებამდე ეროვნებანი ჰქმნიდნენ მაღალ და მრავალფეროვან კულტურას, რომელიც შედის მოწინავე კაცობრიობის კულტურის საგანძურში. ასეთი მოწინავე კულტურა იქმნებოდა კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში—მონათმფლობელური, ფეოდალური. მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციების ეროვნებათა კულტურის განმასხვავებელი ნიშანია თავისებური ეთნიკურ-სპეციფიკური ფორმა. მაგალითად, ფეოდალურ ფორმაციაში რუსმა ხალხმა შექმნა მდიდარი კულტურა. ამ პერიოდში ასევე მდიდარი კულტურა შექმნა ქართველმა ხალხმა. მაგრამ ამ ორი ხალხის კულტურა ერთმანეთისაგან განსხვავდება არსებითად ისტორიულ-ეთნიკური სპეციფიკით. საკითხის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ბევრი ისტორიული მასალა.

ავტორი, ეხება რა კულტურის ეროვნული ფორმის ელემენტებს, აკრიტიკებს მარს, რომელიც გამოდიოდა „ენის კლასობრიობის" თეზისიდან. ავტორის მოსაზრებით, მცდარი კონცეფცია „ენის კლასობრიობის" შესახებ მარს ნასესხები აქვს ბაუერისაგან. მარი და მისი მოწაფეები ვერ ხედავდნენ განსხვავებას ენასა და კულტურას შორის, არ ესმოდათ, რომ კულტურა თავისი შინაარსით იცვლება საზოგადოებრივი განვითარების ეტაპების მიხედვით, მაშინ როცა ენა ერთნაირად ემსახურება როგორც ძველს, ისე ახალ კულტურას. კულტურა და ენა ორი სხვადასხვა რამეა. ენა არ არის კლასობრივი, კულტურა კი კლასობრივია. კულტურა შეიძლება იყოს ბურჟუაზიული ან სოციალისტური, ხოლო ენა ერთნაირად ემსახურება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ კულტურას. კულტურა ზედნაშენია, ენა კი საერთო-სახალხოა, ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა.

ენისა და კულტურის ერთმანეთში არევა შეცდომაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთთან არავითარ ურთიერთდამოკიდებულებაში არ არიან. ი. სტალინი თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ენა არის კულტურის იარაღი, „ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმაა" („მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები", 1954 წ., გვ. 19).

წიგნში განხილულია სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის მეორე ელემენტი — ერის ფსიქიკური წყობა ანუ „ეროვნული ხასიათი". სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის დამახასიათებელი ელემენტია მარტო ეროვნული ენა როდია. სოციალისტური კულტურის ეროვნულ ფორმას სხვა სპეციფიკური ნიშანიც აქვს. მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოების ეროვნული ფორმის სპეციფიკა ეროვნულ ენასთან ერთად არის აგრეთვე მისი მოქმედი გმირების ხასიათიც, იგი არ ჰქრება ამ ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნის დროს. პუშკინის „ევგენი ონეგინის" ქართულ ენაზე თარგმნისას როდი გაქრა პერსონაჟების ხასიათების ეროვნული სპეციფიკა. გოგოლის მანილოვი და ი. ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძე ერთი ეპოქის და ერთი კლასის შვილებია, მათ ინტერესებსა და მისწრაფებებს შორის არ არის არსებითი განსხვავება, მაგრამ დიდი განსხვავებაა ამ ორი ადამიანის „ეროვნულ ხასიათს" შორის.

დ. ჩხიკვიშვილი აკრიტიკებს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების და ყველა სხვა ცრუმეცნიერულ გაგებას ფსიქიკური წყობის ანუ „ეროვნული ხასიათის" შესახებ. II ინტერნაციონალის ცრუ თეორეტიკოსებს „ეროვნული ხასიათი" ესმოდათ, როგორც მისტიკური მოვლენა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს სინამდვილესთან.

ერის ფსიქიკური წყობის, „ეროვნული ხასიათის" ერთადერთ მეცნიერულ განსაზღვრებას მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა. ერის მარქსისტული თეორია გვასწავლის: **„ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა"** (ი. სტალინი, ტ. 2, გვ. 319). ი. სტალინი პირდაპირ მიუთითებს, რომ ერის სულიერი სახე განისაზღვრება არსებული სოციალ-ეკონომიური და კულტურის ფაქტორებით. ფსიქიკური წყობა არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რამეს, იგი იცვლება, ვითარდება ცხოვრების პირობების ცვალობადობასთან ერთად.

სარეცენზიო წიგნს ნაკლოვანებანიც გააჩნია. ავტორს ნაკლებად გამოუყენებია პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი იდეოლოგიურ და კულტურის საკითხებზე.

წიგნში საკმარისად არ არის გარკვეული სოციალისტური ერების არსი და თავისებურებანი, ბურჟუაზიულ ერების რეაქციული ხასიათი. ავტორს ვრცლად უნდა მოეცა, გარდა ლიტერატურისა, კულტურის სხვა დარგებიდანაც ეროვნული ფორმის კონკრეტული მაგალითები.

მიუხედავად ამისა, დ. ჩხიკვიშვილის წიგნი დაწერილი მარქსისტულ მეთოდოლოგიის საფუძველზე, წარმოადგენს საყურადღებო მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომს.

ი. ფეიქრიშვილი.